ლევან მარუაშვილი

მოგზაურობა ქვეყნიერების ბანზე

პამირ-ალაი—1932

ზამოვცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1988

26. 89
 მ 341

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ პამირის 1932 წლის ექსპედიციის დროს შეგროვილი დღიურების ლიტერატურულ დამუშავებას. ავტორის მიერ პამირზე შესრულებული სამუშაო ნაწილია იმ საინტერესო გეოგრაფიული პრობლემისა, რასაც „ღარმოს კვანძის“ საიდუმლოს ამოცნობა ჰქვია და რომლის სულისჩამდგმელნიც იყვნენ ცნობილი რუსი მოღვაწეები ნ. ვ. კრილენკო, დ. ი. შჩერბაკოვი, ი. გ. დოროფეევი და სხვანი.

განკუთვნილია მთამსველლობით და მოგზაურობით დაინტერესებული ფართო წრისათვის.

რეცენზენტები
პროფესორები ვ. ჯაფარიძე, დ. უკლება

Леван Иосифович Маруашвили

ПУТЕШЕСТВИЕ НА «КРЫШУ МИРА»

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
360029 Тбилиси, Марджанишвили, 5.
1988

М $\frac{4700000000 - 011}{М\ 601(08)-88}$ 196—88

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

1931 წელი იყო. საქართველოს პტესის, ანუ ОПТЭ-ს (პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების) ერთ-ერთ კრებაზე ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ—არჩილ დარახველიძემ გამოაცხადა:

— მოსკოვიდან კრილენკოს[1] განკარგულებაა მოსული: მომავალ წელს დიდ სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელიც პამირზე ჩატარდება, უნდა ჩაებნენ მთამსვლელებიც...

თავმჯდომარის ამ სიტყვებს ყოველი ჩვენგანისათვის არც ისე შორეული, 1928 წელი უნდა გაეხსენებინა, წელი, რომელიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის გაერთიანებული ექსპედიციის წარმატებებით აღინიშნა პამირზე. მაშინ ჩვენში — საბჭოთა კავშირში — ალპინისტური კადრების მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა. გერმანელმა გეოდეზისტმა ფინსტერვალდერმა. თანამემამულე მთამსვლელებთან — ევროპის საუკეთესო ალპინისტებთან ერთად ერთ სეზონში (4 — 5 თვეში), „სასწაული" მოახდინა, — აგეგმა თითქმის მთელი პამირი („ღარმოს კვანძის" გამოკლებით). ახლა — სამი წლის შემდეგ. როდესაც გიორგი ნიკოლაძის მიერ „დარგული ყლორტი მერქნით შეიმოსა" და „შესამჩნევი ბუჩქი გახდა" (ლაპარაკია საბჭოურ ალპინიზმზე), საბჭოთა მთამსვლელებს უკვე შეეძლოთ ფიქრი მაღალმთიანეთში მომუშავე სწავლულ მკვლევართათვის კვალიფიციურ დახმარებაზე. ეს ვარაუდი მოგვიანებით — 1935 წელს ბრწყინვალედ დაადასტურა თბილისელი მთამსვლელების ნაყოფიერმა თანამშრომლობამ სამხედრო გეოდეზისტებთან კავკასიონზე.

— ამიერკავკასიის ალპინისტური ორგანიზაციებისათვის გამოყოფილია ორი ადგილი პამირის 1932 წლის ექსპედიციაში, — განაგრძო თავმჯდომარემ (ამიერკავკასიის პტესის თავმჯდომარის, რომან ვოლკოვის თქმით, სომხეთსა და აზერბაიჯანში მაშინ ალპინისტური კადრები

---

[1] ნიკოლოზ ვასილის ძე კრილენკო — რევოლუციონერი, სსრ კავშირის ს ხელმწიფო პროკურორი, ბოლოს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი.

არ არსებობდა. ამიტომ ორივე კანდ-დატურა მოსკოვში საქართველოდან უნდა წარდგენილიყო).

კრების მონაწილეთა მზერა წამიერად შეჩერდა ექიმ მონსეს, ფოტოგრაფ მურაჩოესა და გიტო გიორგიძეზე[1], ხოლო ტურისტული მოძრაობის აქტივისტთა უფროსი თაობის წარმომადგენლებზე — სანდრო გვალიასა და თქვენი მონა-მორჩილისადმი — კი ეს მზერა დაჟინებული იყო. რაც შეეხება დავით წერეთელსა და მელენტი სანებლიძეს, რომლებიც იმდროისთვის უკვე საკმარის გამარჯვებებმიღწეულად ითვლებოდნენ კავკასიონის დალაშქვრის ისტორიაში, კრებას არ ესწრებოდნენ[2].

მცირეოდენი მსჯელობის შემდეგ პამირის ექსპედიციაში მონაწილეობის კანდიდატებად ერთხმად დაგვასახელეს სანდრო გვალია და მე. ვიმეორებ: ერთხმად, მაგრამ ასე არ უმსჯელიათ მოსკოვში და მე ვიტყოდი: რუსი ამხანაგები არცთუ ცდებოდნენ.

ალექსანდრე გვალია, თუ მის პიროვნებას მხოლოდ ალპინიზმის თვალსაზრისიდან შევაფასებთ, გახლდათ ამ დარგის № 1 ენთუზიასტი (ყოველ შემთხვევაში საქართველოში). მას არ ჰქონია სხვა პროფესია ალპინიზმით გატაცების გარდა. მთელი ცხოვრება, თითქმის 20 წლის ასაკიდან მოხუცებამდე, მთამსვლელობაში გაატარა.

მან რამდენიმე ზამთარი მყინვარწვერის ახლადდაარსებულ მეტეოროლოგიურ სადგურში დაჰყო — ზღვის დონიდან 3700 მეტრის სიმაღლეზე. მისდეედა სათხილამურო სპორტსაც (მთებში).

ზოგჯერ ძლიერ სიყვარულს ეჭვიანობაც მძაფრი დაჰყვება. სანდროც არ იყო გამონაკლისი ამ ადამიანური გრძნობისაგან. ვერ იტანდა სხვების ზედმეტ დასაქმებას ალპინიზმში.

გვალია და მე ერთი თაობის მთამსვლელები ვიყავით: მე 1929 წელს შევისრულე პირველად მწვერვალზე ასვლის სურვილი, მან კი 1930 წელს. ბანგურიანზე, უშბის „არწივის ბუდეში“ და იალბუზზე მე და გვალია ერთად ავდიოდით 1930, 1934 და 1935 წლებში. ორი

---

[1] ექიმი ალექსანდრე მონსე — წარმოშობით ფრანგი, ნადირობისა და ტურიზმის მოყვარული; მურაჩოეი — პროფესიონალი ფოტოგრაფი ბესარაბიიდან; გიტო გიორგიძე — მთამსვლელი და მკვლევარი, რომელიც 1929 — 1930 წლებში ავიდა ბრუტსაბძელზე, დიდ მეფის კალოზე, ხორისარზე.

[2] დ. წერეთელი უფრო მოგვიანებით (1933 წლიდან) რამდენიმეჯერ მონაწილეობდა პამირის ექსპედიციებში. მან დაწერა ორიგინალური წიგნი ამ რეგიონზე (1953 წ.).

წლით უფროსი იყო ჩემზე. საჭიროდ მიმაჩნია ვაღიარო მისი თავდადებული შრომა. ამხანაგური მხარდაჭერა და მზრუნველობა, ერთგულება საერთო საქმისადმი, საერთო გამარჯვებით აღტყინება (ყველაფერი ეს ექსპედიციებში). რაც შეეხება ქალაქურ ყოფას — კრებებს, გეგმებს, შეჯამებებს, აქ სანდრო გვალია რამდენადმე სხვაგვარი გახლდათ.

ასე იყო თუ ისე, მოსკოვმა თბილისის მიერ პამირის ალპინისტურ ჯგუფში წაყენებული ერთ-ერთი კანდიდატურა უკუაგდო.

სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი პამირზე მოხვედრის დიდი იმედი არ მქონია, რადგანაც არ მჯეროდა საკუთარი იღბლისა. ასე რომ ყოფილიყო, 19 წლისა მარტო არ აღმოჩნდებოდი ცხოვრების სიძნელეთა პირისპირ.

და 1932 წლის გაზაფხულზე, სანამ პამირზე წასვლის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, არც მომიცდია, ისე წავედი ჩემთვის უკვე თითქმის მშობლიურ კერად ქცეულ ყაზბეგის ტურბაზაში. ისევ დავიწყე ექსკურსიამძღოლად მუშაობა. ჩემს თანამდებობას ოფიციალურად „გეოლოგი“ ეწოდებოდა. ეს ნამეტნავად მყვირალა წოდება, რასაკვირველია, სავსებით არ იყო გამართლებული არც ყაზბეგის და არც სხვა ტურბაზათა უმრავლესობის „გეოლოგთა“ მიერ, ვინაიდან ყველა „პტესისეული გეოლოგი“ (მათ შორის მეც) მოკლებული იყო სპეციალურ გეოლოგიურ განათლებას.

ექსკურსიამძღოლად მუშაობა, სპეციალურ გეოლოგიურ განათლებასთან ერთად ამ კუთხის ეთნოგრაფიის ცოდნასაც მოითხოვდა. ეს კი თავისთავად გეოლოგიური, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალის სწრაფ ათვისებას გულისხმობდა, რასაც ჩვენი ახალგაზრდობით ვაღწევდით. ასევე თუ შეიძლება ითქვას, მეცნიერული საკითხების დაუფლების კომპლექსურ მეთოდს ვიყენებდით. — ვითვისებდით მას ყველასაგან, ვისგანაც გვიხდებოდა მისი მოსმენა, ან წაკითხულიდან, წიგნიდან, გაზეთიდან თუ ტურიზმის ძველი მუშაკის ჩანაწერებიდან.

ექსკურსიამძღოლ-გეოლოგის მოვალეობაში შედიოდა ე. წ. „გეგმიური“ საექსკურსიო ჯგუფების აყვანა (ე. ი. ორგანიზებული ექსკურსანტებისა, რომელთა გადაადგილება ხდებოდა მოსკოვიდან ორჯონიკიძემდე ანუ ძაუგამდე. იქიდან სამხედრო გზით თბილისამდე და შემდეგ. ზოგისთვის, შავი ზღვის სანაპიროთი — როსტოვამდე; გაჩერების პუნქტები, კვება, ძილი, საუბრების მოსმენა წინასწარ დაპროექტებულია) სოფელ სტეფანწმინდიდან ორწვერის მყინვარზე, ე. ი. ზღვის

დონიდან 1700 მეტრის სიმაღლიდან 3100 მეტრამდე, მათთვის ხეევის (ყაზბეგის რაიონის) „გეოლოგიის“ ახსნა, რომლისთვისაც უფრო მარ-ოებული იქნებოდა „გეოგრაფია-ეთნოგრაფია-ისტორია“ გვეწოდებინა, შემდეგ ალპურ მდელოებზე, გლეტჩერულ ყინულზე გასვლა და „საღ-სალამათად“ დაბრუნება იმავე სოფელში.

საექსკურსიო დღე იწყებოდა დილის 8 საათზე.

9 საათისათვის ნასაუზმევი ჯგუფი, „გეოლოგის“ მეთაურობით, გადიოდა სტეფანწმინდიდან (ყაზბეგიდან). ეს „გეოლოგი“ ხან მე ვიყავი, ხან ჩემი თანამეწყვილე — შალვა მაყაშვილი (რამდენადაც ორ-წვეროს მყინვარზე ასვლა-ჩამოსვლა ერთი დღის დასვენების აუცილებლობას მოითხოვდა. ექსკურსიამძღოლები ამ მარშრუტზე ორნი ვიყავით.

მყინვარის დათვალიერების შემდეგ, ჯგუფი ბრუნდებოდა ბაზაში. გერგეტზე გამოელისას „სალაყბოზე“ გამოფენილი მოხეევთა ჯგუფი გვხვდებოდა. მათი თავისებური ქართული, სიტყვის ბოლოდან მეორე მაოცვალზე გადატანილი მახვილი, მუსიკალურ ნოტად ჩამესმოდა და სიამაყეს აღმიძრავდა.

ასე გადიოდა დრო. თითქმის დამავიწყდა პამირზე ოცნება; ლამის გადავჩვეოდი მსოფლიოს ბანზე მოხვედრაზე ფიქრს. ამიტომ მოულოდ-ნელი იყო. ილისის შუა რიცხვებში, ყაზბეგის ტურბაზაში ჩამოსულ „დ. სანტი“.

ერთ მშვენიერ დღეს ბაზის ეზოში შემოგრიალდა მსუბუქი ავტო-მანქანა „M-1“ და იქიდან გადმოვიდა... „პტესის“ სამი თავმჯდომარე: არჩილ დარახველიძე (საქართველოსი), რომან ვოლკოვი (ამიერკავკა-სიის) და... ნიკოლოზ კრილენკო (საბჭოთა კავშირისა). ეს იყო იუს-ტიციის სახალხო კომისრის სპეციალური ვიზიტი თბილისში პამირის ექსპედიციაში მონაწილე მთამსვლელის შესარჩევად და „დასაბეჭდ-ლად“ და აკი ზუსტად სამი დღის შემდეგ, მოსკოვიდან მომივიდა დეპეშა.

„ყაზბეგი ტურბაზა ლევან მარუაშვილს

წამოიღეთ საჭურველი ჩამოდით მოსკოვში

კ რ ი ლ ე ნ კ ო“

ანგარიშსწორება და გამომშვიდობება ტურბაზასთან. ტელეგრა-მა შინ: „მივდივარ პამირზე. გკოცნით, ნახვის იმედით“ და... ავტობუ-სი მიმაქროლებს ძაუგისაკენ.

ნიაღსვლა პამირის გეოგრაფიასა და ისტორიაში*

სად მეპატიჟებოდა სახალხო კომისარი კრილენკო და საით მიილტვოდა ჩემი მჩქეფარე ჭაბუკური გული. სად არის პამირი? რა არის პამირი? რას ნიშნავს და რომელ ენაზეა შექმნილი მისი სახელი? რით არის შესანიშნავი პამირი? რა იწვევს და იწვევდა 30-იან წლებში ცხოველ ინტერესს ამ მხარისადმი? ვინ გააცნო იგი მოწინავე კაცობრიობას? რას გვაძლევს პამირი საბჭოთა ადამიანებს?

დავხედოთ ევრაზიის რუკას:

მსოფლიოს უდიდესი კონტინენტი. რომლის ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორის საზღვრის გატარებაზე დღემდე ვერ შეთანხმებულან მეცნიერები და პოლიტიკოსები. მდებარეობს ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის. მის მთელ სიგრძეზე — ერთი ოკეანიდან მეორემდე გაწოლილია უზარმაზარი მთაგრეხილები, რომლებიც წარმოქმნილია დედაბიწის ქერქის ნაოჭებით. ატლანტის ოკეანესთან (დასავლეთით) ეს მთიანი სარტყელი იწყება ესპანეთში აღმართული პირენეის ქედითა და აფრიკაში (მაროკო-ალჟირ-ტუნისში) მდებარე ატლასის მთიანეთით. აღმოსავლეთისაკენ მათ აგრძელებენ სამხრეთ ევროპის ქედები (ალპები. აპენინები. კარპატები. ბალკანები). მცირე აზიის. კავკასიის ყელის. ერან-თურანის და ავღანეთის მთები. ინდოეთ-ტიბეტის საზღვარზე აღმართული ყარაყორუმ-ჰიმალაის მთაგრეხილი. წყნარ ოკეანესთან (აღმოსავლეთით) მთათა გიგანტური სარტყელი ბოლოვდება მარაოსებურად გაშლილი ინდოჩინეთის ქედებით. მისი სიგრძე ესპანეთიდან ვიეტნამის სამხრეთ ნაწილამდე აღწევს 13 500 კმ-ს (ეკვატორის სიგრძის მესამედი).

---

* წინამდებარე წიგნს ერთვის სურათები. რომლებიც გამომიგზავნეს ი. გ. ღოროფეევმა, ქსენია დიმიტრის ასულმა შჩერბაკოვამ, ალექსანდრე სერგის ძე კლუნიკოვმა. პამირის ოროგრაფიული რუკა დაამზადა ანატოლი კუეუშკინმა. მანვე გააფორმა „ღარმოს კვანძში" ჩემს მიერ შესრულებული ჩანახატები, რისთვისაც ყველას მადლობას ეუძღვნი.

ევრაზიის დიდი მთათა სარტყლის მოყვანილობა არ უნდა გავიგოთ მარტივი ზოლის ფორმით. — ეს სარტყელი არც სწორხაზოვანი გავრცელებით განირჩევ. არც თანაბარი სიგანით ან ერთგვაროვანი გარდიგარდმო პროფილით, — აქვს მიხრილ-მოხრილი მონაკვეთებიც, ქედთა შეჯგუფებანი და მარაოსებური გაშლილობანიც.

სარტყელი ზოგან ჩრდილოეთისკენაა გაზნექილი, ზოგანაც სამხრეთისაკენ. ყურა ღებას იპყრობს მთაგრეხილების შემჭიდროება მათი ჩრდილოეთით გაღუნვის ორ ადგილში — ამიერკავკასიაში და თურან-ავღან ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე — მდინარეების: ამუდარიისა და სირ-დარიის თავეებში..

აქ ჩვენ მივაღგებით პამირს.

პამირი ეწოდება ტიან-შანის მთაგრეხილის დასავლურ ნაწილსა და ჰინდუკუშის მთაგრეხილს შორის „გაჭედილ" მაღალ ზეგანს, რომელზეც „სხედან" კიდევ უფრო მაღალი ქედები. ზეგნის აბსოლუტური სიმაღლე 3000 4000 მეტრამდეა (მაგალითად, ა რაკულის ტბა 3915 მ სიმაღლეზეა). ხოლო მასზე აღმართული ქედები 5000 — 7500 მ (ზუსტად 7195 მ).

პამირის ოროგრაფიული ჩონჩხის (მთაგრეხილ და ხეობათა სისტემის) აღიგება ხასიათდება განედური და სუბ განედური (ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ან ცოტათი განსხვავებულად მიმართული) ქედებისა და ძათი წყალგამყოფების სიჭარბით. ასეთებია: ალაის, ტრანსალაის, პეტრე დიდის, დარვაზის, ვანჯის, იაზგულემის, რუშანის, შუღნან ს. შ ჰდარის ქედები პამიოის დასავლურ ნაწილში (აღმოსავლური რ ის 73°-იანი მერიდიანის დასავლეთით): მ ზყოლის, ჩრდ ლო ალ ჩეო ს, სამხრეული ალიჩურის, ვახან ს ქედ ი ცენტრალეო პამირზე (აღმოსავლეთ გრძედის 73 -იანსა და 75°-იან მერიდიანეეს შორის). მერიდიანული და სუბმერიდიანული ქედები წარმოდგენილია დასავლეთი და ცენტრალური პამირის მიჯნაზე (მეცნიერებათა აკადემიის ქედი), ცენტრ ლურისა და აღმოსავლეთი პამირის საზღვარზე (სარიყოლის ქედი). პამირის უკიდურეს აღმოსავლეთში — უკვე ჩვენი სახელმწიფო საზღვრის გადაღმა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) სუბმერიდიანულად გაშოტილია პამირის უმაღლესი მთაგრეხ ლი (კუენ-ლენის დასავლური ბოლო). რომელსაც აგვირგვინებს მუსთაგ-ათა („ყინულოვანი მთების მამა" — 7579 მეტრი ზღვის დონი-

წაკითხული და ბავშვური [illegible] („ალმის გულში". [illegible] „[illegible] 1899).

პამირის მწვერვალებიდან რამდენიმე 7000 მეტრზე [illegible] [illegible]. უწინარეს ყოვლისა, კომუნიზმის პიკი (7495 მ)[1], კორჟენევსკაიას, კალინინისა და ლენინის პიკები (7139 მ). პამირის თანამედროვე გამყინვარება უმძლავრესია მსოფლიოს მთის გამყინვარებათა შორის. აქ არის ჩვენი პლანეტის უდიდესი ალპური მყინვარი, რომელიც ფედჩენკოს სახელს ატარებს. მისი სიგრძე 77 კილომეტრს უდრის. აქაური მყინვარები [illegible] ენერგიის უზარმაზარი მარაგია (ამ შორეულ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზეა ტაჯიკეთის სსრ).

[illegible]

პამირის პავა კავკასიონისაზე უფრო მშრალია. გარდა ამისა, რამდენადაც ეს მხარე უფრო ახლოსაა ეკვატორთან (ე. ი. 300—500 კილომეტრით უფრო სამხრეთითაა), ერთსა და იმავე აბსოლუტურ სიმაღლეზე პამირზე უფრო თბილა, ვიდრე ჩვენთან. ეს იწვევს ტემპერატურული, გეობოტანიკური და საერთოდ ლანდშაფტური, ვერტიკალური ზონალობის [illegible] [illegible] [illegible]

ჩვეულებრივ პირობებში 2700 — 2800 მეტრზე მაღლა არ ადის. პამირი ლარიბია ტყით, მაგრამ 3100 მეტრის სიმაღლემდე დარეგიონში კი, ე. ი. შეკრებებით განსტიანებულ რეგიონში. ისოდება არჩის ბუჩქები (არჩა ღეროს სახეობა. რომლის მერქანი საფანქრე ხის მასალად გამოდგება) ხეობებში მიწათმოქმედება და მუდმივი მოსახლეობა 2700 მ სიმაღლემდე და უფრო ზევითაც ადის (ჩვენში ქერის ნათესები ახლიბელ წარსულში. როდესაც მთის მაღალ სოფლებში მოსახლეობა ვანაგრძობდა ბერნახულის მოყვანას და ჯერ არ იყო განმტკიცებული პურის ცენტრალიზებული მომარაგება. აღწევდა ზღვის დონიდან 2200 მეტრამდე). წარსულში კავკასიაში მუდმივი დასახლებული პუნქტები (თუ არ ვიგულისხმეთ მაღლივ მეტეოსადგურებს. და ძველ გაბდეგილთა საცხოვრებლებს. მაგალითად. პეთლემის ქვაბში და ბოუტსაბძლის ხეობაში) 2300 — 2500 მ აღწევდა ზღვის დონიდან. ამჟამად კი ეს ზღვარი დაფიქსირებულია 2100 — 2200 მეტრამდე. ვაზის გავრცელების ზღვარი პამირში 2200 მ-ია. სეხილისა (ვაშლისა) 2500 მ. საქართველოში კი ვაზის ზღვარი 800 — 900 მეტრით უფრო დაბალია. სეხილია გავრცელებისა — 1800 მ.

პამირი ამ სახელწოდების ფართო გაგებით სამ სახელმწიფოში შედის: მისი უმეტესი ნაწილი საბჭოთა კავშირშია. უფრო მცირე კი ჩინეთსა და ავღანეთში.

საბჭოთა პამირის ტერიტორია. განაწილებულია ორ მოკავშირე რესპუბლიკას — ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს შორის. პირველს ეკუთვნის პამირის ძირითადი, ჩინეთისა და ავღანეთის ტერიტორიებში თითქმის ქვაბულივით ჩამჯდარი ნაწილი. რომელიც ტაჯიკური რესპუბლიკის ავტონომიურ ოლქს — მთიან ბადახშანს უკავია. მეორე ნაწილი კი პირველის ჩრდილოეთითაა. ალაის სახელს ატარებს და ყირგიზეთის სამხრეთ-დასავლეთ ნახევარში შედის. შესაბამისად განსაზღვრულია პამირის ამ უმთავრესი ნაწილების მოსახლეობაც — პირველი ნაწილში ძირითადად ყირგიზები ცხოვრობენ. რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მომთაბარეულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ძირითად ნაწილში კი უმთავრესად ტაჯიკები — ძველი ბინადარი, მიწათმოქმედი ერი. ყირგიზული ენა თურქულის კილოკავს წარმოადგენს. ტაჯიკური — ფარსიდულისას (ირანულ ენათა ჯგუფი).

---

[1] ვგულისხმობ გამონაკლისებიც — მაგალითად. ყელის ზეგანზე. საიაც ჩვენ 1936 წელს დიდი ოკეანომილი ჩიტაკი ვნახეთ 3100 მ სიმაღლეზე — ვეულკან ნაოვნ-ოსის სამხრეთ ფერდობზე.

მთიანი ბადახშანის ცენტრი ქალაქი ხოროღი, რომელიც ოლქის ტერიტორიის დასავლურ კიდესთან მდებარეობს. მდინარე ფიანჯის (ამუ-დარიის ზემო დინების) მარჯვენა სანაპიროზე. ალაის ტერიტორია შედის ოშის ოლქში.

მთიანი ბადახშანის ოლქში მოქცეული პამირის რეგიონი მეცნიერებათა აკადემიის ქედით ორ ნაწილად იყოფა — დასავლეთ პამირი, რომელშიც შედის დარვაზის (იაზგულამი), ვანჯის, იაზგულამის, ქვემო მურღაბის, გორნის ხეობები და აღმოსავლეთ პამირად, რომელიც მოიცავს საკუთრივ პამირის ზეგანს ზემოხსენებული ქედის აღმოსავლეთით, ორიყოლის მთაგრეხილამდე (და შემდეგ ნიფლიში — ყირგიზეთის ტერიტორიაზე). აღმოსავლეთ პამირზეა სახელგანთქმული ყარაყულის ტბა, უდაბნო მოკანსუ და 1911 წელს მოის ბიმოზვაებით გაჩენილი სარეზის ტბა.

სახელწოდება „პამირი" როგორც ოქროპენ. უნდა ეარმოქმნილიყო ძველირანული გამოთქმიდან „პაი-მიპრ" („მზის ღმერთის — მიტრის საყრდენი, ანუ კვარცხლბეკი"). ოდ[illegible] ასეა. პამირის ზეგანი შორეულ წარსულშივე უნდა მოხვედრილიყო ირანული კულტურის მხედველობის არეში და ეს არცაა მოულოდნელი. ვინაიდან ტაჯიკების ძველი ცივილიზაცია ეპვს არ იწვევს. ტაჯიკებით დასახლებული სივრცე ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში მოხვდა ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი და განმანათლებელი ლაშქრობების არეში, რისი შეგნება ამჟამადაც მტკიცედ ბუდობს თითოეული ტაჯიკის გონებაში. ამიტომ იყო, რომ უწინდელ ეპოქებში, როდესაც გასაქანი ჰქონდა რასიზმს და შოვინიზმს, ეს ერი ამაყობდა თავისი

[illegible]

კავშირით ელინიზმთან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პამირის ხეობებისა და ძირითადი (შედარებით ადვილგადასალახავი) უღელტეხილების ათვისება ტაჯიკებმა მოახდინეს ელინების მიერ შემოტანილი და დანერგილი სამხედრო, სამეურნეო და კულტურული სიახლეების გამოყენებით. რაც შეეხება ყირგიზებს, მათი მომთაბარე ნომადები უფრო გვიან (შუა საუკუნეებში) გამოჩნდნენ პამირზე, — პირველ რიგში ალაის ველზე, ალაისა და ტრანსალაის ქედების კალთებზე. ცხლამი ტაჯიკებს შორის გავრცელდა VIII — IX საუკუნეებში; მათი უმრავლესობა სუნიტია; უფრო ნაკლებია შიიტები. პამირისპირა რაიონებში კი ისმალიტები ცხოვრობენ. თურქული მოდგმის ტომები VI საუკუნიდან ჩნდებიან ტაჯიკთა მიწაზე, რის შედეგადაც ისინი საბოლოოდ მაჰმადიანდებიან.

პირველი მოგზაური, რომელმაც გაიარა პამირზე (კერძოდ მის ჩრდილო პერიფერიაზე) და მის შესახებ ლიტერატურული კვალი დაგვიტოვა, ჩინეთის იმპერატორის ერთ-ერთი მცველი ჩჟან ციანი უნდა იყოს (ახ. წ. II საუკ.), რომელიც ამ მხარეს „ცუნლინს" უწოდებს (ნიშნავს „ხახვის მთებს").

პამირის პირველადი ხსენება ჩინელსავე მოგზაურს, ბუდიზმის მოღვაწეს სიუან-ცზაეს ეკუთვნის (ახ. წ. VII საუკ.), რომელმაც 629 წელს სინ-ცზიანის გავლით თარიმის ხეობით მიაღწია, ჯერ თანამედროვე ჩინეთის პამირს და შემდეგ გადასერა ახლანდელი ყირგიზეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის ტერიტორიები.

პირველი ევროპელი მოგზაური, რომელიც პირადად ეწვია „ქვეყნიერების ბანს", ვენეციელი მარკო პოლო იყო.

იგი წერდა:

„აქ აღწერილია ბადასიანის დიდი მდინარე.

ბადასიანიდან თორმეტი დღე აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოაღმოსავლეთისაკენ მიემგზავრები მდინარის გაყოლებით, რომელიც ეკუთვნის ბადასიანის მფლობელის ძმას. იქ ბევრია მცირე ქალაქი, სოფელი. ხალხი მამაცია, ევედრებიან მუჰამედს.

თორმეტი დღის სავალზეა მეორე მხარე, არცთუ ძლიერ დიდი, სიგრძე-სიგანეზე სამი დღის სავალია; ეწოდება მას ვახანი. ხალხი მუსლიმანი. მეტყველებენ თავიანთ ენაზე, ბრძოლებში გულადები არიან. მფლობელს ეწოდება ნონი, რაც ფრანგულად გრაფს ნიშნავს; ეპორჩილება ბადაქშანის შეფეს. აქ ბევრია გარეული მხეცები და ყოველგვარი ნადირი.

აქედან სამი დღე მიემგზავრები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ერთთავად მთებზე და ადიხარ, როგორც ამბობენ. მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადგილას, სადაც ორ მთას შორის იმყოფება ვაკე, რომელზეც მშვენიერი მდინარე გაედინება. აქ საუკეთესო საძოვრებია და ყველაზე მჭლე პირუტყვიც კი გასუქდება ათ დღეში. ბლომადაა გარეული ნადირი. ბევრია გარეული ცხვარი, მათი რქების სიგრძე ექვსი მტკაველია, შედარებით მომცროსი კი ოთხი ან სამი. რქებისაგან მწყემსები კათხებს აკეთებენ და საჭმელს იქიდან ჭამენ. ისინი ამ რქებითვე აშენებენ საქონლის შესარეკ ქარტებს.

თორმეტი დღე მიემგზავრები იმ ვაკეზე, რომლის სახელია პამირი[1]; აქ ვერსად შეხვდებით ვერც სამოსახლოს, ვერც ბალახს. საკვები თან უნდა ატარო. არც ფრინველებია დიდი სიმაღლისა და სიცივის გამო, ცეცხლიც ისე ნათელი და იმ ფერის არ არის, როგორც სხვა ადგილებში, რის გამოც ფრინველის ხარშვა გაძნელებულია".

ამის შემდეგ მარკო პოლოს აღწერილი აქვს ქვეყნები: ბოლორი (კაფირისტანი) და კასკარი (ყაშღარი ჩინეთის პროვინციაა სინ-ძიანში).

რამდენიმე შენიშვნა მარკო პოლოს მიერ პამირისათვის მოტანილი ცნობების განსამარტავად.

„ბადასიანი" შეესაბამება ბ ა დ ა ხ შ ა ნ ს — მხარეს, რომლის ტერიტორიაზე ტაჯიკეთის სსრ და ავღანეთია. სანამ პამირზე შეუდგებოდეს საუბარს, ვენეციელი მოგზაური დაწვრილებით აღწერს ბადახშანს. მისი თქმით, ბადახშანის მეფეების წინაპრები იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი და სპარსეთის მეფის, დარიოსის ასული. აღწერილი აქვს ძვირფასი თვლები — ბალაშები (რუსთაველის „ბადახში"), მათი მოპოვების ხერხები და კანონები. აგრეთვე ლაჟვარდისა და ვერცხლის საბადრები; ჯიშიანი ცხენები, რომელთაც დაჭედვა არ სჭირდებათ, შავარდნები და სხვ.

ბადახშანის „დიდი მდინარე" შეესაბამება ამუ-დარიის ზემო მონაკვეთს (ფიანჯს).

ვ ა ხ ა ნ ი შეესატყვისება ამჟამადაც ამ სახელწოდებით ცნობილ ხეობას[2] (ვახანდარიას აუზს) ავღანეთის პამირზე.

„ორ მთას შორის მდებარე ვაკე" მდინარითა და უხვი საძოვრე-

---

1 ეს სხვა ვაკეა, და არა „ორ მთას შორის მდებარე", ანუ ალაის ველი.

2 ამ სახელს ატარებს ჰინდოეთის ერთ-ერთი ხეობა და სოფელიც (ორჯონიკიძის რ-ნი, ჩხერიმელას სისტემა).

ბით. ი. პ. მაგიდოვიჩის განმარტებით, შეესაბამება ალაის ველს და მასზე გადმონარე ბდ. ყირბილსუს. ამ მართლაც „მსუქან“ საძოვარს, მასზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოკრულ ალაისა და ტრანსალაის ქედებს მკითხველი გაეცნობა წინამდებარე წიგნის თავში, რომელსაც ეწოდება „ალაის ველის იალაღზე“.

პამირზე ბოლო დრომდე დიდძალი რაოდენობით იყო „გარეული ცხვრები“, არხარები. აღმოსავლეთ პამირის ვაკეებზე ისინი ავტომობილებით ნადირობის ობიექტები გახდა 1932 წ. და შემდგომ საზაფხულო სეზონებში. ყირდენკოების ეზო ქ. ოშში, სადაც ერთ-ერთი ბაზა ჰქონდათ პამირზე ძიმავალ საექსპედიციო რაზმებს, სავსე იყო ავტომანქანებით ჩამოტანილი არხარის უზარმაზარი დახვეული რქებით. იმ წლებში არავინ იცოდა, რომ არხარის რქისაგან შეიძლება დამზადებულიყო უნიკალური ყანწი, რომელიც სხვა ცხოველების (ჯიხვის, ნიამორეს, ქიიკის, ხარის და სხვ.) რქებისაგან დამზადებული ყანწებისაგან განსხვავებით შეიძლება სასმელით გაავსოთ და დადგათ, — სითხე არ დაიღვრება. ეს აიხსნება მისი ორიგინალური გრეხილი ფორმით.

რაც შეეხება არხარის რქების გამოყენებას ქარტების ასაგებად, ეჭველი შესაძენწმებელია. არქეოლოგიიდან ცნობილია, რომ ცხოველთა დიდი ძვლებისაგან (მაგალითად, მამონტის თავის ქალებისა და ეშვებისაგან) ქვის ხანაში ღობეებს და საჭლებსაც აგებდნენ. აღმოსავლეთ პამირის მაღალი ვაკეების სრული უტყეობის პირობებში დასაშვებია, რომ შუა საუკუნეებში საქონლის შესარეკი ადგილები არხარის რქებით შემოეღობათ.

მარკო პოლოს ცნობა საკუთრივ პამირზე ფრინველთა არყოფნის და უბალახობის შესახებ, შეიძლება რამდენადმე გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ეს კია. რომ ზოგადად ვენეციელი მოგზაურის ცნობები საკმაოდ ზუსტად ასახავს პამირის ბუნებრივ თავისებურებას.

მარკო პოლოს მოგზაურობის შემდეგ გავიდა თითქმის ექვსი საუკუნე და ევროპელებს არაფერი შეუმატებიათ პამირის შესახებ მისი ნათქვამისათვის. იმ ევროპელ მოგზაურთა მარშრუტები, რომლებმაც XIII საუკუნეშივე გადაკვეთეს ცენტრალური აზიის დიდი ნაწილი (გილიომ რუბრუკვისისა, პლანო კარპინისა) გვერდს უვლიდნენ „ქვეყნიერების ბანს“. სამაგიეროდ, სპარსთა მეფის — შაჰრუხის ელჩებმა, რომლებიც ჩინეთში იყვნენ გაგზავნილნი, იქიდან მობრუნებისას 1421 წელს პამირი გადაიარეს. ამ პერიოდის (XIII — XVIII სს) ავტორებს შორის პამირს ყველაზე ვრცლად ეხება ტაშკენტელი სწავლული

მუჰამედ ჰაიდარ მირზა (XVI საუკ.). მის თხზულებაში, რომელსაც „თარიღი რაშიდი“ ეწოდება, მშვენივრადაა აღწერილი ისიკ-ყულის ტბა, ყაშღარეთი და პამირი.

ევროპელთა ინტერესი პამირისადმი XIX საუკ. პირველ ნახევარში განაახლეს ინგლისელებმა ბორნსმა და ვუდმა.

ბორნსმა 1832 წ. შეძლო ავღანეთიდან ჰინდუქუშის უღელტეხილების გადალახვით ბუხარასა და მერვში გადასვლა. მის მიერ ინგლისს მთავრობისადმი წარდგენილ ანგარიშში, რომელშიც გაშუქებულია ტოპოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიურ-პოლიტიკური პირობები, სხვათა შორის, ვპოულობთ მდინარე ამუ-დარიის ჰიდროლოგიური რეჟიმის, ბადახშანის კლიმატური თავისებურებების დახასიათებას, პამირზე გადამავალ გზების გამოსახულებას და თერანის სამხრეთული ტრამალების ბუნების აღწერილობას.

მეორე ინგლისელი მკვლევარი ჯონ ვუდი 1838 წელს ეწვია ამუ-დარიას წარმოსადენებს. ზორყულის ტბას პამირზე. ვუდის შრომაზე დაყრდნობით მეორე ინგლისელმა მკვლევარმა იულმა შეადგინა ამუ-დარიის აუზის ჰიდროგრაფიული აღწერილობა.

პამირის ბუნების შეცნობაში XIX საუკ. პირველ ნახევარსა და შუა წლებში დიდი გავლენა იქონია გერმანელი მეცნიერების — ჰუმბოლდტისა და რიტტერის შეხედულებებმა. ეს კონცეფციები უმთავრესად თეორიულ მოსაზრებებს ემყარებოდა და შეიცავდა ცდომილებებს, რომელთა გამოსწორება რუსებს ხვდა წილად.

ასე, მაგალითად, კარლ რიტტერის აზრით, მთელი შუა აზია წარმოადგენს განედურად წაგრძელებულ, მნიშვნელოვანი სიმაღლის მქონე ზეგანს; რიტტერი აზიის სივრცეს ორ ნაწილად ყოფს: ა) აღმოსავლეთი, რომელიც 8000 — 10000 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს, მოიცავს ტიბეტს, გობის უდაბნოსა და მონღოლეთს და ბ) დასავლეთი ირანის ზეგანის ჩათვლით (სიმაღლე 4000 ფუტი). ორივე ნაწილი ერთად შედის დედამიწის ქერქის „შუააზიურ ამობერილობაში“. აღნიშნულ ნაწილთა ურთიერთკავშირების ადგილში გაჩენილა მთაგრეხილების მძლავრი კვანძი, რომელიც მოქცეულია 88-ე და 90-ე მერიდიანებს შორის, — რიტტერს აქ ნაგულისხმები აქვს ჰინდუკუშის ქედის ის მონაკვეთი, რომელიც უკავშირდება პამირსა და ყარაყორუმს. ამგვარად, შუა აზიის განაპირა ქედებს შორის, ჩაზნექილობებში ჩაწოლილია აზიის დიდი დაბლობები — ჩინეთისა, ინდოჩინეთისა, შუამდინარეთისა, ციმბირისა და თურანისა (ბუხარისა). რიტტერი აზიის გეომორფოლოგიური მრავალგვაროვნებით განმარტავს ამ კონტინენტის

ბუნებრივ რესურსებს სიმდიდრეს. აქვს ხალხებს რთულ ისტორიას.

ალექსანდრე ჰუმბოლტი შესანიშნავ თანამედროვეა. ამ მეცნიერის ხელთ ნაწერებზე ეფუძნება ეროვნული ისტორია. ეროვნული ისტორიაში მხოლოდ ხალხებს ხედავს და სოციალურ-ეკონომიკურ სგდ ლ ბებს ხედავს და სოციალ-ეკონომიკურ

ალექსანდრე ჰუმბოლტი — ბერლინის ენციკლოპედია

ეფუძნება ეროვნულ კულტურულ ცენტრებს, მაგალითად, ბაბილონს. მუდმივად მკვეთრი ცდილობს ასახავ. გრმნელი გეოგრაფიის ამ კონცეფციას დადებს. ეტიკერულებ ჰქონდა ... სწავლებში ლეონარდო ჰუმბოლტი — კანსკელ არისტოტელეს ხდულებს. მისი შესანიშნავი ოგანეოგენეზის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული. უმბოლდტმა, ადამიანებმა, ციმბირშიც იმოგზაურა. კარლ რიტერს საწინააღმდეგოდ, ჰუმბოლდტს აზრი ღრმა ცოდნაზეა დაყრდნობილი. მისი თვალსაზრისი შუა აზიის ბუნებაზე ჩამოყალიბებულია მის ცნობილ მონოგრაფიაში „ცენტრალური აზია". რომელიც პირველად 1813 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ეოთი წლით გვიან გერმანიაში. ხოლო რუსულად 1915 წელს დაიბეჭდა.

თავისთავად ნათელია, რომ 140 წლის წინათ, როდესაც აზიის დიდი ნაწილი ტოპოგრაფიულად აუგებელი იყო, ვერც ალექსანდრე ჰუმბოლტს გეზია აიცდენდა საკმაოდ უხეშ უზუსტობებს. ცენტრალური აზიის დასავლურ საზღვრად გენიალური გერმანელი გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი კასპიის ზღვის აღმოსავლურ კიდეს თვლის, ხო-

ლო აღმოსავლურ საზღვრად დიდ ხინგ ნს. ჰუმბოლდტმა უარყო რიტტერის ჰიპოთეზ შუა აზიის ერთიანი ვრცელი ზეგნის არსებობის შეს ხებ და წამოაყენა ახალი შეხედულებ ცენტრალურ აზიაზე, როგორც ურთიერთპარალელური და პერპენდიკულარული ქედების სისტემაზე: ამ ქედებს შორის მოქცეული ვრცელი დაბლობები ზოგან უარყოფით ნიშნულებზეც, ე. ი. ზღვის დონეზე დაბლა იმყოფება. ერთ-ერთ მათგანს ჰუმბოლდტმა არალ-კასპიის დაბლობი, ანუ თურანის დაბლობი უწოდა. მთ გრეხილების გაბატონებულ განედურ მიმართულებ ს იგი თვლიდა (იმ დროს გაბ ტონებული პლუტონისტური ჰიპოთეზის თანახმად) ვულკანიზმის შედეგად.

ალექსანდრე ჰუმბოლდტი განასხვავ ბდა ორი მიმართულები' ქედებს — განედურს. ანუ ძირი ადს (მათი მაგალითებია ალტაი, ტიანშ ნი, კუნლუნ და ჰინდუკუში) დ მერიდიანულს (ურალი, კუზნეცკის ალათაუ. სულეიმანის მთები. რარსებული ბოლორი). კავკასიონს ჰუმბოლდტი ტიანშანის გაგრძელებად თვლიდა, რომელსაც ვულკანური წარმოშობა აქვს (პლუტონისტების თვალსაზრისით). ტიანშანის მთიანეთში გერმანელ ბუნებისმეტყველს მოქმედი ვულკანი ბაიშანი ეგულებოდ , რომელიც სხვა ვულკანებისაგან განსხვავებით, ზღვისპირა ზოლში კი არ მდებარეობს, არამედ უახლოესი ზღვებისაგან ათასეული კილომეტრებითაა დაშორებული.

რიტტერისა და ჰუმბოლდტის მცდარი დებულებები XIX საუკ. მეორე ნახევარში უარყოფილ იქნა რუსი მკვლევარების მიერ. მათ შორის პამირის შესწავლაში პირველნი ა. ფედჩენკო და ნ. სევერცოვი იყვნენ. სწორედ მათგან იწყებ შუა აზიის ამ მთიანეთის ინტენსიური კვლევის ეპოქა.

ა. ფედჩენკოს უდიდესი ექსპედიცია ფერღანის ქვაბულისა და ალაის ველის რეგიონებში ჩატარდა. ამ დროს იქნა აღმოჩენილი გრანდიოზული მთაგრეხილი. რომელსაც ტრანსალაის ქედი ეწოდა. ფედჩენკომ ხაზგ სმით დაახასიათა ალაის ქედი. როგორც მდინარეების — სირ-დარიისა და ამუ-დარიის წყალგამყოფი. იგი კატეგორიულად უარყოფდა პამირის ოროგრაფიულ აღნაგობაში მერიდიანულად მიმართული ქედების მონაწილეობას და აღიარებდა. ამ მხარეში მხოლოდ განედური მთაგრეხილების არსებობას.

ფედჩენკოს ამ ექსპედიციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდ: გლაციოლოგიურ გამოკვლევებს. რომლის საფუძველზედაც მეცნიერმა საყურადღებო შეხედულება წამოაყენა შუა აზიის თანადროული გამყინვარების რელიქტური ~~ბუნების შესახებ~~ მანვ. აღნიშნა

გამოკვლეულ მყინვართა დინამიკის ციკლური ხასიათი. ფედჩენკოსვე ეკუთვნის ასევე თურანის ფაუნისტური კომპლექსის კავშირზე ხმელთაშუაზღვიურ ფაუნასთან. ალაის ველის ფაუნას იგი შუა აზიის სუბტროპიკული ფაუნის მთის ვარიანტად თვლიდა.

ნ. სევერცოვის ექსპედიცია ფერღანასა და პამირზე 1877—78 წლებში განხორციელდა. სევერცოვი უარყოფს ბოლორის ტიპის მეერიდიანული ანტეებების არსებობას ცენტრალურ აზიაში, — ტიპისა, რომელიც მეცნიერებაში სტრაბონმა შემოიტანა და რომელიც შემდგომში გაიზიარა პტოლემეოსმა და უფრო გვიან ოროლდტმ. მაგრამ მან დასაშვებად თვლის ამ ტიპის ქედის აოსებობას დასავლეთი და აღმოსავლეთ პამიროების მიჯნაზე. ეს „იდეალური ღერძი", სევერცოვის წარმოდგენით, ალაოყოფს ადგილშინ მკვეთრად დანაწევრებულ ტერიტორიას აღმოსავლეთ პამირს არაკლასიკურ ეგზენებისაგან. შესაძლებელია, რომ სევერცოვს ეპვი ჰქონდა ამ ქედის არსებობის შესახებ, რომელსაც შეეტყობა მეცნიერებათა აკადემიის ქედი ეწოდა. მეოიდიანულ ქედებს მეცნიერი მეორეხარისხოვან ოროგრაფიულ ერთეულებად თვლიდა. ორმელთა როლი განედურად მიმართული ძირითადი ქედების ურთიერთშეკავშირებაში მდგომარეობდა.

სევერცოვი პამირში განარჩევდა შინაგანს და გარეგანს. შინაგანი პამირი მას გაგებული ჰქონდა, როგორც ხეგანსა და მრავალქედოვან მთიანეთს შორის გარდამავალი რელიეფის არე. პამირი, სევერცოვის შეხედულებით, აზიის მთელი კონტინენტის მთათა კვანძია. სადაც ოვს იყრიან შინაგანი და წინა აზიის უდიდესი მთაგრეხილები.

პამირის რელიეფის ფორმებს სევერცოვი ორ ძირითად ტიპად აჯგუფებს სირთებად და სერებად. პამირის აღმოსავლეთ ნაწილში სირთები სჭარბობს, დასავლეთში კი სერები. აღმოსავლეთი პამირის სირთები ტიანშანში ცნობილი სირთების ანალოგები კი არ არის, არამედ გარდამავალია სირთებსა და ზეგნებს შორის. პამირს არ გააჩნია ნამდვილი ზეგნები, სამაგიეროდ, როგორც რელიეფის სირთული ტიპი, მაღალ განვითარებას აღწევს.

პამირისა და ტიანშანის ოროგრაფიულ საზღვარს ნ. სევერცოვი ატარებდა ფერღანის ველზე, ასე რომ, ალაის ქედთა და ხეობათა სისტემა პამირ-ტიბეტის ვრცელ მთიანეთში ხვდებოდა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

სევერცოვის ვიწრო სპეციალობა ზოოგეოგრაფია, უფრო ზუსტად, ორნიტოლოგია (ფრინველთა ზოოლოგია) იყო. გარდა ამისა, მი-

სი ყურადღება მიიპყრო არხარებმ (მთის ცხოვრებმა). ი ოგად ბ ო-
ლოგიის პრობლემებთან და კერძოდ, დარვინის ევოლუციური თეო-
რიის დებულებების შემოწმების თვალსაზრისით. არხარების შესახებ
დაწერილი მისი მონოგრაფია აოცებს თ ნამედროვე სწავლულ მკი-

ლტეოის მყინვარის ...ები. მოჩანს (მარცხნიდან მარ-
ჯვნივ) პიკები: კალინინ , ...ი დონმი', ეოროშილოვი . ალარა ცე-
ტკინი . ,იზვესტიის" დ სხვ.

თხველს მასში გამოთქმული აზრების სიღრმე-სიახლით და დამაჯერე-
ბელი ანალიზით, რითაც დასტურდება დარვინის ევოლუციური მო-
ძღვრება.

სევერცოვის ნაშრომებმავე შეუქმნა საფუძველი შუა აზიისა და
მთელი პალეარქტიკის ბუნებრივ დარაიონებას. მისი ძირითადი თხზუ-
ლებები ამ დარგში არის „თურქესტანის ცხოველთა ვერტიკალური და
ჰორიზონტალური განაწილება" და „ჩვენი კონტინენტის ტროპიკებს-
გარე ზოოლოგიური (უმთავრესად ორნიტოლოგიური) ოლქების შე-
სახებ". ამ უკანასკნელ ნაწარმოებში მკაცრადაა გაკრიტიკებული ალ-
ფრედ უოლესის ინგლისური ზოოგეოგრაფიული სკოლის შეხედუ-
ლებანი.

33 წელი შესწირა შუა აზიის კვლევას და მის საკეთილდღეოდ

საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვ. ოშანინმა, რომელიც ა. ფედჩენკოს ერთ-ერთი ახლო მეგობარი და თანაშემწე იყო. 1876 წელს პამირ-ალაიზე ჩატარებულ სამხედრო ლაშქრობაში, ოშანინი სწავლული მკვლევარის მოვალეობათა შესასრულებლად იყო მიწვეული. ექსპედიციამ განვლო მთელი ალაის ველი; ოშანინმა აქ მნიშვნელოვანი დაკვირვებები ჩატარდა გეომორფოლოგიის, ჰიდროგრაფიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის დარგებში. ალაის ველს ოშანინი მაღალმთიურ სტეპად თვლიდა, სადაც მშრალი სტეპების ლანდშაფტებია გაბატონებული. ზოოლოგიური თვალსაზრისით, ალაი, უეჭვოდ, მთელი თურქესტანის მხარესთან ერთად ერთ ფაუნისტურ ოლქს შეადგენს (ალაის ქედი არ წარმოადგენს მკვეთრ ზღვარს ცხოველთა სახეობების გავრცელებისათვის).

1878 წ. ოშანინი ხელმძღვანელობდა ამუ-დარიის სათავეების და აუზის გამომკვლევ ექსპედიციას, რომლის დროსაც აღმოაჩინა და აღწერა პეტრე დიდის, დარვაზისა და ყარათეგინის ქედები. ოშანინმა მართებულად დაახასიათა ჩრდილო ბადახშანის (დასავლეთი პამირის) ოროგრაფიული თავისებურებანი — მკვეთრად დანაწევრება, მდინარეთა მიერ ღრმა კლდეკარებით მთების გარღვევა, ფერდობთა სიციცაბოე და სხვ.

ოშანინის დიდი დამსახურებაა მდინარე სურხობისა და მისი შენაკადების სათავეთა ჰიდროგრაფიის გარკვევა, და, რაც მთავარია, გრანდიოზულ მყინვართა რთული სისტემის აღმოჩენა. უდიდეს მათგანს ა. ფედჩენკოს სახელი ეწოდა; — იგი უდიდესია არა მარტო პამირის, არამედ მთელი მსოფლიოს ხეობურ მყინვარებს შორის. ამ ექსპედიციის შედეგებისათვის ოშანინი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მცირე ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული. მომდევნო წლებში (1879-დან 1902 წლამდე) ვასილ ოშანინმა არაერთგზის მოიარა თურანის მხარის სხვადასხვა რეგიონი და შეაგროვა ნახევრადხეშეშფრთიანი მწერების უმდიდრესი კოლექცია, რომლის მეცნიერული დამუშავების საფუძველზე დაწერა და 1891 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი „თურქესტანის ნახევრადხეშეშფრთიანი მწერების ფაუნის ზოოგეოგრაფიული დახასიათება“. ოშანინმა დაადასტურა ა. ფედჩენკოსა და ნ. სევერცოვის იდეა თურანისა და ხმელთაშუეთის ქვეყნების ფაუნათა ნათესაობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს დაადგინა თურანული ფაუნის კავშირი ცენტრალური აზიისა და ტიბეტის ცხოველთა სამყაროსთან.

ოშანინსვე ეკუთვნის ზოოგეოგრაფიული და ფიტოგეოგრაფი-

ული საზღვრების ურთიერთდამთხვევის უარყოფა; შუა აზიის ცხოველთა სამყაროზე მყინვარული პერიოდის გავლენის შედარებითი სისუსტის აღიარება; ცხოველთა მიგრაციების ნაკლები მნიშვნელობის აღნიშვნა ფაუნის ისტორიაში.

ცხოვრების დასასრული ოშანინმა პეტერბურგში გაატარა — მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური მუზეუმის მუშაკად. იგი იყო დარწმუნებული დარვინისტი.

XIX საუკ. 90-იან წლებში შუა აზიაში (კერძოდ დარვაზშიც) მუშაობდა ცნობილი ბოტანიკოსი ვ. ლიპსკი, რომელმაც ჰერბარიუმის შედგენის პარალელურად აღწერა უცნობი მყინვარები და თავისი მოგზაურობების შედეგების შესახებ დაწერა ორტომიანი თხზულება „მთის ბუხარა“ (1905).

ჰიდრომეტრიული კვლევა, რომელიც 1910 წლიდან გაიშალა შუა აზიაში, პამირზე 1914 წლიდან იქნა გავრცელებული (კვლევა-ძიებამ მოიცვა მდინარეები ვახში, კაფირინგანი, ფიანჯი, მურღაბი და სხვ.).

1908 — 1914 წლებში თურანის (მათ შორის პამირის) ნიადაგსაფარს იკვლევდა ვ. დოკუჩაევის მიმდევარი ს. ნეუსტრუევი. 1913 წელს გამოკვლევის არემ მიაღწია პამირ-ალაის. აღმოსავლეთ პამირის რაიონს ნეუსტრუევი, ნიადაგწარმომქმნელი პროცესების ხასიათისა და მცენარეულობის ბიოლოგიური იერის მიხედვით, ცივ მაღალმთიურ უდაბნოდ თვლიდა. პამირზევე, აგრეთვე ტიანშანზე ნეუსტრუევი შეისწავლიდა ნიადაგთა ვერტიკალურ ზონალობას, არკვევდა ამ მოვლენის რეგიონულ თავისებურებებს.

დიდი წვლილი შეიტანა პამირის (და ტიანშანის) მყინვართა შესწავლაში ნ. კორჟენევსკიმ, რომლის მიერ შედგენილი „შუა აზიის მყინვარების კატალოგი“ (1930 წ.) თავის დროზე მნიშვნელოვან სიახლედ მოევლინა მეცნიერებას. მისი მოღვაწეობა ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყო და გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში. სხვათა შორის, ნ. კორჟენევსკის ეკუთვნის გამოკვლევა ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული თხზულების შესახებ, რომელიც მ. ჯანაშვილის რუსულ თარგმანზეა დამყარებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან შუა აზიის კვლევა მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების გამოვლინებით. 1920 წლიდან ამ საქმეში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, ებმება ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილი შუა აზიის (ამჟამად

ტაშკენტის) უნივერსიტეტი, ხოლო 40-იან წლებში შუა აზიის ყველა რესპუბლიკაში არსდება ეროვნული მეცნიერებათა აკადემიები.

პამირის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მთამსვლელთა მუშაობას, რომელიც 1928 წელს დაიწყო, საბჭოურ-გერმანული გაერთიანებული ექსპედიციით. საბჭოთა კავშირის მხრიდან მასში მონაწილეობდნენ ნ. გორბუნოვი, ნ. კრილენკო, ო. შმიდტი, ნ. კორჟენევსკი, ტოპოგრაფი ი. დოროფეევი, ასტრონომი ი. ბელიაევი, გეოლოგი დ. შჩერბაკოვი, ექიმი როსელსი და სხვ. გერმანიიდან ექსპედიციის წევრები იყვნენ: პროფესორი ვილი რიკმერ-რიკმერსი[1], გეოდეზისტი ფინსტერვალდერი (ფოტოთეოდოლიტის გამომგონებლის ფინსტერვალდერის შვილი), ბირზაკი, გეოლოგი ნიოტი, ზოოლოგი რეინიგი, ენათმეცნიერი ლენცი, გერმანიის უძლიერესი ალპინისტები: ბორხერსი, შნაიდერი, ალვაინი და ვინი. საბჭოური ნაწილის მუშაობას აფინანსებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ხოლო გერმანულისას — „მეცნიერების ხელშემწყობი. გერმანული საზოგადოება" (Notgemeinschaft).

ექსპედიციის საბჭოური ნაწილი მიზნად ისახავდა პამირის უღელტეხილების გავლა-გამოკვლევას, ზოგიერთ 6000 მ და მეტი სიმაღლის მქონე (ე. ი. ჩვენს იალბუზზე მაღალ) მწვერვალებზე ასვლას და კიდევ უფრო მაღალი მწვერვალების მისადგომთა დაზვერვას.

გერმანული ნაწილის ამოცანები მდგომარეობდა იმ დროს ახალი ფოტოთეოდოლიტური მეთოდით პამირის აგეგმვასა და ლენინის პიკზე ასვლაში. აქტიურ როლს ასრულებდნენ ტოპოგრაფების მუშაობაში გერმანელი ალპინისტები.

ქალაქ ოშიდან, ექსპედიცია ძველ საქარავნო გზას მიჰყვებოდა, რომლის მიმართულებით ამჟამად პამირის დიდი ავტოსატრანსპორტო გზატკეცილია გაყვანილი. საბჭოთა საექსპედიციო რაზმმა ალაისა და ტრანსალაის ქედების გადალახვით 10 დღეში მიაღწია ყარაყულის ტბას. გზის მაჩვენებლად იმ უბანზე, რომელსაც მარკანსუს ველი ეწოდება, გამოიყენება დაღუპული აქლემ-ცხენ-ვირის ჩონჩხები და ახალი ლეშიდან აფრენილი სვავები.

ყარაყულის ტბიდან. რომელიც 3910 მ სიმაღლეზე არხევს თავის სარკეს, საბჭოთა რაზმი 15 აგვისტოსათვის ავიდა თანიმასის მყინვარ-

---

[1] ეს ის რიკმერ-რიკმერსია, რომელიც 1903 წელს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ალპინისტურ ექსპედიციას კავკასიონზე (მაშინ იქნა დაპყრობილი უშბის, შხარას, შხელდისა და სხვა ძნელი მწვერვალები).

თან, სადაც მათ ელოდნენ გერმანული ნაწილის წევრები — ეთნოგრაფები, გეოლოგები, გეოდეზისტები, მთამსვლელები. პირველი მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობდა გიგანტური, მერიდიანულად გაწოლილი მთაგრეხილის შესწავლაში, პამირის აღმოსავლურ ნაწილს დასავლეთისაგან რომ გამოჰყოფს. ამჟამად მას მეცნიერებათა აკადემიის ქედი ეწოდება, მაშინ კი ის უსახელო იყო და მისი ხეობების მაღალმთიურ, მყინვაროვან უბნებში თითქმის არ დაედგა ადამიანს ფეხი. გამონაკლისი იყო პეტერბურგელი ასტრონომის ი. ბელიაევის მიერ 1916 წელს გადალახული უღელტეხილი (ხინგოუ-ვანჩის ხეობათა წყალგამყოფზე). ეს უკანასკნელი მეცნიერს ტაჯიკებმა აპოვნინეს, რომლებიც უხსოვარი დროიდან სარგებლობდნენ დარვაზის ქედის ამ დაბალი უნაგირათი ნადირობის თუ შემოსეული მტრისაგან თავის დაღწევის, ან საერთოდ გადასახლების დროს. ამ უღელტეხილს ბელიაევმა (იმ სამეცნიერო ცენტრის უკვდავსაყოფად, რომლის მიერ თვითონ იყო მივლინებული), პულკოვოს უღელტეხილი[1] უწოდა. მერიდიანული ქედის აღმოსავლურ მხარეს და მის პარალელურად გაწოლილია მსოფლიოს № 1 ხეობური გლეტჩერი — ფედჩენკოს მყინვარი.

მერიდიანული ქედი ვრცელდება 120 — 140 კმ სიგრძეზე, მდ. მუქსუდან მდ. ბართანგამდე. ექსპედიციამ მიზნად დაისახა ამ ქედის ორგან (იქით-აქეთ) გადალახვა, რისთვისაც მოძებნილი უნდა ყოფილიყო ქედის თხემის შედარებით ადვილად გასავლელი ორი უღელტეხილი. ერთ-ერთ მარშრუტად დასახულ იქნა ერთი ჯგუფის გადასვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სადაც შემხვედრი მიმართულებით იმოძრავებდა მეორე ჯგუფი და ორივე ერთად კი უკან — აღმოსავლურ ფერდობზე გამოვიდოდა.

მანამდე ცნობილი იყო იმ მერიდიანულ ქედზე მდებარე ორი უღელტეხილი (ქაშალაიაქი და თანიმასი), რომლებიც რუკებზე აღნიშნული იყო წარწერით: „ყოფილი უღელტეხილები". მათ დასავლური მისადგომები მდინარეების — ვანჯისა და იაზგულემის სათავეებიდან აქვთ. ამ უღელტეხილების „განახლების" მიზნის გარდა, ექსპედიციის წინაშე სხვა ამოცანაც იდგა: მოგზაურებს უნდა გაეფანტათ ლეგენდა ამ უღელტეხილების ძირში ვითომცდა მცხოვრები ველური ტომის შესახებ.

---

1 ლენინგრადის ახლოს მდებარე პულკოვის ასტრონომიული ობსერვატორიის შიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მთელი ეს რაიონი — „ღარმოს კვანძი", ანუ პამირის თეთრი ლაქა მეცნიერულადაც და, უბრალოდ, ტოპოგრაფიულადაც შეუსწავლელი იყო. არც დასავლური ფერდობის ხეობები — ღარმო, ვანჯი, იაზგულემი არ იყო ჯერ კიდევ სათავეებამდე გავლილი.

გამოსაკვლევი სამუშაოები დაიწყო 17 აგვისტოს ფედჩენკოს მყინვარით, რომელიც მანამდე შედგენილ რუკებზე სულ 15-იოდე კილომეტრი სიგრძის ვიწრო ზოლად იყო დატანილი და გაგრძელდა 1 თვე. აქედან ექსპედიციის მონაწილეებმა თვალი მიაწვდინეს 7500-მდე მეტრი სიმაღლის მქონე მწვერვალს, რომელიც შემდგომში ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მთა გამოდგა (კომუნიზმის პიკი).

20 აგვისტოს ო. შმიდტი, ნ. კრილენკო და ი. დოროფეევი ავიდნენ 4800 მ სიმაღლის უღელტეხილზე, მეცნიერებათა აკადემიის თხემზე, სადაც დატოვეს კონსერვის კოლოფი ბარათით. უღელტეხილებს ეძებდნენ გერმანელი მთამსვლელებიც, — მათმა ერთმა ჯგუფმა აკადემიის ქედის წყალგამყოფზე ორი ღრმა უნაგირა ნახა, მაგრამ იქიდან დასავლეთისაკენ დაშვება შეუძლებელი გამოდგა, მეორე ჯგუფმა სხვა უღელტეხილი იპოვა და შეუდგა მის გადალახვას, მაგრამ როდესაც ხეობაში დაეშვნენ, მდინარეზე გადასვლისას ისინი სწრაფმა დინებამ წაიღო და სხეულები დაუჩეჩქვა ლოდებზე. ამხანაგებმა ისინი ძლივს იპოვეს და გადაარჩინეს.

შმიდტ-კრილენკო-დოროფეევის ჯგუფი ახლად აღმოჩენილი უღელტეხილიდან დაეშვნენ ჯერ 15 კმ სიგრძის მყინვარით. აქ ღამისთევისას. მათ ხეობის ძირში ცეცხლის შუქი შენიშნეს და მიხვდნენ, რომ უკვე მერიდიანული ქედის დასავლური ფერდობის ერთ-ერთ დასახლებულ ხეობამდე მიეღწიათ. ვარაუდით თავი იაზგულემში ეგონათ. მაგრამ ვანჯის ხეობაში აღმოჩნდნენ (სოფელ ფოი-მაზარის შემოგარენი). ეს ყველაფერი მათ ადგილობრივი ტაჯიკებისაგან შეიტყვეს, რომლებმაც ექსპედიციას ცხენები მიჰგვარეს სოფელში დასაშვებად. ამ დაშვების დროს დაძლეული გამოდგა ქაშალაიაქის უღელტეხილი — ერთ-ერთი იმ ორ ზეკართაგანი, რომლებსაც მაშინდელი რუკები გაუქმებულად თვლიდნენ. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამ უღელტეხილებით დიდიხანია აღარ სარგებლობდა და, თუ ძველად მათი ბილიკები ტაჯიკების მიერ ისევე გამოიყენებოდა, როგორც ზემოაღნიშნული პულკოვის უღელტეხილი, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და სამხედრო-თავდაცვითს ფაქტორებს უნდა ჰქონოდათ. რუსების პარალე-

ლურად გერმანელებიც გადავიდნენ ფედჩენკოს მყინვარიდან ვანჯის ხეობაში მეორე უნაგირათი, რის შესახებაც ნ. ვ. კრილენკო აღნიშნავდა (1935 წ.): „უცნობია ის, თუ ამ ორი უღელტეხილისაგან რომელია ნამდვილი ქაშალაიაქი; ფაქტიურად ორივეს ერთსა და იმავე ადგილში ჩავყავართ“.

შმიდტ-დოროფეევ-კრილენკოს ჯგუფმა გაიგო, რომ იაზგულემის ხეობაში გადასვლა შეიძლება იაზგულემ-ვანჯის გამყოფი მაღალი ქედის თხემზე არსებული უღელტეხილით, რომლის ბილიკის საწყის (ჩრდილოეთურ) პუნქტს წარმოადგენს ვანჯის ხეობის ზემო ნახევარშივე მდებარე სოფელი ლიანგარი. ამ უღელტეხილზე გადასვლა მხოლოდ ქვეითი მგზავრისთვისაა შესაძლებელი და 2 — 3 დღის სავალია.

უსიცოცხლო აღმოსავლეთი პამირისა და ფედჩენკოს მყინვარის ცივი სამყაროს შემდეგ, მოგზაურებს აკადემიის ქედის დასავლური ფერდობის ხეობები მშვენიერ ოაზისად, ამქვეყნიურ სამოთხედ მოეჩვენათ. ამ ხეობებში მცხოვრები ტაჯიკები ძველი კულტურის მქონე ბინადარი ერია. კრილენკო მათ „შუბლმაღალ, შავწვერა, სიღრმეში მსხდომი, აზრმოძარჯვებული თვალების მქონე“-ებად ახასიათებს. გარეგნული შესახედაობის კეთილშობილურობას შეესაბამება ტაჯიკების სიდარბაისლეც. როდესაც ისინი მადლსა სწირავენ ვისმეს, ხელი თავთან მიაქვთ. სამწუხაროდ, მთის ტაჯიკებს ბევრ უსიამოვნებას და ზიანს აყენებს ჩიყვიანობა, — სამი ვანჯელიდან ერთი ჩიყვიანია (ეს სენი ქალებსა და ბავშვებსაც არ ინდობს).

გადალახეს რა 4150 მ სიმაღლის საცალფეხო უღელტეხილი მისი ფირნის მინდვრებითა და მყინვარებით, შმიდტი, კრილენკო და დოროფეევი ჩავიდნენ იაზგულემის ხეობაში ბარნავათის ყიშლაღთან.

ნ. კრილენკო ერთმანეთს ადარებს ვანჯისა და იაზგულემის ხეობებს. ვანჯი ფართო ხეობაა, ტოტებად დაყოფილი წყალუხვი მდინარით, ვრცელი ჭირნახულის ნათესებით, ტყის კორომებითა და ბაღბოსტნით. იაზგულემი მთებით შეკიწროებული დერეფანია, რომელშიც თავქუდმოგლეჯით გარბის ბობოქარი მდინარე: აქ ტერასებზე ქერის პატარ-პატარა ყანებია, მუხუდოსა და ცერცვის შესაბრალისი ნათესები. თუ ვანჯის ხეობა გაჭედილია დიდი სოფლებით, იაზგულემში იმ დროს ღვთისაგან დავიწყებული მთის ღარიბი სამოსახლოები ჩანდა; აქაურ გლეხს უღელი ხარისა და ათიოდე ცხვრის გარდა არაფერი გააჩნდა, ხოლო იარაღად თვითნაკეთი, კენჭისმტყორცნი მშვილდი ჰქონდა; ასანთის მაგივრად აქ იხმარებოდა ტალკვესი, მარილის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ ბუნებრივი ქვამარილით.

მკვლევართა ჯგუფის მორიგი ამოცანა იაზგულემის ხეობიდან ისევ აღმოსავლეთ პამირზე გადასვლა იყო, მხოლოდ არა ქაშალაიაქით, არამედ უფრო სამხრეთით მდებარე თანიმასის უღელტეხილით. კრილენკოს თქმით, გზა მიჰყვებოდა „კავკასიური ტიპის მთის ხეობას" — ქარაფებით, მქუხარე მდინარით, აწვდილი თოვლიანი მწვერვალებით, ფერდობებზე დაკლაკნილი ბილიკით, ბალახოვანი ველობებით, გვალვისაგან გაყვითლებული ბალახეულით, მთავარი მდინარის მთებიდან გამომდინარე შენაკადებით.

3150 მეტრის სიმაღლეზე მიადგნენ ოღრო-ჩოღროზედაპირიან მყინვარს, რომელიც თავისი შუა ნაწილით თითქმის უძლეველ ყინვარდნილს ქმნიდა. საკმაო წვალების შემდეგ ჯგუფმა შეძლო ამ დაბრკოლებისათვის გვერდის შემოვლა და მერიდიანული ქედის თხემზე ასვლა, მაგრამ, იყო თუ არა აქაური უნაგირა უღელტეხილი, არავინ იცოდა, სანამ წითელარმიელმა სუხოდინოვმა არ შენიშნა ადამიანის ნაფეხურები თოვლზე. ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ ნატერფალების პატრონები უღელტეხილზე საწინააღმდეგო მხრიდან ამოსულიყვნენ, — რითაც დამტკიცდა უღელტეხილის აღმოჩენა. პამირის ღერძულ ქედზე გადასასვლელ ამ „ჭიშკარს" თანიმასის უღელტეხილი ეწოდა (უფრო სწორად, ძველი სახელი აღსდგა). მისი სიმაღლეა 5200 მ. იგი აერთებს იაზგულემის სათავეებს ფედჩენკოს მყინვარის საწყის ფირნის ველებთან.

ამრიგად, 1928 წლის ექსპედიციის საბჭოურმა ნაწილმა შეძლო თავიდან ბოლომდე გაევლო ფედჩენკოს „რეკორდული" მყინვარი, ორ ადგილას გადაელახა პამირის მერიდიანული (შემდგომში მეცნიერებათა აკადემიის სახელით მონათლული) ქედი და დაემყარებინა ტოპოგრაფიული კავშირი მის საწინააღმდეგო მხარეების ხეობებსა და მყინვარებს შორის.

რაც შეეხება ექსპედიციის გერმანულ ნაწილს, მათ რამდენიმე თვეში აგეგმეს ფოტოთეოდოლიტური წესით პამირის უმეტესი ნაწილი, რასაც დაეყრდნო გერმანიაში გამოცემული რუკა. გერმანული ალპინისტები ავიდნენ ლენინის პიკზე. აუგეგმავი დარჩა მხოლოდ „ღარმოს კვანძი" — დაახლოებით კვადრატული სივრცე, რომელსაც საზღვრავენ მეცნიერებათა აკადემიის ქედი, მდ. მუქსუს ხეობა, დარვაზის ქედი და ტბა იაშილყულის მერიდიანი.

1931, 1932 და 1933 წლების საზაფხულო სეზონები დაეთმო ზემოაღნიშნული თეთრი ლაქის ამოვსებას ტოპოგრაფიული შინაარსით, რაშიც მთავარი როლი ივანე გიორგის ძე დოროფეევის რაზმმა შეას-

რულა. ღარმოს კვანძი ამ სამი წლის მუშაობის შედეგად გაიხსნა; ღ. მოჩენილ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი წერტილი, 7000 მეტრზე მაღალი რამდენიმე მწვერვალი, მთელი რიგი უღელტეხილებისა ღ. მყინვარებისა; პამირის დასრულებულ რუკაზე გაჩნდა ახალი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც უმთავრესად რუსი და საბჭოთა მეცნიერების გვარებით იწოდებოდნენ (ვავილოვის, შოკალსკის, ლიპსკისა და სხვ.).

1931 წელს დაიწყო ღარმოს კვანძის კვლევა. ამ საქმიანობაში ალპინისტებთან ერთად თანამშრომლობდნენ გეოლოგები და გეოდეზისტები. ალპინისტურ ჯგუფში ნ. კრილენკოს ხელმძღვანელობით შედიოდნენ: ლევ ბარხაში, სტახ განეცკი, არიკ პოლიაკოვი, ტურიზმის აქტივისტები: ზიკეევი და კოლომენსკი. გეოლოგიურ ჯგუფს სათავეში ედგა პროფესორი (შემდგომში აკადემიკოსი) დიმიტრი შჩერბაკოვი, ხოლო წევრები იყვნენ ტატიანა ბოროვსკაია და სამთო ინჟინერი ალექსანდრე მოსკვინი. გეოდეზიურ ჯგუფს განაგებდა ივანე დოროფეევი. გარდა ამისა, მოგზაურობაში მონაწილეობდა ასტრონომი ჟონგოლოვიჩი—ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო აკადემიის მასწავლებელი.

1931 წლის ექსპედიციის ძირითად ამოცანას შეადგენდა აკადემიის ქედის დასავლურსა და ჩრდილო-დასავლურ მხარეზე მდებარე რაიონის გამოკვლევა. აქ გაედინება მდინარე ობ-ი-ხინგოუ ან, უბრალოდ, ხინგოუ, რომლის აუზი შემოზღუდულია აკადემიის, პეტრე დიდისა და დარვაზის მაღალი ქედებით. ხინგოუს ხეობის უმაღლესი (2700 მ ზღვის დონიდან) სოფელი ფაშიმღარი საყრდენ პუნქტს წარმოადგენს. საიდანაც მიდის გზები ამ ქედების მყინვარების (განდოს, ღარმოს და სხვათა) მიმართულებით.

ექსპედიცია ჩვეულებრივი გზით (ყურშაბის ხეობით, თალდიყის უღელტეხილით, ალაის ველით) მივიდა სოფელ დარაუთ-ყურღანში, იქიდან კი, დ. შჩერბაკოვის რჩევით, აირჩია გზა თერსაღარის უღელტეხილით მდ. მუქსუს ხეობაში და შემდეგ ფორთამბეკის მყინვარით პეტრე დიდის ქედის თხემისაკენ. ამ უკანასკნელზე ფორთამბეკის მყინვარი, როგორც ეგონათ მკვლევარებს, ხურჯინისებურად იყო ორ მხარეზე გადაკიდებული, ამიტომაც იმედი ჰქონდათ, რომ ასეთნაირად ისინი ადვილად მოხვდებოდნენ ღარმოს კვანძში.

თერსაღარის უღელტეხილი, რომლითაც ექსპედიცია სოფელ ალთინმაზარში გადავიდა, ბუნების საკვირველი ნამოქმედარია. ზღაპრულ დევს თუ გმირს თითქოს უზარმაზარი ხანჯლით შუაზე გაუპია

ტრანსალაის მთაგრეხილი და შეუქმნია ღრმა, დერეფნისებური გასასვლელი ალაის ველიდან მუქსუს ხეობაში. გეომორფოლოგია, მეცნიერებაა დედამიწის რელიეფის შესახებ და გვასწავლის, რომ მთაგრეხილებში არსებული ამგვარი ღრმა გასასვლელები ძალიან ხშირად წარმოიშობა მდინარეების ეროზიული მოქმედების შედეგად. თერსაღარის გასასვლელიც მდინარის ხეობისაგან უნდა წარმომდგარიყო. აი რა ძალუძს „რბილი" წყლის ენერგიას, თუ მის განკარგულებაშია ასეულათასობით და მილიონობით წლები.

25 აგვისტოს ექსპედიციამ გადალახა თერსაღარი და ალთინ-მაზარის თავზე დაიბანაკა. ჟონგლოვიჩმა, ვარსკვლავებზე დაკვირვებით, განსაზღვრა ახალი ასტროპუნქტი. ამ ადგილის პირისპირ, პეტრე დიდის ქედზე აზიდულია სამი ლამაზი მწვერვალი — მუსჯილღა, შილბე და სანდალი, რომელთაც „ალთინ-მაზარის ბუმბერაზებს" უწოდებენ. ბარხაში, პოლიაკოვი და პეტრე ქერდენკო წავიდნენ მუქსუს ხეობის დასაზვერად — დინების დაყოლებით. მათ უნდა გამოერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ამ გზით ფორთამბეკის მყინვარის ხეობის შესართავამდე მისვლა. დანარჩენი ალპინისტები ტოპოგრაფიულ ჯგუფს ეხმარებოდნენ თერსაღარის მიდამოების აგეგმვაში. „მოცლილები" აქ მხოლოდ გეოლოგები იყვნენ (ეს რაიონი 1929 წელს უკვე აიგეგმა გეოლოგიურად).

მუქსუს ხეობის მზვერავები მოულოდნელად უკან დაბრუნდნენ იმავე დღეს და არასასიამოვნო ამბავი მოიტანეს: გაიარეს რა მუქსუს მიყოლებით 30 კილომეტრი, ისინი მიადგნენ მის შენაკადს, რომელიც თავისი სიმცირის მიუხედავად, დაუძლეველი გამოდგა. მზვერავთა დასკვნა ასეთი იყო: მუქსუს მიდევნებით გზა არ არის და, მაშასადამე, ფოტოთეოდოლიტური სვლაც ამ მიმართულებით შეუძლებელია.

დაზვერვის შედეგებმა ჩაშალეს ექსპედიციის პერსპექტივები, მაგრამ კრილენკომ გადაწყვიტა, საბოლოო დაკვნის გამოტანამდე, კიდევ ერთხელ შეემოწმებინა მუქსუს ხეობისა და გვერდითი შემდინარეების ფონების გავლადობა. ალთინ-მაზარის მთელი მოსახლეობა კაციან-ქალიანად, ექსპედიციის თვალის სადევნებლად გამოეფინა, თითქმის გაუვალი ბუჩქნარი მორიგეობდა შიშველ ღორღიან მინდვრებთან. ბუჩქები მსხმოიარობდენ მუხუდოს ტოლი ნაყოფით, რომელსაც ყვითელი ფერი და ანანასის სუნ-გემო ჰქონდა.

ორი საათის შემდეგ ალპინისტური ჯგუფი მიადგა იმ ადგილს, საიდანაც ცხენებს უკვე ვეღარ ატარებდნენ და სადაც 1929 წელს

მუქსუს ფონში გასვლისას დაიღუპა პამირის ექსპედიციის წევრი ფ. როგოვი. მუქსუში გასვლა აქ შეუძლებელი იყო, თუმცა გაღმა არსებული გაგრძელება იმ ბილიკისა, რომელსაც მიჰყვებოდა ექსპედიციის მზვერავი ჯგუფი, მოწმობდა, რომ იქაც დადიოდა ხალხი. საქმე ისაა, რომ ექსპედიციები პამირზე ტარდება ზაფხულში, როდესაც ყინვარების გამალებული დნობაა და მდინარეებიც ადიდებულია. მუქსუ, რომელიც სათავეს იღებს მსოფლიოს უგრძესი ხეობური მყინვარიდან, სწორედ ამგვარი რეჟიმით განირჩევა, ამიტომაც მასზე ფონით გადასვლა მხოლოდ გრილ ან ცივ სეზონში შეიძლება. ასეთივე კანონზომიერება ახასიათებს, როგორც შემდგომში ვნახავთ, ხიზგოუს შემდინარე საღრანსაც (და, საერთოდ ყინვარული საზრდოობის მქონე მდინარეებს), — ეს მოვლენა კავკასიონზეც მკვეთრადაა გამოსახული.

ალპინისტები ბილიკთგასაყარს მიადგნენ, რომლის ახლოს ამართული კლდის უზარმაზარი „თითი", თითქოს, ეპატიჟებოდა მათ მისი თხემიდან დაეზვერათ მიდამოები. გადაიხედეს რა კლდის წვეროდან, კრილენკომ და მისმა თანამგზავრებმა დაინახეს, რომ მუქსუს ტოტები აქ ერთად შეკრებილიყო კანიონში. პატარა მდინარე, რომელმაც ... რეკლა პირველი მზვერავი ჯგუფის იერიში, სულ 8 — 10 მეტრი სიგანისა იყო, მაგრამ მასში ცხენებითაც არ შეიძლებოდა გასვლა.

ამგვარად, წინასწარი დაზვერვის დასკვნა დადასტურდა. რჩებოდა ერთი ვარიანტი: მყინვარებისათვის გვერდის შემოვლა პეტრე დიდის ქედის ერთ-ერთი ჩრდილო შტოქედის თხემით. მაგრამ მეორე დღის მუშაობამ საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტიც გააუქმა. ბილიკი, რომელსაც ჯგუფი გაჰყვა, ალპური მდელოების ზედა ნაწილში შეწყდა, — წინ კლდოვანი სერები აღმართულიყო. საჭირო იყო დაახლოებით 5000 მეტრის სიმაღლეზე ასვლა, რომ თოვლიანი სერიო გადასულიყვნენ ხეობის მოპირდაპირე მხარეზე, მაგრამ საშველი არც იქით ჩანდა. აქაც ქარაფები უშლიდნენ ხელს.

მიღწეული ადგილიდან მოჩანდა მუშკეტოვის მყინვარი და მისი შენაკადის სათავეში აღმართული უზარმაზარი თოვლიანი მწვერვალი, — ეს იყო ევგენია კორჟენევსკაიას სახელობის პიკი (დაახლ. 7000 მეტრი ზღვის დონიდან), რომელიც მოყვანილობით ტრაპეციისებურია.

საბოლოოდ, ფორთამბეკის მყინვარით პეტრე დიდის ქედის სამხრულ კალთებზე გადასვლის პროექტი ჩაიფუშა,—ჩაიფუშა მდინარეთა გადალახვის არახელსაყრელი პირობების გამო. ექსპედიცია ორი კვირით გვიან რომ ცდილიყო ფორთამბეკის მყინვარზე ასვლას, ყველაფე-

რი რიგზე იქნებოდა. ასევე შეუძლებელი, გამოდგა მუქსუს ფორში. გასვლით მუშკეტოვის მყინვარზე ასვლა.

ალპინისტები და ტოპოგრაფები ზედა ბილიკით ჩაჰყვნენ მუქსუს ხეობას და მივიდნენ სოფელ აჩიყალმაში, რომლის სანახებშიც წყდება ტრანსალაის ქედის დასავლური ბოლო. შემოუარეს რა დასავლეთიდან ტრანსალაის ქედს, 29 აგვისტოს მივიდნენ მუქსუს ხეობის სოფ. დევსიარში, სადაც დასახელებულ მდინარეზე ერთადერთი ხიდია.

მთამსვლელები და ტოპოგრაფები შემდგომ საცალფეხო უღელტეხილით (Пешний перевал) პეტრე დიდის ქედის მეორე (სამხრეთ) მხარეზე მდებარე სოფელ ფაშიმღარში უნდა მისულიყვნენ, საიდანაც იწყებოდა ღარმოს კვანძის მისასვლელი. უღელტეხილზე, 3400 მ სიმაღლეზე ტაჯიკების საზაფხულო ბინებია, სადაც მოულოდნელ სტუმრებს ჰაირანი მიაგებეს. ამ უღელტეხილით გავიდნენ მდ. საღრანის ხეობაში. აქაფებული მდინარე გაედინებოდა ვიწრო კლდეკარში, რომლის სიღრმე 40 მეტრამდე იყო, ხოლო მასზე გადებული ხიდის (ორი მორი ზედ დაფენილი ფიჩხით) სიგრძე მხოლოდ ერთი მეტრი.

ხიდზე გასული ჯგუფი გაჰყვა ბილიკს და წყალგაღმა, ტყით შემოსილ ფერდობზე მოხვდა. ბილიკი ჯერ მდინარის ნაპირს მიუყვებოდა, შემდეგ მაღლა-მაღლა იწევდა. ერთ ადგილას ადამიანებმა და ცხენებმა ხშირი ტევრი ძალით გაარღვიეს. მოულოდნელად გათავდა ტყე; გამოჩნდა მაღალი შამბით დაფარული ვაკე; ბილიკს ორივე მხრიდან ქერის ნათესები გაუყვებოდა; გამოჩნდა სამი-ოთხი, ქვებით ნაშენი სახლისაგან შემდგარი სამოსახლო. როგორც გამოირკვა, აქ მესაქონლეობის საზაფხულო ბინებია.

ყიშლაღს მოჰყვა არჩნალი (ღვიის ტყე), რომელსაც შეემოსა ხეობის გვერდი. გამოჩნდა საღრანის მყინვარი, მორენული ღორღითა და მიწით მთლად გაშავებული. ძირითად მყინვარს უერთდებიან შენაკადები (მათ შორის მყ. შინი-ბინი).

შინი-ბინის მყინვარი, რომელიც პეტრე დიდის ქედის შტოდან ჩამოდის, ციცაბოდ ადის ფირნის ვრცელ მინდვრამდე და საუღელტეხილო უნაგირამდე, მაგრამ საით გადადიოდა იქიდან გზა (რომელ აუზში), ეს კრილენკომ, დოროფეევმა და სხვებმა მაშინ არ იცოდნენ და მხოლოდ 1933 წ. გაიგეს.

მალე ცხენებით ასვლა გაძნელდა. მოგზაურები ჩამოქვეითდნენ და გადაწყვიტეს ცხენებისა და ნახევარი ტვირთის დატოვება. დასატოვებელი ტვირთი გულმოდგინეთ შეფუთეს, გროვად დაალაგეს და ზედ ბრეზენტი გადააფარეს.

მთელი დღის სიარულის შემდეგ ჯგუფი 3600 მ სიმაღლეზე მიადგა უნაგირას. ტაჯიკმა გამყოლებმა განაცხადეს, რომ უღელტეხილის მისადგომი (უკანასკნელი აღმართის დასაწყისი) მიღწეულია, მაგრამ მის გარდა ამ რაიონში არაებობს კიდევ ორი სხვა გადასასვლელი. კრილენკოს სიტყვით, ასეთ უნაგირებს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს უღელტეხილი, ვინაიდან ისინი არაფერს აკავშირებენ. იქაც, სადაც ავიდა ჯგუფი, ბილიკის ნატამალიც არ იყო და „უღელტეხილის" უშუალო მისადგომზე მყინვარი ყინვარდნილს ჰქმნიდა.

საუღელტეხილო აღმართთან მისასვლელად საჭირო იყო მყინვარის გარდიგარდმო გადაკვეთა. ეს კი დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ვინაიდან აქაც ყინვარდნილი იყო. მყინვარზე გადასვლამ საათნახევარი დრო წაართვა ჯგუფს. საქმეს ქვათაცვენა აძნელებდა. ძნელი იყო წინასწარი გამოცნობა, თუ საიდან და როდის წამოვიდოდა ეს „ყუმბარები". გაჩერებებს მხოლოდ დიდი ლოდების ძირში აკეთებდნენ, რაც ერთგვარი თავდაცვის საშუალება იყო. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც მსუბუქად დაიჭრა.

12 საათიანი შეუსვენებელი წვალების შემდეგ საღამოს 7 საათისათვის ჯგუფი ავიდა უღელტეხილზე, რომლის სიმაღლე 4480 მეტრი გამოდგა. ასე იქნა დაძლეული „საცალფეხო უღელტეხილი" (Пеший перевал) პეტრე დიდის ქედზე. უღელტეხილის გადაღმა, 350 მეტრით დაბლა, გაიმართა ბანაკი. აქედან მოჩანდა მყინვარი, რომელსაც ვ. რიკმერ-რიკმერსმა 1913 წელს ფინსტერვალდერის სახელი უწოდა (რუსმა მკვლევარებმა გადაარქვეს მას სახელი და სამხრეთ საღრანის მყინვარის სახელი მიაკუთვნეს). სწორედ ამ მყინვარის ბოლოდან იღებს სათავეს მდინარე საღრანი (ყირგიზი), რომელიც ღარმოსთან შეერთებით ქმნის ობი-ხინგოუს. ამ მდინარეთა შესაყარშია პატარა სოფელი ფაშიმღარი, საიდანაც 1916 წელს ასტრონომი ბელიაევი გავიდა ღარმოს მყინვარისაკენ.

ამ ადგილას (საცალფეხო უღელტეხილის ძირში) ექსპედიცია სამ ჯგუფად დაიყო: დოროფეევის ჯგუფი დარჩა ფოტოთეოდოლიტური აგეგმვისათვის; მეორე ჯგუფი გაიგზავნა უკან, იქ დატოვებული სურსათის მოსატანად, ხოლო მესამე დაუყვა ფინსტერვალდერის მყინვარს, განდოს მყინვარის ხეობის გამოსასვლელამდე.

კორჟენევსკისა და ბელიაევის მიერ შედგენილი რუკები იძლეოდა მხოლოდ განდოს მყინვარის ხეობის შესართავის მდებარეობის განსაზღვრას. თვით განდოზე კი მაშინ არავითარი წარმოდგენა არ არსე-

ბობდა გარდა იმისა, რომ ამ რაიონში უნდა ყოფილიყო მო რდილი მყინვარი. ამიტომაც კრილენკოს ოაზმმა მ ზნად დ ისახ განდოს ხეობაში შესვლა. მთამსვლელების კვალდაკვალ იმოძრავებდა დოროფეევის ტოპოგრ ფიული ჯგუფი. განდოს მყინვარის ბოლოსთან სამივე ჯგუფს ერთად უნდ მოეყარა თავი.

7 სექტემბერს კრილ ნკო და ბარხაში ნაშუადღევს გავიდნ ნ და-ზვერვაზე. დაღამებისას მიუახლოვდნენ განდოს ხეობას, დაინახეს მდინარე საღრ ნი და განდოს დინების ნაწყვეტი. განდოს ხეობა გაუვალი ჩანდა. ამიტომ მზვერავები მაღ ლი ტერ სისაკენ გაემართნენ. მათ განდოს მყინვარამდე შეღწევის იმედი უკვე აღარ ჰქონდათ, მაგრამ ტერასაზე ასულებს თვ ლწინ წარმოუდგათ ბრტყ ლი ღარტაფ , რომელიც შამ ითა დ არყნ ლ-არჩნ ლი ტყე-ბუჩქნ ო თ იყო დაფარული. იგი მყინვ რ განდოსაკენ მიემართებოდა.

მდინარე გ ნდო ბნელი ყინულოვანი მღვიმიდან გამოჰქუხდა; შღვიმის თ ღ მდინ რეზე გადა სვლელი ნებრ ვი ხიდის დანიშნულებას ასოულებდა. ჩრდილიან ტევრებში დ ლპურ მდელოებზე სვლით შეიილ ოდ 5 კილომეტრის უზოენველად გავლა, რის შემდეგაც საჭირო ხდებოდა მყინვარის მორენებზე დაშვება. მრიგად, განდოს მყინვარამდე მისასვლელი გზა უხიფათო დ ადვილი გამოდგა.

მყინვართან მისვლისთანავე დაიწყო სიძნელეები: მყინვართა შეერთების ადგილას ჩვეულებრივად ყინული აკოკოლავებულია, ეოთ-მანეთზე შემსხდარი, დანაპრალებული გორ კებით. ასეთი იყო განდოც. სამაგიეროდ, მყინვარს ორივე მხრიდან გაუყვებოდა ბრტყელი ტერასები, რომლებიც ქაოაფ ბით ყო მორენე ისაგან გამოყოფილი. 3500 მ სიმაღლეზე, სადაც განდოს მყ ნვარ ს ზედაპ რზე სუფთა ყინულის პირველი გაშიშვლება მოჩანდა, ალპინისტებმა ბანაკი დასცვს.

დილ თ გზა განაგრძეს. რაც უფრო შორს ძიდიოდნენ, მით უფრო ფართოვდებოდა სუფთა ყინულის ზოლი და ვიწროვდებოდა მორენები. ბოლოს მორენული მასალა თითქმის გაქრა. მთამსვლელებმა დაინახეს დიდი ორთავა მთა, რომლის მწვერვალებს უნაგირა აკავშირებდა. შემდგომში ამ მწვერვალებს საკოს და ვანცეტის პიკებ ეწოდა.

4150 მ სიმაღლეზე მეორედ ღამისთევის შემდეგ ჯგუფმა 4300 მ სიმაღლეზე მიაღწია ფირნის ველს. აქედან დაინახეს განდოსა და ღარმოს მყინვარებს შორის აღმართული ქედი 7 მწვერვალით, რომლებსაც ნ. კრილენკომ „Эльбрусята“ („იალბუზის შვილები“, ანუ „იალ-ბუზიკოები“) უწოდა. ამის საბაბი ის იყო, რომ ეს მწვერვალები გა-

რეგნულად და სიმაღლითაც მიემსგავსებოდა კავკასიის ძირითა ფალავანს.

[illegible]00 მეტრის სიმაღლიდან კრასნოსკოლსკი და მისმა თანამგზავრებმა [illegible] და [illegible] „ალბუზიკოვს“ შორის შენიშნეს ქედის თხე-

მღ. მუქსეს ხეობა [illegible] ფოტოზე [illegible]

მის ჩაზნექილობა. რომელიც ტიპობრივი უღელტეხილის წთაბეჭდილებას ტოვებდა. ლარმის მყინვარზე გადასასვლელის [illegible] ფოთლით წაქეზებული, გეგმართნენ ისინი ამ უწაგირისაკენ, 4900 მ სიმაღლეზე დატოვეს ზურგჩანთები და 22.15 წუთზე მიაღწიეს სანუკვარ წერტილს 5 125 მეტრის სიმაღლე ზღვის დონიდან.

მთამსვლელები სიხარულით აცვივდნენ „უღელტეხილზე“, მაგრამ აღტაცება ხანმოკლე გამოდგა: ხელ თავი ამოყვეს თოვლის უზარმაზარ ლავგარდანზე. რომელიც უძირო უფსკრულს გადასცქეროდა და ჩასანგრევად გამზადებულიყო. იქ ჩასვლა კი არა, ჩახედვაც თავბრუს სცემდა ადამიანს. ქარაფის ძირში დიდი თოვლიანი ციცაბი იყო, რომელშიც შეუძლებელი ჩანდა ჩასვლა. ერთადერთი დასკვნა, რის გაკე-

თებაც მოხერხდა, ის იყო, რომ ჯგუფი იმყოფებოდა განდოსა და ღარმოს მყინვართა ყინულგამყოფზე.

კრილენკო იმედოვნებდა, რომ აქედან დაინახავდა 7500 მეტრამდე სიმაღლის მქონე მწვერვალს, 1928 წელს რომ გაზომეს გერმანელებმა ფედჩენკოს მყინვარის მსრიდან. მაშინ ეს მწვერვალი ღარმოს პიკად მიაჩნდათ, რომელიც ხინგოუს ხეობის ტაჯიკებმა იცოდნენ. უკეთესი ხილვადობის პოვნის იმედით ჯგუფი ავიდა მეექვსე „იალბუზიკოზე" (5511 მეტრი), მაგრამ საჭირო სედი აქაც არ აღმოჩნდა. მთამსვლელებმა დაინახეს მხოლოდ ღარმოს მყინვარის ბოლო და შენაკადი მყინვარები. მაგრამ ის მწვერვალი" აქედანაც ვერ იპოვეს. — მას ფარავდა უფრო ახლოს მდებარე მთები.

იმავე დღეს უკან დაბრუნებისას მსკერავები შეხვდნენ ტოპოგრაფიულ ჯგუფს საკო-ვანცეტის პიკების ძირში. ჯგუფები შეთანხმდნენ, რომ შესვდებოდნენ ერთმანეთს 19 ან 20 სექტემბერს ღარმოს მყინვარზე. სოფელ ფაშიმღარში კრილენკო და ბარხაშინი ელოდ ლიყვნენ 13 სექტემბერს, ხოლო ი. დოროფეევი 17-ში.

ფაშიმღარში კრილენკო-ბარხაშის ჯგუფმა იქირავა ოთი ტაჯიკი გამეყოლი და სასაპალნე ცხენები. ისინი ადვილად გადავიდნენ მდინარე საღრანზე. რადგან უკვე შუა სექტემბერი იდგა და ყინული პეტრე დიდის ქედზე სუსტად დნებოდა. იქ, სადაც ღარმოს ხეობამ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაუხვია, გაიხსნა „ღარმოს კვანძის" ყინულოვანი მთების დიდი პანორამა. გამოჩნდა მწვერვალი, რომელსაც ხინგოუს ხეობის მცხოვრებნი ღარმოს უწოდებენ.

აქ დაშვებული შეცდომა ნ. კრილენკომ ვერც 1931 წელს და ვერც 1932-ში აიცილა თავიდან: ღარმოს პიკი მიღებულ იქნა იმ მწვერვალად რომელზედაც აწარმოეს დაკვირვება ფინსტერვალდერმა და ბირზაკმა 1928 წელს აღმოსავლეთის მხრიდან (ფედჩენკოს მყინვარიდან) და რომელსაც მათ მიერვე შედგენილ რუკაზე აწერია „ტუჰ-ი-სანთალაქ 7495". პამირზე ჩვენი მოგზაურობის ნარკვევში მკითხველი დაინახავს აღნიშნული შეცდომით გამოწვეულ გაუგებრობებს.

ნამდვილ ღარმოს მწვერვალს დასავლეთის მხრიდან უსიმეტრიო მოგრძო მასივის მოყვანილობა აქვს. რომელიც ჩრდილოეთისაკენ ციცაბოდ ეშვება. სამხრეთისაკენ კი თანდათანობით დაბლდება და შემდეგ უფრო მეტი დახრილობით უერთდება აკადემიის ქედის შედარებით დაბალ თხემს (დარვაზის ქედთან შეერთების ახლოს). კრილენკოს ვარაუდით, აქ იყო 6097 მეტრის სიმაღლის ის უღელტეხილი, რომე-

ღიც აღნიშნეს გეომ ნელებმა ვ რუკ ზე ფედ ნკოს მყ ნ ო ს შენაკად — „საბანაკო" მყინვაოის სა ავე ში.

ფაშ მღ რ დან გ სვლ მდე 4 ს ათით გვი ნ მ გზაურებმა ინა-ხეს ღარმ ს მყინვარის ოლო. მ რ მ გზ გ ნელდ დ ღ მის ასა-

დ გ ო თ რ ს დ ოო .
ღვის ონიდ ნ 29 3 00 მეტრის ს ღლ ე

1ა სექტ მბეოს ქსპედიცია უკვე ყინ ლ მო ' ო და. მ თი მიზან ი ·ო ᐟისულიყვნ ნ ი. ბ ლიაევის 1916 ლ ს ნ ან კარ ნ — ავოდ რ ს მოედ ნთან. ტაჯ მ გამ ყ ლ ა ო გ ლ იცო ნენ დ აოც მდინ ოეთა სახელები. ო მო ც ულკოვოს ასტრონომს თავის რუკაზე აღენიშნა. მაგრამ ვოდ ო ს მიგნება კრი-ლენკოს და მის თანამგზავრებს აუცილებლობად მ ა ნდ თ. ვინაიდან აქ იყო ერთადეოთი კ ოგი საბ ნაკო ადგილი მთელ ღარმოს მყინვარზე. სადაც ბელიაევმ ასტრონომიული პუნქტი გა ომა ა ლოდზე წარწე-რ· გააკეთა.

ნაშუადღევ ს 5 საათზე მთამსვლელებმა დაინახეს ჩანჩქერი მყინ-ვარის მარჯვენა მხარეზე და ვრცელი „რბილი ქვიშით დაფარული"

მოედანი. მოედნის ცენტრში ეყარა გამსკდარი ლოდის ნატეხები, ერთ-ერთ მათგანზე მოჩანდა წარწერა:

„Э. П. Р. Г. О. Астроном. пункт. 8. VIII. 1916“ (საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია, ასტრონომიული პუნქტი. 1916 წ. 8 ივლისი).

კრილენკოს ჯგუფმა ჰავოლარაზე ღამისთევის შემდეგ განაგრძო გზა და საღამოსათვის ღარმოს მყინვარის განტოტვის ადგილს მიაღწია. გზაში ვაუარეს ვანჯდარას მყინვარის ხეობის შესასვლელს, შოკალსკის მყინვარის ბოლოს. ეძებდნენ იმ ადგილს განდო-ღარმოს ყინულგამყოფს. საიდანაც მათ რამდენიმე დღის წინათ გადმოხედეს აქაურობას, მაგრამ ვერც ის ტერასა და ვერც „იალბუზიკოების“ ქედი ვერ დაინახეს.

4500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და 100 მეტრზე ღარმოს მყინვარის ზედაპირიდან აღმოაჩინეს მწვანე ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე. აქედან უწედგენ შეეცადნენ 6000 მეტრამდე სიმაღლის უსახელო მწვერვალზე ასვლას. 18 სექტემბერს შეუდგნენ ღარმოს მყინვარის ტოტის დასვლას. რომელსაც ღარმოს პირველი მკვლევარის პატივსაცემად ბელიაევის მყინვარი უწოდეს. მეორე (მარცხენა) ტოტს მიანიჭეს აკადემიკოს ვავილოვის (საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების მაშინდელი თავმჯდომარის) სახელი. რაც ლოგიკურად გამართლებული იყო, ვინაიდან ღარმოს სხვა შენაკადს ბელიაევმა 1916 წელს იმდროინდელი თავმჯდომარის ი. ვ. შოკალსკის სახელი უწოდა.

ჯგუფმა ბოლომდე გაიარა ახლადმონათლული ვავილოვის მყინვარი. მაგრამ ღარმოს საიდუმლო მაინც გამოუცნობი დარჩა. კრილენკოს უკანასკნელი იმედი „ღარმოს მწვერვალისაკენ“ სამარული მისადგომის პოვნისა შოკალსკის მყინვარმა დაამსხვრია. 20 — 21 სექტემბერს ისინი შეეცადნენ მის ბოლომდე გავლას და სათავეში უღელტეხილი იპოვეს. ერთადერთი დასკვნა, რის გაკეთებაც შეძლო მზვერავთა ჯგუფმა ის იყო, რომ შოკალსკის მყინვარით შეუძლებელია ღარმოს პიკთან მისვლა.

22 სექტემბერს კრილენკოს ჯგუფი ფაშიმღარში დაბრუნდა. შემდეგ სინგოუს დაყოლებით და გარდანი-ქავთარის უღელტეხილით 23-ისთვის მივიდა დარაუთ-ყურღანში, საიდანაც მიაღწია ფერღანას.

კრილენკო შემდეგნაირად აფასებს პამირის 1931 წლის ექსპედიციის შედეგებს:

1. ღარმოს რეგიონში აღმოსავლეთიდან (სოფელ ალთინ-მაზარი-

ლ.ნ) შესულა ძნელია როგორც ფედჩენკოს მყინვარის გავლით, ისევე მუქსუს ხეობიდანაც. მაში მთამსვლელები დაარწმუნა თავპირსამტვრევმა გზამ — პატარა, მაგრამ მრისხანე მდ. ყიზილსუმ. ერთადერთი გადასასვლელი პეტრე დიდის ქედზე, რომელსაც ადამიანი შეკყავს



�are დიდი ქედი ამბრეთიდან

ღარმოს კვანძში, ე. წ. „საცალფეხო უღელტეხილ ა", საიდანაც აღმოსავლეთის მყინვარზე გადავდივართ.

2. განდოს მყინვარის გავლით და მისი აუზის კვლევა-აგეგმვით ექსპედიციამ დიდი წარმატება მოიპოვა. აღმოჩენილ იქნა უცნობი ქედი განდო-ღარმოს მყინვარებს შორის, რომელსაც პტესის ქედი ეწოდა (Хребет ОПТЭ). დადგინდა განდოსა და ღარმოს მყინვართა ურთიერთგანლაგება და ასევე მათი ურთიერთდამაკავშირებელი უღელტეხილების არარსებობა.

3. ექსპედიციამ ვერ შეძლო დაედგინა შემდეგი: ა) განდოს მყინვარიდან უშუალოდ ფორთამბეკის მყინვარზე გადასასვლელი გზის არსებობა, ბ) აღნიშნული მყინვარული სისტემიდან ალთინ-მაზარის მწვერვალთა სამეულთან მისასვლელი და გ) ფედჩენკოს მყინვარზე გადასასვლელი.

ყველა ეს ამოცანა მთავარ პრობლემასთან ს ბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის მისადგომის მოძებნასთან ერთად. შემდგომი (1932. 1933) წლების ამოცანად დ რჩა.

1932 წლ ს ექსპედიცია პამირზე. რომელ ც მ წ გნის ავტორიც მონაწილეობდ . ქვემოთ გვექ ე ღწეოილი. სწორედ მ წლის მუშაობის შედეგად გაიხსნა „ღ რძოს კვანძი“. დ დგინდა და საკუთარი სახელით აღიჭურვა საბჭო კავშირის უ ღლეს მწვერვალი (სტალინის პიკი. რომელსაც შემდგომში კომუნიზმის პიკი ეწოდა). პერსონალურ დ ხმ რებ ე ს ´მ შ კ ნ გ ლოგ მოსკვინ, და ტ ოგრ ფ დოოოფ ვს.

1933 წლის ექსპედიცი ს ´ ნ შე ი გ ი ს ვოცის გამოკვლევა, რომელიც მდე არ ობს პეტო ი დის ქედ ა ზ უფოო მიუდგომელ ნაწილში მუქსუსა დ ღაომოს ხ ობე ს შორის. ერთ-ერთ კერ მოც ნ ს წ ომო დგენდ ფორ მ ს მ ნ ოის ავლა და მისი ს თავეე ი გეგმვა: მ ორე იყო სტ ლ ნ ს კსა და ლთინ-მ ოის ს მეულ მწვერვა თ შოო ს მოქც ულ რაი ნი და ა. შ.

1933 წლის ს ზაფხულო სეზონში, ამ მოცანე ის გ რდა, პამირის მკვლევარებ ს წინაშე იდგა ძნელი ალპინისტული პრობლემა — სტ ლი ის პ კ ე ასელა და მის მწვ ოვალზე მეტ ოოოლოგიური სადგუოის დადგმ . ამ მიზნის მიღწევ ნიკოლოზ გორბუნოვის ჯგუფმა იკისრ . რო) ლშიც შედიოდნენ ვგენი ლ კ ვ . ა. გეტიე. დ. გუშჩინი, ა. ცაგი და სხვები. მწვერვალს 1933 წლ ს 3 სექტემბერ ს მიაღწ ევგენი ა ლაკოვმა.

1933 წლ ს პ მირის კვლევ შ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინა წელს. მონაწილეობდნენ მთამსვლ ნ . პ მირ ს „ს ტ ქიანი“ მკვლევარე ს (კრილენკოს. ბარხაშის. ლ აკოვის. ნ ცკის, ვორობიოვ ს. ნედოკლ ოვის) გარდა. ექსპედიციაში შევიდნენ ახალი წევრებ ; (ო შორის საქართველოდან დავით წერეთელ .

1933 წ. პამირის ექსპედიციაზე მოგვითხრობს დ. წერეთლის წიგნი „მოგზაურობა პამირის მთებში“, რომელიც 1953 წელს დაბ ჭდა ქართულ ენაზე. ამიტომაც ამ ექსპედიციის მუშაობაზე ჩვენ არ შევჩერდებით. 1933 წელს შეივსო უკანასკნელი თეთრი ლაქები საბჭოთა პამირის რუკაზე.

ყაზბეგიდან ოშამდე

ავტობუსი ძაუგისაკენ მიმაქროლებს. მაშ ასე, ახლა ოცნებასმირის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიეემგზავრები „სამეუფოს ქალაქს მოსკოვს". წინ მელის რამდენიმე თვე (მშობლიური მხარიდან და ქალაქიდან მოშორებით) „ქვეყნიერების ბანზე". გული მიჩქროლავს ახალი შთაბეჭდილებების, ახალი განცდების, ახალი ნაცნობების, ახალი ხიფათების მოლოდინში.

ფეოჩენკის მყინვარი შუა და კიდური მორენებით. მარკხნივ მოჩანს ობსერვატორიის შენობა

რაკი ქალაქში არაფერი მესაქმებოდა, ძაუგის როკინიგზის სადგურს მივაშურე. დიდძალი ხალხი ირეოდა ირგვლივ. რუსი ახალგაზრდების ჯგუფი 3 სალაროს მისეოდა, სადაც მოსკოვის მიმართულებით იყიდებოდა ბილეთები. საერთო სულისკვეთებამ ყველანი ძველი ნაცნობებივით დაგვაახლოვა.

ბილეთების აღება ძნელი იყო. გადავწყვიტეთ ორგანიზებულად ვვემოქმედა. ყველამ ჩვენ-ჩვენი ბილეთის ფული ერთ ახალგაზრდას

ჩავბარეო, რომელიც სალაროსთან მივიდა და რიგში ჩადგა. მოლოდინს პოლო არ უჩანდა.

უეცრად ვიღაცამ დაიძახა:

— მოსკოვის მატარებელი დაიძრა!

რიგში მდგომი ჩვენი ამხანაგი ადგილს მოსწყდა, გაექანა და ცალრულ მატარებელს შეახტა. მან თან წაიღო შეგროვილი ფულიც. ამის შემხედვარე ფიქრით დავემშვიდობე ჩემი თანხის ნაწილს.

მაგრამ დარჩენილიც მყოფნიდა ბილეთის შესაძენად და მოსკოვამდე სამგზავროდ. ამიტომაც ძალიან არ მიდარდია. როგორც ენა, ეროშეუ ბილეთი და მოვეწყეთ ოთხადაში. ოთახმეზობლებს შორ მოჩნდა ინჟინერი ნიკოლოზ ევლოგიმეს ძე ფეოდოროვი, ფ ოავაზიანი ფ კულტურული კაცი. ოავაბით საუბარი. გამოიოცა, რომ ჩემი ახალი ნაცნობი ამერიკაში ყოფილიყო მივლინებული. ფეოდოროვ საავტომობილო ქარხანაში ემუშავა. ბევრს მიამბობდა ფორდის კონვეიერო სისტემის შესახებ.

მოსკოვში ჩასვლისას ფეოდოროვმა მითხრა:

— დღეს შაბათია და ტურბაზაში თქვენი მოწყობა ვერ მახერხებ ლება. წამობრძანდით ჩემთან, ჩემი სტუმარი იქნებით. გაგაცნ ო მეუღლეს და ქალიშვილს... ორი ღამე ჩვენთან იქნებით და შემ ვ მე თვითონ გაგიძღვებით ტურისტული ბაზისაკენ, ფოკინის შესახვევში.

ასეც მოვიქეცი. მასპინძლის ქერა ქალიშვილი არ შეიძლებოდა არ მოგწონებოდათ. ვგრძნობდი, რომ ინჟინერ ფეოდოროვს ჩავუვარდი როგორც სასიძო. მაგრამ მაშინ ჩემზეც ითქმოდა რუსთაველის სიტყვები: „სხვაგან ქრის მისი გონება, მისმა თავისა წონამან“. ამ დროს მთელი ჩემი არსება პამირით იყო დაკავებული. საერთოდ, დაოჯახებაზე ფიქრიც კ ნაადრევად შემაჩნდა. მით უმ ტეს, რომ ერთი წლით ადრე მამა დავკარგე და მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე მქონდა.

ორი დღის შემდეგ მასპინძელი ტურისტულ ბაზაში გამიძღვა. შესასვლელთან პირობა ჩამომართვა, რომ პამირის ექსპედიციიდან დაბრუნებისას ვინახულებდი და იქაურ შთაბეჭდილებებს გავუზიარებდი.

შევედი თუ არა ტურბაზაში, მორიგე მანდილოსანმა შემომგება:

— აა, თქვენ ხართ ის ქართველი, რომელსაც ეს ორი დღეა გამუდმებით ურეკავენ? ერთ ინჟინერს თქვენი ფული გამოპყოლია საიდანღაც და

სურს დაგიბრუნოთ. ასე რომ, უნდა მიაკითხოთ ქარხანაში. [illegible] შორის ახლა ჩვენს ბაზაში იქვეა თანამემამულეც იმყოფება...

მორიგემ თვალებით მიმანიშნა ოთახზე, სადაც იმყოფებოდა „ჩემი თანამემამულე" შევიხედე და შავგვრემანი ახალგაზრდა დავინახე. იგი ალბათ შეეძლებოდა ყოფილიყო ქართველიც, სომეხიც, ოსიც და სხვა ბუნის კავკასიელიც.

ქართველი ხართ? — ვეკითხები მას ქართულად.

ოცნობმა [illegible] გაანათა და რუსულად მოიგო:

— არა, ყარაჩაელი ვარ, ვეარიდ [illegible] საზგერიევი. არ [illegible] ქართველებს კარგი სახელი აქვთ [illegible] ...



მეტეოროლოგიური ობსერვატორია ფედჩენკოს [illegible]

ვაცხადებ. პოეტი ვარ. მაიაკოვსკის ვბაძავ. ჩემი ფსევდონიმია „გორსკი".

საიდუმლოს შენახვას დავპირდი. მადლიერი ხაზგერიევი დამიძმაკაცდა. ყარაჩაელი პოეტი ტურისტულ საზოგადოებაშიც მიმყვა. [illegible] ...ა ...ში გამგზავრებისას რიაზანის სადგურამდე გამაცილა.

პტესში დამხვდნენ ჩემი მომავალი პამირელი თანამგზავრები: კრილენკოს უცვლელი მოადგილე ლევ ბარხაში. ჩემსავით „ახალწვეული პამირელები" — ვლადიმერ ვორობიოვი და ვენელი ჩეხი ანტონ ცაგი.

საჭირო იყო ალპინისტური საჭურვლის მიღება პტესის საწყო-

ბებიდან. მთელ მსოფლიოში საუკეთესო ავსტრიული წერაყინი და წრიაპები ყაზბეგიდან მქონდა წამოღებული. გამოვიტანე სამთო ფეხსაცმელი, საშტორმე სამოსელი, საძილე ტომარა, საბარგო საპალნე ყუთი და სხვ. პტესში დაგვირიგეს კარაბინები (კავალერისტებისათვის განკუთვნილი დამოკლებული შაშხანები). ჩემი შაშხანის ნომერი იყო 532.

მოსკოვიდან შუა აზიაში გამგზავრების დღეც დადგა.

ყარაჩაელი პოეტი, როგორც პამირის ექსპედიციის მონაწილეს, დიდ პატივს მცემდა და არ დამანება ზურგჩანთა, თვითონ წამოიკიდა და სადგურზე გამომყვა. ვორობიოვთან შეთანხმებული ვიყავი, რომ მას სახლში გავუვლიდი და ერთად წავიდოდით სადგურზე. მისი ბინა მცირე კისლოვის შესახვევში იყო.

რომელიღაც შესახვევში შევედით და აბრებზე წავიკითხე წარწერები: „ჩინეთის სამხედრო მისია“ და „იაპონიის სამხედრო მისია“.

სანამ ჩვენ ამ წარწერების შინაარსს ვარკვევდით, სადარბაზოდან გამოვიდა მილიციელი, აგვხედ-დაგვხედა და მომმართა:

— ვინ ხართ და რა უფლება გაქვთ უცხოეთის სახელმწიფოთა მისიების წინ შეიარაღებული რომ დადიხართ? ვინ მოგცათ თქვენ ეგ საბრძოლო თოფი?

— პამირის ექსპედიციის მონაწილე ვარ და ყველა მონაწილეს დაგვირიგეს კარაბინები, — ვუპასუხე მე.

მილიციელის სახის გამომეტყველება სწრაფად შეიცვალა:

— მაშ ნიკოლოზ ეასილის ძეს მიჰყვებით პამირზე? — ყველაფერი გასაგებია. და უკვე სხვა კილოთი დაუმატა:

— ისე კი გთხოვთ, შეიარაღებული ნუ გამოჩნდებით ამ ადგილებში.

რიაზანის ვაგზლის ბაქანზე თავი მოვიყარეთ ტაჯიკეთის კომპლექსური ექსპედიციის დარვაზის რაზმის ალპინისტური ჯგუფის წევრებმა — ბარხაშმა, ვორობიოვმა, ცაგმა და თქვენმა მონამორჩილმა. გასაცილებლად მოვიდა ნიკოლოზ კრილენკო, — იგი ჩვენთან ერთად ვერ მოდიოდა, ვინაიდან სტალინისაგან სასწრაფო დავალება ჰქონდა მიცემული. მოხსენება უნდა წაეკითხა საკოლმეურნეო პოლიტიკაზე.

ალპინისტური ჯგუფის წევრებს შორის ყველაზე უმცროსი ღა მსუბუქი წონისა მე გახლდით. კრილენკო ხუმრობით იძახდა:

— აი, ჩემი ქართველი. შეხედეთ, რა მჭლეა.

გამოაცხადეს მატარებლის გასვლა. ხელს ვართმევთ იუსტიციის სახალხო კომისარს. იგი გვეუბნება:

— მაშ, ფაშიმღარში შეხვედრამდე.

მოვეწყვეთ საერთაშორისო რონოდაში: ბარხაში და ეორობიოვი ერთად, ცაგი და მე ერთად. 5 დღე-ღამე ტაშკენტამდე ამ „ოთახებში“ უნდა გვეცხოვრა. ჩვენ მივდიოდით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და სიცხე გამუდმებით მატულობდა. მდინარე ურალზე გადასვლისას წავიკითხეთ წარწერები „ევროპა“ და „აზია“. ჩვენი ორთქლმავალი (უკვე აზიაში) რკინიგზის ლიანდაგზე მდგომ აქლემს დაეჯახა. ამან გამოიწვია თითქმის 2-საათიანი შეჩერება ტრიალ მინდორზე, — ადგენდნენ აქტს აქლემის დაღუპვის შესახებ.

არალის ზღვის მიდამოებში პირველად ვიხილე უდაბნოს მირაჟები. შორს, ჰორიზონტის ზევით მოჩანდა ოაზისის ზმანება — მდინარის თუ ტბის გასწვრივ გამწკრივებული მაღალი ტანწერწეტი ხეები, რომლებიც თითქოს ჰაერში ირხეოდნენ. ამსანაგები განმიმარტავენ, რომ სინამდვილეში ოაზისი სხვაგან არის, — ის კი, რასაც ვხედავთ, მისი ანარეკლიაო.

...დილა იყო, ტაშკენტში რომ ჩავედით. უზბეკეთის დედაქალაქი აღმოსავლური ეგზოტიკის კარიბჭედ მომეჩვენა. მისი ქუჩები სავსე იყო უზბეკებით, ყირგიზებით, თურქმენებით, ტაჯიკებით, ყაზახებით, სომხებით და ვინ იცის კიდევ რამდენი ერისა და ტომის წარმომადგენლებით, რომელთა სიმრავლეს ყველაზე უკეთ მათი თავსამკაულების მრავალგვაროვნება წარმოაჩენდა.

ტაშკენტიდან აღგილობრივი მატარებლით ვიმგზავრეთ ანდიჟანამდე. რონოდები სავსე იყო უბილეთო მგზავრებით. საცვლებში გამოწყობილი უზბეკებით გადათეთრებული იყო რონოდების ბანი.

ანდიჟანში დილით ჩავედით. ქალაქ ოშიდან, სადაც ბაზა ჰქონდა ტაჯიკეთის კომპლექსურ ექსპედიციას, უნდა დაგვხვედროდნენ მანქანები, მაგრამ ჩასვლისას გამოირკვა, რომ ისინი დაიგვიანებდნენ. ამიტომაც, ბარხაშის წინადადებით, ყველა ჩაიხანაში შევედით.

ჩაიხანა წარმოადგენდა გადახურულ ფიცარნაგს, რომლის ქვეშ მღვრიე წყლით სავსე არხი გადიოდა. იქვე ბაზარი იყო, გორაკებად დახროვილი ნესვებით, ატმით, ყურძნითა და სხვა ხილეულ-ბოსტნეულით. ჩაის სვამენ მოხატული ფაიფურის ფიალებით. იყო თამბაქოს მოსაწევი „ჩილიმებიც“ ანუ ყალიონები.

მოვიკეცეთ ფეხები და დავსხედით ფიცარნაგზე მოფენილ ხალიჩაზე. შევუდექით პაპანება სიცხეში ჩაის სმას — გაგრილების საუკეთესო საშუალებას. „ჩილიმჩები“ ე. ი. მეყალიონეები დაეინებით გვთავაზობდნენ თამბაქოს მოწევას ჩილიმით. აღმოსავლური ეგზოტი-

კით მოხიბლულმა საველე ჩანთა გაეხსნა, სუფთა საგასტრ ბარათი ამოიღო და ჩვენს თავმჯდომარეს — არჩილ დარახველიძეს წერილი მივწერე.

5 თვის შემდეგ თბილისში დაპრუნებულს მითხრეს, რომ იმ ღია ბარათის პტესში დიდი მხიარულება გამოუწვევია თავისი უშუალობით. საღამო ხანს დაბრუნდნენ ოშიდან ჩვენი მანქანები. იქ რომ ჩავედით, უკვე ბნელოდა (უფრო სწორად „ავედით", რადგან ეს ქალაქი ზღვის დონიდან ერთი კილომეტრის სიმაღლეზეა).

ეკვარის შუქზე ქალაქთან კლდოვანი მწვერვალები შეენიშნე. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა არის ეს, ბარხაშმა მიპასუხა:

— ტასტა-ი-სულეიმანი.

ოშში ჩვენ ცდა მოგვიხდებოდა, სანამ შეიკრიბებოდნენ ნაწილის რაზმის დანარჩენი წევრები (მათ შორის ლენინგრადელები).

ტაჯიკეთის კომპლექსური ექსპედიციის ოშის ბაზა (მეორე ბაზა ფუშაბეში, ანუ მაშინდელ სტალინაბადში იყო) ძველი ადგილობრივი მცხოვრებლების, უკრაინელ ყერღენკოების კარმიდამოში მდებარეობდა. ოჯახის უფროსი გარდაცვლილი იყო. ექსპედიციელებს ღებულობდნენ და ისტუმრებდნენ მისი ქვრივი მარია დიმიტრის ასული ყერღენკო.

ყერღენკოების ეზო კარგად მოწყობილი იყო ხალხმრავალი ექსპედიციების სტარტებისა და ფინიშებისათვის. — აქ გამართული იყო საჭურვლის, სხვადასხვა მასალის, სეროსათის საწყობები, ცხენ-აქლემის მისაბმელი ხარაგები, ხალხის საძინებელი კარვები და სხვ. მარია დიმიტრის ასულის ჰაბრიდული რუსულ-შუააზიური სამზარეულო ქებას იმსახურებდა.

ექსპედიციის წევრები თანდათან იკრიბებოდნენ ბაზაში. ბამირზე გამგზავრების მოლოდინში ყოველდღე (ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე) ვბანაობდით მდინარე აქბურაში, რომელსაც ალაის ქედიდან გრილი წყალი ჩამოაქვს.

ერთხელ ტასტა-ი-სულეიმანს ვესტუმრეთ. ეს არის კლდოვანი სერი საკმაოდ ციცაბო მწვერვალებით. მისი სახელწოდება სოლომონის ტახტს ნიშნავს და, ადგილობრივი გადმოცემის თანახმად შემდეგნაირად წარმოიშვა.

ოდესღაც შუა აზიის ადგილზე ერთი მთლიანი ბრტყელი ვაკე იყო. სოლომონ ბრძენმა განიზრახა მისი მოხვნა და ხარები გუთანში შეაბა. სახნისის კვალი მთიან ხეობებად იქცა, გაღაწვენილი ბელტები — მთაგრეხილებად. როდესაც სოლომონი დაიღალა, მან შესძახა

[illegible] „ოქ[illegible] (გ[illegible]) [illegible] [illegible] [illegible] ბ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქალაქისა და სერის საკუთარი სახელები.

ტ[illegible]ა-ი-სულეიმანი აზიელ მუსლიმანთა წმიდა წმიდა ადგილია სალოცავია. აქ მოდიან მლოცველები შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ავ-

მდ. ბ[illegible]ბ-ქიეის სერბა [illegible] [illegible]ენკოს მყინვარის [illegible] ხელი ბოლ

ღანეთიდან, პაკისტანიდან, [illegible]. პილიგრიმი უნდა გაეავიდეს 4 — 5 კილომეტრ მაღალ მაღალ, რომლებისგანაც შედგება „სოლომონის ტახტი" და შეადგენს სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებანი. ეს ყველაფერი ადგილობრივი [illegible] ბელმძღვანელობით და მათი მეთვალყურეობით ხდება. როდესაც ჩვენი სერი გადაეიარეთ და ქალაქში ჩამოვდიოდით, ყაშღარელთა დიდი ჯგუფი შეგვეგებოდა. რომელსაც ოშელი მოლა რაღაც გულისამაჩუყებელ ამბავს მოეთხრობდა მუსაფიდან, — მსმენელთ ცრემლები უბრწყინავდათ თვალებში.

ოშში მასპინძლობა ქარავანთმფლობელმა იბრაჰიმ-ახუნმა გაგვიწია. ჩვენი ექსპედიცია მისგან ქირაობდა აქლემებსა და საპალნე ცხენებს. იბრაჰიმ-ახუნმა შინაც მიგვიპატიჟა. ოშის ძველ უბანში.

მასპინძელმა გამოგვიზავნა ეტლები. დილაადრე ვიარეთ დუვალე-

ბით (თიხნარი ღობეებით) მოზღუდულ ქუჩებში და მივადექით იბრაჰიმ-ახუნის სახლს, რომელიც გარეგნულად თითქმის არ განირჩეოდა სხვა სახლებისაგან. განსხვავება გამოვლინდა შიგ შესვლისას — ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ სახლში ბაის ან მდიდარ ვაჭარს უნდა ეცხოვრა.

იბრაჰიმ-ახუნი ეროვნებით უიღური იყო, ე. ი. ჩინელი უზბეკი. კერძების თანამიმდევრობა მის სუფრაზე ჩვენში მიღებული წესის საპირისპირო იყო: ჯერ მოიტანეს ხილეული — ნესვი, საზამთრო, ყურძენი. მას მოჰყვა ხორციანი ფლავი და ბოლოს შურპა-სუპი.

კერძის გამოცვლასთან ერთად იცვლებოდა სუფრის გაშლის ადგილიც. თავდაპირველად ოთახში ვისხედით, — სადაც მივირთვით ხილი და დავით სარაჯიშვილის კონიაკი. ფლავის შესაჭმელად სახლის ბანზე ავედით, ხოლო შურფა უკვე ეზოში მოგვიტანეს ხალიჩაზე მსხდომთ.

ცხენები ყარაყოლიდან (ახლანდელი პრჟევალსკიდან) მოგვირეკეს. ჯიშიან მერნებს მათ ვერ დაუძახებდი, — პატარები და ბანჯგვლიანები იყვნენ. გამონაკლისი მხოლოდ ერთი თეთრი ფაშატი იყო — მაღალი და კობტა, რომელიც ბარხაშს მიართვეს.

ცხენების არჩევაში ჩვენი უზბეკი მუშები გვეხმარებოდნენ, სადირბაიმ საიდუმლოდ მირჩია, ამეყვანა მომცრო ტანის, ზურგგადაყვლეფილი იაბო, მომერჩინა მისი იარა და ამის შემდეგ, მისი თქმით ჩემს მხედრულ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მე ვენდე სადირბაის რჩევას. შემდგომში ვნახავთ, თუ რამდენად გაამართლა ამ არჩევანმა მასზე დამყარებული იმედები.

გავიცნოთ დარვაზის რაზმის ზოგიერთი მონაწილე.

გეოლოგი დიმიტრი ივანეს ძე შჩერბაკოვი, მაშინ 42 წლის პროფესორი (შემდგომში აკადემიკოსი); მას ფერსმანის[1] მარჯვენას უწოდებდნენ. უაღრესად სათნო ადამიანი და ფართო ჰორიზონტის მქონე მეცნიერი. 1928 — 34 წლების პამირის ექსპედიციების შეუცვლელი მონაწილე. მაგონდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც იგი წონასწორობიდან გამოვიდა — ეს მაშინ მოხდა, როდესაც ტოპოგრაფიული ჯგუფის წევრმა გეოლოგიური ჯგუფის ბიდონიდან კარაქი ამოიღო და პირველი ჯგუფის ბიდონში მოათავსა. დიმიტრი შჩერბაკოვი გარდა იმისა, რომ პამირზე მოგზაურობის დროს მთელ რიგ ექსკურსიებში ჩემი ერთადერთი თანამგზავრი და ხელმძღვანელი იყო, შემდგომ

---

[1] ალექსანდრე ევგენის ძე ფერსმანი — ცნობილი საბჭოთა გეოქიმიკოსი და მინერალოგი (1883 — 1945 წ.წ.).

წლებშიც არაერთხელ გამოჩენილა ჩემი ცხოვრების ჰორიზონტზე და ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეუსრულებია.

გეოგრაფი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარკოვი, მაშინ 27 წლის დამწყები მეცნიერი, შემდგომში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და აკადემიკოსი, მეოთხეული პერიოდის გეოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის წამყვანი საბჭოთა მეცნიერი, ავტორი კაპიტალური ნაშრომებისა „მეოთხეული პერიოდი" (სამ თანააავტორთან ერთად); „გეომორფოლოგიის პრობლემები", „მეოთხეული გეოლოგია" (ი. გერასიმოვთან ერთად) და ა. შ. პამირის ექსპედიციის დროს ერთად მოვხვედით „ღარმოს კვანძში". ჩვენი ნაცნობობა და მეგობრობა აღსდგა და განმტკიცდა 1947 წელს და გრძელდებოდა მარკოვის გარდაცვალებამდე.

გეოლოგებიდან ჩვენს რაზმში იყვნენ აგრეთვე ტ. ბ. ბოროვსკაია, ი. არაპოვი, გეოქიმიკოსი ტაგეევა, პეტრე ტრაუბე; მთამსველებიდან ვ. ნედოკლადოვი, ბ. ფრიდი, ტოპოგრაფი ი. ვალტერი. გეოლოგ მოსკოვნის მეუღლე ნინა, სოლდატოვი, სამეურნეო მუშაკი ვ. რუბინსკი და სხვ., — სულ 22 მონაწილე.

ექსპედიციას ახლდნენ უზბეკები: მზარეული მამაჯან რუზიევი, მუშები სადირბაი, აბობაქარი, ჯურაბაი.

იმ პირებიდან. რომლებიც შემდეგ (უკვე პამირის სიღრმეში) ჩაებნენ ჩვენი რაზმის მუშაობაში, უნდა დავასახელოთ ივანე დოროფეევი (ტოპოგრაფი), სტახ განეცკი, არიკ პოლიაკოვი, ტაჯიკი გამყოლები — ნაბი, ნაბოტი და ლოიქი. აღსანიშნავია აგრეთვე ექიმი ალექსანდრე პისლეგინი, მესაზღვრე ლეონიდ პოკროვსკი.

მაშ ასე, პამირის ექსპედიციის დარვაზის რაზმი მზადაა.

ალაის ქედის ხეობებში

ოშიდან გასულნი გავყევით ძველ საქარავნო გზას, რომელიც დასაწყისში მდინარე თალდიყს აუყვება.

ჩვენი მოძრაობა პამირის დიდ საქარავნო გზაზე, რომელიც შუა აზიიდან ჩინეთისა და ავღანეთის საზღვრებისაკენ მიდის, ექვემდებარება ტრადიციულ, შორეული საუკუნეებიდან მომავალ განაწესს.

დილით, 7 საათზე ვდგებით.

ორი საათი პირის ბანას, ტანთჩაცმას და საუზმეს უნდება. შემდეგ იწყება სატვირთო ცხენების დასაპალნება და საჯდომი ცხენებ

შეკაზმვა, ეს არც ისე ადვილი საქმეა და ამიტომ 10 — 11 საათამდე ქარავნის გასვლა ვერ ხერხდება. საპალნე ცხენები თითქმის გაუხედნაგია: მათ ბარგისა ეშინიათ, ორი კაცი ძლივს ართმევს თავს მათ ადგილზე დამაგრებას. როდესაც საპალნე საიმედოდ შეიკვრება თოკით და მექარავნეები გაათავისუფლებენ პირუტყვს, იგი ისარივით მოწყდება ადგილს, დაოთხილი გაივლის რამდენიმე ასეულ მეტრ მანძილს, გაჩერდება და ძოვას იწყებს. ასევე ემართება მეორე, მესამე ცხენს. ქარავანი გროვდება ნაბანაკარიდან მოშორებით, ჩვენც ცხენებზე ვსხდებით და ადგილიდან ვიძვრებით.

საღამომდე მივდივართ თითქმის შეუჩერებლივ და შემდეგ ვეწყებთ დაბანაკებაზე ზრუნვას, — ორი მხედარი მიაჭენებს ცხენებს წინ და ირჩევს შეშითა და წყლით უზრუნველყოფილ ვაკეს. იდგმება კარვები, ჩაღდება კოცონი.

რაც შეეხება ცხენებსა და აქლემებს, მათი დანაყრების ჟამი შუაღამისას დგება, მანამდე კი ცხენებს წყვილ-წყვილად აბამენ ერთმანეთზე ისე, რომ მხოლოდ ადგილზე ტრიალი შეეძლოთ, ხოლო აქლემებს წრიულად ერთ თოკზე მიაბამენ და დიდხანს ნელა ატარებენ ადგილზე. ყველა ამ ჩვეულებას რაციონალობის საფუძველი უდევს.

ცეცხლთან ჯადოქრობას იწყებს მამაჯანი. იგი ირკეშტამიდანაა, ეროვნებით უიღური. სამზარეულო საქმის დიდოსტატი.

მივმართოთ ჩემს საექსპედიციო დღიურს[1].

1932 წლის 30 ივლისი

დღეს გამოვედით ოშიდან. 22 კაცი ვართ. ყველანი ცხენებით. ჩვენზე ადრე ჩვენივე მარშრუტით გამოვიდა ქარავანი, რომელსაც ტომრებით ბრინჯი და ქერი მოაქვს. ამ ქარავანში 40 ცხენი და 35 აქლემია. ყველა მძიმედ დასაპალნებული.

ექსპედიციის ბევრი წევრი პირველად მგზავრობს ცხენით და ნელა ითვისებს კავალერისტულ ჩვევებს. მე ოსებისა და სვანების ცხენებზე ჯდომის პრაქტიკა მშველის გამოვიყურებოდე, როგორც „კავკასიელი ჯიგიტი“.

პირველ დღეს გზა გადიოდა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ოაზისებზე — გვხვდებოდა სოფლები ბანიანი სახლებით, ბაღები, ტრ-

---

1 პ. პ-ბირის დღიური 1940 წელს საქართველოს ალპერ კლუბს შეეწირე და შეიძლება ამიტომ გადაურჩა იგი ცხოვრების ქარტეხილებს. მადლობას ვუხდვნი ჩემს ძველ მეგობარს — დენიზა გოზალიშვილს კლუბის არქივში ჩემი საგზაო რვეულის სათუთად შენახვისათვის.

ხები. გზა მტვრითაა სავსე და ჩვენც ჰაერში ისეთ ბუღს ვაყენებთ, ერთმანეთს ძლივს ვარჩევთ.

საღამოს სოფელ ლიანგარში მოვედით და ღამის გასათევად ჩაიხანაში დავდექით. პამირის დიდი გზა მდინარე თალდიყის ხეობას მიჰყვება.

31 ივლისი

ბორცვები, რომლებიც მოსდგომია მდინარეს, თანდათან მაღლდება. აქამდე მხოლოდ ლიოსებსა და რიყნალებს ვხედავდით, ახლა კი კირქვების გამოსავლებიც გვხვდება. მატულობს სიმწვანე. წინ კლდოვანი მწვერვალები მოჩანს. მდინარე თალდიყს წმინდა წყალი მოაქვს.

ხეობის მცენარეული საფარი ასიმეტრიულად არის განლაგებული: მარჯვენა მხარე გაცილებით უფრო ღარიბია მარცხენაზე. ვაკეებზე ღელავენ ყანები, — სანახაობა ლიახვის ხეობის შუა წელის ლანდშაფტს (ტყის გამოკლებით) მაგონებს.

ჩვენი ცხენები მეტად მხიარულად მიდიან (ალბათ გრძნობენ, რომ მთების სიგრილეს და ნოყიერ საძოვრებს უახლოვდებიან). ბარხაში ღინჯად „მოაცორვებს" თავის თეთრ ჭაკს. ბარხაშის განკარგულებით კარაბინები გაეტენეთ.

გზად ხშირად გვხვდებიან აქლემთა ქარავნები. მათ საპალნეებში ტყავი და მატყლია. საპალნეებზე კი წარწერებია: „Союзтранс, Кашгар", „Союзтранс, Хотан" და ა. შ. ისინი ჩინეთის პროვინცია სინ-ძიანიდან მოდიან.

ქარავნები ძველებურ ყაიდაზეა შედგენილი. წინ ფეხებს მოაბაკუნებს სახედარი, რომელზეც ქარავანბაში (ქარავნის მეთაური) ზის, სახედრის უნაგირზე გამობმულია ერთ თოკზე „ასხმული" 20 — 30 აქლემი (წვრილი თოკი აქლემის ნესტოებშია გაყრილი, — აბა სცადონ გაჩერება ან გაქცევა!). ხდება ხოლმე, ქარავანბაში ვირიდან ჩამოვა და ქვეითად მისდევს ქარავანს ან ჩამორჩება. ასეთ შემთხვევაში სახედარი ჩვეულებრივად განაგრძობს სვლას და, თუ გამოჩნდა შემსვედრი ქარავანი, თავის აქლემებს გზიდან გადაიყვანს.

ცა იღრუბლება, ნიავი უბერავს — ეს ხელსაყრელია ჩვენი მოძრაობისათვის.

შუადღისას მივატოვეთ თალდიყის ხეობა, გავუხვიეთ მარცხნივ და ავყევით პატარა მდინარე ჩიგირჩიკის წითელთიხნარიან ხეობას, რომელიც უხვი მცენარეულობით გამოირჩევა.

:4 საათზე მივატანეთ მწვანე ვაკეს, ჩიგირჩიკის უღელტეხილის დასავლურ ძირში, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2200 მეტრის სიმაღლეზეა. ირგვლივ ამართული გორაკები ნაზადაა მოხაზული და მხოლოდ აქა-იქ მოჩანს კირქვის კლდოვანი გამოსავლები.

ბორცვნალი სერები ჩვენს ველობზე სულ 70 — 100 მეტრითაა მაღალი. მხოლოდ აღმოსავლეთით მოჩანს უფრო მაღალი და საკმაოდ ციცაბო კლდოვანი სერი.

ვორობიოვი მეუბნება:

— ლევან, სანამ ვივახშმებდეთ, ავიდეთ იმ სერის მწვერვალზე.

მეც დავეთანხმე.

ჩვენ დიალოგს ყური მოპკრა დიმიტრი შჩერბაკოვმა:

— ყურადღება! — დაიძახა მან. ვაცხადებ კონკურსს იმ მწვერვალზე ასვლის სისწრაფეში. ვის გინდათ მონაწილეობის მიღება?

სურვილი ბევრმა განაცხადა. შჩერბაკოვის ნიშანზე სწრაფად დავიძარით ადგილიდან. გორაკის თხემს პირველად სოლდატოვმა მიაღწია, რომელიც ჩვენ ექსპედიციაში ვაჟთა შორის რეკორდსმენი იყო წონის მიხედვით (50 კგ). მეორე ავიდა ვასო ნედოკლადოვი. მეც ვღებულობდი მონაწილეობას შეჯიბრში, მაგრამ წავაწყდი ეკლიან ბუჩქნარს, აბლაბუდებში ჩასაფრებული ფალანგებით და დრო დავკარგე მათ შემოვლასე. ასე რომ, მხოლოდ მესამე ადგილი მერგო. მეოთხე იყო პეტრე ტრაუბე, მეხუთე — ცაგი, მეექვსე — ბორის ფრიდი.

მწვერვალიდან ალაის ჩრდილო ფერდობის ხეობათა და მათ წყალგამყოფთა ხედი გადაიშალა, რომელიც მყინვარწვერიდან სამხრეთისაკენ გაშლილ სანახაობას მოჰგავდა, მაგრამ ვერ შეედრებოდა ამ უკანასკნელს სიდიდისა და სიკოხტავის მხრივ. დაბლა მოჩანს მდინარე აღმოსავლური ჩიგირჩიკი, რომელიც შეერთვის ყურშაბს, ანუ გულჩას.

მწვერვალთან ავიღე ქანის ნიმუში, იგი მინერალ კალციტისაგან შედგება. მწვერვალიდან ბანაკში ყველაზე სწრაფად (7 წუთში) ჩამოვედი. მწვერვალის აბსოლუტური სიმაღლე დაახლოებით 2350 მეტრია.

მექარავნეები უკვე მორჩნენ ცხენების განტვირთვას. მამაჯანი, გოლიათური ფიგურა კოცონის ახლოს ტრიალებს.

იდგმება კარვები. პროფესორმა შჩერბაკოვმა „მზის აბაზანების“ მისაღებად ხალათი გაიხადა. არ ცხელა, მაგრამ მზე იკბინება.

საინტერესო ამბავი: თალდიყის ხეობაში ტრაუბეს, სოლდატოვს და სხვებს უნახავთ კუნელი, რომლის შტოებზე ჩვრებია გამობჭული. ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია, ვინაიდან თბილისის მახლობლად — ეძოს მთაზე არის ასეთივე კუნელი მასზე ჩამოკიდებული ჩვრებითა და ძაფებით. ამ შელოცვილი ძონძეულის შემწეობით ქალები უშვილობას „მკურნალობენ".

ბალახსე გაშლილი ბრეზენტი სუფრის მაგივრობას გვიწევს. ვახშმობისას იმართება დისპუტი პროფესორსა და მნეს შორის. შჩერბაკოვი ცდილობს დაუმტკიცოს რუბინსკის, რომ შარშანდელი ექსპედიცია წლევანდელზე უკეთ იყო სურსათით მომარაგებული. პროფესორი ჩამოთვლის კონსერვებს, რომლებიც მაშინ ჰქონდათ პამირელებს — ტომატი, ძროხის ენა, მჟაუნა, ისპანახი. რუბინსკი არწმუნებს შჩერბაკოვს, რომ ეს ყველაფერი წელსაც არის საექსპედიციო სანოვაგეში. ბოლოს და ბოლოს დიმიტრი ივანეს ძე თავს დამარცხებულად სცნობს და კაპიტულაციას აცხადებს.

ბარხაში იპარსება (სარკე ცხენის უნაგირზე უდგას).

1 აგვისტო

ღია ცის ქვეშ გვეძინა მე, შჩერბაკოვს, ტაგეევას, არაპოვს... დანარჩენებმა კარვებში გაატარეს ღამე.

დაწესდა მორიგეობა. ეს გამოწვეული იყო პამირზე მაშინ არსებული მდგომარეობით. 1932 წელი იყო ბასმაჩობის, ე. ი. ბანდიტიზმის უკანასკნელი წელი. ბრიტანეთის ინდოეთიდან ჩინეთის ტერიტორიაზე შემოსული ბანდა, რომელსაც სათავეში ედგნენ აით-მერეკი და გაიუბი, გამოვიდა ირკეშმატის მიდამოებიდან და მოძრაობდა ალაის ველის მიმართულებით.

ოშის პოლიტსამმართველოში ბარხაშს უთხრეს, რომ ბანდის წინააღმდეგ გაგზავნილი შეიარაღებული რაზმები აპირებენ ბასმაჩების ალყას — ალაის ქედზე — უღელტეხილ ჯიფთიქის რაიონში. ამიტომაც ბარხაშს ურჩიეს ექსპედიცია თალდიყის უღელტეხილით წაეყვანა, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრით გრძელი იყო ჯიფთიქის უღელტეხილზე.

ჩვენი ყარაული ემორჩილება შემდეგ განრიგს. ერთი გუშაგი თოფით შეიარაღებული დგას ან მიმოდის ბანაკის ტერიტორიაზე, მისი თანამეწყვილე კი წევს კარვისა და საძილე ტომრის გარეთ. ორი საათის შემდეგ მათი როლები იცვლება. ოთხი საათის შემდეგ მათ გუშაგთა მეორე წყვილი ცვლის. წუხელ, ღამით, იმორიგეევეს ბარხაშ-

მა, ვორობიოვმა და სოლდატოვმა. ღამე წამოწვიმა, ბრეზენტის ნაჭრებმა ვერ გადაგვარჩინა გარეთ მწოლიარენი.

ვორობიოვისა და ბარხაშის მორიგეობის დროს ბანაკში შემოიჭრნენ მოხეტიალე, ძაღლები (ისინი „ამშვენებდნენ" მთელ ჩვენს მგზავრობას ალაის ველამდე).

დილით შჩერბაკოვმა გვაცნობა ჩვენი აქლემების ქარავნის გაჩხირვა სოფელში, რომლის სახელია „მადა". ამის მიზეზად მექარავნეთა ცულლუტობას ასახელებენ. შჩერბაკოვი და რუბინსკი ცხენებით გაეშურნენ ქ. გულჩასაკენ, რომ იქიდან ავტომანქანით ასულიყვნენ ოშში საქმის მოსაგვარებლად.

საქმე ისაა, რომ ჩვენი მექარავნეები ყაშღარელები, ე. ი. ჩინეთის ქვეშევრდომები არიან და ხელშეკრულების საფუძველზე გვემსახურებიან.

საუზმისას ადგილობრივმა ყირგიზმა კუმისი მოგვართვა (ცხენის რძე). მომჟაო გემო აქვს, მაგრამ საამური სასმელია. მისი სამკურნალო თვისება კარგად არის ცნობილი.

ცა შუადღემდე მოღრუბლული იყო, მზე დროგამოშვებით გამოიხედავდა, მაგრამ 12 საათზე საბოლოოდ გამოიდარა.

წინა ღამით დასველებული ნივთების შრობას დიდი დრო მოუნდა. ამას დაერთო ცხენების დასაპალნების გაჭიანურება, ასე რომ მხოლოდ 13 საათზე მოხერხდა ბანაკის დატოვება.

25 წუთიანი სიარულის შემდეგ ჩიგირჩიკის უღელტეხილზე ავედით (2220 მეტრი ზღვის დონიდან), იქიდან კი დავეშვით მდინარე ჩიგირჩიკის ხეობაში, რომელშიც ანკარა მდინარე გაედინება. გზა მიდის ჯერ მეზოზოურ, შემდეგ კი პალეოზოურ ნალექ ქანებზე. ამ უკანასკნელებში გვხვდება ფენური ინტრუზივები (თხელი დაიკები) და კონგლომერანტები. ვნახეთ ქვანახშირის გამოსავალი, ახალგათხრილი სასინჯი გვირაბი.

ჩიგირჩიკის ხეობის ქვემო ნაწილში მდებარეობს ბოცვრების საშენი მეურნეობა, მთელ ხეობაში შეგვხვდა მხოლოდ 10 — 15 ვერხვი და თელა და ერთადერთი წიწვოსანი (ალბათ ნაძვი). ხეობის სიღრმე აქ გაზრდილია 500 — 1000 მეტრამდე (მახლობელი სერების თხემიდან).

18 საათისათვის მივედით გულჩაში.

სიმაგრე გულჩა მდებარეობს დაახლოებით 1600 მეტრზე ზღვის დონიდან — ტიტველ მთებს შორის დაცემულ ვაკეზე. გულჩის ქვა-

ბულის სიგანეა 1,5 კმ, სიგრძე 6 კმ. მისი ფსკერი თითქმის ჰორიზონტალურ სიბრტყეს წარმოადგენს.

ბანაკი გავმართეთ ვაკის სამხრულ ნაწილში, მდინარე გულჩას (ყურშაბის შენაკადის) მარჯვენა ნაპირიდან 300 მეტრის დაშორებით.

მალე მესაზღვრეებმა ფურგონით თივა მოგვიტანეს ცხენებისათვის.

2 აგვისტო

წუხელ ვმორიგეობდით: მარკოვი, მე, მოსკვინი და ნედოკლადოვი. ჩემი მორიგეობისას გაწვიმდა, შემდეგ წვიმა უფრო გაძლიერდა. კარავის შესასვლელთან ვიწექი და საძილე ტომარი საკმაოდ დამისველდა.

ვორობიოვი ავტომობილთან შეხვედრისას ცხენიდან „გადმოფრინდა" და დღეს მარცხენა გვერდს იტკიებს.

ღამის 11 საათზე (წუხელ) ცხენით მოვიდა სოლდატოვი და გვაცნობა, რომ აქლემთა ქარავანი ახლოს მოგვყვება.

დილა ისევ ღრუბლიანია, ზოგჯერ წვიმაც სცრის. ამან დააბრკოლა ბანაკიდან გამოსვლა.

გულჩას ბაზარი, სადაც ვაშლის საყიდლად წავედით, შედგება ერთი დუქნისა და ორი ხელზე მოვაჭრისაგან. ქალაქი ატალახებულია.

მახლობელი სერების თხემზე ნათესები მოჩანს. ჩვენი ბანაკის მახლობლად დგას რამდენიმე იურტა, რომლებთანაც მთელი ღამე ყროყინებდნენ ვირები.

გულჩა დაშორებულია 70 კილომეტრით.

ახალგაზრდა ყირგიზმა ბანაკთან გარეული თხის — ქიიკის პატარა თიკანი გაატარა. იგი სრულიად არ უფრთხოდა ადამიანებს. აჩხაკუნდნენ გეოლოგთა ფოტოაპარატები.

ცხენების ტვირთვაში დრო იკარგება. შჩერბაკოვი და მამაჯანი უკან მიდიან ჩიგირჩიკის უღელტეხილისაკენ, — მოქარავნეების დასაჩქარებლად.

14 საათზე გამოვედით მდინარის აღმა, მარჯვენა ნაპირით. ახალი (საავტომობილო) გზა მდინარის მარჯვენა ნაპირს მისდევს. მახლობელი მთის მწვერვალები უკვე თითქმის 3000 მეტრ სიმაღლეს აღწევს. ყურშაბი საკმაოდ ჩქარა მოედინება და მოაცურებს შეშის ნაჭრებს, თუმცა ირგვლივ წიწვიანი არჩის ბუჩქებს გარდა არავითარი ხემცენარე არ მოიპოვება და უცნობი რჩება, სად იკრება ტყე. ხანდახან გამოჩნდება იურტა, მგზავრები ცოტა გვხვდება.

22 კილომეტრის გავლის შემდეგ (დაახლოებით მესამე კილომეტრზე ოშიდან) მივედით ადგილ ყიზილყურღანში. გადავედით მდინარის მარცხენა სანაპირონე და შევდექით პატარა ვაკე-მინდორზე ბანაკის გასამართად.

ჩვენ უზბეკ მუშებს შევდეგი ჩვეულებანი ქონდა: საბანაკო ადგილას მისვლისთანავე ცხენებს წყალ-წყალდ ერთმანეთისგან ისე აბამენ, რომ ერთის თავი მეორის გვერდზე მიბმული. ამგვარად „დაბორკილი" ცხენები ვერსად წავლენ და ეროც მოსძოვენ. ძალი მხოლოდ ტრიალი შეუძლიათ.

ეროვნის ვეგმი და შეკვეთ ვადებით. გეოლოგები მთაში მიდიან ერთ-ერთი ადგილ და იქიდან გადაღებულნი ბოუნდებიან.

ამ ღამ ირეკვებს: სოლდატოვი, ფრანი, ტრაუნე...

3 აგვისტო

[illegible] 7 ს.

მინდი ხელსაყრელი ჩანს: ჩრდილოეთით ცალუოჯად კაძკმებს, სამხრეთით კი ნაკოისფერ ფარდა გადაჭიმულ.

იწყებ მზადება გასვლისათვის. უზბეკებმ ცხენები მორეკეს. ცხენებსა და მეიდრებს შორის უკვე დამყაოებულია მეგობრული ურთიერთობა. იშვიათად როდი დაინახავ ვორობიოვს ან მარკოვს, თავის ცხენს ალერსით კისერზე ხელს რომ უტყაპუნებს. ან კიდევ იარიდან ბუზებს რომ უქშევს.

ჩემმ ცხენმ უნაგირის დადგმისას ჯურაბაი თოკზე გადააყირავა, რასაც საერთო საცილი მოჰყვა.

ჩემი ცხენი საუკეთესოა მთელ ქარავანში. მან ბრწყინვალედ გაამართლა საფირბაის რეკომენდაცია. ნაბიჯი იქნება. ჩორთი თუ ოთხახმა. იგი ექსპედიციის ყველა ცხენს უსწრებს. შემიძლია უნაგირზე მჯდომმა თოფი გავისროლო. — ჩემი ცხენი არ დაფრთხება. ნაცადი პამირელები მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ წინათ ამ ცხენზე ბასმაჩი უნდა მჯდარიყო. მეც ცხენს „ბასმაჩს" ვარქმევ. იგი ეჩვევა ამ სახელს და მის გ-გონებაზე ჩემთან მოდის ან (თუ დაბმულია) ყურებს დაცქვეტით გამომხედავს.

მოსკვინი და სოლდატოვი უზბეკ სეიდამათთან ერთად მთებში წავიდნენ გეოლოგიური კვლევის მიზნით.

ყიზილყურღანის აბსოლუტური სიმაღლე. 10-ვერსიანი რუკის მიხედვით 1715 მეტრს უდრის.

ოლ ფ. შჩერბაკოვს გულ ‍ სთ ნ ორიგინ ლური ქარავანი შეხვედ-
ი : ტარა სასედ რი ი კზე ასხეულ ათიოდე აქლემს მიათრევდა
მ ქ ო ‍ ‍ ‍

დავიბანაკეთ თვით ყურშაბის (გულჩის) მარჯვენა ნაპირზე. დაახლოებით 2100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ბანაკი ვაიშალა ვაკე მდელოზე. აქედან ქულდუქის ხეობაში მოჩანს ალაის მთავარი ქედის რამდენიმე მწვერვალი. მაგრამ რა შედარებაა ამ უსახო სერსა და კავკასიონის კლდოვან ქედებს შორის. ქულდუქის ხეობიდან დასავლეთისაკენ ვხედავთ მწვერვალებს თოვლის დროებითი ლაქებით, — მათი სიმაღლე 3800 მეტრამდეა.

ანტონ ცაგი კარავში ბანქოს თამაშობს ფრიდთან, თანაც აზარტულად გაჰყვირის, მღერის და უსტვენს, — ნამდვილი ვენელია!

მახლობელი მთები სავსეა გარეული ღორებით და კაკბებით. ექსკურსიიდან დაბრუნდნენ მოსკვინი, სოლდატოვი და სეიდამეთი. სოლდატოვს ხელში კაკბის ბარტყი შემოკვდომია. რა სანადირო ადგილებია! ალაი ამჟამად ისევე ნაკლებადაა ხელნახლები ადამიანის მიერ, როგორც კავკასიონი ამ 70 — 80 წლის წინათ.

დღეს მე 8 საათსა და 30 წუთიდან 10 საათამდე მორიგე ვარ. Дневальный ვარ. ეს ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში მოვალე ვარ ვიჯდე კარაბინ-შაშხანების წყობასთან და თვალყური ვადევნო ბანაკს.

ჯურაბაის ცხენმა ოინი ჩაიდინა: პატრონს ქერით სავსე ტომარა დაუნახა, გამოედევნა და 10 წუთი არბენინა.

გადავწყვიტეთ ხვალ ქულდუქის ტბები ვინახულოთ, — პამირელების (მოსკვინისა და სხვათა) თქმით ესაა ტექტონიკური ტბების კლასიკური ნიმუში.

4 აგვისტო

საუცხოო დილა გათენდა. ვემზადებით ექსკურსიისათვის. სანამ ხეობა ჩრდილშია, საკმაოდ ცივა, — მთები უკვე თავს გვაგრძნობინებენ. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ მოჩანს.

სამზადისი გაჭიანურდა და უკვე ცხრა საათი იყო, ბანაკიდან რომ გავედით: გეომორფოლოგი კონსტანტინე ბარკოვი, ეორობიოვი, ცაგი და ძე.

10 ს. 40 წ. მივაღწიეთ უღელტეხილ �ე-ქიას (ალტიმეტრი 2700 მ). აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დაბლა გამოჩნდა ქვაბულში მომწყვდეული ქულდუქის ლამაზი ლურჯი ტბა. ბილიკით დავეშვით ტბისაკენ. ქულდუქის ტბის სარკე მდებარეობს დაახლოებით 2600 მ სიმაღლეზე. მას უწესო ფორმა აქვს; სიგრძე-სიგანე 400 მეტრია. ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით იხსნება კლდოვანი ხეობა, ოდნავ ბუჩქნარით შემწვანებული.

ტბის დასავლურ ნაპირზე მდებარეობს ბორცვი ზედ აშენებული ქვის ნიშნით, რომელშიც ეიპოვე არხარის (მთის ცხვრის) რქა, მას 55 სანტიმეტრამდე სიგრძე ჰქონდა.

ტბის წყალი წმინდაა, გამჭვირვალე, თუმცა ჯერჯერობით გეძო. გასინჯვას ვერ ვბედავ. წყლის ტემპერატურა საკმაოდ დაბალია.

ტბას მარჯვნიდან შემოვუარეთ და მივეყევით დინების აღმა იმ ნაკადულს, რომელიც ტბას შეერთვის.

მივედით სოფელ ქულდუქთან და სასაუზმედ მდინარის პირას, არჩის ხის ქვეშ დავსხედით. სახელდახელოდ პატარა კოცონი გავაჩაღეთ ხორცის კონსერვის შესათბობად. აღმოჩნდა, რომ მარკოვისა და ვორობიოვის ალტიმეტრთა ჩვენებები სრულიად არ ეთანხმებოდა ერთმანეთს.

13 საათზე გამოვბრუნდით და მალე შევხვდით გეოლოგთა ჯგუფს პროფესორ შჩერბაკოვის ხელმძღვანელობით. ოთხივენი (მარკოვი, ვორობიოვი, ცაგი და მე) შევედით ტბაში და ეიბანავეთ.

ნაკადული ტბის მახლობლად იყონება ნარიყ ქვებში და ასაზრდოებს ტბას აღმოსავლეთიდან. ნაპირის ახლოს წყალი წმინდაა და გამჭვირვალე, უფრო შორს კი ლურჯდება.

აქედან მე და ვორობიოვი მივყევით ბილიკს ჩრდილოეთისაკენ და 20 წუთის შემდეგ მივადექით ბოსოღას ტბას. ამ ტბის ზედაპირი დაახლოებით 2700 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. სიგრძე ტბისა 150 მ, სიგანე 100 მ, წყალი გამჭვირვალეა.

ტბა ალბათ გრუნტის წყლებით იკვებება; შენაკადები მას არ გააჩნია. ნაპირები ლერწმიანია. ჩვენ თვალწინ ტბაზე გასცურეს წითელმა ჩინეთის იხვებმა. იქვე მიწა დათხრილი იყო ტახების მიერ.

აღმოსავლეთიდან ბოსოღას ტბას დაჰყურებს მაღალი (3200 მეტრამდე) მთა. ტბის ირგვლივ საკმაო რაოდენობითაა არჩა (ღვია). ეს ტბა გაცილებით უფრო მეტად განიცდის ატმოსფეროს თერმიული რეჟიმის ზეგავლენას, ვიდრე ქულდუქი, ვინაიდან, იგი როგორც ითქვა, მოკლებულია შენაკადებს.

ბოსოღას ტბიდან ჩამოვიარეთ საუცხოო წყაროსთან, რომელიც ალბათ ქულდუქის ტბიდან გამონაჟონი წყლით საზრდოობს. ეს წყარო მოზრდილი ნაკადულის სახით ამოჭქუხს დიდი ხის ქვეშ

პროფესორი შჩერბაკოვი ქულდუქის ტბის წარმოშობის მიზეზად ტექტონიკას თვლის. ამას მოწმობს სეობის ორივე გვერდზე გაშიშვლებული „ხახუნის ბრეჭჩია“, რომელიც ნასხლეტებისთვისაა დამახასიათებელი.

ბანაკში დაბრუნებისას საშინლად დაგვცხა. ადგილზე მოვედით 16 საათზე. ეს იყო შშვენიერი ექსკურსია ალაის ბუნებაში და კარგი ვაკეთილი გეომორფოლოგიაში.

ქულდუქის ხეობის ქვემო ნაწილიდან სამხრეთისაკენ მოჩანს სამი კლდოვანი მწვერვალი. ისინი ზომავალში ალპათ დიდ როლს შეასრულებენ კლდეზე ცოცვის მოყვარულთათვის.

შევამჩნიე, რომ ალაის მთათა სისტემაში სრულიად არ მოიპოვება განცალკევებული მაღალი მწვერვალები.

სადილობისას ვასო რუბინსკიმ თოფი ესროლა ქორს, რომელიც დასტრიალებდა ჩვენს ბანაკს. თოფის დაჭექისთანავე თეთრი სხეული ნელ-ნელა დაეშვა. „ბუმბული გავაგდებინე!“ — აღტაცებით შესძახა რუბინსკიმ. მაგრამ იმ „ბუმბულმა“ მიწაზე დავარდნისას ბრასვანი მოალიონა. თეთრი საგანი გამოდგა ძვალი, რომელიც თოფის სროლით შეშინებულ ფრინველს გაუვარდა.

ბარხაში, ფრიდი და ტრაუბე გადავიდნენ ფონით მდ. ყურშაბზე და ავიდნენ ერთ-ერთ მწვერვალზე ჩვენი ბანაკის დასავლეთით. მისი სიმაღლე დაახლოებით 2700 მეტრია.

შებინდებისას მოვიდა ჩვენი აქლემების ქარავანი თავისი განუყოფელი სამი ვირით და ქარავანბაშით.

5 აგვისტო

წუხელ ვმორიგეობდით მე, მარკოვი, არაპოვი და სოლდატოვი. დილით ყველანი ადრე წამოვდექით.

პირველი, რაც დღეს დილით დავინახეთ, ეს იყო უზარმაზარი ალაველი (იაკი), მის ზურგზე ამხედრებული სამი ყირგიზით.

ბანაკიდან შედარებით ადრე გავედით. მალე გავუარეთ იმ გუმბათისებურ კლდოვან მწვერვალებს, რომლებიც ქულდუქის ხეობიდან დავინახეთ.

გზაში გვხვდება აუარებელი ქარავანი, რომლებსაც ბამბა მოაქვთ ყაშღარიდან და ხოტანიდან. საშინელი სიცხეა. მთის მზე მწვავედ იკბინება. ამას მტვერიც ერთვის. სახე ხურს, ბაგეები ხმება და სკდება.

ბარხაში რამდენიმე სპვა ამხანაგთან ერთად ეპარება ქიიკების ფარას, მაგრამ ყველანი ხელცარიელნი ბრუნდებიან უკან.

ღამისთევას ვაპირებდით ოლგინლუგში. მაგრამ იგი ვერ შევამჩნიეთ. გადავწყვიტეთ გზის გაგრძელება და მოვედით იმ ბალახოვან მინდორზე, სადაც ეს სტრიქონები იწერება.

სანამ ამ მინდორს მოვაღწევდით, ბარხაში და მე დავწინაურდით საბანაკო ადგილის ასარჩევად. როცა მივედით, დავინახეთ, რომ ზაზუნების ქალაქში ამოეყავით თავი. ზაზუნა (უზბეკურად „სლურ“, რუსულად „Сурок“,) დიდი მღრღნელია. ისინი სოროებს თხრიან ღა შესასვლელებთან დასკუპებულნი უსტვენენ.

აქ გაიღვიძა ჩემში მონადირის ინსტინქტმა. მომინდა ზაზუნებზე გამომეცადა ჩემი ჩუბინობა. ერთი რამ ხელს მიშლიდა; თოფის გასროლის აკრძალვა.

საქმე ისაა. რომ ბასმაჩების შიშით ვერიდებოდით თოფის უმიზნო სროლას. შეთანხმებულნი ვიყავით, რომ თოფს გავისროდით მხოლოდ და მხოლოდ ბასმაჩების თავდასხმის შემთხვევაში. მე რომ აქ თოფი შესროლა, ექსპედიციის წევრები, რომლებიც სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყვნენ, შეშინდებოდნენ. მაგრამ სულმა მაინც წამძლია. ცხენიდან გადმოვხტი და ბარხაშს შევეკითხე:

— ვესროლო?

ბარხაშმა მიპასუხა:

— ისროლე ჩამუხლულმა!

ჩავიმუხლე, თოფი მოვიმარჯვე და იმ ზაზუნას დავუმიზნე, რომელიც ყველაზე უფრო გამომწვევად წამოსკუპული მეჩვენებოდა...

გავარდა თოფი. ზაზუნა შეხტა და მიაშურა თავის სოროს, მაგრამ შესასვლელში უძრავად გაიჭედა.

ჩემს მაშინდელ ხანმოკლე ბიოგრაფიაში ეს იყო პირველი ნანადირევი. დავავლე ხელი მკვდარ ზაზუნას. მოვათრიე მინდვრის ცენტრში და დავაგდე.

მალე მოვიდნენ ექსპედიციის წევრები, დაინახეს მოკლული ცხოველი და, რომ გაიგეს ჩემი ნადავლი იყო, თვითონაც დაუწყეს სროლა დანარჩენ ზაზუნებს. ბევრჯერ გავარდა თოფი, მაგრამ უშედეგოდ. საღამოს ჩემი თანამგზავრები ალბად ჩაიწერენ დღიურებში:

„ჩვენი კავკასიელი მარჯვე მსროლელი გამოდგა“...

სადილობისას მდინარის გაღმა თავხედურად წამოჯდა და სტვენა გაბა ერთმა „სლურმა“. ესროლა ტრაუბემ და ააცდინა. ცხოველი შეხტა სოროში. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ესროლა რუბინსკიმ ისიც უშედეგოდ. როდესაც იგი მესამედ დასკუპდა სოროსთან. ბარხაშმა მითხრა:

— ლევან, ისევ შენ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

გაჰეორდა ერთხელ უკვე მომხდარი: თოფმა იქუხა, ზაზუნა შე-

ხტა; სოროს შესასვლელში დალია სული. მე არ მქონია დიდი წარმოდგენა ჩემს ჩუბინობაზე, — ალბათ „კარგი კარაბინი შემხვდა.

ჩვენი ბანაკი მდებარეობს დაახლოებით 2900 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ სიმაღლეზე აფხაზეთში, ოდიშსა და დასავლეთ სვანეთში მუდმივი თოვლი დევს. ორივე მხრიდან ბანაკს დასცქერიან ღვიით შემოსილი ფერდობები.

ყურშაბის ხეობა ქულდუქის შესართავიდან ამ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვიმყოფებით ლამაზი ლანდშაფტით არ ხასიათდება. ეს არის ცენტრალური აზიის ტიპობრივი ხეობა — ღატაკი მცენარეულობით ოდნავ შეპრელებული. შთაბეჭდილებაში რჩება მხოლოდ გაშიშვლებული პალეოზოური და მეზოზოური ქანები — წითელი და ნაცრისფერი. ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობთა ჩაღრმავებებში ფეხი მოუკიდია ბალახს და არჩნალს. ხეობის ფსკერზე მოსჩქეფს ანკარა ყურშაბი.

ამაღამ იმორიგეევებენ: ფრიდი, რუბინსკი, ტრაუბე და სოლდატოვი.

თავიდან აცდენილი ტრაგედია

6 აგვისტო

რუბინსკის რიხიანმა შეძახილმა ძილის ანგელოზები დაგვიფრთხო. წამოვიშალეთ ყველა, — წუხანდელი მორიგეებისა და ზანტების გამოკლებით.

ჩვენი ბანაკის სამხრეთით, სულ ასიოდე ნაბიჯზე, ყურშაბს უერთდება პატარა ნაკადული. მის სათავეში მდებარეობს მყინვარული კარი და 3600 მ სიმაღლის უღელტეხილი, რომელიც ამოკლებს სარითაშის გზას. კარს მაღლიდან დაჰყურებს კლდოვანი ნაცრისფერი სერი მწვერვალებით, რომელთა სიმაღლე 3800 მეტრს აღწევს. და რომ. ლებიც თოვლს სავსებით მოკლებულია. ტელეგრაფის ხაზი ამ ხეობითაა გაყვანილი სარითაშისაკენ (ხეობას ეწოდება ყოი-იული).

დილით კიდევ მოვკალი ზაზუნა და კუდი მოვკვეთე, ვინაიდან ქურქების ტარება ჩვენი ექსპედიციის პირობებში საკმაოდ უხერხულია. სადირბაიმ ჩემ მიერ დახოცილი ზაზუნების ქურქებს მარილი მოაყარა და პირობას იძლევა ყოველ დილას აჰკიდოს რომელიმე საჭესპალნე ცხოველს. ზაზუნის ქურქი მელიისას გავს, გადავწყვიტე საჩუქრად წავუღო შინაურებს.

გამოვედით მხოლოდ 12 საათზე. ბასმაჩების შიშით მე და ფრიდი მზვერავებად გამოგვყვეს, — რაზმზე 200 მეტრით წინ უნდა ვიაროთ. მალე დაიწყო თალდიყის უღელტეხილის სვეულები, რომლებიც ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია და საერთო შეხედულებით მამისონის უღელტეხილის სამხრეთ ფერდობს მაგონებენ.

ნელ-ნელა ამოვედით თალდიყის უღელტეხილზე (3525 მ), რომელიც ბალახითაა დაფარული. ზედ უღელტეხილზე იდგა სატვირთო ავტომობილი.

გადავწყვიტეთ გზატკეცილიდან გადახვევა დასავლეთისაკენ — თალდიყის ხეობაში, რომელიც შეერთვის ყიზილსუს (ალაის ველის მთავარ არტერიას) არჩაბულაღისა და სარითაშის დასავლეთით. ეს გზას საგრძნობლად ამოკლებს, მაგრამ, ამავე დროს, ზრდის ყაჩაღთა ბანდასთან შეხვედრის ალბათობას.

პირველ ყირგიზულ იალაღთანვე მივატოვეთ შოსე (მასთან ერთად ავტომობილები და ცივილიზაციის სხვა კუთვნილებანი) და დაუყევით თალდიყის ხეობას. ფრიდი და მე ისევ წინ მივდივართ.

ჩვენს წინ ტიპიური პამირული პანორამა გადაშლილიყო: დაბალი ბალახით ამწვანებული გორაკები ნაწილობრივ გაშიშვლებული ნაცრისფერი კლდეებით. ფერდობებზე ზაზუნებია საკუთარ სოროებთან, უკანა ფეხებზე წამოსკუპული, ჩვენს დანახვაზე ფაცხა-ფუცხით იმალებიან. თავს დაგვტრიალებენ ისევე, როგორც კავკასიონზე წითელნისკარტა და წითელფეხება ჭკები. გვხვდებიან ყირგიზები ცხენებით. ვირებით, აქლემებით, ჯორებითა და აზავრებით. ეს ადგილები მცირედაა დასახლებული. თალდიკი გაედინება მოზრდილ ხევში, რომელიც ნაწილობრივ ბალახოვანი, ნაწილობრივ კლდოვანი და მიწიანიცაა.

ბანაკი გავმართეთ დაახლოებით 3100 მეტრის სიმაღლეზე, ორ დიდ ლოდთან. ექსპედიციის მსვლელობა თალდიყის ხეობის მთელ სიგრძეზე სამხედრო წესების დაცვით ხდებოდა, — სამხედრო კომისრის მოვალეობას ბარხაში ასრულებდა.

პამირი თავისი დაუდგრომელი ქარით გვხვდება. ჩვენ კარავს ქარი არ აყენებს. პირის დაბანა ამ საღამოს სერიოზულ პრობლემად წარმოადგენს, — ბარხაშმაც კი, მგონია, უარი თქვას ამ ჰიგიენურ ღონისძიებაზე.

მამაჯანი გვარწმუნებს, რომ აქ ბასმაჩები არ გაივლიან. — მათი სათარეშო გზა ერთი კილომეტრით ქვემოთ გადის.

დაღამებისას დაიწყო წვიმა.

დილის ჩანაწერი: „მთელი ღამე წვიმდა“.

წუხელ. ვალტერ-შჩერბაკოვის წყვილის მორიგეობისას შორიდან ცხენების ჭიხვინი მოისმა.

საპასუხოდ ჩვენმა ცხენებმაც დაიჭიხვინეს. ვალტერი გავიდა წინ. და სიბნელეში დაეჯახა უცნობი მხედრის ცხენის თავს. ვალტერმა ტყვია ლულაში გაგზავნა და შესძახა:

— სდექ! ვინ მოდის?

— თქვენ ვინღა ხართ? — იყო პასუხი.

— არა, თქვენა სთქვით. ვინ ხართ.

— ჩქარა გვითხარით, ვინ ხართ, თორემ სროლას გაგიხსნით.

— პამირის ექსპედიცია, ნიკოლოზ ვასილის ძე კრილენკოს რაზმი. რუსული შეგინება. მას მოჰყვა ხარხარი.

— ჩვენ კი პოლიტსამმართველოს რაზმი ვართ, — თქვა ბოლოს ერთმა უცნობმა. — აითმერექის ბანდის კვალზე მოვდივართ.

მესაზღვრეებმა გვაცნობეს, რომ ბანდაში 37 კაცია. მათგან ცხრა ინგლისური შაშხანითაა შეიარაღებული.

დილა გათენდა სველი და ჯანღიანი. შჩერბაკოვი ამბობს, რომ ალაის კლიმატურ რეჟიმში რაღაც უჩვეულო მოვლენა ხდება.

ვორობიოვისათვის, მისი გუშაგობის დროს, მიუმართნია ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს შემდეგი სიტყვებით: „კარვიდან გამოვედი საქმისათვის, და ნამძინარევმა, ველარ გავიგე, საით უნდა წავსულიყავი“.

მახლობელ მთებზე, 4000 მეტრის ზევით ჩამოუთოვია.

გადაწყვეტილია, ალაის ველზე გასვლის შემდეგ დავუცადოთ აქლემების ქარავანს, მოვახდინოთ გადატვირთვა საჭიროებისდა მიხედვით და წავიდეთ წინ მეტი სიჩქარით, ვიდრე აქამდე ვმოძრაობდით. აქლემები და, მით უმეტეს, მათი მექარავნეები მეტად ზარმაცები არიან, — მოძრაობენ დღეღამეში 15 კილომეტრის სიჩქარით.

ყირგიზის ბიჭმა გამოიარა ორი ძაღლით. ერთი მათგანი მამაჯანმა შეიძინა ჩვენი ექსპედიციისათვის. ეს არის ბანჯგვლიანი არსება, რომელიც ვერასგზით ვერ შეჰგუებია ყელზე გამობმულ თოკს.

ხეობის შემომფარგვლელი სერები (ალაის ქედის სამხრეთი ტოტები) საკმაოდ სწრაფად დაბლდება. ეს გარემოება უფრო შესამჩნევს ხდის ამ ქედის თავისებურებას — მისი სამხრეთი ფერდობის მეტ სიციცაბოვეს ჩრდილოეთიდან შედარებით.

დიდი ხანი არ გვიფლია — ხეობა გაიხსნა და ჩვენ ალაის ველზე გავედით.

აქ ჩემ თავს ნებას მივცემ ხანმოკლე გადახვევა გავაკეთო დღიურიდან და მოვიყვანო ცნობები იმ ბუნებრივი მხარის (ალაის ველის) შესახებ, რომელშიც შევიდა ჩვენი ექსპედიცია.

ჩვენ წინ გადაშლილია ცნობილი რუსი გეომორფოლოგის, უხუცესი საბჭოთა გეოგრაფის ივანე შჩუკინის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომთაგანი — „შუა აზიის გეომორფოლოგია", სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„ალაი განთქმულია როგორც შუა აზიის მთების ერთ-ერთი საუკეთესო საძოვარი. ზოგიერთი მკვლევარი ალაის ველს პამირის ნაწილად განიხილავდა,— ასეთი იყო, მაგალითად, გ. გრუმ-გრჟიმაილო. მაგრამ ალაი თავისი საშუალო სიმაღლით (3000 მ ზღვის დონიდან) თითქმის 1000 მეტრით დაბლა იმყოფება აღმოსავლეთი პამირის ქვაბულებისა და ხეობების ფსკერზე და მარტო ამიტომაც უნდა განსხვავდებოდეს მათგან თავისი ბუნებით".

„ზოგიერთი გეოლოგი ალაის ველს მიიჩნევდა ტიანშანისა და პამირის მიჯნად, სადაც ტიანშანის სამხრეთისაკენ დამრეცად გამოზნექილი ნაოჭები ებჯინება ჩრდილოეთისაკენ გაღუნულ პამირის ნაოჭებს"... (თვით ი. შჩუკინი ალაის თვლის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ერთეულად).

„ალაის ველი გაჭიმულია 133 კმ მანძილზე თაუმურუნის უღელტეხილიდან (3378მ) აღმოსავლეთით, სოფელ დარაუთყურღანამდე (2450 მ) დასავლეთით. დარაუთყურღანის ქვემოთ ალაის ველი სწრაფად ვიწროვდება და ღებულობს ვიწრო, ღრმა ხეობის სახეს. ალაის ველის ფარგლებში, მისი ფართო და ბრტყელი ფსკერის უმნიშვნელო გასწვრივი დახრილობის (0,007) შედეგად, აქ გამდინარე მდინარე ყიზილ-ხუს ნელი დინება ახასიათებს".

„ალაის ველის ბრტყელი ფსკერის სიგანე ცვალებადობს 21,5 კილომეტრიდან (ადგილ სარითაშთან) 8 კილომეტრამდე (დარაუთყურღანთან). ნიკოლოზ კორჟენევსკი მთელი ველის ფართობს 1712 კვადრატულ კილომეტრად ანგარიშობს".

„მდინარე ყიზილ-სუ გაედინება ალაის ველის ჩრდილო კიდის ახლოს და ხშირად უშუალოდ ეკვრის ალაის ქედის ციცაბო სამხრეთული ფერდობის ძირს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ველის სამხრეთ მხარეზე აღმართული ბუმბერაზი — ტრანსალაის ქედი გაცილე-

ბით უფრო მაღალია და მისი კალთებიდან ნაშალი მასალის ჩამოზიდვა მდინარეების, მყინვარებისა და ღვარცოფების მიერ გაცილებით უფრო ინტენსიურია, ვიდრე დაბალი ალაის ქედიდან, რის შედეგადაც ამ მასალის დაგროვებას აუცილებლად უნდა გადაეადგილებინა მდინარე ჩრდილოეთისაკენ".

„მთელი ალაის ველი ამოვსებულია რიყნალების მძლავრი წყებით, რომელსაც ზევიდან აფარია თიხნარის 2,5-მეტრიანი სისქის ფენა. ამ მდინარეული ნაფენების გარდა, ალაის ველზე ფართოდ არის გავრცელებული მყინვარული ნაფენებიც".

„მორენული მასალის დაგროვებას აწარმოებდნენ ტრანსალაის ქედის ჩრდილო ფერდობის დიდრონი მყინვარები, რომლებიც გამყინვარების ეპოქებში ტრანსალაის ხეობიდან ალაის ველზე გამოდიოდნენ (და მალასპინის ტიპის მყინვარების მსგავსად, ვაკეს განეფინებოდნენ). მორენული მასალა დაკავშირებულია ველის სამხრულ ნაწილთან, — აქ განვითარებულია ე. წ. „ჩუქურების" ბორცვნალ-ტბიანჭაობიანი ლანდშაფტი, მიდგმული ტრანსალაის ქედის მთისწინეთზე"

„ჩუქურების ლანდშაფტს ალაის ველის მთელი ფართობის 20 პროცენტი, ე. ი. 572 კვადრატული კილომეტრი უკავია. ტრანსალაის ქედის მდინარეებს გაუკვეთიათ მორენული დანაგროვები თავიანთი ხეობებით და შეუქმნიათ ფართო წყალგამყოფი სერები, რომელთა სიგრძე ზოგ შემთხვევაში 12 — 15 კილომეტრს აღწევს. სიმაღლეთა რხევა ჩუქურების ზედაპირზე 20 — 30-ია ზოგან კი 40 მეტრსაც უდრის".

„ნ. კორჟენევსკის დასკვნით, ჩუქურების აღნაგობა და მორფოლოგია ასახავს ტრანსალაის ქედის ორჯერადს გამყინვარებას. მეორე (გვიანდელი) გამყინვარების მორენები გადაფარებულია პირველის გადარეცხილ მორენებზე".

„პირველი, უფრო მძლავრი გამყინვარების ეპოქაში უზარმაზარი მყინვარი მთლიანად ფარავდა ალაის ველს. ყინულის მასის უმეტესი ნაწილის დამამზადებელი ტრანსალაის ქედი იყო. უფრო სუსტი, მეორე გამყინვარების დროს ტრანსალაის ქედის მყინვარები მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში ერთმანეთთან შეკავშირებით ქმნიდნენ მთლიან მთისწინა საფარს. ყიზილართის უღელტეხილის დასავლეთით, ტრანსალაის ქედის დადაბლების შედეგად მყინვარები არ ერთიანდებოდნენ და მთავარ სტადიაში ალაის ველის კიდესთან თავდებოდნენ. — ამიტომაა, რომ ყიზილსუს მარცხენა შენაკადის — ქამანსუს დასავლეთით ჩუქურებიც ალაის ველზე არ გამოდიან".

ნაშუადღეს ღრუბლიანობა კლებულობს. წვიმა წყდება, ნიადაგი და ბალახი სწრაფად შრება.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვეძლო გვეთქვა, რომ აქ „ალაის ველი“ კი არ არის, არამედ „ალაი სველია“.

დავიბანაკეთ მდინარე სარიქ-მოღოლის მარჯვენა ნაპირზე, დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ბანაკს ორი ცხენოსანი ყირგიზი მოადგა. რუბინსკიმ მათ საბუთები გაუსინჯა, — დასწყევლოს ღმერთმა ეს ბასმაჩობა! შჩერბაკოვმა მოულოდნელ სტუმრებს დასტარხანი (სადილი) მიართვა. წასვლისას გავატანეთ წერილები გულჩაში.

ტრანსალაის ქედზე ისევ ჯანღი წევს, — მწვერვალები არ მოჩანს.

პირველი მორიგეობა მე მხვდა. რამდენჯერმე ჩავედი ჩვენს აქლემებთან, რომლებიც დაღამებისას მოვიდნენ.

წრედ გადაბმულ აქლემებს ატარებდა უზბეკი მექარავნე, თანაც ტრადიციულ, სევდიან ჰანგებს იმღეროდა.

8 აგვისტო

დილიდანვე სამხრეთით, დიადი ზმანება აღიმართა ტრანსალაის ქედისა, ცამდე მისული ლენინის პიკით, „არხარით“, „მესაზღვრით“ და სხვა თოვლიანი მწვერვალებით. წვეტიანი ფორმები მათ შორის თითქმის არ არის, მაგრამ უზარმაზარი აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, ვრცელი სპეტაკი თოვლის ველ-ფერდობები, ცისფრად ჩამოწოლილი ვეება მყინვარები შეუდარებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ტრანსალაის ხეობათა გამოსასვლელების წინ ალაის ველზე დახვავებულია ბოლო მორენები, რომლებიც გვიმოწმებენ ძველი მყინვარების გამოსვლას მთიანი ხეობებიდან ვაკეზე. ისინი ფარავენ ვრცელ ფართობს მდინარე ყიზილსუს მარცხენა (სამხრულ) სანაპიროზე და ამ უკანასკნელს დაბორცვილი ზედაპირის ხასიათს ანიჭებენ.

ტრაუბე ავად არის.

შჩერბაკოვის განმარტებით, სიტყვა „ალაი“ ჭრელს ნიშნავს.

ბანაკი საკმაოდ ადრე მივატოვეთ (ქარავანთან ტვირთცვლის შემდეგ).

ლენინის პიკის მასივის მძლავრი მყინვარებიდან გამოდის წყალუხვი მდინარე აჩიყსუ.

ჩვენს წინ ერთმანეთს მიჰყვებიან მწვერვალები: „აღმოსავლეთის ცისკარი", ყურუმდი, ლენინის, ძერჟინსკის, ციურუპას, არხარი., სვერდლოვის პიკები.

გადავლახეთ მთის ორი მდინარე — ყურუმდი და ქინდიკი, რომლებიც ამავე სახელწოდების მქონე (ალაის ქედზე მდებარე) უღელტეხილებიდან მოედინებიან. მივუახლოვდით მდინარე ყიზილსუს („წყალწითელას") და დავრწმუნდით, რომ მას მართლაც წითელი წყალი მოაქვს.

ერთგან მდინარის ნაპირი მაღალ ფლატეს წარმოადგენს. აქ ბილიკი ისეთ ადგილში გადის, სადაც ერთი კაცი ათს შეაკავებს. აქ, რაღა თქმა უნდა, ბარხაშმა უდიდესი სიფრთხილით გაგვატარა.

აქვე მდებარეობს პატარა ყიშლაღი, სადაც ჰაირანი დავლიეთ.

როდესაც ჩვენ ამ ყიშლაღს ვუახლოვდებოდით, იქიდან გამოვარდა ერთი კაცი, თავქუდმოგლეჯით მოახტა ცხენს, გააჭენა და მალე თვალთაგან მიგვეფარა. უფროსმა პამირელებმა აგვიხსნეს, რომ გაქცეული კაცი ბასმაჩი იქნებოდა და ამიტომ ჩვენთან შეხვედრას განერიდა (მით უმეტეს, რომ მზეზე აელვარებული თხუთმეტიოდე კარაბინის გამო ჩვენს რაზმს საკმაოდ მრისხანე შესახედაობა ჰქონდა).

ბანაკი გავმართეთ წყაროსთან — მდ. ყიზილსუს მარჯვენა სანაპირზე „ქუთულგა-ინგურ"-ის მახლობლად, რომლის პირისპირ, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ადგილი „გაზ".

აღსანიშნავია, რომ ჩუქურები (ბოლომორენები) ჩვენი ბანაკის აღმოსავლეთით ყიზილსუს მარჯვენა ნაპირზეც გვხვდება.

ცხენით მგზავრობა ალაის ველზე დღეს მძიმე გამოდგა. მთის მზე შეუბრალებლად გვიწვავს სახეს და ხელებს, ტუჩები ხმება და სკდება. თვალები უნებურად იჭუტება. სამაგიეროდ, მტვერი აქ თითქმის არ არის.

ჩვენი ბანაკიდან სამხრეთ-დასავლეთით, ტრანსალაის ქედზე მოჩანს დათოვლილი მწვერვალი — სვერდლოვის პიკი, რომელსაც ალაის ხეობის მხრიდან მიუყვება შუაზე გაღუნული თოვლიანი სერი. ტრანსალაის ქედზევე ყურადღებას იპყრობს მეტად ვრცელი, დაკიდული ფირნის მინდვრები იშვიათი გაშიშვლებებით და ნაოჭებით. ქედი შესამჩნევად დაბლდება დასავლეთის მიმართულებით.

მდინარე ყიზილსუ ველის მარჯვენა (ჩრდილო) კიდეს ეტანება, სადაც მას უახლოვდება ალაის ქედის ციცაბო კონტრფორსები. ბალახეული გაღარიბდა.

ფინსტერვალდერის 1928 წ. რუკის მიხედვით, ჩვენი ბანაკი დაახლოებით 2700 მეტრის სიმაღლეზეა.

—

9. აგვისტო

მოკრიალებული დილა გათენდა. ტრანსალაის ქედი მხიარულად აელვარებს თავის მარადიულ თოვლყინულს. თანდათან ცხება.

ტრანსალაის ქედი განსაკუთრებით შესანიშნავია იმით, რომ დიდ მანძილზე (დაახლოებით 80 კილომეტრზე) ინარჩუნებს მაღალ აბსოლუტურ სიმაღლეს (5500 — 7100 მ) და მთლიანად თოვლითაა შემოსილი. დარაუთ-ყურღანის მერიდიანისაკენ ტრანსალაის ქედი შესამჩნევად დაბლდება, ასე რომ, მის დასავლეთ ნაწილზე თოვლიანი ზონა შედარებით ღარიბია.

ტრანსალაის ქედის გასწვრივი პროფილი საკმაოდ ნაზია. აქ სრულიად არ მოიპოვება ნამდვილი ციცაბო და მახვილი მწვერვალები ან ნემსისებური „ჟანდარმები", როგორებიც კავკასიონს ამშვენებენ, ყურადღებას იპყრობენ მხოლოდ მკაფიოდ გამონაკვთული თოვლიანი თხემები.

მწვერვალები აქ ბლაგვი კუთხეებით მთავრდება. ლენინის პიკის დასავლეთი და აღმოსავლეთი სერები, მაგალითად, მწვერვალთან შეადგენენ დაახლოებით 140°-იან კუთხეს, ხოლო ძერჟინსკის პიკს ზურგი თითქმის სავსებით თარაზული აქვს დაახლოებით ერთი კილომეტრის სიგრძეზე, გვერდები კი ეშვება 30 — 40°-იანი დახრით.

ტრანსალაის მთავრეხილის აღნიშნული ტოპოგრაფიული თავისებურება ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ შემდეგს: კავკასიონის ისეთი მწვერვალები, როგორიცაა: მყინვარწვერი, თეთნულდი, აილამა, გისტოლა, ბაშილთაუ, დაქუეხი თავის თხემებთან შეადგენენ 95 — 100°-იან კუთხეს.

სვერდლოვის პიკის თხემური კუთხე დაახლოებით 100° ეთანასწორება, რაც ტრანსალაისათვის იშვიათია.

ჩვენი ბანაკიდან სამხრეთის მიმართულებით, ტრანსალაის მთავარი წყალგამყოფი თხემის გადაღმა მოჩანს თოვლიანი მწვერვალები, რომლებიც იალპუზს მაგონებენ.

მარადიული თოვლის საზღვარი ტრანსალაის ჩრდილო კალთებ-

ზე, ჩემი დაკვირვებით, 4300 — 4800 მეტრის სიმაღლეთა ფარგლებში უნდა ცვალებადობდეს (ოდნავ უნდა ეშვებოდეს დასავლეთისაკენ). ამავე დროს ალაის ველი მდებარეობს 3300 — 2500 მეტრის სიმაღლეზე და დაბლდება დასავლეთისაკენ.

ფინსტერვალდერის რუკიდან ამოწერილი ტრანსალაის ქედის ზოგიერთი თვალსაჩინო მწვერვალის აბსოლუტური სიმაღლეები:

ყიზილ-აღინი	6595 მ.
ლენინის პიკი	7127 მ
ძერჟინსკის პიკი	.6713 მ
ციურუპას პიკი	5845 მ
კრასინის პიკი	5996 მ
სვერდლოვის პიკი	5455 მ

კავკასიონის ვერც ერთი ხეობიდან ვერ დაინახავ მთავარ ქედს რამდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძეზე, თუ მწვერვალზე არ ახვალ. აქ კი ალაის ველიდან თვალს აწვდენ ტრანსალაის მთელ თოვლიან ზღუდეს.

ბანაკიდან გამოვედით 10 ს 30 წ. გზა ყიზილსუს მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მიემართება. მცენარეულობა ღარიბდება, ნიადაგს ერევა თეთრი ქვიშა.

საინტერესო მცენარეს ვხვდებით ალაის ველზე, რომელსაც „უიულა“ ეწოდება. იგი ქსეროფიტი (სიმშრალის მოყვარული) უნდა იყოს. მერქანი მას არ გააჩნია, მაგრამ ღერო მაღალი (2 — 3 მეტრამდე) აქვს და ჩვენებურ შამბნარს მოგვაგონებს. უიულას წრიული ფორმის ბრტყელი ხმელი ნაყოფი აქვს, რომელიც ერთადაა ახუნძლული და ადვილად ცვივა.

ვსარგებლობთ უიულას ამ თვისებით და მის ტევრებში გავლისას ვერთობით: წინ მავალი თავისი მათრახის დარტყმით ჰქმნის ნაყოფების „წვიმას“ უკან მავალის თავზე.

სვერდლოვის პიკი თანდათან იცვლის შესახედაობას და მახვილწვეროიანი ლამაზი პირამიდის სახეს ღებულობს. ჩრდილოეთის მხრიდან იგი ძალიან ემსგავსება სვანეთის მწვერვალს გისტოლას. ეს არის ტრანსალაის მართლაც ერთადერთი მწვერვალი, რომელიც იმსახურებს „პიკის“ წოდებას (ამ სიტყვის რუსული შინაარსით)[1].

სვერდლოვის პიკი ალპინისტური თვალსაზრისით საინტერესოა.

---

[1]. „პიკ“ ინგლისურად საერთოდ მწვერვალს ნიშნავს, რუსულად კი იხმარება შევიწროებული მნიშვნელობით (როგორც წვეტიანი მთის აღმნიშვნელი).

ალაის ველიდან მას ორი მეტად თუ ნაკლებად მოხერხებული გზა აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ორივე ვარიანტის საერთო მონაკვეთს შეადგენს მწვერვალის ჩრდილო თოვლიანი სერის თხემი.

რაც შეეხება ალაის ქედს, იგი ამ ადგილებიდან მეტად უსიცოცხლოდ გამოიყურება.

ალაის ველზე რეგულარულად (შუადღისას) ამოვარდება ხოლმე საკმაოდ მძლავრი ქარი, რომელიც დაღამებისას ჩადგება, ან მეორე დღის შუადღემდე.

ჩვენი საპალნიანი ცხენების ქარავანი ნელა მოძრაობს და იძულებული ვხდებით ვუცადოთ ხოლმე.

სვერდლოვის პიკის დასავლეთით ტრანსალაის ქედში ღრმად იჭრება თერსაღარის ხეობა, რომლითაც მიდის გზა იმავე სახელწოდების უღელტეხილისაკენ. ხეობის სათავეში, ალაის ველის მარჯვენა მხრიდან მოჩანს მარადთოვლიანი მწვერვალების ლამაზი კრებული, — ესაა „ალთინ-მაზარის ბუმბერაზები" პეტრე დიდის ქედზე. ერთი მათგანი, მთლიანად თოვლიანი ზედაპირის მიუხედავად, საკმაოდ ციცაბო და მახვილია. ამ სამი მწვერვალის სახელებია: მუსჯილღა, შილბე და სანდალი.

სოფელი დარაუთყურღანი, სადაც ჩვენ მივედით, მდებარეობს 2460 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე დარაუთის მარჯვენა ნაპირზე. თიხისგან შეკოწიწებული „ციხე", რომელიც ფარეხს უფრო ემსგავსება და 4 — 5 იურტა, ობოლ საფლავებთან ერთად, ალაის თემსაბჭოს ცენტრს ქმნის.

ჩვენს ბანაკში მოვიდნენ ადგილობრივი საბჭოთა მუშაკები (ყირგიზები) და მათთან ერთად ფოტო გადავიღეთ. ამბობენ, ახლო მომავალში აქ უნდა ჩამოყალიბდეს საბჭოთა მეურნეობა.

პროფესორი შჩერბაკოვი და მე ვსაუბრობთ კავკასიურ საკითხებზე. მას სცნობია გიორგი ნიკოლაძე, რომელსაც თურმე ხვდებოდა დონბასში 1912 — 13 წლებში. შჩერბაკოვი ნამყოფია სვანეთში (მარშრუტით: უღელტეხილი იუსენგი — ბეჩო — ეცერი — ლაჰილი — მესტია — ლატფარი — ცაგერი — ქუთაისი — ბათუმი).

ვათვალიერებ ფინსტერვალდერისეულ პამირის რუკას, რომელიც მის მიერაა გადაღებული 1928 წლის ზაფხულში, ფოტოთეოდოლიტის საშუალებით. ვრწმუნდები, რომ ტოპოგრაფებისთვისაც კი პამირზე ჯერ კიდევ დიდძალი ნედლი მასალაა ხელუხლებლად დარჩენილი, რომ არ ვილაპარაკოთ იმ თვალუწვდენელ ასპარეზზე, რომელიც აქ მოე-

ლის გეოლოგს, გლაციოლოგს, ბოტანიკოსს, ზოოლოგს და მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებს.

ადგილობრივ „მთავრობასთან“ საუბარში ირკვევა იმ ბასმაჩთა ბანდის ბედი, რომელიც ჩვენ ბედის განგებით აგვცდა რამდენიმე დღის წინათ. მათ 4 აგვისტოს გადაუვლიათ ჯიფთიქის უღელტეხილით, მაგრამ მოხვედრილან მესაზღვრეთა ორ რაზმს შორის და ძირითადად განადგურებულან. თუმცა მთავარი ბასმაჩები (აითმერექი და გაიუბი) დაჭრილები გაქცეულან და ფერღანაში შეუფარებიათ თავი. სხვათა შორის, ოშიდან ჩვენ ვაპირებდით ზემოდასახელებული უღელტეხილისაკენ წამოსვლას ჩვენთვის უმოკლესი მარშრუტით, მაგრამ შჩერბაკოვმა, სათანადო ორგანოების რეკომენდაციის საფუძველზე, ეს ვარიანტი საშიშად ცნო და თალდიყის გზა ირჩია. ეს ასე რომ არ მომხდარიყო, პირისპირ შევეყრებოდით ბანდიტებს.

ხვალ ჩამოგვშორდებიან შჩერბაკოვი, მოსკვინი, სოლდატოვი, ტაგეევა და ორი სხვა ამხანაგი, რომლებიც თერსაღარის უღელტეხილით გადავლენ პირდაპირ მუქსუს ხეობაში. დანარჩენი, უმეტესი ნაწილი ჩვენი ექსპედიციისა (მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც), წავალთ სოფელ დევსიარისაკენ. დევსიარში მოხდება ხელმეორედ დაყოფა: ნაწილი შეუყვება მუქსუს ხეობას, უმრავლესობა კი წავა ხინგოუს ხეობაში — სოფელ ფაშიმღარში, რომელიც შეასრულებს ძირითადი საყრდენი ბაზის დანიშნულებას ღარმოს კვანძისა და პეტრე დიდის ქედის კვლევისათვის.

ამასთან დაკავშირებით, საღამოს ჩვენს კარავში მოხდა საექსპედიციო ქონების განაწილება.

10 აგვისტო

დილა მხიანი გათენდა.

თერსაღარის ხეობა და უღელტეხილი ტრანსალაის ქედს მკვეთრად განსხვავებულ ორ ნაწილად ჰყოფს, — აღმოსავლეთი ნაწილი ბევრით შაღალია დასავლეთისაზე, ამიტომ უფრო მდიდარია თოვლითა და ყინულებით.

კარავის გვერდით წევს ვლადიმერ ვორობიოვი. მან თავი გამოყო საძილე ტომრიდან, თმები ბუმბულით აქვს სავსე, — ეს მოვლენა ჩვენთვის ყოველდღიურია, ვინაიდან გაგის ბუმბული ბლომად გამოდის საძილე ტომრების აბრეშუმის სარჩულიდან.

ალაის ველი დასავლეთურ ბოლოში ვიწროვდება და ხეობად იქ-

ცევა. ალაისა და ტრანსალაის ქედები თავისი კონტრფორსებით უახლოვდებიან და თითქმის ეხებიან ერთმანეთს.

ხელში მომხვდა კრებული პამირის 1928 წლის ექსპედიციის შედეგებზე. ნიკოლოზ კორჟენევსკის განმარტებით სიტყვა „ალაი“ ნიშნავს არა ჭრელს, არამედ ჯოგს, ხროვას, ბრბოს, ლაშქარს, ჯარს, რაზმს...

უკანასკნელ ხანებამდე ყირგიზები ინარჩუნებდნენ საგვარეულო წეს-წყობილების ელემენტებს. თითოეულ გვარს საზამთრო და საზაფხულო საძოვრები ცალკე ჰქონდათ მიჩენილი. ბოლო დროს სცადეს დაერღვიათ ეს ტრადიციული დაყოფა.

ბანაკიდან გავედით 14 ს. 30 წუთზე. დიდი მანძილი არ გაგვივლია, რომ შეგვხვდა საკმაოდ ვიწრო კარნიზები ყიზილსუს მარჯვენა ნაპირის კლდეებში, — ეს იყო პამირის პირველი სალამი.

თერსაღარის ხეობის დასავლეთით ტრანსალაის ქედის ჩრდილო კალთები შედარებით უხვადაა მცენარეულობით შემოსილი. კონტრასტი მეტად მკაფიოა. აქაურ ფერდობებზე ბალახის გარდა დაინახავ ტყესაც, — ის შედგენილია არჩითა და ბუჩქნარით.

მივადექით მდინარე ახსუს („თეთრ წყალს“), რომელიც ალაის ქედის კალთაზე ღებულობს სათავეს და შეერთვის მდ. ყიზილსუს. ესაა მძლავრი მდინარე, რომლის ფონის დაძლევა სერიოზულ პრობლემად გამოიყურება.

ახსუს შესართავიდან 3 კმ მანძილზე, მის ხეობაში მდებარეობს ყიშლაღი „ჩაქ“. ჩვენი გზა შეუხვევს ახსუს ხეობაში და გადადის მდინარეზე ყიშლაღის მახლობლად მდებარე ხიდით.

ყიშლაღში გვიჩვენეს ბასმაჩების მიერ 1930 წელს დანგრეული სკოლის შენობა.

ახსუს ხიდზე გადასვლისას ბარხაშის ცხენი შეკრთა, შებრკოლდა და შეაფერხა ექსპედიციის მსვლელობა.

ტრაუბემ დაიძახა:

— სახედარი ყოველთვის წინ მიდის!

ამ სიტყვებით ლენინგრადელ ტოპოგრაფს სურდა ეთქვა, რომ საჭიროა ბორის ფრიდის ცხენმა პირველმა გაიაროს ბოგირზე და მაშინ დანარჩენებიც თამამად მიბაძავენ მის მაგალითს.

ბოგირის შემდეგ ისევ გვხვდება კლდოვანი კარნიზები.

ტრანსალაის ქედის ფერდობზე მოჩანს რამდენიმე ცირკული მყინვარი, რომლებიც ძველ ხეობურ მყინვართა ფირნის მინდვრების ნაშთები უნდა იყოს.

სვერდლოვის პიკის დასავლეთი ფერდობი, რომელსაც ახლა ვხედავთ, შედარებით უფრო კლდოვანია. ეს მწვერვალი თავისი თამამი მოხაზულობით ჩრდილავს ჩემ მიერ დანახულ ტრანსალაის ყველა დანარჩენ მწვერვალს.

ყიზილსუს მარჯვენა სანაპიროზე ვხედავთ ქაცვის ხშირ ბუჩქებს. მახსენდება ქაცვნარით დაფარული თერგის რიყე სტეფანწმინდის ზემოთ.

ალაის ველი ვიწროვდება და სადაცაა ხეობად იქცევა. — მისი სიგანე ახლა უკვე 10 კილომეტრს არ აღემატება.

ტრანსალაის მთაგრეხილის წინ აღმართულა მეზოზოური ასაკის წითელი კლდეები, რომლებზეც გეოლოგები ამჩნევენ „ნასხლეტთა ნათელ კვლებს". ამ კლდეების უკან ნელ-ნელა იმალება ტრანსალაის კეკლუცი — სვერდლოვის პიკი.

ციცაბო დაღმართს მიხვეულ-მოხვეულად ჩაუყვება ბილიკი, რომელსაც ჩავყავართ მდინარე ყიზილსუზე გადებულ ხიდთან. ეს არის ჩვეულებრივი მოქანავე ბოგირი, როგორიც კავკასიონზეც ბევრია.

დარაუთყურღანში ყოფნისას გვირჩიეს ღამის სათევად გავჩერებულიყავით ზოლთოყოის მინდორზე, რომელიც სოფელ ყარამუქის გზაზე ერთადერთ მოსახერხებელ ადგილად ითვლება. ბარხაშის შეცდომის შედეგად ეს კარგი საბანაკო ხელიდან გავუშვით და ზემოხსენებული ხიდით გადავედით ყიზილსუს მარცხენა ნაპირზე, სადაც შესაფერისი ადგილი არ აღმოჩნდა.

ჩვენმა მექარავნეებმა ეს იცოდნენ და ამიტომაც გაჩერების ნაცვლად განაგრძეს გზა მარჯვენა ნაპირით.

ბანაკი გავმართეთ დაახლოებით 2200 მეტრის სიმაღლეზე, სანახევროდ დანგრეულ რაბათთან[1]. კარვები არ დაგვიდგამს, ისე დავწექით. ღამე ვმორიგეობდით: რუბინსკი, ნედოკლადოვი, ტრაუბე და მე.

11 აგვისტო

დღევანდელი დღე დამკვრელურად არის გამოცხადებული — განზრახული გვაქვს საღამომდე მივაღწიოთ სოფელ აჩიყალმას („მეავე ვაშლს"). გზად უნდა გავიაროთ სოფელი ქიჩიქ-ყარამუქი, რომლის ახლოს გადის ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საზღვარი.

---

[1] რაბათი — ფუნდუკი (ქარავანსლა).

ყიზილსუს ხეობას დასავლეთისაკენ თანდათან ავიწროებენ ორივე მხრიდან მობჯენილი კლდოვანი მასივები.

ბანაკის მიდამოებში ისევ შეგვხვდა უიულას ტევრები. ამ მცენარის ელიფსისებურ თესლებს ფისის სუნი უდის. მისი ღერო წებოთია შეხონხლილი.

ფუნდუკი („რაბათი"), რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ წინა ღამეს, თურმე კერძო მფლობელს ეკუთვნის. იგი დილაადრიან გამოცხადდა და ქირა მოგვთხოვა (დაკმაყოფილდა 5 მანეთით).

ყირგიზისაგან ნაყიდი ძაღლი „ალაი" უკვე შეეჩვია თავის ახალ მფარველს — მზარეულ მამაჯანს.

ალაის გარდა, ჩვენ ქარავანს კიდევ ორი ქოფაკი აედევნა, როგორც ჩანს, უპატრონოები. ისინი სულ წინ მირბიან.

ბანაკიდან 10 ს და 30 წუთზე გავედით. ჩვენს წინ ჩნდებიან ტრანსალაის დასავლეთი მონაკვეთის ახალ-ახალი მწვერვალები. სიმაღლის მიხედვით ისინი, რა თქმა უნდა, გაცილებით ჩამოუვარდებიან აღმოსავლეთი ნაწილის მთებს, — ზოგიერთი მხოლოდ 5000 მეტრს აღწევს, მაგრამ ამავე დროს დასავლეთი უბნის მწვერვალები აღემატებიან აღმოსავლეთისას სილამაზითა და სიციცაბოვით.

განსაკუთრებით დიადია შეთოვლილი წვეტი ერთ-ერთი ხეობის სიღრმეში. ყიზილსუს ხეობა განაგრძობს შევიწროებას, თანაც სამხრეთ-დასავლეთისაკენ უხვევს.

ერთგან გვიხდება გადასვლა პატარა უღელტეხილზე (2250 მ), რომელიც მდებარეობს მარჯვნიდან (ალაის ქედიდან) წამოსულ სერზე. უღელტეხილამდე პატარა ტბის გავლა მოგვიხდა, რომლის ფსკერიდან გრუნტის წყლები ამოჩუხჩუხებენ. აქვეა ყიშლაღი, სადაც ცოტაოდენი ჰაირანი დავლიეთ.

მექარავნეებმა მოითხოვეს დაბანაკება, მაგრამ ბარხაშმა მკაცრი უარი უთხრა გაჩერებაზე.

უღელტეხილზე არის ბუჩქნარი და ნათესები.

უღელტეხილიდან დაიწყო საკმაოდ სახიფათო ბილიკი. ალაგ-ალაგ მხედარი ძნელად თუ გაივლის, ამიტომაც ცხენები სადავით მიგვყავს. სადღაც ძირს სწრაფი დინებით მიექანება მღვრიე ყიზილსუ, რომელიც აქ უკვე წითელი კი არა, ყვითელი ფერით განირჩევა.

ხეობის გვერდობებზე მოჩანს თხელი (როგორც ბოტანიკოსები იტყვიან, „ნათელი") ტყე-ნეკერჩხალი, არყი, კუნელი, კარგად გამოსახული ბალახეული „სართულით".

განზრახული გეგმა ვერ შესრულდა, — ვერ მივაღწიეთ აჩიყ-

ალმას. შევჩერდით ანკარა მდინარესთან, რომელიც ყიზილსუს მარჯვნიდან შეერთვის. ხეობიდან თვალი მოვკარით პეტრე დიდის ქედის რომელიღაც მედიდურ მწვერვალებს, რომლებიც არ გავდა ჩემს მიერ დღემდე შუა აზიაში ნანახ მთებს.

კარნიზებზე გამოვლისას სამ ტვირთიან ცხენს ფეხი დასხლტომია და ფერდობზე დაგორებულან, ეს მოხდა შედარებით უხიფათო უბანზე, — ცხენებიც და ტვირთიც უზიანოდ გადარჩა.

ნაკადულზე პირი დავიბანე, რის გამოც სახეზე კანი დამეჭიმა. უსიამოვნო შეგრძნებაა! გადაწყვეტილი მაქვს, რაც შეიძლება იშვიათად ვიბანო პირი.

12 აგვისტო

გუშინ დილით ნინა მოსკვინამ ფუნდუკის კედელზე („დუვანაზე", ე. ი. ტალახისა და აქლემის ნეხვის ნარევისაგან ამოყვანილ კედელზე) მორიელი დაიკირა. ნინა შუა აზიაშია გაზრდილი და მისთვის ღრიანკალთან შეხვედრაში მოულოდნელი არაფერი იყო.

სულ სხვა რეაგირება ჰქონდა შხამიანი არსების ნახვისას ჩვენს ჩეხს — ანტონ ცაგს. მას ღამე დაესიზმრა, რომ მის შუბლზე მორიელი დაცოცავდა.

ვორობიოვმა, რომელიც იმ დროს საგუშაგოზე იდგა, დაინახა, რომ ცაგისა და ფრიდის კარავი უცნაურად აღიმართა, — ანტონს მორიელი „დაეჭირა" და მძლავრი მოქნევით კარავიდან „გაეტყორცნა". ცაგმა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაიჯერა, რომ მისი „მორიელი" ღრმა შთაბეჭდილებებით გამოწვეული ზმანება იყო.

დილით ციოდა, უმრავლესობა უკარვოდ ვიწექით, ამიტომაც ზლაზვნით წამოვდექით. მიუხედავად ამისა, ბანაკიდან შედარებით ადრე გავედით.

ისევ დაიწყო ყიზილსუს მოსხლეტილ მარჯვენა ფერდობზე გაბმული ბილიკები. ამჯერად ჩვენ მივადექით ნამდვილ „ოვრინგებს".

ოვრინგი ეწოდება ხელოვნურ ნაგებობას, აივანს, რომელიც კეთდება კლდეებში შეკრილ ძელებსა და მორენებზე ქვების, ფიჩხის ან მიწის დაყრა-წყობით. გრძელი ოვრინგებია გაკეთებული მდინარეებთან — ფიანჯის, ბართანგის და სხვათა კლდეკარებში.

როდესაც ჩვენ ოვრინგებს მივადექით, ბარხაშის განკარგულებით ერთ-ერთი მექარავნე, შემხვედრი მგზავრების შეჩერების მიზნით წინ წავიდა. მართალია, შემხვედრი ქარავნების მიერ ერთიმეორისათვის

გვერდის ასაქცევად ოვრინგებთან ხელოვნური გამოქვაბულებია გამოკაფული, მაგრამ დიდი ქარავნების გავლისას ეს თავშესაფრები პრობლემას ვერ წყვეტს და აუცილებელი ხდება გზის სრული განთავისუფლება საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი მგზავრებისაგან.

ნაცადი ყირგიზული და უიღურული ცხენები ყურებდაცქვეტილნი გულდასმით სინჯავენ ბილიკს და ფრთხილად (ვიტყოდი „ფაქიზად") აბიჯებენ ფეხებს. პიტალო კლდეზე ჩლიქები უსხლტებათ და ნალებით ნაპერწკლებს კვესავენ.

მექარავნეები სათითაოდ უშვებენ ცხენებს ბილიკზე და თვალყურს ადევნებენ, რომ ცხოველებმა არ მოინდომონ ერთმანეთის გასწრება, ტვირთით კლდეს არ გამოედონ და უფსკრულში არ გადაიჩეხონ.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, ერთი ძროხა მაინც გადაგვეჩეხა ოვრინგიდან. ადამიანი რომ ყოფილიყო მის ადგილას, აშკარად დაიღუპებოდა, ძროხა კი გადარჩა. ყაშღარელები ქარაფზე დაეშვნენ და მოძებნეს საბრალო პირუტყვი, რამდენიმე ალაგას ტყავი გაგლეჯოდა და სისხლი სდიოდა. დიდი წვალებით ამოათრიეს ძროხა გზაზე.

„ოვრინგული განცდები" თითქმის არ გვიტოვებდნენ დროს ბუნებაზე დაკვირვებისათვის. მაგრამ მაინც შევნიშნეთ, რომ ყიზილსუს ხეობის ამ მონაკვეთიდან, სამხრეთის მიმართულებით კარგად მოჩანდა პეტრე დიდის ქედის მწვერვალები. რუკაზე დახედვით ეგებულობთ, რომ ესაა ტინდალის, აგასიცისა და სევერცოვის (ინგლისელი და შვეიცარიელი მყინვართმცოდნეებისა და პამირის ცნობილი რუსი მკვლევარის) სახელობის „პიკები".

ყიზილსუს ოვრინგებიდან სამხრეთისაკენ მოჩანდა ავღანეთის ტერიტორიაზე მდებარე მთა — ტირაჩ-მირი — ჰინდუკუშის მთაგრეხილის უმაღლესი მწვერვალი. განგაცვიფრებთ სვეტივით ამართული, ყინულით შელესილი ეს ტიტანი.

ოვრინგები რომ გავიარეთ, შემოგვხვდნენ ვაშლით დატვირთული ცხენები, — მათ აჩიყ-ალმიდან ვიტამინი მიაქვთ ალაის ველზე უხილოდ მყოფი ყირგიზებისათვის.

ვუახლოვდებით აჩიყ-ალმას. სოფლის მახლობლად ხეობის ფსკერიდან „უაზროდ" ალმართულა კლდე — ნაშთი მდინარისა და ნიაღვრების მიერ გადარეცხილი ქანებისა.

ამ კლდის მარჯვნივ მალე დავინახეთ დაცემული ვაკე და მწვანეში ჩაფლული პატარა სოფელი. სოფლის მახლობლად არის გოგრის, ცერცვის და სიმინდის ნათესები. თავად სოფელი სავსეა ალვის-

ხეებითა და ვაშლით. იგი სასიამოვნო დასანახია ალაის ველის უბადრუკი სამოსახლოების შემდეგ.

ალვის ხეების ჩრდილში ვაშლით ვიჯერეთ გული, ჩაი დავლიეთ, დავისვენეთ და გზა განვაგრძეთ.

ახიუ-ალმის ყანებში ჩვენი ყურადღება მიიპყრეს უცნაურმა მწერებმა. მათი მსგავსი კავკასიაში არ მინახავს. გარეგნული შეხედაობით ისინი არ განსხვავდებიან ბალახის ან ჭირნახულის ღეროთა ნატეხებისაგან. ეს „ნატეხები“ იწყებენ ცოცვას თქვენს ხელზე და თავს გაზიზღებენ. რუსულად „палочник“ ჰქვიან.

რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ბილიკი მიდის ინტრუზიული (დედამიწის გაჭარვარებული წიაღიდან ქერქში შემოჭრილი, შემდეგ გაცივებული და გაშიშვლებული) მასივის გასწვრივ. გზის ორივე მხარეზე ყრია სიენიტის (ინტრუზიული ქანის) უზარმაზარი ლოდები, დიდი სიმაღლიდან დაჰყურებს პიტალო კლდე.

მარცხნივ ჩნდებიან იშვიათი სიდიადის, თოვლიანი მწვერვალები და მყინვარები. ასეთ სურათს ძნელად თუ ნახავ კავკასიონზე. 6000-მეტრიანი მწვერვალები ციცაბო ზღუდედ ამართულან. აქვეა კრილენკოსა და შჩერბაკოვის ზვიადი პიკები თავისი მეზობლებით, — არც ერთ მათგანზე ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა[1].

იძულებულნი ვართ ყიზილსუზე გადებულ ბოგირზე გადავიდეთ, რადგან ხიდი იზნიქება. საჭირო გახდა რიგის მოწყობა გადასვლისას, ამან კი დიდი დრო წაგვართვა.

შეუმჩნევლად დავწინაურდი (ჩემს „ბასმაჩს“ კარგი ნაბიჯი აქვს) და დავედევნე წინ მიმავალ ჩვენს ქარავანს. გზა მინდორზე გავიდა.

ჩემგან 50-იოდე ნაბიჯზე დაეშვა და დაჯდა ვეებერთელა არწივი. რამდენიმე წამში ცხენიდან ჩამომხტარი და კარაბინმომარჯვებული ვიყავი. ერთბაშად გამახსენდა, რომ ჩემი გასროლა ამხანაგებმა შეიძლება ხიფათის ნიშნად მიიღონ და შიში განიცადონ. ყოყმანის შემდეგ გულდაწყვეტილმა უარი ვთქვი არწივის მოკვლაზე...

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც უკვე წინ ვიყავი წასული, თოფი გავარდა. როგორც შემდეგ გავიგე, ტრაუბეს იმავე არწივისათვის უსვრია, მაგრამ აუცდენია.

ხშირად გვხვდება ბაღებში ჩაფლული სოფლები. აქ უკვე ტაჯიკეთია. აგერ, ნორჩი ალვის ხეების და ვერხვების საუცხოო ტევრი.

---

[1] ხელოვნებაშია 1932 წლის არსებული მდგომარეობა.

დუვანების წინ მოჩანან ცხენები, ძაღლები. ახავრები, აქლემები, ძროხები. სოფლის ირგვლივ აზვირთებულან შემოსული ყანები.

ვიბანაკებთ ზემო და ქვემო ლიახაშს შორის, ზღვის დონიდან დაახლოებით 1700 მეტრის სიმაღლეზე, გათიბულ მინდორზე.

სამხრეთისაკენ მოჩანს დაბალი სერი, რომელიც ყიზილსუს მუქ-სუსაგან გამოჰყოფს, ხოლო მის გაღმა — კრილენკოს პიკი და ოთხი უსახელო (5000 მეტრზე არანაკლები სიმაღლის მქონე) მწვერვალი.

მორიგეებად დაგვნიშნეს მე, ნედოკლადოვი, რუბინსკი და ვალ-ტერი. უმრავლესობა ვიძინებთ ღია ცის ქვეშ, ბალახზე გაფენილ კარ-ვებზე.

18 აგვისტო

ღამე გუშაგობაში დამათენდა. ვუყურე „ცისკრის ვარსკვლავის" ამოსვლას. ჯერ კიდევ 5 ს და 30 წ. სამხრეთის მხრიდან გამოიხაზნენ კრილენკოს პიკი და მისი მეზობელი მთები. 6 ს. 30 წუთზე კრილენ-კოს პიკი ოქროსფრად მოვარაყდა.

დღეს უსახელო უღელტეხილით (უფრო ზუსტად რამდენიმე უღელტეხილის გადალახვით) გადავალთ სოფელ დევსიარში, სადაც გავიყოფით ორ ჯგუფად.

ბანაკიდან 10 საათზე გამოვემგზავრეთ. ზემო ლიახაშთან ვნახეთ ტაჯიკთა სასაფლაო. თითოეულ სამარეზე წამოდგმულია მაღალი სარი წვერზე მიბმული ფერადი ქსოვილის ნაჭრით. ერთ სარზე ჩაის სასმე-ლი ფაიფურის ფიალა იყო ჩამოცმული. საფლავები გარშემორტყმუ-ლია დუვანის სწორკუთხედით.

ბილიკმა მარცხნივ ხეობაში შეუხვია და აღმართს შეუდგა. ბა-ლახზე აუარებელი კალია ხტუნავდა. ავიარეთ ნათესებიანი ორი ტა-ფობი და გადავლახეთ ორი დაბალი სერი, საიდანაც მოჩანდა კრი-ლენკოსა და შჩერბაკოვის პიკები. ამის შემდეგ ბილიკი გავიდა ოღრო-ჩოღრო ადგილებში.

სანამ უკანასკნელ (უმაღლეს) სერს შევუდგებოდით, ერთ-ერთ ტა-ჯიკურ ბინაში ჰაირანი დავლიეთ. ბარხაშის ცხენმა ჭაობში წაიბორძი-კა და თავისი მხედარი გადმოისროლა.

დანიშნულ დროზე ადრე ავედით უღელტეხილზე, სადაც ვორო-ბიოვის ანეროიდმა 3200 მეტრი გვიჩვენა.

აქედან დავინახეთ პეტრე დიდის ქედის ნაწილი. განსაკუთრებით კარგად მოჩანდა შჩერბაკოვის ზვიადი პიკი, — მოზრდილი მყინვარით, რომელსაც ბოლო ღორღით აქვს დაფარული. უფრო აღმოსავლეთით

მცოცავი მყინვარის ენის წინ მოჩანს ნაცრისფერი მძლავრი ბოლო-მორენა. მარადიული თოვლის საზღვარი აქ დაახლოებით 4100 — 4200 მეტრის სიმაღლეზეა.

ძირს მოჩანს მდინარე მუქსუს ხეობა დამახასიათებელი ტერასებით. პეტრე დიდის ქედის აღნიშნული ფერდობი ხასიათდება ციცაბო ყინვარდნილებით და ჩამოკიდული ფირნებით, როგორებსაც შედარებით იშვიათად შეხვდებით ჩვენთან, კავკასიონზე. სამაგიეროდ, აქ პამირზე, მახვილი მწვერვალები იშვიათია.

ჩვენი უღელტეხილის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე აღმართულია ოდნავ შეთოვლილი მწვერვალი მუსდაღი (დაახლოებით 5000 მ), რომლიდანაც ბარხაშის თქმით, გადაშლილია ვრცელი პანორამა.

სოფელი დევსიარი მდებარეობს ვაკე ტერასაზე (დაახლ. 2200 მეტრი ანეროიდის ჩვენებით) — მდ. მუქსუს მარცხენა ნაპირზე და გარშემორტყმულია ნათესებით.

გზა უღელტეხილიდან დევსიარისაკენ მეტად ციცაბოა, ამიტომ მოელი დაღმართი ქვეითად ჩამოვიარეთ, ცხენები სადავით მოგვყავდა.

მუქსუზე გამოვედით ჩვეულებრივი „ბეწვის ხიდით“.

მუქსუ მღვრიე და მრისხანე მდინარეა. მისი ნაპირების მახლობლად გამოედინება რამდენიმე ვეძა (მლაშე წყარო).

14 აგვისტო

წუხელ წამოწვიმა და იძულებული გავხდით ფაცხაფუცხით გაგვემართა კარვები.

დღეს მთელი დღე დევსიარში უნდა დავრჩეთ, ამიტომაც ადგომას არავინ ჩქარობს. დილა მზიანია, მაგრამ ქარიანი.

საუზმის შემდეგ იწყება საპურველისა და სურსათის გაყოფა-განაწილება, რასაც მთელი დღე უნდება.

ჩვენი ბანაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულა გაორებული შავი, კლდოვანი მწვერვალი, არანაკლებ 4000 მეტრი სიმაღლისა.

ჩვენს სურსათში შედის: ბრინჯი, მაკარონი, კარაქი, ზეთი, შაქარი, შოკოლადი, გალეტი, ნაირ-ნაირი კონსერვები (ძროხის ხორცი, ენა, თევზი, პომიდორი, წიწაკა), კაკაო, ჩაი, ყავა, ბულიონი „მაგგი“, კანფეტი, ყველი, შაშხი, გამხმარი კომბოსტო, ჩირი (გარგარი, ქიშმიში, ალუბალი) და სხვ. და სხვ.

საწვავად მიგვაქვს გერმანული „მეტა“ (ხმელი სპირტი), ნავთი; დენატურატი, სამწუხაროდ არ მოგვეპოვება.

დილით ჩვენს ბანაკთან გაიარა ორმა ოქროს მაძიებელმა ყვითელი ლითონის გამოსარეცხი მოწყობილობებით. ერთმა მათგანმა კიდევაც დაგვანახა მის მიერ შეგროვილი ოქროს ფხვნილი.

ხვალ ყველა დარჩება მუქსუს ხეობაში, გარდა ჩვენი ჯგუფისა (ბარხაში, ვორობიოვი, ცაგი და მე). ნედოკლადოვი და ფრიდი დევსიარზე დაყრდნობით გამოიკვლევენ პეტრე დიდის ქედის ჩრდილო ფერდობის მყინვარებსა და ხეობებს, ამისათვის აპირებენ ასვლას მუსდაღზე, რომელიც ტრანსალაის სისტემას ეკუთვნის. იქიდან წინასწარ დაათვალიერებენ პეტრეს ქედის მყინვარებს, რის შემდეგ შეუდგებიან ძირითად მუშაობას (შა-გეზის, ფორთამბეკის. საღრანის. მუშკეტოვის მყინვართა კვლევას). ჩვენ კი განვაგრძობთ გზას, გადავლახავთ გარდანი-ქავთარის უღელტეხილს და გავეშურებით მდინარე ხინგოუს სათავეებისაკენ.

ჩვენი ამოცანაა გამოვიკვლიოთ ხინგოუს წარმოსადენებში მდებარე მთები და მყინვარები — ღარმოს კვანძის მთელი დასავლეთი მხარე (შეძლებისდაგვარად — უღელტეხილები ფედჩენკოს მყინვარისაკენ), ვანჯის სათავეები, პეტრე დიდის ქედის სამხრეთი მყინვარები; ავიდეთ ევგენია კორჟენევსკაიას პიკზე (რომელიც შეიძლება მთა ღარმოზე მაღალი გამოდგეს) და მოვძებნოთ ხინგოუს აუზიდან მუშკეტოვის მყინვარზე გადასასვლელი უღელტეხილი. ამრიგად, შეიძლება მოგვიხდეს ასვლა 7000 მეტრის სიმაღლემდე.

პამირის ექსპედიციის ვეტერანებისაგან გაგონილი მაქვს ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ იქნა მონათლული პამირის უსახელო მწვერვალი. მრავალი სახელწოდება 1928 წელს შეიქმნა, საბჭოურ-გერმანული ექსპედიციის შედეგად. პროფესორ ვილი რიკმერ-რიკმერს და მის თანამგზავრ გერმანელებს (ფინსტერვალდერ უმცროსს, ბორხერსს, ალვაინსა და სხვებს) მოუთხოვიათ ნებართვა ზოგიერთი მწვერვალისათვის დაერქმიათ გერმანული სახელები (მაგალითად, ბისმარკის ჰიკი, და ა. შ.). როდესაც ფინსტერვალდერი თავის რუკის გამოსაცემად ამზადებდა და მისი ესკიზი მოსკოვში გამოგზავნა დასამტკიცებლად, კრილენკომ გერმანული სახელები დატოვა რუკაზე, მაგრამ ბისმარკი მარქსით შეცვალა, ფრიდრიხ დიდი — ფრიდრიხ ენგელსით და სხვ. პამირის რუკაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფუძემდებლების (ლენინის, ძერჟინსკის, კრასინის, ვოლოდარსკის) გვერდით გერმანელი რევოლუციონერების — კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის სახელებიც აღიბეჭდა.

ჩვენს ბანაკში შემოიარა ოქროს მაძიებელმა — 80 წლის ყირ-

გიზმა შამსიმ. იგი მთელი დღე ოქროს რეცხავდა მდინარე მუქსუზე. მისივე თქმით. იგი თვეში ერთ კილოგრამამდე ოქროს პოულობს. მოპოვება ხდება ძალიან პრიმიტიული („ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი") მეთოდებით.

შამსი ჰპირდება ტრაუბესა და ნედოკლადოვს ქიიკებზე სანადირ-ოდ წაყოლას.

შამსის დახმარებით ვცდილობ გავერკვიო აქაური ტოპონიმების სწორ დაწერა-წარმოთქმაში. მდინარე, რომელთანაც დევსიარი მდებარეობს, ყოფილა არა მუუკსუ, და არც მუქსუ, არამედ მოგვსუ (ცეცხლის კულტის ქურუმების — მოგვების სახელწოდებიდან). „პეშამგარი" სწორი გამოთქმით იქნება ფაშიმღარი, ხოლო პეტრე დიდის ქედზე არსებული უღელტეხილის სახელწოდება „გჲარდანიქავთარ" ნიშნავს მტრედის თუ გედის კისერს.

შამსი გამყოლად იმუშავებს გეოლოგ მოსკვინთან.

საღამოთი ჩვენს ექსპედიციაში საგანგებო შემთხვევა მოხდა. ნინა მოსკვინამ ჰაერში საეკვო სუნი იყნოსა — ვიღაც ჩვენს ბანაკში ანაშას ეწეოდა. ძებნამ მიგვიყვანა ყაშღარელ მექარავნეთა კარავთან. შესასვლელში ტანზორბა მექარავნე ზურგზე დაწოლილიყო, თვალები მიეხუბა და თავთან დაედგა კონსერვის კოლოფი; შიგ იყო ნარკოტიკის პატარა გუნდა ნაკვერცხლითა და მცენარის მილისებური ღერით. ნარკომანს იმავე დღეს საექსპედიციო ანგარიში გაუსწორეს და გაისტუმრეს.

ჩვენ გადავდივართ პეტრე დიდის ქედზე

15 აგვისტო

მშვენიერი დილაა: ჩვენი ჯგუფის წევრები 7 საათზე წამოვიშალეთ. ჩვენი ხათრით ადგა ტრაუბეც. სხვათა შორის, ტრაუბეს დედა ქართველი ჰყოლია.

წავისაუზმეთ ხორცის კონსერვით და შევუდექით გასამგზავრებლად მზადებას. თბილი გამომშვიდობების შემდეგ, 10 საათზე გამოვედით დევსიარიდან.

წამოსვლის წინ მამაჯანს, ბარხაშს და რუბინსკის კამათი ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ რომელი ძაღლი წაგვეყვანა ფაშიმღარში.

სხვათა შორის, ყირგიზისაგან შეძენილი „ალაი" აღარ გვყავს,

იგი გააძევა ზორბა ქოფაკმა „კოხტაიმ", რომელიც სადღაც აჩიყ-ალ-მასთან აეკიდა ჩვენ ქარავანს. გარდა ამისა, გზაშივე აგვედევნა (დიდ არს, საკვებო, ძალი შენი!) ახალგაზრდა ძუკნა — მეორე „ალაი". კამათის შემდეგ კოხტაიმ ჩვენ გვერგო და ძუნძულით გამოედევნა თავის კეთილისმყოფელ მამაჯანს.

უზბეკი მუშებიდან ჩვენ, მამაჯანთან ერთად, აბობაქრი და სადირბაიც მოგვყვებიან, ხოლო ჯურაბაი მოსკვინის ჯგუფთან რჩება.

ბევრი არ გვივლია, მივადექით ყინვარულ მდინარე შაგეზის. ფონში გასვლის დროს ვორობიოვი ცხენიდან წყალში გადავარდა.

რომელიღაც ყიშლაღთან მარცხნივ გავუხვიეთ და გრძელ ალმარის შევუდექით. ალმოსავლეთისაკენ გადაიშალა მუქსუს ხეობისა და პეტრე დიდის ქედის მოკლე პერსპექტივა. ყურადღებას იზიდავს ფრიად მაღალი პირამიდისებური მწვერვალი, რომელიც თეთნულდის ხეს მაგონებს, იმ განსხვავებით მესტიისაგან, რომ სვანეთის მთაზე თოვლყინული უფრო უხვადაა, ვიდრე აქ.

გზადაგზა გვხვდება მომთაბარე ყირგიზთა იურთები. ბილიკი მეტად დახლართული და უსწორმასწოროა, — ჰკვეთს რამდენიმე სერს, ხეობას, ტაფობს.

თვალში გვეცემა მცენარეულობის განსხვავებული, კონტრასტული ხასიათი. ჩრდილოეთისაკენ დახრილი ფერდობები შემოსილია შედარებით უხვი მცენარეული საფარით, ხოლო სამხრეთი ფერდობები თითქმის მოშიშვლებულია. რამდენიმეჯერ შემოგვესმა სღურების (ზაზუნების) თავისებური ჭყვიტინი, რომელიც წყვეტილ სტვენას მაგავს.

ჩასვლა მოგვიხდა იმ ხეობაში, რომლის სათავეშიც მდებარეობს სეევერცოვის პიკი და ოშანინის მყინვარი. ხეობაში შემორჩენილი უზარმაზარი ძველი მორენა, ამჟამად არჩისა და კოწაბურის ბუჩქნარით და ბალახით რომ არის დაფარული.

მდინარეზე გადებულია მარტივი ხიდი.

ამ ხიდის მახლობლად მყინვარულ მდინარეს შეერთვის მოზრდილი შენაკადი. ხერთვისში გაჩენილა სავსებით ბრტყელი ვაკე, რომელიც ყანებითაა დაფარული.

ვაკის ნაპირზე დავინახეთ კაცი, რომელიც გაცხარებული იქნეა და კომბალს და თან ყვიროდა. ჯერ შეშლილი გვეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ იგი ყანაზე მისეულ ფრინველებს აფრთხობდა.

ბილიკმა შეუხვია შენაკადის ხეობაში. ავიარეთ მოშაბეზრებელი ალმართები, მოქანავე ხიდით გადავედით მდინარის მარცხენა

ნაპირზე, შემდეგ ისევ პატარა აღმართი... მოულოდნელად ოავი ამოვყავით ფართო მოვაკებულ ტაფობში, რომლის ფსკერზე მოჩანდა იურთები დაძოვით გართული საქონელი.

გადავწყვიტეთ ამ ტაფობში დაბანაკება.

სანამ კარვებს გმართავდით, ჩვენს ირგვლივ ყირგიზები შემოიკრიბნენ. ისინი თვალს ადევნებდნენ ჩვენს საქმიანობას, ყურადღებით



ნახ.12 ოშანინის მყინვარის ძველი ხეობის განივი ჭრილი

სინჯავდნენ ფოტოაპარატებს, საძილე ტომრებს. როდესაც ბანაკის მოწყობას მოვრჩით, ერთ-ერთმა ყირგიზმა ყველა შეგვიპატიჟა თავის იურთაში. ბარხაშმა საიდუმლოდ გვირჩია კარაბინების წაღები ფარდაგზე ფეხმოკეცილებს შემოგვთავაზეს კარგი ხმიადები, რძე, ქოქჩაი, კარაქი და შემწვარი ცხვრის ხორცი.

მასპინძელი, რომელსაც „ისპალკომს“ ეძახდნენ, ფანდურის დაკვრით გვართობდა, ხოლო ჩვენი მზარეული მამაჯანი „უმავთულო კავშირს“ აბამდა ჩვენსა და რუსულის სუსტად მცოდნე ყირგიზებს შორის.

ჩვენი ბანაკის მიდამო გაჭედილია ზაზუნების სოროებით. პამირის დამახასიათებელ გეომორფოლოგიურ თავისებურებას შეადგენენ ისეთი დაცემული ვაკეები და ტაფობები, როგორზეც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით. ამგვარ ვაკეებს მგზავრი მოულოდნელად წააწყდება ხოლმე. ჩემი შეხედულებით, მათი უმრავლესობა ნატბეურვებს უნდა წარმოადგენდნენ. ზაფხულობით ყველა ეს ვაკეები წარმოადგენენ

ჯაილაუებს, ი. ი. საძოვრებს, სადაც იდგმება მომთაბარეთა იურთები.

ყირგიზებისაგან ვიყიდეთ ცხვარი. მექარავნეებმა ოსტატურად გაატყავეს და გამოშიგნეს. ამუშავდა მამაჯანის „ჯადოქრული ლაბორატორია“. როგორც ჩანს, კარგი ვახშამი გველის.

მ ი ნ ა წ ე რ ი: „საუბედუროდ“, ყირგიზებმა მოგვიტანეს „კატლამა“—ქადის მსგავსი ნოყიერი ნამცხვარი, რომლითაც მე ლაზათიანად დავნაყრდი და, როდესაც ვახშამი დამზადდა, მისი ჭამის თავი აღარ მქონდა.

ბარხაში ამბობს: „თუ ხვალ მდინარე ყარაშურაზე ფონის დაძლევა მოვახერხეთ, ალბათ გარდანი-ქავთარის უღელტეხილის გადალახვასაც მოვახერხებთ“.

ვორობიოვის ანეროიდი ჩვენი ბანაკის აბსოლუტურ სიმაღლეს 3080 მეტრად საზღვრავს. ვორობიოვის ანეროიდს კი კაცი შეიძლება ენდოს.

16 აგვისტო

საუცხოო დილაა.

სევერცოვის პიკი მზის შუქზე თვალმომჭრელად ელვარებს. მისი აღმოსავლური წიბო წარმოადგენს ციცაბო საფეხურებიან თოვლიან აღმართს, რომელიც მწვერვალთან ვერტიკალური კლდეებით არის მოზღუდული. მწვერვალის ჩრდილო-დასავლეთით მოჩანს თოვლიანი უნაგირა და ტრაპეციისებური მხარი.

თვალდათვალ „ეზომავ“ დიადი მწვერვალის სიძნელეს. ჩემი აზრით, მწვერვალზე ასასვლელი „გზა“ უნდა მიდიოდეს ხსენებული უნაგირიდან, — ამ მარშრუტზე საეჭვოა მხოლოდ ერთი უბანი (გადასვლა თოვლიდან სამწვერვალო თხემზე), რაც შეეხება უნაგირიან ასვლას, ეს ჩრდილოეთის მხრიდან მეტად საძნელო საქმეა, და, უფრო აჯობებს, მხარის ტრავერსის საშუალებით შესრულდეს.

ბანაკიდან გამოვედით 10 ს. 20 წ.

გზის საჩვენებლად გამოგვყვა ცხენოსანი ყირგიზი — სავსებით უკბილო (ბავშვობაში ცხენის წიხლს ჩაუმტვრევია ყველა კბილი). მან მიგვაცილა ბილიკგასაყრელამდე, გვიჩვენა ჩვენი გეზი, დაგვემშვიდობა და მეზობელ ჯაილაუსაკენ გააფრინა თავისი უბელო ბედაური.

ჩვენს წინ, მარცხნივ და უკან თანდათან გაიშალა მაღალმთიანე-

თის შთამბეჭდავი პანორამა: სეევერცოვის პიკი, რომელსაც უკვე ძველ ნაცნობად ეთვლით, მისი მეზობელი კლდოვანი ქედი; დასავლეთისაკენ — ტინდალის პიკი (მაღალი მწვერვალი, რომელიც თეთნულდს მიაგავს და დაახლოებით 6700 მეტრი სიმაღლისა უნდა იყოს).

გზადაგზა გვხვდებიან აზავრები, ძროხები და მათი ჰიბრიდები („კუტასები"). ნელი სვლით ავედით პეტრე დიდის ქედის ერთ-ერთი შტოქედის დადაბლებულ თხემზე, სადაც ვორობიოვის ანეროიდმა 3300 მეტრი უჩვენა.

ამ უღელტეხილის მახლობლად შემოგვხვდა ყირგიზთა საქორწილო ქარავანი: ცხენები, აქლემები, აზავრები. წინ ცხენს მოაგელვებდა ზიზილ-პიპილებით მორთული პატარძალი, რომელსაც ჩამოეფხატა ხალიჩისებური ფარანჯა (ჩადრი). მიკვირდა, მისი სიმძიმით ქალს კისერი რომ არ წყდებოდა. მხლებელ მაყარ ქალებს თავზე გოდორივით დიდი, აწოწილი, გაკამკამებული თეთრი ქსოვილის ჩალმები ეხურათ, — თითოეულ მათგანში, მამაჯანის განმარტებით, ცხენიანი მხედრის გახვევა შეიძლება. თუ ყირგიზებს მიაჩნიათ, რომ ასეთი თავსაბურები ამშვენებენ მათ ქალებს, სასტიკად სცდებიან.

საქორწილო ქარავანი მოძრაობს ჩუმათ, საქმიანად, ყოველგვარი მუსიკისა და შეძახილების გარეშე.

აქედან ჩვენ თავი ამოვყავით მდინარე ყარაშურას აუზში. ჩვენს გასაოცრად, სეევერცოვის პიკმა სწრაფად შეიცვალა ფორმა და ამით მთელი ჩვენი მსჯელობა მასზე ასასვლელი გზების შესახებ საპნის ბუშტივით გაქარწყლდა. „მწვერვალის" ზევით ამოიზარდა მასზე უფრო მაღალი „კბილი", რომელსაც მისადგომი სამხრეთიდან უჩანს.

ჩრდილო-დასავლეთისაკენ გამოჩნდნენ ალაის, თურქესტანისა და ზერავშანის ქედების მწვერვალები იშვიათი მყინვარებით.

პეტრე დიდის ქედიდან ჩამომავალ ხეობებში ბევრგან ეხვდებით მძლავრ ძველ მორენებს, რომლებიც უკვე მცენარეულობითაა შემოსილი. ცხადად ეტყობა გასწვრივი მორენების მოძრაობის მიმართულება.

ყარაშურას აუზის ზემო ნაწილში მდებარეობს თუფჩექის ვრცელი პლატო და ზედ ყირგიზულ ბინათა დიდი ჯგუფი. აქაა ყარაშურას მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კარვებიც.

პეტრე დიდის ქედზე ამოიზლაზნა ახალი მწვერვალი — სელდითაუს ლამაზი ფოვლიანი პირამიდა.

მდორე და კლაკნილი მდინარის კიდეზე დავინახეთ თეთრი ქორი, რომელიც ლოდზე იჯდა და თევზებს უთვალთვალებდა. ჩხაკ! —

დაიძახა ჩემი კარაბინის საკეტმა. თოფი გავარდა. მოკლული მტაცებელი „ბასმაჩის“ უნაგირს ავკიდე და მის ფრთებს ინდიელთა ბელადივით მივაფრიალებდი.

ჩავიარეთ დაღმართი და ყარაშურას ფონს მივადექით. რადგან ეს მდინარე დიდი მყინვარიდან გამოდის, ამ ნაშუადღევზე ის ძლიერ ადიდებული იყო. აბობაქრიმ შეძლო ფონს გასვლა. უეჭველია, დილის საათებში აქ მთელი ქარავანიც გავიდოდა, მაგრამ ბარხაშმა ამჯობინა ხიდით შემოვლა.

საღამოს ექვს საათზე დავიბანაკეთ ხიდის მახლობლად. ბარხაშის ფაშატი ზედმეტი ჯაფისაგან გაბერწდა და მკვდარი კვიცი შობა.

ჩვენი განზრახვა, რომ დღესვე გარდანი-ქავთარის უღელტეხილზე გადასვლა მოგვესწრო, ჩაიფუშა. ახლა, ანეროიდის ჩვენებით. 2850 მეტრის სიმაღლეზე ვართ.

17 აგვისტო

ავდექით 7 ს. 30 წ.

ამინდი მშვენიერია — პამირის ჩვეულებრივი ამინდი.

გამოვედით 9 ს. 40 წ.

ხიდზე გადასვლის შემდეგ, ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე ყარაშურას მარცხენა ნაპირის გასწვრივ, წყალღმა ვმოძრაობდით. ამის შემდეგ ხელმარჯვნივ გავუხვიეთ და შევუდექით აღმართს ბალახოვან ფერდობებზე.

400 მეტრით მაღლა ფერდობმა გაივაკა, შემდეგ კი გზა გადაგვიღობა ზიურუ-ზამინის ხეობამ. მის სათავეში მოჩანდა დიდი მყინვარი, რომლის ქვემო ნაწილი საკმაოდ ფართოა და ზედაპირული მორენით დაფარული. თვით ხეობასაც ატყვია ძველი გლეტჩერების ნამუშევარი (ერატიკული ლოდები და სხვ.). მდინარე განაგრძობს ეროზიას და ხეობას კიდევ უფრო აღრმავებს (ამავე დროს ხეობის განივკვეთის ფორმა იცვლება).

ხიდით გავედით მდინარეზე, ავიარეთ აღმართი და წავადექით კიდევ ერთ ხეობას, რომელსაც ორი მდინარე ქმნის. მასში მოჩანს თოვლის ნაზვავები. მარჯვენა ხეობას ეწოდება ფული-სანგინი. ეს ხეობა საყურადღებოა ტექტონიკური და გეომორფოლოგიური თვალსაჩინოების მხრივ. მოჩანს ნაირ-ნაირი ნაოჭები და ნასხლეტი, მაღლა კი „კარები“ — გამქრალ მყინვართა კალაპოტები. აქაური მყინვარები აშკარად გადაგვარების გზას ადგას.

უცებ დავინახეთ სამი ვირი, გამყოლი უზბეკი და რუსი მხედარი. ისინი ბარხაშისა და ვორობიოვის მოსკოველი ნაცნობები აღმოჩნდნენ. ისინიც ტაჯიკეთის კომპლექსურ ექსპედიციაში შედიან. ერთი მათგანი პერლინია, რომელიც ვორობიოვთან ერთად მონაწილეობდა 1930 წ. თეთნულდზე ასვლაში. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ერთმანეთს დავშორდით.

მივედით ხეობის მარჯვენა მხარეს. უბერავს მძაფრი ქარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბალახზე უამრავი კალია დახტის.

თოვლის ბუნებრივი ხიდით გადავედით მდინარის მარცხენა ნაპირზე და შევუდექით საუღელტეხილო აღმართს.

მარჯვნივ გამოჩნდა კლდოვანი მწვერვალი, რომელმაც ცოცხლად წარმომიდგინა უშბა იმ სახით, როგორითაც იგი მესტიის შემოგარენიდან მოჩანს. იგივე „გუმბათები“ და მათ შორის მყინვარი „გული“, ჩაჭედილი დაკიდულ ღარში. განსხვავება თვით კლდეების ხასიათსა და განზომილებებშია. რაც შეეხება აბსოლუტურ სიმაღლეს, ჩემი აზრით, უშბა და მისი პამირული ანალოგი დაახლოებით თანაბარნი უნდა იყოს. რასაკვირველია, კავკასიის უშბა უფრო მკაცრ კლიმატურ პირობებშია, ვიდრე პამირის მწვერვალი, ვინაიდან სვანეთში მუდმივი თოვლის საზღვარი დაახლოებით ერთი კილომეტრით უფრო დაბლაა.

მარცხნივ, ჩვენ მიერ ამოვლილი ხეობის სათავეში ვხედავთ უზარმაზარ ცირკულ მყინვარს და მის ბოლოში — ყინულქვეშა გვირაბის შესასვლელს მოზრდილი გროტის სახით. ბრწყინვალე ყინვარდნილები გიგანტური კიბეებივით ეშვებიან ქარაფოვანი ზღუდეებიდან. ირგვლივ აღმართულან ულამაზო, მაგრამ ძნელად ასასვლელი მწვერვალები. მყინვარის ბოლო მდებარეობს დაახლოებით 3300 მეტრის სიმაღლეზე.

დაიწყო სერპანტინები. ჩამოვხტით ცხენებიდან. აღმართმა მიგვიყვანა თოვლის პატარა მინდვრებთან, რომლებითაც აჭრელებულია საუღელტეხილო სერი, — აი, საიდან წარმოსდგა სახელი „მტრედის კისერი“. გადავედით მთავარი სერის კონტრფორსზე, რის შემდეგ ბილიკი თითქმის თარაზულად მიჰყვება უღელტეხილს. მარცხნივ მოჩანს საკმაოდ დიდი ფირნის ველი, რომელიც უმყინვაროდ დარჩენილა და თვითონაც მოსპობის გზას ადგას. მეტად ტიპობრივი და გეომორფოლოგიურად საინტერესო სურათია.

უღელტეხილი გარდანი-ქავთარი, რომლის სიმაღლე (გეოდეზიუ-

რი მონაცემებით) ეთანასწორება 3795 მეტრს, წარმოადგენს ღორღ-ნალიან ჩაღრმავებას პეტრე დიდის ქედის თხემში.

სამხრეთისაკენ აქედან არ იხსნება მაინცდამაინც შესანიშნავი სანახაობა, — წინ მოჩანს ბალახოვანი ხეობა, რომელიც უკვე ხინგოუს სისტემას ეკუთვნის; მის იქით ჩაღრმავებულია თვით ხინგოუს „დერეფანი" და მთელი რიგი დაბალი სერები.

საათნახევარი ვეშვებოდით ხსენებულ ბალახოვან ხეობაში, რის შემდეგ, დაახლოებით 3300 მეტრის სიმაღლეზე, დავეცით ბანაკი. მე და აბობაქრიმ მოვძებნეთ ტაჯიკთა „ქიბითკები" (საზაფხულო ბინები), სადაც ვიშოვეთ ჩინებული ჰაირანი და ბლომად შეშა..

ღარმოს კვანძის მისადგომებზე

(ხინგოუს ხეობაში)

18 აგვისტო

ამინდი — ნამდვილი პამირული, ცაზე ვერაფერს მოძებნი მოკაშკაშე მზის გარდა. ავდექით 8 საათზე.

დღეს სრულდება ერთი თვე მოსკოვიდან ჩვენი გამომგზავრებიდან. ამრიგად, მაქსიმალურ დანიშნულ ვადასაც კი გადავაჭარბეთ (ოთხი დღით). დაგვიანების მიზეზი საპალნიანი ცხენებია, რომელთაც სვლა ძლიერ უჭირთ.

ერთი ცხენი, მაგალითად, თუფჩეყამდეე დაინვალიდდა და უკან დავაბრუნეთ. გუშინ მეორე გადაიჩეხა და 40 მეტრზე ჩაგორდა. ორი ცხენი ცუდად არის. ყველა ცხენს ზურგი გადაყვლეფილი აქვს.

ჩვენი ბანაკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ცის კაბადონზე მოჩანს თოვლიანი ქედის ნაწილი, რომელიც დარვაზის მთაგრეხილს ეკუთვნის. აქვეა შედარებით დაბალი პირამიდა (ჩემი ვარაუდით — დაახლოებით 5000 მ ზღვის დონიდან).

ჩვენი ბანაკის აბსოლუტური სიმაღლე, ვორობიოვის ანეროიდით, 3050 მეტრს უდრის. გავედით დაახლოებით 9 ს. 30 წ. ირგვლივ მოჩანდა დაბალი, კლდოვანი მთები. მათ შორის ყურადღებას იზიდავდა ციხე-კოშკის მსგავსი კლდე, რომლის ფერდობზე ჰკიდია ორსაფეხურიანი კიბის მსგავსი ყინვარდნილი.

ბილიკმა ჯერ აღმართში აგვატარა და მიგვიყვანა ხეობის მარჯვენა მჯრის სერის ზურგზე, მერე კი მეზობელ ხეობაში ჩაექანა. ცხენე-

ბიდან ჩამოვქვეითდით და თავდაღმართში წავედით. წინ მოჩანდა ხინგოუს ხეობა ტერასებზე განლაგებული ბაღებიანი სოფლებით, რომლებშიც ბევრია ალვის ხე, მწარე ნუში, ვაშლი და ტყემალი.

დაახლოებით 2300 მეტრის სიმაღლიდან გვხვდება ხეხილის ბაღები, სადაც ვაშლით ვნებივრობთ.

ციცაბო დაღმართმა ჩამოგვიყვანა სოფელ ლიანგარში. სოფლის ჩრდილოეთით პეტრე დიდის ქედის კალთებზე შიშვლდება თეთრი კირქვის კლდეები (ალბათ იურული ხნოვანებისა) და მათში მოჩანს უზარმაზარი ბუნებრივი მღვიმე. აშკარაა მისი კარსტული წარმოშობა. მღვიმის პირის სიმაღლე დაახლოებით 100 მეტრია, სიგანე კი 60. რა მანძილზე გრძელდება იგი — ღმერთმა უწყის. შევეცდები ვინახულო ღარმოს კვანძიდან დაბრუნებისას.

მღვიმის შესასვლელი ამწვანებულია ხეების ტევრით.

სოფელი ლიანგარი მდებარეობს სავსებით ჰორიზონტალურ ალუვიურ ტერასაზე, რომლის ზედაპირი აყვავებულ ოაზისად არის ქცეული.

ლიანგარიდან გასულები მივუახლოვდით მდინარე ხინგოუს, რომელიც ფერით შავი არაგვია, სიდიდით კი თერგი დარიალში.

ტბის პირას, ყანებში ვხედავთ მუშაობით გართულ კოლმეურნეებს. შეგვხვდა კოლმეურნეობის „სეკრეტარი" — პატარა ბიჭი იღლიაში ამოჩრილი პორტფელით. ვნახეთ უცნობი ტაჯიკი ქალი, რომელიც კარგად მეტყველებს რუსულად და გარეგნობით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ქართველი ქალისაგან.

გავიარეთ სოფელი ლოჯირქი.

სოფლის აღმოსავლეთით ბილიკი გადის ვიწრო შიბზე. აქ ერთი დასაპალნებული ცხენი დაგვიგორდა. მისი გადარჩენა ძლივს მოხერხდა და ისიც ათი კაცის შეერთებული ჭაპან-წყვეტით.

დავიბანაკეთ მდინარესთან, ვაკე ტერასაზე. ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრია.

19 აგვისტო

დღეს დილით ყიშლაღ რეხთიდან ჩამოსული ტაჯიკებისაგან 10 მანეთად შევიძინე ორი წყვილი „ჯურაბი" (ტაჯიკური მოქარგული მატყლის მაღალი წინდები).

ჯურაბებს ქსოვენ ხის ჩხირებით. მათი სტილი (ნახატის ხასიათი) ყველა ხეობაში თავისებურია. მისი მიხედვით გამოიცნობა ტაჯიკ-ს

სადაურობა — ვანჯიდან არის თუ იაზგულემიდან, ხინგოუდან თუ ბარ-თანგიდან. წინდები მუხლებს ზევით სწვდება ადამიანს. ჯურაბს საქუსლე არ გააჩნია და გაცვეთის შემდეგ შეიძლება მისი მობრუნება.

მდინარე ხინგოუს წყალი არ ვარგა ჩაის ასადუღებლად, საკვლევა მინერალური ნაწილაკებით. სამაგიეროდ, ხინგოუს ტყემალი საკვლებით ეწევა ლიმონის მაგივრობას.

გამოვედით 10 საათზე. ხინგოუს ხეობა მარცხნივ უხვევს. ისევ ვიწრო კარნიზები, რომელთა ძირს გრგვინვით ეხეთქება ყინულოვანი ცივი მდინარე.

ხეობის ლანდშაფტი შედარებით საამური ხდება. ტერასებზე მოჩანს ტაჯიკთა ყიშლაღები, ფერდობებზე კი ბუჩქნარია. ხევები გამოტენილია არყის ხეების, ტყემლისა და სხვა ფოთლოვანი ჯიშების ტევრებით.

გზაში ვხვდებით რაიონულ „ნარკომპროსს", რომელიც თავილდარაში ბრუნდება.

სოფელ არზინგის დასავლეთით მდებარეობს დაჭაობებული ბალახოვანი ვაკე კარსტული ძაბრებით, რომელთა ფსკერიდან ამოჩუხჩუხებენ გრუნტის წყლები. მდინარის მოპირდაპირე მხარეზე მოჩანს კირქვის ვრცელი გამოსავალი.

ბანაკად სოფ. არზინგის ბოლოზე ვჩერდებით. აქედან უკვე მოჩანს ღარმოს მთა თავისი 3-კილომეტრიანი ყინულოვანი კედლით, შვიდმწვერვალიანი თხემითა და უნაგირათი. სოფელი არზინგი ადგებარეობს ალუვიურ ტერასაზე.

ჩვენი ბანაკიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, დარვაზის ქედზე მოჩანს ორმაგი დათოვლილი მწვერვალი, რომელიც ალპინისტებისათვის საინტერესო უნდა იყოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზემოხსენებული კარსტული ძაბრები მეტწილად მცირე განზომილებისაა; უდიდესი მათგანის ზომაა 8×7 მეტრზე.

20 აგვისტო

დილა პამირულია.

გავედით 11 საათზე.

არზინგიდან მივედით ხინგოუს ხეობის უმაღლეს დასახლებულ პუნქტში სოფელ ფაშიმღარში. მალე გავედით მდინარე საღრანზე, რომელშიც ჩვენ ფონით უნდა გავსულიყავით.

ჩვენს წინ „ზათქითა და ზარით" მიგრგვინავდა შვიდ მძლავრ ტოტად დანაწილებული, „მყინვარული ფქვილით" ამღვრეულ

მდინარე. ნაშუადღევი იყო და მდინარის მასაზრდოებელი მყინვარები გაძლიერებულ დნობას განიცდიდნენ. მოზღვავებულ წყალში გასვლის პერსპექტივა გვზარავდა. არადა ჩვენი ძირითადი ბანაკისათვის შერჩეული ადგილი მდინარის გაღმა იყო.

ფონის მაჩვენებლად ფაშიმღარიდან წამოვიყვანეთ ბარხაშის ნაცნობი ტაჯიკი. სახელად ნაბოტი, რომელიც შეუკაზმავ ნასუქ ბადახშანურ ულაყზე იჯდა. მან დაუფიქრებლად შეაგდო თავისი ტაიჩი მრისხანე მდინარეში და ოთხახმით გაიარ-გამოიარა მისი შვიდივე ტოტი.

ამ ტრიუკის საფასურად ნაბოტმა ბარხაშისაგან მიიღო ხუთმანეთიანი. რომელიც გაირჭო ქუდში და სოფლისკენ გაექანა.

დავრჩით გაგიჟებული მდინარის პირას გამოუცდელი ხალხი, რომელთაგან ზოგმა არც ცურვა იცოდა, არც საცხენოსნო ფონებთან მოქცევა. წელამდე წყალში ჩამდგარმა მექარავნეებმა საბელი გაჭიმეს მდინარის პირველი ტოტის გარდიგარდმო და იცავდნენ ფონში გამავალ მხედრებსა და საპალნიან ცხენებს. თუ რომელიმე საპალნიან პირუტყვს ფეხქვეშ საყრდენი გამოეცლებოდა, მექარავნეები მას იჭერდნენ და სამშვიდობოს გაჰყავდათ. მხედრები ყველანი მუხლებამდე დავსველდით.

საღრანის გადალახვამ მშვიდობით ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ქარავნის ჩოჩორის დაღუპვას, რომელიც მდინარემ გაიტაცა და, ალბათ, ხინგოუში გააქრო.

ფონის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრის გავლა მოგვიხდა საბანაკო მოედნამდე. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 2900 იოდე მეტრის სიმაღლეზე, დაფარულია ქვიშითა და თხილნარით.

21 აგვისტო

ჩვენი ბანაკი მდებარეობს ხინგოუ-საღრანის ხერთვისში — ნახევარკუნძულზე. ტყეში ერთ-ერთ ხეზე ავაფრიალეთ წითელი დროშა.

საღრანის შესართავის პირდაპირ (ცოტა დასავლეთით) ხინგოუს მარცხნიდან, ე. ი. დარვაზის ქედიდან ერთვის ხეობა, შიგ ჩამოწოლილი დიდი მყინვარით. ეს უკანასკნელი თითქმის ხინგოუმდე ჩამოდის და, ამრიგად, 2900 — 3000 მეტრამდე ეშვება. მყინვარის სათავეში ამართულია ორი დიდი და საკმაოდ მიმსიდველი, მთლიანად თოვლ-ყინულით შეაბჯრული მწვერვალი.

გუშინ მთელი საღამო და დღევანდელი დღე დასაქმებული ვართ

ბარგი-ბარხანის განაწილ-გამონაწილებით და ჩალაგებით, კარვების დადგმით, სარეცხით.

შეპირებული ფაშემღარელი მზიდავები გვატყუებენ: უკვე 13 საათია და ჯერ არც ერთი მათგანი არ ჩანს. სამაგიეროდ, ბანაკში შემოდიან სხვა ფაშემღარელები, დასუნსულებენ კარვებში, ტკბილეულს ეძებენ და კიდევაც პოულობენ. მუჭით იყრიან პირში ქიშმიშს, გარგარის ჩირს, ჯიბეებს იტენიან შოკოლადებით და კანფეტებით. ცნობილია ყველა მაჰმადიანი ერის ტრფიალი ტკბილეულისადმი.

ბარხაშის გადაწყვეტილებაა: თუ მზიდავები ხვალ 10 საათამდე არ მოვლენ, იოლას უნდა გავიდეთ უმუშებოდ და ჩვენ თვითონ უნდა ავზიდოთ ბარგი ჰავოდარაზე, რასაც სამიოდე დღე მოუნდება.

სოფელ ფაშემღართან და მის ზემოთ ხინგოუსა და მის შემდინარეთა ხეობებს უკვე მკაფიოდ გამოსახული ტროგული (ვარცლისებური) მოყვანილობა აქვთ. ძველი მყინვარი, რომელიც აქ მრავალი ათასეული წლის წინათ არსებობდა, ალბათ კიდევ უფრო შორს გრძელდებოდა დასავლეთისაკენ.

საღრანის შესართავი მდებარეობს ზღვის დონიდან 2800 — 2850 მ სიმაღლეზე. ხოლო მდინარე ბათრუდის მყინვარის თანამედროვე ბოლო — 3000 მ-ზე.

22 აგვისტო

წუხელ თითქმის არ მიძინია, უზომოდ ნაჭამმა ვაშლმა მაწყინა.

დილა ნაწილობრივ მოღრუბლულია, გრილა. 1 — 2 საათში დავიძვრებით ღარმოს მყინვარის მიმართულებით, 4 ცხენისა და 2 მზიდავის თანხლებით. არ ვიცი, როგორ გუნებაზე ვიქნები დღევანდელი დღის განმავლობაში.

იწყება ჩემი მუშაობა პამირის გეომორფოლოგიის დარგში. ის, რაც წამიკითხავს ემილ ოგის, ფრანც ლევინსონ-ლესინგისა და სხვათა წიგნებში, უნდა გამოვიყენო „ქვეყნიერების ბანის“ რთული რელიეფის ამოსაკითხად.

გამყოლებად მოგვყვებიან ნაბი და ნაბოტი, ფაშიმღარელი ტაჯიკები. ჩვენ მათ ხუმრობით „პატი-პატაშონს“ ვეძახით, პოპულარული კინოგმირების სახელებს.

გამოვედით 8 ს. 30 წ. ორიოდე კილომეტრზე „არა უშავს“ გზამიდის. მესამე კილომეტრიდან დაიწყო ხათაბალები, გამოწვეული მდინარე ღარმოს ხეობაში ნამდვილი გზის არარსებობითა და „პატი-პატაშონის“ მიერ ადგილის არცოდნით. ვისმეს ჩიტის საფრენი სი-

მაღლიდან რომ დაეხედა ჩვენი მსვლელობისათვის, სიბრალულით განიმსჭვალებოდა.

ბილიკი ხან ხშირ ფოთლოვან ტყეში გადის, სადაც ახალწამოზრდილი ხე-ბუჩქი მედგარ წინააღმდეგობას უწევს ჩვენი ცხენების გავლას, ხან მორღვეულ ფლატეებზე ხშირად ჰკვეთს ნაკადულებს, რომლებიც მდინარე ღარმოს გამოეყოფიან. ფლატეებზე პირუტყვს ფეხი უსხლტებათ და ბარგიანად გადაჩეხვას ლამობენ, ნაკადულების გადალახვისას კი ლამში ეფლობიან.

თუ ყოველივე ამ ნათქვამს ჩემს „უქეიფოდ ყოფნასაც" დავუმატებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ეს დღე ჩემთვის მეტად ძნელი და მძიმე გამოდგა. ზურგზე ფუთიანი ჩანთა, მხარზე კარაბინი, უკან ღორჰ მუცელა ცხენი, რომელიც ცდილობს შეუჭმელი არ დატოვოს არც ერთი ღერი ბალახი ან ხის ნორჩი შტო და სადავეს არ მანებებს; ფეხსაცმელი სამთო მაქვს, მაგრამ უხმარი, ამიტომაც ფეხები დამიყვლიფა.

მთელი სამოსელით წელამდე წყალში ტოპვა, ცხენების წამდაუწუმ წყალში წაქცევა ან ქვაყრილზე დაგორება; მათი განტვირთვა, ამოთრევა და ისევ დატვირთვა, — ეს ყველაფერი ერთად ჯოჯოხეთურად ტვირთავს ორგანიზმსა და ფსიქიკას.

19 ს. 30 წუთზე მივატანეთ ოქროსმაძიებელთა მიერ აგებულ დამიტოვებულ ცარიელ ქოხს. იგი დგას ხშირ ტყეში, ზღვის დონიდან 3000 მ სიმაღლეზე. აქ ერთმანეთს სვდებიან ღარმოს მღვრიე ფშანი და წყაროდან გამომდინარე ანკარა ნაკადული. შეერთების ადგილას მღვრიე და წმინდა წყლის საზღვარი ნათლად მოჩანს.

დავიბანაკეთ ქოხში. ამ სტრიქონებს ვწერ კოცონის შუქზე, რაც ადვილი საქმე არ არის.

23 აგვისტო

გუშინდელი ნაყვლეფი მტკივა, ვკოჭლობ და მარჯვენა ფეხს ძლივს ვაბიჯებ.

ღარმოს ხეობა საერთო ფორმით, რომელიც ლათინურ U-ს მიაგავს, ტიპობრივ ტროგს წარმოადგენს, მაგრამ გარდაქმნილია გამოზიდვის მძლავრი კონუსებით.

ღარმოს მთავარი ხეობის ტალვეგს (ფსკერს) მცირე ქანობი ახასიათებს, ღარმოს მყინვარიდან საღრანამდე (30 კმ-ზე) იგი დაბლდება მხოლოდ 200 — 300 მეტრით. ამავე დროს ხეობის გვერდებში ბლომადაა დაკიდული ხევები, რაც მოწმობს ღარმოს მთავარ-

მყინვარის ინტენსიურ ეგზარაციას და მთავარი ხეობის მეტი სიჩქარით გაღრმავებას შენაკადთა ხეობებთან შედარებით.

ხეობის გვერდებზე მოჩანს მდინარის მოქმედებით გაშიშვლებული ფლუვიოგლაციალური, ე. ი. მდინარეულ-მყინვარული ნაფენები, რომლებიც ღარიბია მსხვილი ლოდებით და მდიდარია მყინვარული ლამით.

ბანაკი ავშალეთ 8 საათზე. ოქროსმაძიებელთა ქოხიდან გასვლის შემდეგ, გზა დასაწყისში ადვილი გვეჩვენებოდა, მაგრამ მალე გუშინდელი ისტორია გამეორდა. ჩემი „ბასმაჩი" ორ ადგილას გადააყირავა მძიმე საპალნემ და საჭირო გახდა ტვირთის მოხსნა. მეცოდება ჩემი ერთგული მეგობარი...

11 საათზე მივადექით ღარმოს მყინვარის ბოლო მორენას. დიდ ლოდები აქ იშვიათია. აქეთ-იქიდან გლეტჩერს დაჰყურებენ ჩამოკიდული ხეობები. ორი მათგანის სათავეში ჩაწოლილია მყინვარები, რომლებიც გადაგვარების გზას ადგანან. ყურადღებას იზიდავენ მათი მძლავრი ბოლო და ზედაპირული მორენები.

შევუდექით მორენებზე ასვლას. ეს საქმე საკმაოდ ძნელი გამოდგა. ჩვენ პირველი ადამიანები ვართ, ვინც აქ ცხენები ამოიყვანა და გაატარა. ჩემი ცხენი აქაც გადაგვივარდა, მაგრამ უვნებლად გადარჩა.

გავუარეთ რამდენიმე მყინვარულ ტბას, რომლებშიც დროგამოშვებით გრიალით ცვივიან დაგორებული ქვები.

მყინვარი ღარმო აქ, ქვემო ნაწილში მთლიანი მორენით არის დაფარული. მორენებში, სხვა ქანებთან ერთად გვხვდება ქარსიანი ფიქლები და პირიტის წესიერი კუბური კრისტალები.

ოფლის ღვრით ავედით 3200 მ სიმაღლეზე და დავბანაკდით ღარმოს მყინვარის მარჯვენა გვერდის მორენაზე: ცხენები საძოვრად იქვე ახლოს, ბალახოვან მინდორზე გავუშვით.

ჩვენი ტაჯიკები ამბობენ, რომ აქაურ მთებში მრავალი ქიიკი ბინადრობს, მათი მოკვლა ძალიან ადვილია.

ჩვენი გამყოლები ხასიათით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ნაბოტი ჭირვეულია, ნაბი კი მშვიდი. ბარხაშის სიმკაცრე, ნაბოტსაც აწყნარებს.

24 აგვისტო

ავდექით დილაადრიან.

ანტონმა და მე ჩამოვრეკეთ ცხენები. დავტვირთეთ, ჩვენც დავიტვირთეთ და გზა განვაგრძეთ. მივაბიჯებთ ღარმოს მყინვარის მარ-

ჯვენა გვერდითს მორენაზე, რომელიც მყინვარის შემცირების შედეგად ყინულის გარეშე დარჩენილა.

ხეობის მოპირდაპირე მხარეზე მოჩანს ანალოგიური მეორე მორენა. მისი ფერდობების ტერასირებულობა გვაფიქრებინებს მყინვარის შემცირების წყვეტილ-პერიოდულ რეჟიმს.

მორენაზე მსვლელობა გუშინდელთან შედარებით უფრო ადვილად გვეჩვენება. ბარხაში წინ მიდის და გზას მიიკვლევს. ჩემი ცხენი დღეს კიდევ გადააყირავეს მძიმე ყუთებმა, რომლებიც მას აღმართში უკან სძლევენ.

ბევრი ვიწვალეთ აღმართ-დაღმართებში. ბევრი ოფლი ვღვარეთ. ვორობიოვი და ცაგი ერთგან საათის სავალზე ჩამოგვრჩნენ.

...და აი, მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა. ცხენები მთელი ტვირთით ჰავოდარამდე მივიყვანეთ. მხოლოდ უმნიშვნელო მანძილი დარჩათ ცხენებს საბანაკო მოედნამდე, ამ უბანზე ბარგი-ბარხანა საკუთარი ზურგებით ვზიდეთ.

ჰავოდარა 3300 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ლამიან მოედანს ეწოდება, რომელიც ასტრონომმა ბელიაევმა აღმოაჩინა 1916 წელს, და სადაც მის მიერ ასტრონომიული პუნქტი იქნა განსაზღვრული. 1931 წელს ეს ადგილი ნ. კრილენკოს ჯგუფმა ინახულა.

ჰავოდარაზე არსებული ლოდი ბელიაევმა გამოიყენა, როგორც ასტროპუნქტის ბუნებრივი ნიშანი და ამის შესახებ ზედ საღებავით წარწერა გააკეთა. ეს წარწერა 1932 წელს ჯერ კიდევ მკაფიოდ მოჩანდა და მთლიანად იკითხებოდა. სამაგიეროდ, 15 წლით გვიან გაკეთებული ნ. კრილენკოს ექსპედიციის წარწერა თითქმის წაშლილი იყო.

გაზაფხულზე ჰავოდარაზე ალბათ ლანქერი წყლის ტბა ჩნდება, რასაც დაფენილი ლამი მოწმობს.

ჰავოდარა მოქცეულია ღარმოს მყინვარის მარჯვენა უძრავ მორენასა და პეტრე დიდის ქედის ფერდობს შორის. დასავლეთიდან მას ჩამოურბის მხიარული ნაკადული ჰავოდარა, რომელზეც ჩანჩქერია.

ჰავოდარას ჩანჩქერი დილაობით წმინდა წყალს შეიცავს და საამურად ჩხრიალებს, შუადღისას კი მატულობს, იმღვრევა და გრგვინვას იწყებს. ამ ადგილში პირველად რომ მოვხვდით, ჩანჩქერის ხმაურის გამო ერთიმეორის ლაპარაკი არ გვესმოდა და იძულებულნი ვიყავით ყვირილით მიგვემართა ერთმანეთისათვის. შემდგომში ჩვენი სმენა შეეჩვია თავისებურ აკუსტიკას და შეგვეძლო ჩვეულებრივ დაბალი ხმით გვესაუბრა.

ვორობიოვი და ცაგი აქ დარჩებიან ბანაკის მოსაწყობად, ბარხაში და მე კი მზიდავებთან და ცხენებთან ერთად წავალთ ძირითად ბანაკში, ნ. კრილენკოს შესახვედრად.

აქ ჩემს დღიურში, რომელიც საქართველოს ალპურ კლუბშია დაცული, იწყება ხარვეზი; იგი გრძელდება 31 აგვისტომდე (ეს იმითაა გამოწვეული, რომ ძირითადი დღიური ჰავოდარაში დავტოვე და ერთი კვირის განმავლობაში, სანამ ისევ იქ მოვხვდებოდი, დღიურის საწარმოებლად ბლოკნოტს ვხმარობდი, რომელიც შემდგომში დაიკარგა).

იმ ერთი კვირის განმავლობაში მოხდა შემდეგი.

ბარხაში და მე ტაჯიკ ლოიქთან და მის ფინია ძაღლთან ერთად ცხენებით ვმგზავრობდით ჰავოდარადან ჩვენს ძირითად ბანაკამდე (ფაშემღარის მიდამოებში). ღამის გათევა მოგვიხდა ტერასაზე, რომელიც სამი მხრიდან მიუვალი კლდეებით იყო შემოზღუდული, მეოთხისაკენ კი ფლატით იყო მოსხეპილი. ცხენები საძოვრად ტერასაზე გავუშვით. ტერასიდან ერთადერთ ვიწრო გასასვლელში კოცონი გავაჩაღეთ და ჩვენც იქვე მოვეწყეთ ღამის სათევად.

ამრიგად, ცხენებს არ შეეძლოთ ღამით გაპარვა. შუაღამისას გამოგვაღვიძა ფინიას გააფთრებულმა ყეფამ. ცხენები ჩვენთან ახლოს მოსულიყვნენ და ფრუტუნებდნენ.

— დათვია ახლოს, — თქვა ლოიქმა.

მართლაც, დილით რომ წამოვდექით, ჩვენი ღამის სათევიდან ათიოდე მეტრის დაშორებით, ქვიშნარ ნიადაგზე ვნახეთ „ძია დათოს“ ახალი ნატერფალები.

ძირითად ბანაკში მამაჯანის გარდა არავინ დაგვხვდა. მზარეულს გაუხარდა ჩვენი ჩასვლა და ეს სიხარული, სხვათა შორის, უგემრიელესი ღვეზელებითაც აღნიშნა. ახლაც პირში მაქვს მათი გემო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა კრილენკო მესაზღვრეების თანხლებით. მოსკოვიდან საჩქაროდ გამომგზავრებულს თავილდარაში დასწეოდა დეპეშა ვაჟიშვილის დაბადების შესახებ. მასთან ერთად ჩამოვიდა ექსპედიციის ახალი წევრი — ალექსანდრე პისლეგინი.

ფერღანაში ყოფნისას კრილენკოს ფოსტაში შეეევლო ცოლის მოლოგინების ცნობის მიღების იმედით. აქ მან შემთხვევით გაიცნო ადგილობრივი ექიმი ა. პისლეგინი, რომელმაც თავი ალპინიზმის მიმდევრად წარუდგინა. პისლეგინის განცხადებით, იგი ლენინის პიკზე ჩრდილოეთიდან 6000 მეტრის სიმაღლემდე იყო ასული. ამ ინფორ-

მაციით მოხიბლულმა სახალხო კომისარმა იგი იქვე ჩარიცხა პამირის ექსპედიციის წევრად.

განვაგრძობთ დღიურს.

31 აგვისტო

მე და ექიმი პისლეგინი კრილენკომ ერთ-ერთ მზვერავ ჯგუფად გამოგვყო. ორ დანარჩენ ჯგუფში შედიოდნენ კრილენკო-ბარხაშისა და ვორობიოვ-ცაგის წყვილები.

გუშინ პისლეგინი და მე წამოვედით ძირითადი ბანაკიდან და დღეს 13 საათისათვის ამოვედით ჰავოდარაში.

ღარმოს მყინვარის მარჯვენა, უძრავი მორენის ქვეშ აღმოჩნდა გლეტჩერული ყინული, რომელიც თვით მორენას დაუცავს გადნობისაგან.

მყინვარის ბოლო თავზე კი ვნახეთ ძველი ფსკერულ-მორენული თიხნარები, რომლებიც ტროგის თანამედროვე ფსკერზე 50 — 70 მეტრით მაღლაც გვხვდება.

ჰავოდარაში დაგვხვდნენ ვორობიოვი და ცაგი. გაბმული ავდრების გამო ისინი მეტწილად აქ მსხდარან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოტაოდენი მაინც უვლიათ:

1. ღარმოს მყინვარით გაუვლიათ აღმოსავლეთისაკენ, თუმცა წვიმის გამო ვერ მისულან ღარმოს შემდგენელი ორი მთავარი (ვავილოვისა და ბელიაევის) მყინვარის ხერთვისამდე. გამობრუნებისას ქვის ნიშნებით (ცოშკურებით) აღუნიშნავთ განვლილი მარშრუტი.

2. გადაუკვეთიათ ღარმოს მყინვარი და ასულან (ჩრდილო-დასავლეთის სერით) იმ მწვერვალზე. რომელიც დარვაზის ქედის ჩრდილო ტოტზეა, ჰავოდარას ბანაკის სამხრეთით (აზიმუტი-155°). ვორობიოვის ალტიმეტრს მის თხემზე 4600 მეტრი სიმაღლე უჩვენებია. მწვერვალიდან მათ დაუნახავთ მთები — ღარმო, ქუჰ-ი-სანთალაქი, პეტრე დიდის ქედის მწვერვალები (მათ შორის ციცაბო და ლამაზი ჰავოდარას პიკი), ვანჩდარას „გრძელი, დიდი მყინვარი".

საღამო ღრუბლიანია. ხანდახან წვიმა ცრის. არ ვიცი, როგორ მოხერხდება ხვალ ჩვენი გასვლა დაზვერვაზე. მადარდებს, რომ ექიმს ჯერ წრიაპებით არ უვლია (თუმცა, მისი თქმით, 5500 მეტრის სიმაღლემდეა ნამყოფი ლენინის პიკის ჩრდილო მყინვარზე).

ვორობიოვსა და ცაგს უცდიათ ნადირობა ზაზუნებზე, რომლებიც 4000 მეტრზე მაღლაც შეხვედრიათ. ისინი ამ რაიონში ორი ფერისანი არიან: ყვითელი (ჩვეულებრივი) და ნაცრისფერი.

პისლეგინი და მე ვწევართ ჩვენ კარავში და ვავსებთ დღიურს. იგი საგონებელშია, არ იცის რა უწოდოს თავის მომავალ წიგნს ჩვენი ექსპედიციის შესახებ. წინადადებას ვაძლევ დაარქვას „ხინგოუს გიგანტებზე“. ექიმს მოსწონს ეს სახელწოდება და სათაურს მაშინვე აწერს თავის მთავარ დღიურს.

შხაპუნა წვიმამ წამოუშინა, რომელიც ჩვენი კარვის სახურავი-

ნახ.13 ვორობიოვისა და ცაგის მიერ დაპყრობილი მწვერვალი დარვაზის ქედის ტოტზე

დან ერთგვარ მუსიკად ისმოდა. მილეული სანთლის შუქზე დღიურებს ვავსებთ.

სანთელი ფეთქვას იწყებს, საცაა ჩაქრება. მოვრჩით წერას.

1 სექტემბერი

დილა საუცხოო იქნებოდა, ყინვიანი რომ არ იყოს.

ვორობიოვი და ცაგი აგვიანებენ გასვლას. არ ეჩქარებათ. გადიან მხოლოდ 10 საათზე, ვეებერთელა, გაბერილი ზურგჩანთებით. ხელის ჩამორთმევა, გამოსამშვიდობებელი საუბარი. ჩვენი ამხანაგები მორენაზე გადიან. მე და ექიმი მარტონი ვრჩებით.

გასვლას ხვალისათვის ვაპირებთ და მზადებას ვიწყებთ. კრილენკოსაგან დავალებული გვაქვს ვანჩდარას მყინვარის ავლა დარვაზის

ქედის თხემზე, პულკოვის ულელტეხილით გადასვლა და ღარმოს მთის სამხრეული მხარის მოსადგომის ძებნა.

ჩვენ თან მიგვაქვს შემდეგი საჭურველი[1] და სანოვაგე:

ა) საჭურველი

1. ზდარსკის აბრეშუმის პაწია კარავი
2. ერთი საძილე ტომარი, რომელიც ერთდროულად ორ მგზავრ კაცს იტევს.
3. ალპური საბელი
4. ორი წერაყინი
5. ნავთით სავსე პრიმუსი
6. დიდი ბუსოლი
7. ფინსტერვალდერის რუკა
8. ალუმინის ქვაბი
9. ერთი მომინანქრებული ფინჯანი
10. ერთი კოვზი
11. ერთი დანა
12. ორი წყვილი წრიაპი
13. მუქი სათვალეები
14. სარემონტო მოწყობილობა
15. სამკურნალო საშუალებები.

ბ) სანოვაგე

1. ხორცის კონსერვი
2. თევზის კონსერვი (ივასი და სხვ.)
3. შედედებული რძე
4. ბულიონი „მაგგი“
5. მანის ბურღული
6. კაკაო
7. შაქარი
8. გალეტი
9. ნამცხვარი
10. ქიშმიში
11. ორგვარი კანფეტი

---

[1] საჭურველის ზოგიერთი ინდივიდუალური საგნის თითო ცალად წაღება პისლეგინის იდეა იყო და მიზნად ისახავდა სატარებელი ტვირთის შემსუბუქებას (როგორც გაირკვა, პირადად პისლეგინისათვის).

12. კარაქი
13. მარილი
14. ჩაი
15. შოკოლადი და სხვ.

შეიძლება ითქვას, მომზადებულნი კარგად ვართ. ყოველ შემოხვევაში კავკასიონზე მოგზაურობების დროს მე არასოდეს მქონია საჭურვლისა და პროვიანტის ესოდენ სრული კომპლექტები.

უკანასკნელ მომენტში გადავწყვიტე, რომ ზდარსკის კარავის გარდა, რომელიც განკუთვნილია ქარიშხლის პირობებში თოვლზე მჯდომი მთამსვლელების მიერ თავსა და ზურგზე წამოსასხამ.ღ, საჭიროა თან წავიღოთ. აგრეთვე. შუსტერის ტიპის კარავი. ამით საშუალება გვექნება კარგად ვიძინოთ პირველ 2 — 3 ღამეს. რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გეგმის შესრულებისათვის.

ვანჩდარას მყინვარის ზემო ნაწილში (ან, შეიძლება, თვით პულკოვოს უღელტეხილზე) შუსტერის კარავს დავტოვებთ და წავიღებთ მხოლოდ ზდარსკისას, რომელიც 1.5 გირვანქას[1] იწონის და ჯიბეში თავსდება.

ამინდი დღეს ცვალებადია — ხან მზე ანათებს, ხან კი წინწკლავს. დღევანდელი დღის მენიუ ძალიან მრავალფეროვანია. ესაა: შაშხი, ხარის ენის საექსპორტო კონსერვი, კაკაო, შედედებული რძე, ხმელი გარგარი, ქიშმიში, ერთი სიტყვით, ვნებივრობთ ძნელი და საბიფათო მოგზაურობის წინ.

უსაქმობამ მე და პისლეგინს კედლის გაზეთის მომზადება გადაგვაწყვეტინა. მან დაწერა მოწინავე სტატია, მე კი იუმორისტული ფელეტონი და ღარმოს დამპყრობთა მარში (ლექსი). როდესაც კრილენკო და ბარხაში აქ ამოვლენ, გაუხარდებათ ალბათ ამ „გაზეთის“ აღმოჩენა კარავში.

ჰავოდარაში ვორობიოვსა და ცაგს მშვენივრად მოურთავთ ქ�ურობა. ჩამოუზიდიათ მახლობელი ფერდობებიდან და კოხტად დაულაგებიათ ხმელი არჩა (ღვია), თავისი კარავი მორენაზე გაუმართავთ (იქ არ არის ლამიანი ნიადაგი, რომ კარვის ფსკერი დაანაგვიანოს). გაუტკეპნიათ იქ მისასვლელი ბილიკი: კარავთან კრისტალური ფიქლის ნატეხებით მოუწყვიათ კარვისწინა მოედანი და კარავთან ასასვლელი კიბე, ერთი სიტყვით, ჰავოდარაზე შეუქმნიათ თავისებური კომფორტი.

---

1. გირვანქა უდრის 400 გრ.

ვფიქრობ, რომ ჩვენი მომავალი მარშრუტის უძნელეს ნაწილს წარმოადგენს გადასვლა პულკოვოს უღელტეხილიდან შოკალსკის მყინვარისა და დარვაზის პიკის გვერდის ავლით იმ უღელტეხილ-საკენ, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ქედის თხემზე მდებარეობს და გადაჰყურებს საბანაკო (Бивачный) და ფედჩენკოს მყინვარებს. იქ ხომ ჯერ არავის გაუვლია.

ფინსტერვალდერისა და ბელიაევის რუკებზე იმ ადგილის გამოსახულება, სადაც ერთდებიან აკადემიისა და დარვაზის ქედები, უცნაურს ხდის ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ამ მხრიდან უნდა შეიძლებოდეს ღარმოს მთის სამხრეულ მხართან მისვლა.

ამ რვეულს (დღიურისას) ხვალ თან არ წავიღებ ორი მოსაზრებით: 1) რვეული საკმაოდ მძიმეა, ხოლო ასეთ მოგზაურობაში ჩვენთვის ყოველ გრამსაც კი მნიშვნელობა აქვს და 2) მარშრუტის სიმძიმის გამო რთული იქნება რვეულის ხშირად მომარჯვება და შევსება.

სიჩუმეს არღვევს ჰავოდარას ყბედი ჩანჩქერი, რომელიც ლამაზ ნახტომს აკეთებს კლდეებიდან. ჩვენს კარავში სანთელი ანთია. პისლეგინი კალთაზე ფინსტერვალდერის რუკის ნაწილის ასლს იღებს.

უნაყოფო დაზვერვა ვანჩდარის მყინვარიდან

აქ ჩემს დღიურში მეორე ხარვეზია, რომელიც მოიცავს 2 — 5 სექტემბერს. ოთხი დღე მოვანდომეთ პისლეგინმა და მე ვანჩდარას მყინვარისა და მისი სათავეებიდან ვანჯისა და ღარმოს ხეობებში მიმავალი საუღელტეხილო მარშრუტების გავლა-გამოკვლევას.

ამ ოთხი დღის განმავლობაში ჩვენ გავაკეთეთ და ვნახეთ შემდეგი:

2 სექტემბერს

ექიმი პისლეგინი და მე დილის 8 საათზე ჰავოდარადან გავედით. გასვლისას გამოირკვა, რომ „დოხტურს" თან პატარა ჩანთა მოაქვს, რომელშიც ცოტა რამ ეტევა და ამიტომაც მე მომიხდება ჩემი დიდი ჩანთით ვატარო კოლექტიური საჭურვლის ყველა ნივთი — კარავიდან პრიმუსამდე, აგრეთვე საერთო საძილე ტომარი, თოკი, ქვაბი და სხვაი, რაში მდგომარეობდა პისლეგინის მიერ წამოყენებული პროექტის არსი. ექიმი რომ ჩემი ტოლი ყოფილიყო, მას ჩემთან ასეთი ეშმაკობა არ გაუკეთებდა, მაგრამ განსხვავება ჩვენს შორის ასაკის მხრივ

ძლიერ დიდი იყო, — მე ჯერ ოცი წელიც არ შემსრულებოდა, ის კი უკვე 35 წლის მამაკაცი იყო. ამიტომაც ვერ გავუბედე კრიტიკა და დავა.

პირველ დღეს ჩვენ გადავკვეთეთ ღარმოს მყინვარი მარჯვნიდან მარცხნისაკენ და შევედით ვანჩდარის ხეობაში, რომელიც დარეაზის ქედის კალთებშია ჩაჭრილი და ღარმოს ხეობას მარცხნიდან შეერთვის. ვანჩდარას მყინვარი ამჟამად ღარმოს მყინვარამდე ვერ აღწევს (დაახლოებით 1 კმ აკლია შეერთებამდე). მდინარე ვანჩდარას რიყე სავსეა ქიიკის თავის ქალათი და რქებით, — ცხოველები გაზაფხულის ზვავებს ჩამოუტანიათ მთებიდან. არის რქები, რომლებზეც შვიდი მტკაველი გადიზომება.

მყინვართან მისულმა ვიხილე სურათი, რომლის მსგავსი კავკასიონის მყინვარებზე არასოდეს მინახავს: ვანჩდარას მყინვარის ენა საკმაოდ დიდ მანძილზე, თავისი ხეობის მხოლოდ ერთ (მარჯვენა, ე. ი. აღმოსავლურ) მხარეზეა შემორჩენილი ოღრო-ჩოღრო, მთლიანად ღორღნალში ჩამარხული „მკვდარი ყინულის“ სახით. რაც შეეხება მეორე (მარცხენა ანუ დასავლურ) მხარეს, აქ ყინული მთლიანად გამდნარა და გაუთავისუფლებია რიყე, რომელზეც მდინარე მოედინება.

კარგა ხანს ვიარეთ რიყეზე ყინულის გასწვრივ და ავედით მყინვარზე, რომელიც ისევ ზეწრული მორენითაა დაფარული.

ვანჩდარას მყინვარი შედგენილია ორი ტოტით — მარჯვენა ანუ მთავარი ტოტით, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდის და მარცხენათი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან უერთდება პირველს. ბელიაევის რუკიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ პულკოვოს უღელტეხილი მდებარეობს მყინვარის მარჯვენა ტოტის ზემო ნაწილის მარცხენა (სამხრეთ) მხარეზე — დარეაზის ქედის თხემის მკვეთრ დადაბლებაში. პისლეგინი, რომელსაც ეტყობა, საქმე არ ჰქონია ტოპოგრაფიულ რუკებთან, ვერ ერკვევა ბელიაევის სქემაში და კამათს მიწყებს. იგი ამტკიცებს, რომ მყინვარის მარჯვენა კი არა, პირიქით — მარცხენა ტოტი მიდის პულკოვოს უღელტეხილისაკენ.

ამაოა ყველა საბუთი! პისლეგინს არ ესმის ახსნა-განმარტება. იგი განაგრძობს თავისი მცდარი შეხედულების მტკიცებას. დათმობა ამ საკითხში დაუშვებელია, შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ამიტომაც გადავქვს ჩემი და გეზს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (მარჯვენა ტოტის მიმართულებით) ვიღებთ.

ღამე 4200 მეტრის სიმაღლეზე გავათიეთ — ვანჩდარას მყინვარის მარჯვენა ტოტზე, სადაც იწყება ყინულის შიშველი ზედაპირი.

დილის ყინვამ და კოლექტიური საძილე ტომრის სივიწროვემ საკმაოდ ადრე აგვშალა. ვისაუზმეთ და განვაგრძეთ აღმასვლა. დარვაზის ქედი ახლა სულ ახლოსაა. მისი ჩრდილო ფერდობის უმეტესი ნაწილი ფრიალო კლდეებით არის აჭრელებული და თითქმის მიუვალია, მაგრამ უფრო აღმოსავლეთით, საიდანაც ვანჩდარას მყინვარი იწყება, უკვე მოჩანს ღრმა უნაგირა ქედის თხემში. ეს უნდა იყოს პულკოვოს უღელტეხილი, რომლითაც 1916 წელს ბელიაევი ვანჯის ხეობაში გადავიდა. უღელტეხილი ძლიერ ადვილი გადასალახავი ჩანს, მაგრამ ჩემი თანამგზავრი მაინც თავის აზრზე რჩება.

მალე დაიწყო მყინვარის დანაპრალებული ნაწილი. მყინვარულ ნაპრალთა ტექნიკური კლასიფიკაციის პროექტი გონებაში იბადება:

1. გადასაბიჯებელი ნაპრალები;
2. გადასახტომი ნაპრალები;
3. ხიდის საძებნელი ნაპრალები;
4. შეწყვილებული ნაპრალები ყინულის ტიხრით;
5. გვერდასაცელელი ფართო ნაპრალები.

ყველა ეს ხუთივე ტიპი წარმოდგენილია ვანჩდარას მყინვარის შუა ნაწილში, ზემო ნაწილში (ფირნის მინდორზე) მათ ემატება მეექვსე — შენიღბული, ანუ თაღიანი ნაპრალები.

ყველაზე ძნელი გადასალახავია ორმაგი, ანუ შეწყვილებული ნაპრალები, გაყოფილნი ყინულის თხელი ტიხრით. მათზე გადასვლისას. თოკით დაცული პირველი მთამსვლელი ჯერ ტიხრის ვიწრო თხემზე გადახტება, შემდეგ, წონასწორობის დაცვით, გაივლის განსაზღვრულ მანძილს ამ „ბეწვის ხიდზე" და, იპოვის რა მოხერხებულ ადგილს, გადაახტება მეორე ნაპრალსაც. რახან სამშვიდობოს გავა, იგი ჩაარჭობს თავის წერაყინს და მის ტარზე ან თავზე თოკს შემოახვევს მეორე მთამსვლელის დასაცავად, რომელიც იმავე ილეთით გადადის უფსკრულზე.

4800 მეტრის სიმაღლიდან იწყება ფირნის ველი და, მასთან ერთად, თოვლით გადახურული, ანუ „შენიღბული" ნაპრალები. აქ კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო: ყოველი ნაბიჯის გადადგმამდე წერაყინის წვეტით უნდა შეამოწმო თოვლი, ხომ არ იმალება მის ქვეშ სიღრუვე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიღრუვეს (ნაპრალს) შეიძლება რამდენიმე ათეულ მეტრამდე სიღრმე ჰქონ-

დეს, მასში ჩავარდნა, უკეთეს შემთხვევაში, იწვევს ნერვული სისტემის დაძაბვას და შიშს, ხოლო უარესში — სიკვდილს ან დასახიჩრებას.

ხშირად მქონია შემთხვევა (ვანჩდარაზეც და სხვა მყინვარებზეც ორწვერზე, ტვიბერზე, ლიპსკის მყინვარზე და ა. შ.), რომ თოვლის თაღი წერაყინის წვეტის ან ფეხის ქვეშ ჩაშლილა და გამოუჩენია პატარა შავი „ფანჯარა", რომლის ქვეშ 10 — 20 — 30 მეტრი და მეტი სიღრმის ნაპრალი იმყოფება. ჩემდა საბედნიეროდ, ყველა ეს შემთხვევა მშვიდობიანად დამთავრდა. არასოდეს დავკიდებულვარ თოკზე და, მით უმეტეს, არც ნაპრალის ფსკერამდე ჩავვარდნილვარ[1].

ახლოვდება საღამო. ვიწყებთ დასაბანაკებელი (ღამის სათევი) ადგილის ძებნას. ფირნიანი ველის ჩრდილო კიდეზე ვპოულობთ სასმელი წყლით (ლანქერის ნაკადულით) და შუსტერის კარვის დასადგმელად საჭირო ქვებით უზრუნველყოფილ ადგილს, დაახლოებით 5000 მეტრის სიმაღლეზე. აქ იმართება ჩვენი ბანაკი. მას მოხერხებული მდებარეობა აქვს როგორც პულკოვოს უღელტეხილის, ისევე მეორე უნაგირას მიმართაც, რომელზეც ჯერ ძე ხორციელი არ ასულა (სად გადადის იგი, ჯერ არავინ იცის).

5000 მეტრი ზღვის დონიდან პამირისათვის ჯერ კიდევ არ ითვლება მაღლივ ღამის სათევად. რას ნიშნავს 5 კილომეტრი სიმაღლე იმ მხარეში, სადაც 6 —7-კილომეტრიანი მწვერვალები ათობით და ასობითაა. მაგრამ ატმოსფერული წნევის მხრივ პამირზე, კავკასიონსა და ალპებში დაახლოებით თანაბარი პირობებია და აქაურ „დაჩაგრულ ხუთკილომეტრიან სიმაღლეზეც" ჟანგბადის შემცველობა ჰაერში ისეთივეა, როგორც იმავე აბსოლუტურ სიმაღლეზე ჩვენში.

აქედან ნათელია, რომ ადამიანის საარსებო პირობები ერთსა და იმავე სიმაღლეზე ყველგან თითქმის ერთნაირია. ძილი, მოძრაობა, მუშაობა ძნელდება გაიშვიათებული ჰაერში სასუნთქი ჟანგბადის ნაკლებობით. შუსტერის პატარა კარავში უჟანგბადობა მკვეთრად იგრძნობა. ორგანიზმის მსუბუქი დატვირთვის დროსაც კი (მაგალითად, ფეხსაცმლის გახდა-ჩაცმისას, გვერდიდან გვერდზე გადაბრუნებისას, პრიმუსის ამუშავებისას) ადამიანს სული ეხუთება, წამდაუწუმ შესვენება ესაჭიროება.

---

[1] ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიაში იყო შემთხვევა, როდესაც მისი თანამშრომელი ორწვერის მყინვარის ნაპრალში ჩავარდა და სპეციალური ხერხებით ამოსაყვანი გახდა.

დიდი სიმაღლით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობის — მთის სენის გამოვლინების წინააღმდეგ ერთადერთი საშუალებაა აკლიმატიზაცია, ე. ი. ორგანიზმის შეჩვევა დიდ სიმაღლეზე ყოფნისა და მოძრაობასთან.

პისლეგინის იდეამ მარცხი განიცადა — საძილე ტომარი აშკარად არ გვყოფნიდა.

4 სექტემბერს დილის 8 საათზე, რის ვაი-ვაგლახით გამოვძვერით ჯერ ტომრიდან და შემდეგ კარვიდან. ტანჯვა-წვალებით ჩავიცვით. განსაკუთრებით ბევრი დრო და ენერგია წაგვართვა გათოშილი სამთო ფეხსაცმლის ჩაცმამ.

ჩაის წყლისათვის თოვლის გაღნობა მოგვიხდა, ვინაიდან კლდეზე მონანწკარე ნაკადული გაყინული დაგვხვდა. როგორც იქნა, ვისაუზმეთ და თოკ-წერაყინით აღჭურვილნი გავემართეთ პულკოვოს უღელტეხილისაკენ.

გადავკვეთეთ თოვლის მინდორი და მივადექით აღმართს, საიდანაც იწყებოდა უღელტეხილის ჩრდილო (ხინგოუს აუზში მოქცეული) ფერდობი. უღელტეხილის შეფარდებითი სიმაღლე ვანჩდარას მყინვარის მასაზრდოებელი ცირკის ფსკერიდან სულ ოციოდე მეტრია. უღელტეხილის უნაგირა უნდა წარმოადგენდეს ძველი ეროზიული ხეობის ნაშთს, რომელიც აერთებდა თანამედროვე ხინგოუ-ვანჯის ხეობებს. მაგრამ საით მიდიოდა მისი წარმომქმნელი მდინარე, — ვანჯიდან ხინგოუში თუ პირიქით, ნათელი არ არის.

პულკოვოს უღელტეხილზე ასვლისას არავითარი სიძნელე არ შეგვხვედრია და დილის 10 საათისათვის ჩვენ უკვე თავი ამოვყავით დარეაზის ქედის წყალგამყოფ თხემზე, დაახლოებით 5000 მ სიმაღლეზე.

უღელტეხილიდან გადაშლილი პანორამა არ არის მაინცადამაინც ვრცელი, ან პამირის ოროგრაფიის შეცნობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი: დარვაზის ქედიდან სამხრეთისაკენ გაწვდილი საკმაოდ მაღალი შტოქედები ზღუდავენ გარემოხედს ამ მიმართულებით. მხოლოდ რუშანის მოლურჯო კლდეებიანი ქედი მოჩანს, რომელიც ვანჯიაზგულემის ხეობათა წყალგამყოფს ქმნის და, უფრო ახლოს კი ვანჯის ხეობაა მასთან დაკავშირებული ობ-ი-მაზარის ქვაბულით.

მარჯვე სიარულით აქედან ერთ დღეში შეიძლება ჩასვლა ვანჯის ხეობის იმგვარ ადგილებში, სადაც ახლა ყურძენი და ნესვია შემოსული, სადაც ტროპიკული მალარია მძვინვარებს...

ჩვენი გზა იქით არ მიდის, — ვანჯის მთელი აუზი გათიშულია

ღარმოს პიკის და აკადემიის ქედის უმაღლესი, თითქმის 7500-მეტრიანი მწვერვალის რეგიონისაგან ფრიად ძნელგასავლელი კვანძებით, რომელიც იმყოფება აკადემიისა და დარვაზის ქედების შეერთების წერტილის — დარვაზის პიკის ირგვლივ. ძნელი წარმოსადგენია, რა მოსაზრებებს ემყარება კ. კრილენკო, როდესაც შესაძლებლად თვლის აღნიშნული რეგიონისაკენ მიმავალი, შედარებით ადვილი გზის არსებობას ამ მიმართულებით.

პამირის ოროგრაფიული აღნაგობის იმ სქემის შუქზე, რომელიც გამოსახულია ფინსტერვალდერისა და ბელიაევის რუკებზე, არავითარი მისასვლელი გზა ვანჩდარისა და ვანჯის სეობებიდან 7495 მ სიმაღლის მქონე მწვერვალისაკენ ან თუნდაც ტაჯიკებისათვის ცნობილ ღარმოს პიკისაკენ არ შეიძლება მიდიოდეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის ალპინისტური ათვისების პრობლემა შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ აღმოსავლეთიდან — ფედჩენკოსა და საბანაკო მყინვარებიდან.

უღელტეხილზე ქვის პაწია კოშკურა დაგვხვდა, რომელიც ალბათ ი. ბელიაევმა ააგო თავისი ასტროპუნქტის აღსანიშნავად. გვერდჩანთიდან ამოღებული ბლოკნოტის ფურცელზე ვწერ და კოშკურში ვათავსებ ბარათს ჩვენი აქ ამოსვლის შესახებ[1].

საჭიროა დაზვერვა სხვა, უფრო ხელსაყრელი პუნქტიდან. ამგვარ წერტილად დავსახე ვანჩდარას ფირნიანი აუზის მარჯვენა (ჩრდილო) მხარეზე ამართული ქედის უნაგირა, რომელიც ჩვენს ღამენათევ ადგილს დასცქერის.

ვბრუნდებით კარავთან, წყურვილს ვიკლავთ შტოშის ექსტრაქტით შეზავებული ლანქერი წყლით და მაშინვე ვიწყებთ ასვლას ბანაკის თავზე ამართულ ქედზე. სადაც უღელტეხილის მსგავსი უნაგირა მოჩანს.

ავდიეართ დახრილ თოვლნარებზე, სადაც ალაგ-ალაგ საფეხურების ჭრა ან ფეხსაცმლით თოვლის ჩატკეპნა გვიხდება. თოვლის ზედაპირს მზის სხივების პირდაპირი მოქმედებით ეთანაბრო დნობა მოპყვება.

---

[1] რასაკვირველია, მე არ მქონია იმ მომენტში იმის წინათგრძნობა, რომ, მომავალში, ქვებში ჩადებული ეს წერილი კარგ სამსახურს გამიწევდა — თავიდან ამაცილებდა უსაფუძვლო ბრალდებას, თითქოს მე პუღკოვის უღელტეხილს ვერ ვივაგენი. 1957 წელს მოსკოველმა ტურისტებმა აღმოაჩინეს ნამდვილ პუღკოვის უღელტეხილზე ჩემი ბარათი და ამის შესახებ წერილი გამოგვიგზავნეს, რითაც საბოლოოდ უარყვეს ნ. კრილენკოს წიგნებში გატარებული მცდარი დებულება.

აქ კარგადაა გამოსახული „კალგასპორები“ — თოვლის ზედაპირის მკვეთრად ამოწვდილი ქიმები, რომლებიც ოდნავ წაკუზული, დაჩოქილი ადამიანის ფიგურებს მოგვაგონებენ. „კალგასპორები“ ტაჯიკური ტერმინია, რომელიც მთამსვლელებმა რუსულ ენაშიც შეიტანეს. შვეიცარიაში მათ „ცოდვების მომჩანიებელთა თოვლს“ („снега кающихся“) უწოდებენ. თოვლის მინდვრების დნობის ეს ფორმებ- დამახასიათებელია ტროპიკული და სუბტროპიკული ზონების მაღალი მთებისათვის და იშვიათია კავკასიაში. „კალგასპორების“ განვითარების კლასიკური მხარეა ეკვადორის ფირნიანი რეგიონი (სამხრეთი ამერიკა).

აქ საინტერესო ამბავი მოხდა.

პისლეგინმა ჩემს თვალში საბოლოოდ დაკარგა მთამსვლელი- რეპუტაცია და გამოამჟღავნა უცნაური თვისებები.

საბოლოოდ დავრწმუნდი: პისლეგინს საერთო არაფერი ჰქონდა ალპინიზმთან. მისი ასვლა ლენინის პიკის ფერდობზე 6000 თუ 5500 მეტრის (დღითიდღე პისლეგინი ამცირებდა ამ რიცხვს) სიმაღლემდე მხოლოდ მითი იყო. კრილენკოს ნდობის მოსაპოვებლად გამიზნული.

ნაშუადღევის 3 საათზე ორივენი კლდოვანი ქედის თხემზე ვიდექით, ზღვის დონიდან 5300 — 5400 მეტრის სიმაღლეზე. ქედის გადაღმა, ჩვენს ფეხქვეშ ჩაწოლილიყო მოზრდილი ხეობური მყინვარი. ბელიაევის რუკისა და კრილენკოს აღწერილობის მიხედვით ეს უნდა იყოს შოკალსკის მყინვარი. მასზე თავისუფლად შეიძლებოდა იმ უნაგირიდან ჩასვლა, სადაც ჩვენ ვიდექით და თვითონ მყინვარიც არ იყო ძნელი გასავლელი.

ამრიგად, ჩვენ აღმოვაჩინეთ ახალი უღელტეხილი, რომლითაც შეიძლება ვანჩდარის მყინვარიდან შოკალსკის მყინვარზე გადასვლა და შემდეგ ამ უკანასკნელის გავლით ღარმოს მყინვარამდე მისვლა. ეღებულობ ქანის ნიმუშს — ხელისგულის ოდენა (სტანდარტულ) ნატეხს. რომელიც ინტრუზიული ქანის იერს ატარებს.

მაგრამ ჩემს წინაშე მდგომი ამოცანისათვის ახალაღმოჩენილი უღელტეხილიდან სათანადო ხილვადობის არე არ იყო, ამიტომაც იქვე ახლოს ამართულ. დაახლოებით 5400-მეტრიან მწვერვალზე ავფოფხდი (პისლეგინი უღელტეხილზე დარჩა).

უსახელო მწვერვალიდან ჩემს წინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, როგორიც არც მანამდე, არც მის შემდეგ არსად მინახავს.

ცის ტატნობის თითქმის ნახევარი, მეცნიერებათა აკადემიის ქედს ეკავა. სამი კილომეტრი სიმაღლის კედელი წარმოადგენს მის

დასავლურ მხარეს. კედელი მთლიანად ყინულითაა ალესილი. ქედს თხემიდან ძირამდე ეშვებიან ციცაბო ყინვარდნილები. ლაქვარდი ცის ფონზე, რომელიც მუქ სათვალეში იისფრად იყო გამუქებული, მარადიულ დუმილში ამაყად აღმართულიყვნენ ჯერ კიდევ ადამიანის ფეხდაუკარები 6 — 7, 5-კილომეტრიანი მწვერვალები.

ქედის უნაგირები სიმაღლის მხრივ ბევრით არ ჩამოუვარდებიან მწვერვალებს, ზოგიერთი 6000 მეტრზე უფრო მაღალია. არც ერთ მათგანს უღელტეხილი არ შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან მათზე ასვლა უძნელესი კატეგორიის მწვერვალის აღებას უღრის. თავისთავად ცხადია, რომ ამ მხრიდან არავითარი მისასვლელი ღარმოს პიკთან ან, მით უმეტეს, ქუჰ-ი-სანთალაქთან არ არსებობს.

კრილენკოს ჰიპოთეზა ღარმოს სამხრეული მისადგომის არსებობის შესახებ დამყარებული იყო პამირის ამ ნაწილის ოროგრაფიის გაუთვალისწინებლობაზე. კერძოდ, იგი ანგარიშს არ უწევდა წყალგამყოფი თხემის უწყვეტობას დარვაზისა და აკადემიის ქედების მთელ სიგრძეზე.

ამგვარი დასკვნებით ჩავედი უნაგირაზე ექიმ პისლეგინთან.

5 სექტემბერს ჩვენ უკვე ჰავოდარას ბაზაში ვიყავით. ვუბრუნდები ჩემს დღიურს.

5 სექტემბერი

დღეს დილით ექიმმა და მე მივატოვეთ ვანჩდარას ქვემო ბანაკი (4100 მ ზღვის დონიდან) და გამოვეშურეთ „შინისკენ". ლოდნარიანალიან მყინვარზე დაღმასვლა, რა თქმა უნდა, დიდ სიამოვნებას არ წარმოადგენს (განსაკუთრებით ღარმოს მთავარი მყინვარის „ღიმხალზე").

გზაში ვიპოვე ორი წყვილი ქიიკის რქა, ექვსმტკაველიანი სიგრძისა, ზემოდან დავადე ისედაც მძიმე ზურგჩანთას და დიდხანს ვაორიე იმ იმედით, რომ რქები დაამშვენებდა ჩვენი ბინის კედელს. მაგრამ ეს საქმე ბოლოს და ბოლოს მომბეზრება და რქები გზაში დავყარე.

ჰავოდარაზე მოვედით 15 საათზე. იქ არავინ დაგვხვედა. კრილენკოს ბარათი დაეტოვებინა ბანაკში მომსვლელებისათვის.

ბარათში წერია, რომ ძირითად ბანაკში (ფეშამღართან) მოვიდნენ დიმიტრი შჩერბაკოვი, კონსტანტინე მარკოვი, იური არაპოვი და სამი ქალი. 3 სექტემბერს ჰავოდარადან ღარმოს პიკის ჩრდილო სე-

რისაკენ გავიდნენ კრილენკო, ბარხაში, მარკოვი და ლოიქი (დაბრუნდებიან 7 — 8 სექტემბრის საღამოს).

პისლეგინმა და მე გადავწყვიტეთ პეტრე დიდის ქედის უღელტეხილების გამოკვლევა განდოს მყინვარიდან. ვიწყებთ მზადებას სახვალიოდ მეორე მარშრუტზე გასასვლელად.

11 სექტემბერი

ღრუბლიანი დილა გათენდა. მთები ჯანღში იმალებიან. ჰავოდარას ჩანჩქერი კი ჩვეულებრივად „იყეფება". არ ვიცი, მოხერხდება თუ არა დღეს ჩვენი გასვლა განდოს მყინვარისაკენ.

აქ ჩემს დღიურში ჩართულია ვანჩდარასა და შოკალსკის მყინვარებზე ჩემი დაკვირვების შედეგები:

მ ყ ი ნ ვ ა რ ი ვ ა ნ ჩ დ ა რ ა იწყება დარვაზის მთავარ ქედსა და მის შტოქედებს შორის, მიემართება ჯერ დასავლეთისაკენ, შემდეგ გაუხვევს ჩრდილოეთისაკენ და მთავრდება საკუთარ ხეობაში, ღარმოს მყინვარიდან 1,5 — 2 კილომეტრის მანძილზე (ასიოდე წლის წინათ ვანჩდარა უერთდებოდა ღარმოს მყინვარს).

ვანჩდარას მყინვარის მთელი სიგრძე ამჟამად უთანაბრდება 11 — 12 კმ. მერიდიანული (ქვემო) მონაკვეთი ოდნავ უნდა სჭარბობდეს, სიგრძის მიხედვით, განედურ (ზემო) ნაწილს.

იმ ფაქტს, რომ ვანჩდარას მყინვარი უშუალოდ ერთვოდა ღარმოსას, მოწმობს ამ უკანასკნელზე მიყრილი ბოლო და ფსკერული მორენები. მყინვარის ყოფილი ბოლოს მიერ გათავისუფლებულ ხეობაში დარჩენილია ვანჩდარას მყინვარის მარჯვენა და მარცხენა გვერდითი მორენები. ყინვარული ეგზარაციით გათლილი კლდეები ალაგ-ალაგ 50 — 60 მეტრით მაღლაა მყინვარის თანამედროვე ზედაპირთან შედარებით. გვერდის მორენებიც ამ ზედაპირზე მაღლა დგანან, მათ ქვეშ ძველი მკვდარი ყინული იმალება.

ვანჩდარას მყინვარის ბოლო მდებარეობს დაახლოებით 3500 — 3600 მეტრის სიმაღლეზე. მყინვარის ბოლოში დაბალი გროტია, საიდანაც გამოდის საკმაოდ მოზრდილი ნაკადი, უკვე ამღვრეული ფსკერული მორენების „ნაფქვავით". მდინარის გამოსასვლელი ხეობის მარცხენა გვერდთან უფრო ახლოსაა.

მთელი მყინვარი 4 100 მეტრის სიმაღლემდე მთლიანი ზედაპირული მორენითაა დაფარული. მყინვარის შუაგულზე თავს იჩენს ყინულის ბექობი კონუსური ფორმის სერაკებით, რომლებიც სვლას

აბრკოლებენ. გვხვდება მყინვარული მაგიდები. ნაპრალები აქ მეტწილად ღორღითაა ამოვსებული.

მყინვარის ბოლოს, ზემოთ, დაახლოებით 2 კმ მანძილზე (დინების აღმა) ნაკადი ხელახლა ჩნდება ზედაპირზე და მოედინება რიყეზე. დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე.

ყურადღებას იპყრობენ მყინვარის მიერ გათლილ-გაშანდაკებული კლდეები, განსაკუთრებით ხეობის მარჯვენა გვერდზე. აქ ფიქლის შრეები აყირავებულია და მათი გაწოლის მიმართება განედურია. მყინვარს გაუკეთებია კლდეების სტრუქტურების ბუნებრივი განიეჭრილი.

4200 მეტრის სიმაღლიდან მყინვარი იწყებს აღმოსავლეთისაკენ გახვევას და 4400 მ აბსოლუტური სიმაღლიდან, ზემოთ, განედურ მიმართებას ემორჩილება. რკალის შინაგან (მარჯვენა) მხარეზე გაჩენილა ყინვარდნილი, რომელზე სვლაც საკმაოდ ძნელია.

მყინვარის განედური ნაწილი სუფთაა და დაპობილია განივი ნაპრალებით, რომელთა სიგანე ალაგ-ალაგ 3 — 4 მეტრს აღწევს, ხოლო სიღრმე თვალდათვალ 100 — 130 მეტრამდეა. ფირნის ველი იწყება 4600 — 4700 მ სიმაღლიდან და მოქცეულია ქვაბულში, რომელსაც ორი მხრიდან (აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან) ზღუდავს დარვაზის ქედის მოხრილი ნაწილი, ხოლო ჩრდილოეთიდან იმავე ქედის შტო, რომელიც ამ მყინვარს შოკალსკის მყინვარისაგან გამოჰყოფს.

ფირნის ველის სიგანე აღწევს 2 კმ, ხოლო თვით ვანჩდარის მყინვარისა არ აღემატება 1 კმ. მყინვარის ენის სისქე 80 — 100 მეტრს უდრის, ხოლო ზემო ნაწილებში ნაპრალების სიღრმე 100 მეტრს სჭარბობს.

მყინვარი ვანჩდარა ორივე მხრიდან იერთებს შენაკადებს. მარცხენა მხრიდან მას შეერთვის სამი მყინვარი. ორი მათგანი (ქვემო და შუა), რომლებიც მთავარი მყინვარის მერიდიანულ მონაკვეთს შეერთვიან, თავისი სათავეებით მიმართულია პაამდარას მყინვარის წყალგამყოფისაკენ, ხოლო მესამე (ზემო) შენაკადი, რომელიც ვანჩდარას 4500 მეტრის სიმაღლეზე შეერთვის, ორი მცირე შტოთი უშუალოდ ებჯინება დარვაზის მთავარ ქედს. ამ სამ მარცხენა შენაკადს შორის უდიდესია შუათანა, რომელიც 4200 მეტრზე შეერთვის მთავარ მყინვარს.

მარჯვენა მხრიდანაც ვანჩდარას სამი მცირე მყინვარი უერთდება, თუმცა ამჟამად ქვემოდან პირველი მათგანი მთავარ მყინვარამდე ვერ აღწევს და მასზე 150 მეტრით მაღლა წყდება. მეორე და მესამე შენაკადები მოკლებული არიან საკუთარ ხეობებს და ფერდობებზე

ჰკიდიან. უკანასკნელი (ზემო) მყინვარი შეერთვის ვანჩდარას ფირნის ველის საზღვარზე (4700 მ).

ყველა ამ შენაკადებს შორის განსაკუთრებით ძლიერ ეგზარაციულ მოქმედებას აწარმოებს შუა მარცხენა მყინვარი, მის მარცხენა გვერდს მიუყვება მძლავრი მორენა.

შუა აზიის მთების საერთო თავისებურების თანახმად, ვანჩდარას მყინვარის ირგვლივ ამართული მთები (ფიქლებითა და ინტრუზიული ქანებით აგებული მასივები) გაცხოველებულ ფიზიკურ გამოფიტვას განიცდიან. ისინი მართლაც დამარხულია საკუთარი ნამსხვრევების ქვეშ.

თოვლის საბურველი ასუსტებს გამოფიტვის პროცესს, მაგრამ გაშიშვლებულ თხემებზე (მაგალითად, შოკალსკი-ვანჩდარას გამყოფ ქედზე) იგი აშკარად ინტენსიურად მიმდინარეობს; კრისტალური ფიქლები და პეგმატიტები ხელში ადვილად იფშვნება და წარმოშობენ წვრილნატეხოვან ქვანარებს (წვრილი ღორღი, ხვინჭა და ქვიშა).

ვანჩდარას მყინვარიდან გადადის სამი მარშრუტი მეზობელ ხეობებში:

1) პულკოვოს უღელტეხილით (5100 მ) ვანჯის ხეობაში (სოფელ ფოიმაზარში). ეს უღელტეხილი მდებარეობს ფირნის ველის მარცხენა კიდის თავზე. ამ ადგილში დარვაზის ქედი უეცრად დაბლდება და აჩენს ღრმა გასასვლელს, რომელიც ფირნის ველზე 35 — 45 მეტრით მაღლაა. ვანჩდარას მხრიდან უღელტეხილზე ადიან თოვლიანი ფერდობით, რომელიც დაახლოებით 45°-თაა დახრილი. ზედ უღელტეხილის უნაგირაზე თოვლი რამდენიმე ნაპრალითაა გაპობილი. სამხრეთული ფერდობი 100 — 150-მეტრიანი დაღმართით ჩადის მოზრდილი მყინვარისაკენ.

2) უსახელო უღელტეხილი (5300 მ) დარვაზის ქედის ერთ-ერთ ჩრდილო შტოზე, ვანჩდარას მყინვარის ძირითადი ტოტის მასაზრდოებელია ფირნიანი ცირკის ჩრდილო მხარეზე. ამ უნაგირათი შეიძლება ვანჩდარის მყინვარის სათავეებიდან შოკალსკის მყინვარზე (ღარმოს შენაკადზე) გადასვლა, უნაგირიდან შოკალსკის მყინვარზე დაშვება მოითხოვს თოკით დაცვას და ალაგ-ალაგ გამოფიტულ ქანებში საფეხურების ჭრას. ამ უღელტეხილს შეიძლება ვაშო ეწოდოს (ვანჩდარასა და შოკალსკის მყინვართა სახელწოდებების პირველი მარცვლების შენაერთი).

3) მესამე უღელტეხილი გადალახა 1932 წელსვე ნ. კრილენკოს ჯგუფმა, ჰავოდარადან ვანჯის ხეობაში (ვანჩდარის მყინვარის მარცხენა

ტოტის ავლით) გადასვლისას. იგი გაცილებით უფრო მაღალია და ძნელი, ვიდრე მისი პარალელური პულკოვოს უღელტეხილი. მარშრუტი მიჰყვება ვანჩდარას მყინვარის მარცხენა შუა შენაკადს და ჭადადის მდ. პაამდარას ხეობაში.

ვანჩდარას მყინვარი საზრდოობს ციცაბო ფირნიანი ფერდობებისა და მათი ნგრევის ხარჯზე. რაც შეეხება მის მეორეხარისხოვან ტოტებს ანუ შენაკადებს, ძირითადად თოვლზვავებით იკვებება და გადაგვარების გზას ადგას (თვით ვანჩდარაც მცირდება). ამას მოწმობს „გარიყული", გაუძრავებული გვერდითი მორენები. ვანჩდარას მყინვარის კვების არე გრძელდება 4 — 6 კმ მანძილზე.

ვანჩდარას ცირკი გარშემორტყმულია მაღალი მწვერვალებით, რომელთა საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 5800 — 6000 მეტრს უდრის, ხოლო უმაღლესი მათგანი — დარვაზის პიკი 6800-ს აღემატება.

დასკვნა: ვანჩდარას მყინვარი განაგრძობს შემცირებას და მ[illegible]ს მიერ შობილი მდინარის დებიტი კლებულობს. მყინვარი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზას ხინგოუს სათავიდან ვანჯისა და ფედჩენკოს მყინვარის აუზებში.

შოკალსკის მყინვარის დახასიათება: შოკალსკის მყინვარი ჩვენ პირადად არ გაგვივლია, მხოლოდ ვაშოს უღელტეხილიდან დავინახეთ. აქედან მოჩანს მყინვარის ვრცელი ცირკი და ვიწრო გასასვლელი, სადაც მყინვარდნილია წარმოქმნილი.

შოკალსკის მყინვარი შედგენილია 4 მთავარი ტოტით, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის ქედიდან და მისი დასავლური ტოტიდან ჩამოდის. მყინვარის საზრდოობა ხდება დაკიდული ფირნებისა და ზვავების ხარჯზე.

შოკალსკის მყინვარის სიგრძე ალბათ 8 კილომეტრს აღემატება.

შუადღისას მე და პისლეგინი გავედით ჰავოდარადან და ავუყვევით ალმა ღარმოს მყინვარის მარჯვენა კიდის გასწვრივ. ჩვენი მიზანი იყო ასელა პტესის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე, კორჟენევსკაიას პიკის და ქუჰ-ი-სანთალაქის მდებარეობისა და მისადგომების დასაზვერად.

...კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო, — ამბობს ქართული ანდაზა, სულ სამიოდე კილომეტრი გვქონდა გავლილი, როდესაც დავინახე შუაგულ მყინვარზე ორი ადამიანის ფიგურა. გავეხმაურე. გამო-

ირკვა. რომ ბრუნდებოდნენ ვორობიოვი და ცაგი. მივედით მათთან და გავაბით საუბარი.

ვორობიოვმა გვიამბო შემდეგი: ის და ცაგი მიჰყვნენ ჩრდილო-აღმოსავლურ (ბელიაევის) მყინვარს და თავი ამოყვეს ყოველი მხრიდან შემოზღუდულ გრანდიოზულ ცირკში, რომელსაც არავითარი გასასვლელი არ უჩანდა.

ისინი ავიდნენ ამ ცირკში მდებარე თოვლიან მწვერვალზე (სიმაღლე დაახლ. 6000 მეტრი) და დარწმუნდნენ, რომ აქედან პეტრე დიდის ქედზე გადასვლა და მის ჩრდილო კალთებზე მოხვედრა შეუძლებელია. სადღაც მაღლა მდებარეობს ფირნის მინდვრები, რომლებიც წყდებიან 500 — 700 მეტრის სიმაღლე ქარაფოვანი კედლის თავზე და თავისი ჩამონანგრევებით ასაზრდოებენ ღრმა ხეობაში ჩაწოლილ მყინვარს.

ვორობიოვის აზრით, ქუჰ-ი-სანთალაქი ის წერტილია, სადაც პეტრე დიდისა და აკადემიის ქედები ერთიმეორეს უკავშირდებიან.

მათვე გვითხრეს. რომ განდო-ღარმოს გაძყოფი ქედის მწვერვალებზე ასასვლელად სულ ცოტა 3 — 4 დღეა საჭირო. ეს დრო კი არ გვაწყობს. ამიტომაც მე და პისლეგინმა ხელი ავიღეთ ჩვენს გეგმაზე. ცაგთან და ვორობიოვთან ერთად დავბრუნდით ჰავოდარაზე.

ორი საათის შემდეგ ჰავოდარის მორენაზე გამოჩნდა ლოიქი, რომელიც ნიკოლოზ კრილენკოს გამოეგზავნა შემდეგი წერილით:

„ავდივართ ღარმოს ჩრდილო მუხლზე, ვიმყოფებით 4700 მეტრის სიმაღლეზე. ლოიქს გამოატანეთ (ჩამოთვლილია საგნები და პროდუქტები). დავრჩებით აქ 6, 7 და 8 სექტემბერს. ვისაც გსურთ, მოდით ლოიქთან ერთად".

ექიმმა გადაწყვიტა წასვლა.

7 სექტემბერი

პისლეგინი და ლოიქი ემზადებიან კრილენკოსთან წასასვლელად: ვსვამთ ჩაის გალეტებით, კარაქით და მოძველებული ყველით. 10 საათზე ლოიქი და ექიმი სტოვებენ ჰავოდარას.

მთელი დღე მოვანდომეთ საკუთარი თავის მოვლას, დასვენებას. დიდებული დღეა და ჩვენ სამივე ვნანობთ, რომ ასეთი დღე რომელიმე მწვერვალზე არ შეგვხვდა.

ნოყიერი სადილის — ხორცის კონსერვის (ბრინჯიანი სუპი, მანის ფაფა ქიშმიშით) შემდეგ ვთამაშობთ ბანქოს. ანტონის აზარტული შეძახილები ახმიანებენ არემარეს. ვორობიოვის სიტყვით, მათ თავის

მარშრუტზე სიარულის დროს ზაზუნების სოროები 4500 — 5000 მეტრის სიმაღლეზე ხვდებოდათ: დაასლოებით იმავე სიმაღლეზე ხედავდნენ ბალახოვან მოედნებსაც.

8 სექტემბერი

დილა პამირულია. მზე ელვარებს და აელვარებს გრანდიოზულ თოვლიან ზღუდეს პაამდარას სათავეში.

დღეს ანტონ ცაგი მორიგე მზარეულია; გვიმასპინძლდება კომბოსტოიანი ხორცის სუპით, მოხარშული შაშხით და კომპოტით.

ჰავოდარას ჩანჩქერი ნაშუადღევს ჩვეულებისამებრ იმღვრევა და ტალახიანდება. მხურვალე მზეს გამოუწვევია ნაკადის სათავეებში ყინულის ინტენსიური დნობა და ჩამოშლა, რის შედეგად ბოლომორენები გაძლიერებით ირეცხება.

დღეს მე შევასრულე ერთადერთი სამუშაო: ავედი ჩვენს ბანაკზე 300 მეტრით მაღლა, ძირფესვიანად მოვარყიე, შემდეგ ჩამოვაგორე და ჩამოვათრიე არჩის ვეებერთელა კუნძები, რომლებსაც ასე ხარბად ნთქავს ჩვენი კოცონი. ზოგიერთ უბნებზე არჩის კლაკნილ ღეროს მარხილად ვიყენებდი, ზედ ვჯდებოდი და მოვსრიალებდი ფერდობზე.

მაგონდება: შარშან ამ დღეს (8 აგვისტოს) შალვა მაყაშვილთან, გრანოვსკისთან, სტაროკადომსკაიასთან და ბასთან ერთად, მყინვარწვერზე ასვლის შემდეგ, ყაზბეგში ვბრუნდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ პამირზე მუშაობა ფრიად შინაარსიანი, ნაყოფიერი და საინტერესოა, კავკასიონი მაინც მიზიდავს თავისი უხვი ბუნებით და მწვერვალთა მრავალსახოვანი არქიტექტურით. ის, რაც აქ, პამირზე დიდ სივრცეზეა გაბნეული, ჩვენში (კავკასიონზე) თითქოს კოლექციონერის მიერ ერთად არის თავმოყრილი.

რასაკვირველია, პამირსაც აქვს თავისი უპირატესობები და, პირველ რიგში, მისი თითქმის ხელუხლებელი ცხოველთა სამყარო, რომელშიც შეთანწყობილია ცენტრალური და სამხრეთი აზიის ფაუნის ელემენტები.

სადილის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ერთი საათით დასასვენებლად მიეწექით კარვებში, რის შემდეგაც ვაპირებდით ორი საკითხის გადაწყვეტას — ჩანჩქერზე ექსკურსიის ჩატარებას და ბანქოს თამაშს (ანტონის მიერ დანერგილ „დრაიფუსს"). მაგრამ მთელი გეგმა ერთბაშად ჩაიფუშა.

მე კარავში ვიწექი, როდესაც ვორობიოვმა დაიღრიალა:

— ამხანაგებო, ცხენები მოდიან!

გამოვვარდი გარეთ და მართლაც დავინახე ჰავოდარას ხევის მხრიდან მომავალი საპალნიანი ცხენები. მეწინავე ცხენს მოუძღვებოდა ჩვენი ძველი ფაშიმღარელი ნაცნობი „პატი“ (ბოდიში, ნაბი!). ერთმანეთს მოჰყვნენ 7 ცხენი. 3 — 4 მექარავნე, ჩვენი ექსპედიციის მუშა სადირბაი და ჩემთვის მანამდე უცნობი პირები, რომლებიც ივანე დოროფეევის ტოპოგრაფიული რაზმის მონაწილენი აღმოჩნდნენ; თვით დოროფეევი, არიკ პოლიაკოვი და ლეონიდ პოკროვსკი, ერთი საათის დაგვიანებით ჰავოდარას ბანაკში მოვიდნენ დიმიტრი შჩერბაკოვი, ტატიანა ბაროვსკაია, სტახ განეცკი.

დოროფეევის რაზმმა კონკრეტულად უნდა გახსნას ღარმოს კვანძი. ტერიტორია, რომელზეც ხელი ვერ მიუწვდათ 1928 წლის ექსპედიციის გერმანული ნაწილის წევრებს (ფინსტერვალდერის მეთაურობით). დოროფეევმა უნდა აგეგმოს ფოტოთეოდოლიტით, რომლის გამოყენების ხელოვნებაც მან გერმანიაში მიელინების დროს აითვისა.

დოროფეევის უახლესი თანაშემწეები არიან „კრემლის ბიჭები“ — სტახ განეცკი და არიკ პოლიაკოვი. ისინი ერთიმეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ტიპები არიან. სტახი — მხიარულებით სავსე, ანეკდოტების, ლექსებისა და სიმღერების უძირო გუდა; არიკი — გულჩახვეული, ჩუმი, ეშმაკი. ქალაქში, სადაც სტახი თუნდაც რამდენიმე დღეს დაჰყოფდა, მისგან გულდამწვარ ქალიშვილებს სტოვებდა.

ჰავოდარას მყუდროება დაირღვა. ატყდა ჟრიამული, რომელიც ყოველთვის თან სდევს ცხენების განტვირთვას. ხელად წააქციეს ერთ-ერთი დეკეული და ჩვენმა ყაშღარელმა მექარავნემ — ტიპიურმა ყასაბმა. მას მარჯვედ გამოსჭრა ყელი.

დიმიტრი შჩერბაკოვმა მოიწონა ჩვენი პირველი ნამუშევარი — ვაშოს უღელტეხილის აღმოჩენა ვანჩდარა — შოკალსკის მყინვართა გამყოფ ქედზე და ამავე უნაგირაზე გრანდიორიტის უცნობი მასივების პოვნა. რაც გეოლოგის გამჭრიახმა თვალმა დაადგინა.

ძირითადი ბაზიდან ამოსულმა ამხანაგებმა გვაცნობეს საექსპედიციო სიახლეები. მუქსუს ხეობიდან საცალფეხო უღელტეხილით ჩვენს ბაზაში გადმოსულან სტუმრები — ნედოკლადოვი და მოსკვინი. არაპოვი და ტაგეევა სამუშაოდ წასულან განდოს მყინვარზე. ნედოკლადოვი და მოსკვინი ისევ გაბრუნებულან უკან და შეეცდებიან მუშკეტოვის მყინვარიდან ღარმოს მყინვარზე გადმოსვლას.

საღამოს ყველა შევექცეოდით დეკეულის საუცხოო ყაურმას.

ხორცის უმეტესი ნაწილი, მექარავნეებისაგან დასაცავად, შჩერბაკოვმა და მე კარავში შევათრიეთ.

დილა პამირულია. მწვერვალები კაშკაშებენ. ყველაზე ადრე წამოვხტით შჩერბაკოვი, მე და ეორობიოვი. ტაჯიკები და უზბეკები, ცივი ღამის შემდეგ, ახალმოსული მზის შუქზე მაჩვებივით ნებივრობენ.

ნაშუადღევს შჩერბაკოვი და მე ჩაქუჩებითა და ერთი კარაბინით შეიარაღებულნი გავემართეთ პაამდარას შესართავისაკენ, პეტროგრაფიული ძიების მიზნით. მყინვარის მარჯვენა მხარე მისი საერთო სიგანის სამ მეოთხედზე თავის მორენებში მხოლოდ კონტაქტური მეტამორფიზმის შედეგად გარდაქმნილ ფიქლებს შეიცავს. რაც შეეხება მარცხენა მხარის მორენებს, აქ გვხვდება გრანიტები, დიორიტები, დიაბაზები, სერპანტინიტი, კირქვები, მარმარილო, პეგმატიტი და სხვ.

გზაში ვიპოვეთ რამდენიმე საინტერესო ნიმუში, რომლებიც შინ წამოვიღე. აღებულ ნიმუშებს შორის აღსანიშნავია პალეოზოური ფიქალი სიბრტყეზე დაწიწკლული პირიტისა და გრანატის კრისტალებით, კალციტის კრისტალების კონა კირქვაზე და სხვ.

გრანიტის ლამაზი კრისტალებით გაჭედილია მთელი ფიქალი ჩაქუჩის დარტყმისას ეს კრისტალები დაბლა ცვივა. ზოგიერთი კრისტალის დიამეტრი 1 სანტიმეტრზე მეტია.

პაამდარას ხეობის სათავეში მოჩანს ფართო, მაგრამ საკმაოდ მოკლე მყინვარი, რომელსაც ბელიაევის სქემატურ რუკაზე „მუმბუნიდარა" ეწოდება. მყინვარის ზემოთ ვხედავდით უნაგირას (5200 მ), რომელიც ადვილი მისასვლელია და, ალბათ, ვანჯის ხეობაში გადადის. მყინვარზე ასასვლელად მიზანშეწონილია სვლა მუმბუნიდარას ხეობის მარჯვენა მხარეზე, საძოვრებისა და ქვაყრილების მიყოლებით.

მუმბუნიდარას ხეობის ქვემო ნაწილი წარმოადგენს ვიწრო, ძნელგასაკლელ კანიონს. მანძილი ღარმოს მყინვარიდან მუმბუნის მყინვარის ბოლომდე დაახლოებით 4 — 5 კილომეტრს უდრის. უკანასკნელის ბოლო დაახლოებით 3600 მ სიმაღლეზეა.

საღამოს 6 საათისათვის შჩერბაკოვი და მე დავბრუნდით ჰავოდარას ბანაკში. აქ დაგვხვდნენ ახალდაბრუნებული ამხანაგები კრილენკო, ბარხაში, პისლეგინი, ლოიქი და სხვები. რაც შეეხება კონსტანტინე მარკოვს, მას 5300 მეტრის სიმაღლემდე ყოჩაღად უვლია და ახლა დარჩენილა ღარმოს მყინვარის აღმოსავლურ ტოტზე — ვავი-

ლოვის სახელობის მყინვარზე, გლეტჩერული ყინულის ზოლებრივი სტრუქტურის კვლევის მიზნით.

კრილენკო და ბარხაში ღარმოს ჩრდილო სერის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე ასულან (5600 მეტრი ანეროიდით) და გადაუხედავთ აღმოსავლეთისაკენ — ფედჩენკოს მყინვარის აუზში.

მწვერვალთან ბარხაშ-კრილენკოს ჯგუფს გაუკაფავს თოვლის კარნიზი..

საღამოთი ვორობიოვისა და ცაგის ყოფილ რეზიდენციაში — ამჟამად ნიკოლოზ ვასილის ძე კრილენკოს თეთრ კარავში, რომელიც მაღლა მორენაზეა შესკუპებული, გაიმართა ექსპედიციის თათბირი[1].

მოხსენებებით თავ-თავიანთი მოგზაურობების შესახებ გამოვიღნენ მზვერავი ჯგუფების უფროსები: ვორობიოვი, მე და კრილენკო.

ჩემი ინფორმაცია არ მოეწონა კრილენკოს, რომელიც პრინციპულად არ ამბობდა უარს თავის კონცეფციაზე ღარმოს მთის სამხრეულ (ვანჩდარას მყინვარიდან, ვინ იცის საით მიმავალი) მისადგომის შესახებ. პისლეგინის შთაგონებით, კრილენკომ ბრალი დამდო იმაში, ვითომც მე პულკოვოს უღელტეხილს ვერ მივაგენი და მის მაგივრად რომელიღაც სხვა უნაგირაზე ვიყავი. ბარხაში, დოროფეევი, შჩერბაკოვი ჩემს მოსაზრებებს ეთანხმებოდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ აშკარად დაცვას. რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის სხვა მიღწევებს — შოკალსკის მყინვარზე გარდამავალი უნაგირას აღმოჩენას, გრანდიორიტების ინტრუზიის ნიმუშების აღებას უცნობი წერტილიდან და სხვას კრილენკომ დუმილით აუარა გვერდი.

დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია ჩემმა და ვორობიოვის ინფორმაციებმა კორჟენევსკაიას პიკის მდებარეობისა და მისადგომების, ასევე ჩემს მიერ დანახული შოკალსკის ცირკის, შესახებ.

ამის შემდეგ კრება გადავიდა შემდგომი მუშაობის გეგმის გამომუშავებაზე. წარმოდგენილი რამდენიმე ვარიანტი უარყოფილ იქნა, როგორც ძნელი ან სახიფათო. გვიანღამ თათბირი შეწყდა: ნიკოლოზ ვასილის ძე დოროფეევთან და შჩერბაკოვთან ერთად შეადგენს სამოქმედო პროგრამას.

10 სექტემბერი

დილა ისევ პამირულია.

კრილენკოს შემოძახილმა ყველა გამოაღვიძა და წამოახტუნა (ჩვენი განებივრებული ქალების გამოკლებით).

---

[1]. ამ თათბირის შესახებ იხ. ი. დოროფეევის წიგნი „В сердце памирских гор", 1980, გვ. 83—95, М, „Мысл".

კვლავ თეთრ კარავში გაიმართა „საინფორმაციო ყრილობა“, რომელზეც დასახულ იქნა შემდეგი ღონისძიებანი:

კრილენკო, ბარხაში, ცაგი და ვორობიოვი მიდიან ვანჩდარას მყინვარით ზოკალსკის მყინვარის ცირკში და ვაშოს უღელტეხილიდან დანახული უნაგირათი, საბანაკო მყინვარისაკენ გზის გაგნებას ცდილობენ.

2). ექიმი პისლეგინი ჩადის ფაშიმღარის ბაზაში და ვასო რუბინსკისთან ერთად. საცალფეხო უღელტეხილით გადადის მუქსუს ხეობაში,

არხინვის ვაკე

ნახ 14 ხედი არხინვის ბანაკიდან (2500 მ. ზღვის დონიდან) აღმოსავლეთისაკენ

სადაც მოსკვინის დახმარებით აწყობს მცირე ბაზას ფედჩენკოსა და თანიმასის მყინვართა შესართავში ხუთი მთამსვლელის დასახვედრად, რომლებიც ღარმოს ჩრდილო მხარეზე უნდა გადავიდნენ.

3) ი. დოროფეევის ჯგუფი (პოკროვსკი, განეცკი, პოლიაკოვი) და გეოლოგიური ჯგუფი დ. შჩერბაკოვისა და ჩემი შემადგენლობით მივდივართ ბელიაევის მყინვარზე, სადაც პარალელურად იწარმოებს ფოტოთეოდოლიტური აგეგმვა და გეოლოგიური ჭრილის შედგენა.

შემდეგ შჩერბაკოვი და მე პულკოვოს უღელტეხილით გადავდივართ ვანჯის ხეობაში (გზაში ვაწარმოებთ გეოლოგიურ აგეგმვას) და ვბრუნდებით უკან აქბაი-სითირგის მყინვაროვანი უღელტეხილით.

თუ როგორ და რამდენად შესრულდება ეს გეგმა, მომავალში დავინახავთ. მასში ბევრი საეჭვო ადგილია.

ცა იღრუბლება, აგრილდა. თბილისში ახლა ცხელა...

„დრაიფუსის“ პარტიის შემდეგ (ვთამამობდით მე, პოკროვსკი, ცაგი) ვიწყებთ მზადებას ხვალინდელი დღისათვის. ვღებულობთ საგზაო სურსათს, რომლის განაწილება მთლიანად ბარხაშისა და ვოროპიოვის ხელშია.

ფორთამგეკი და განდო

11 სექტემბერი

დილა ღრუბლიანია.

დიმიტრი ივანეს ძე შეუძლოდ არის და ჩვენი გასვლა მორიგ მარშრუტზე ხვალისათვის გადაიდო. დანარჩენი ჯგუფები ფაცი-ფუცით ემზადებიან გასასვლელად.

დასავლეთით, ხინგოუს ხეობაში ღრუბლები ირევა, უთუოდ, გაიკდრდება. აქ ხომ ნესტიანი ჰაერი მხოლოდ დასავლეთიდან მოდის. ცენტრალური აზია ნალექების მხრივ ღატაკია და ძუნწიც. ამინდთან ერთად მიფუჭდება გუნებაც.

როგორც პროფესორ შჩერბაკოვზე მიმაგრებული, მე მოვწყდები წმინდა ალპინისტურ მუშაობას და იძულებული ვიქნები ვიტრიალო 4000 — 5000 მეტრი აბსოლუტური სიმაღლეების ფარგლებში. თუმცა, დროროფეეი მეუბნება, რომ შემიძლია შევუერთდე მის ჯგუფს სექტემბრის მეორე ნახევარში.

შჩერბაკოვთან ჩემს მუშაობას თავისი დადებითი მხარეც ბევრი აქვს. თუ მე გადავწყვიტე უნივერსიტეტში გეოგრაფიულ ფაკულტეტზე შევიდე და ვიწრო სამეცნიერო სპეციალობად გეომორფოლოგია ავირჩიო (ასეთი გადაწყვეტილება ნელ-ნელა მწიფდება), მაშინ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან გეოლოგთან („ა. ფერსმანის მარჯვენა ხელთან“) გავლილი საველე სკოლა უთუოდ გამომადგება.

თოვს. საჩქაროდ წავაფარეთ ბრეზენტები და კარვები მიმოფანტულ ნივთებსა და პროდუქტებს. სიცივისა და სისველისაგან დაზსებულნი ჩვენ-ჩვენ კარვებში შევძვერით.

ბოროვსკაია, ნინა მოსკვინა, პისლეგინი და პოკროვსკი ორი ცხენის თანხლებით წავიდნენ ფაშიმლარის ბაზაში. კონსტანტინე მარკოვი გაბერილი ზურგჩანთით გაეშურა „მყინვარებზე სახეტიალოდ“.

ნიკოლოზ ვასილის ძე განუწყვეტლად აჩხაკუნებს თავისი „ლეიკის“ (გერმანული წარმოების ფირიანი ფოტოაპარატის) საკეტს — გამგზავრებულებს იღებს.

აჰა, გავიდნენ ტოპოგრაფებიც ივანე დოროფეევის მეთაურობით. შემდეგ კრილენკო სურათს გვიღებს შჩერბაკოვს, მე და სადირბაის. თვით კრილენკოც ბარხაშთან, ცაგთან, ვორობიოვთან და ორ მზიდავთან (ნაბისთან და ლოიქთან) ერთად ტოვებს ჰავოდარას.

უკანასკნელი გამოსალმება.

— გისურვებთ დარვაზის კვანძის გახსნას. — ვუყვირით მორენიდან ჩანთაწამოკიდებულებს. ჰავოდარაზე დავრჩით სამნი: შჩერბაკოვი, მე და სადირბაი. გული მწყდება, რომ მთელ დღეს ვკარგავთ უნაყოფოდ, მაგრამ რას გააწყობ, პროფესორს არ შეუძლია წასვლა.

ხან თოვს, ხან კი წვიმს. მთები ნისლშია გახვეული. ჰავოდარას ბანაკს მოწყენილობა ეუფლება.

12 სექტემბერი

გამოიდარა. შჩერბაკოვი და მე გასასვლელად ვემზადებით (თუმცა დეკეულის ყაურმა, ვატყობ, რომ მეც ცუდათ მხდის).

აქ, ჩემს დღიურში კიდევ ერთი ხარვეზია, 12-დან 17 სექტემბრამდე ჰავოდარაში დატოვებული მქონდა საერთო რვეული, ჩემი ძირითადი დღიურისა და შთაბეჭდილებების ჩასაწერად თან წავიღე პატარა ბლოკნოტები, რომლებიც შემდგომ წლებში (თბილისში) დაიკარგა.

საბედნიეროდ, აღნიშნული ხუთი დღის ამბები საკმაოდ დაწვრილებით აღვწერე 1934 წელს დაბეჭდილ ჩემს პატარა წიგნაკში, რომელსაც ეწოდება „დასავლეთ პამირის მთებში". იგი დაიწერა მაშინ, როდესაც პამირის ექსპედიცია, მისი წვრილმანებიც კი მეხსიერებაში კარგად მქონდა შემორჩენილი. უფრო გვიან (1979 წელს) ამ წიგნზე დაყრდნობით და მოგონებების დამატებით დავწერე პამირის შესახებ ერთი თავი ჩემს მეორე წიგნში („ათი წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ"), რის გამოც 1932 წლის 12 — 17 სექტემბრის ამბების აღდგენა არ გამჭირვებია.

12 სექტემბერს მე და დიმიტრი შჩერბაკოვი გავედით ჰავოდარიდან. ბანაკში მხოლოდ სადირბაი დარჩა ყარაულად. მას ძლიერ ეშინოდა ჯიქისა (მთის ლეოპარდისა), რომლის ახალთახალი ნატერფალები 24 აგვისტოს (ჰავოდარაში პირველად მოსვლისას) ლამზე დაგვხვდა. ამიტომაც სადირბაიმ მთხოვა მისთვის ჩემი კარაბინი დამეტოვებინა. მე დიდი სიამოვნებით დავეთანხმე, რადგან იარაღს თან ტარება მყინვარებზე არც თუ სასიამოვნო საქმეა.

სადირბაი დიდბანს იდგა მორენაზე აფრიალებული წითელი ალმის გვერდით და ხელს გვიქნევდა შჩერბაკოვსა და მე.

გადავლახეთ ღარმოს მარჯვენა მორენა და გავედით მყინვარის შუა წაბრტყელებულ ღორღიან (თითქმის ულოდებო) მორენაზე, რომელსაც ხუთრობით „ღარმოს ცენტრალური გამზირი" ვუწოდეთ — მისი ადვილსავლელობის გამო და გავემართეთ ღარმოს მყინვარის აღმა.

ბუსოლი, საათი, ტრანსპორტირი, სამთო კომპასი, ფანქარი, ლუპა, გეოლოგიური ჩაქუჩები, სანიმუშე ტილოს პარკები, შუშით ცოტაოდენი მარილის სიმჟავე — აი, არასრული სია იმ საგნებისა, რომლებითაც ჩვენ გეოლოგიურ აგეგმვას ვაწარმოებთ.

ჰავოდარას მახლობლად ღარმოს მყინვარის მორენული საფარი მკვეთრად იცვლის ხასიათს. თუ ბოლოდან აქამდე მყინვარის მთელი ზედაპირი ღორღნალ-ლოდნარით იყო დაფარული, აქ ეს საფარი ნაწილობრივი ხდება და იყოფა რამდენიმე გასწვრივ მორენულ მწკრივად, ანუ ზოლად. ეს იმით აიხსნება, რომ მთავარი და მეორეხარისხოვანი მყინვარებიდან წამოღებული მასალა, რომელიც გვერდისა და შუა მორენებს ქმნის, თანდათან მატულობს მყინვარის ცოცვის მიმართულებით და მას ზედ ერთვის ყინულიდან ზედაპირული მოდნობის შედეგად ამოსული ღორღი.

ზეწრული მორენით დაფარული, ინტენსიური უთანაბრო დნობით გაოღროჩოღროებული, ანგრეულ-დანგრეული მყინვარის ქვემო ნაწილისაგან განსხვავებით, ამ უბანზე სასიამოვნოც კია სიარული.

მორენულ სერებსა და ზოლებს შორის გაშიშვლებული ლურჯი ყინული დასერილია ნაპრალებით. მათი სიღრმე მყინვარის ამ ნაწილში მაინცდამაინც დიდი არ არის. ზოგიერთი ნაპრალის ფსკერზე, ჩაბნელებულ სიღრმეში, შეგიძლიათ გაარჩიოთ ყინულქვეშა მდინარე, რომელიც ამღვრეულ-აქაფებული გამოდის გვირაბიდან და გვირაბშივე ინთქება. ხშირად გვხვდება „მყინვარული მაგიდები" — ყინულის სვეტზე შესკუპებული ბრტყელი ლოდები. მათი წარმოშობა აბლაციურია, ე. ი. ყინულის მოდნობასთან დაკავშირებული.

ვხედავთ ბუნებრივ შადრევანს, იგი ყინულის ნაპრალიდან 1,5 — 2 მეტრის სიმაღლეზე ადის და წინწკლებად ცვივა მყინვარის ზედაპირზე.

მყინვარის ზედაპირის მიერ არეკლილი მზის სხივები კანს გვიხურებს, თვალებს გვიშუტავს და გვაიძულებს გავიკეთოთ მუქი სათვალე.

საღამოს 6 საათია. ვავილოვისა და ბელიაევის მყინვართა ხერთვისს მივუახლოვდით. ჩვენი გზა მიემართება ბელიაევის მყინვარზე, სადაც უნდა შევუერთდეთ ტოპოგრაფიულ რაზმს. ეს მყინვარი შესართავთან გრანდიოზულ მყინვარდნილს აჩენს, რომლის გავლა დიდ დროს წაგვართმევს და დღეს ვერ მოესწრება. ამიტომაც ღამე აქვე ახლოს უნდა გავათიოთ.

მორენებში ვეძებთ და ვპოულობთ კარვის დასადგმელ „მოედანს", რომლის ოღრო-ჩოღრო ზედაპირიც მოსწორებას მოითხოვს; წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან ამოჩრილი წვეტიანი ქვები სხეულს დაგვიჟეჟავს. გამახსენდა 1930 წელს, თეთნულდზე იერიშის დროს, ლაკჩხილდარის სერთან ღამისთევისას, ჩემი სვანი თანამგზავრების მიერ სახელდახელოდ აშენებული ქვატახტი, რომელიც ქანის ნატეხების საგულდაგულოდ დაწყობით გააკეთეს. შჩერბაკოვს მოეწონა ჩემი წინადადება „სვანური ტახტის" აგების თაობაზე და შევუდექით საქმეს. რა თქმა უნდა, ეს ისე ოსტატურად ვერ შევძელით, როგორც სვანი მონადირეები და მთამსვლელები აკეთებენ.

დაიდგა კარავი. აშიშინდა პრიმუსი. დასაწყისში იგი ჯიუტობს და ალს არ იძლევა. ირკვევა, რომ რეზინის ჩასახრახნი საცობი ჰავოდარაში დაგვრჩენია. ღიდხანს გვაწვალა პრიმუსმა. სანამ ტექნიკურმა გამოგონებლობამ არ გვიშველა: რეზინის საცობის მაგივრობა გასწია წყალგაუვალი სანიმუშე პარკის ნახევმა. ჩაის შემდეგ საძილე ტომრებში მოვკალათდით და დავიძინეთ.

13 სექტემბერს, დილით ადრე, შჩერბაკოვი და მე მივადექით ბელიაევის მყინვარის ყინვარდნილს. იგი მრისხანედ, კოშკისოდენა სერაკებით აფხორილი დაგვყურებდა და თითქოს ჩხუბში გვიწვევდა. მისი საფეხურები 30 — 40 მეტრი სიღრმის ნაპრალებითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი.

აგერ უზარმაზარი ყინულის „კოშკი" გვერდზე გადახრილა და თითქოს ჩამოსაზვავებლად ემზადება. ყინვარდნილის ხშირ ნგრევაზე მეტყველებენ ნაპრალში ჩაყრილი ყინულის ნამსხვრევები.

ასეთი დაბრკოლება მარჯვე მთამსვლელებსაც კი დააფიქრებს. არ მავიწყდება, რომ პასუხიმგებელი ვარ ჩემი საპატიო თანამგზავრის უვნებლობისა და სიცოცხლისათვის. მაგრამ გამოსავალი ერთია: უხიფათო გზის ძიებნა და ყინვარდნილზე იერიშის მიტანა. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ტოპოგრაფებს თავისი ბანაკი ბელიაევის

მყინვარის მარჯვენა (დასავლურ) კიდესთან უნდა მოეწყოთ. ამიტომ ვცდილობთ გავიკვლიოთ გზა ხეობის მარჯვენა ფერდობისაკენ[1].

დიდი სიფრთხილით ვუახლოვდებით ხეობის გვერდს და გვეჩვენება: საცაა გავალთ, მაგრამ როდესაც ფერდობამდე რამდენიმე მეტრიღა დარჩა, უცებ მოულოდნელი დაბრკოლება გადაგვეღობა — მყინვარის მიერ მოშანდაკებული, გლუვი კლდე, სადაც ფეხს ვერ მოიკიდებ და ხელს ვერაფერს წაავლებ. ამავე დროს ეს კლდოვანი სიბრტყე მყინვარის სხეულისაგან გამოყოფილია საკმაოდ განიერი და გრძელი ტბით, რომლის სიღრმე შეუცნობელია, და რომელიც რანდკლუფტში (კიდურ ნაპრალში) არის ჩამდგარი.

შჩერბაკოვს ვთხოვე პატარა ბაქანზე დაეცადა ჩემთვის მანამ, სანამ გზას მოვძებნიდი. მშვიდი პროფესორი მოთმინებით დგას და მელის. მაღლა საფეხურების ჭრით ავედი და დავრწმუნდი, რომ იქ გზა არ იყო. სერაკები მიშლიდნენ დიმიტრი ივანეს ძის დანახვას.

— ალო, დიმიტრი ივანეს ძევ! — ვიყვირე მე.

— ალო, ლევან! — ისმის პასუხი — არის გზა?

— არ არის. — ჩამოვდივარ უკან.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ დავინახე: შჩერბაკოვი თავისი განუყრელი ჩაქუჩით ხელში ვიწრო ბაქანზე იდგა. იქ ჩასასვლელად ვერ გავეჭცეოდი 10 მეტრის სიმაღლის მქონე. და 60 — 70 გრადუსით დაქანებული ყინულის კედლის ჩავლას.

უნდა გამოვტყდე, რომ ბელიაევის ყინვარდნილზე ასვლისას დავუშვი შეცდომა, რომელიც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. ჩვენ ორს შორის წრიაპები მხოლოდ მე მქონდა, ისიც საუკეთესო. ავსტრიული, ექვსკბილა. ვინაიდან შჩერბაკოვს არ ჰქონდა ალპინისტური საჭურვლის ეს პირველი მოთხოვნილების საგანი, მე მას ჩემები შევთავაზე.

ამ თავაზიან წინადადებაზე შჩერბაკოვმა მოკრძალებული უარი შეთხრა. წრიაპების ამოღება რომ დავიზარე, ჩემი შეცდომა ის იყო. სახიფათო გზას ორიეე უწრიაპოდ შევუდექით.

ახლა. როდესაც ჩავხედე ყინულის კედელს, მივხვდი, რომ უგნურად მოვიქეცი, მაგრამ უკვე გვიან იყო — წრიაპები ჩანთაში მქონდა, რომელიც ახლა შჩერბაკოვის ფეხებთან იდო. რაც იქნება, იქნეს. ვიწყებ ყინულში გამოჭრილი საფეხურებით ჩასვლას.

---

1 მარჯვენა და მარცხენა მხარე თუ ნაპირი ყველგან ოროგრაფიაში მიღებული მნიშვნელობითაა აქ ხმარებული, ე. ი. ისე, როგორც წარმოუდგება მდინარის (ან მყინვარის) დინების მიყოლებით მომზირალ ადამიანს.

ერთი!

მარჯვენა ფეხი ზედა საფეხურში მიდგას. ფეხსაცმლის ლანჩი მოჭედილია „ტრაკონის“ ტიპის სამკბილა „ლურსმნებით“, მაგრამ ისინი უკვე მოცვეთილია და ძლივს მაგრდება ყინულზე.

ორი!

წერაყინის კბილით ყინულზე მობღაუჭებული ვადგამ მარცხენა ფეხს მეორე საფეხურზე და...

იმავე წამს ორივე ფეხი მისხლტება და ქვევით „მივფრინავ“. ვარდნის დროს ინსტინქტურად ყინულისკენ შევტრიალდი. იმედი მომეცა წერაყინით ყინულზე თავის დამაგრებისა, მაგრამ მძლავრმა დარტყმამ ხელიდან გამაგდებინა წერაყინი. ორივე ხელი ყინულს ჩავჭიდე ვარდნის შესამცირებლად.

ჩავსრიალდი რა მზარდი სიჩქარით ათიოდე მეტრის სიმაღლიდან, ავტომატურად გავჩერდი, ვინაიდან დაბლა ვიწრო ბაქანს დავეჯინე. მას უნდა ვუმადლოდე ჩემს გადარჩენას. ხელისგულებსა და თითებზე კანი გადამეტყავა და ორივე ხელი სისხლით შემეღება.

ჩემს ყურებაში პროფესორიც წატორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა.

ხელები ცხვირსახოცით შევიხვიე (მაღალმთიანეთის პირობებში ჭრილობები ადვილად შუშდება) და შჩერბაკოვს ვუთხარი:

— მაღლა გზა არ არის. მარჯვნიდან უნდა შემოვუაროთ.

ჩავდივართ შუა მორენისაკენ და ისევ აღმასვლას ვიწყებთ, თანაც მარცხნივ გასასვლელ გზას ვეძებთ, მაგრამ ვერ ვპოულობთ.

სულ ახლოს კი, ასიოდე მეტრის დაშორებით მოჩანს გამაღიზიანებლად მწვანე ბალახოვანი ფერდობი.

უცებ იმ ფერდობის თავზე გამოჩნდა ადამიანის ფიგურა. გახარებულმა შევყვირე:

— ჰეი, ჰეი! გზა საით მიდის?

— მარცხნივ, მარცხნივ! — იყო პასუხი.

ხმაზე ვიცანით: სტახ განეცკი იყო — მარად მხიარული, კეთილი ხალისიანი ახალგაზრდა. კიდევ რამდენიმე წამიც და იგი ჩვენ 30 მეტრის მანძილზე მოგვიახლოვდა. ეს 30 მეტრი იყო ნაპრალის სიგანე, რომელიც უნდა გადაგველახა. სტახი ამბობს, რომ ეს ადგილი უძნელესია მთელ ყინვარდნილზე.

სანამ დაბრკოლების გადალახვას შევუდგებოდეთ, სამივენი ვისვენებთ მორიგი შტურმის მოლოდინში. სტახი გაღმა, შჩერბაკოვი და მე გამოღმა. სტახი გვაცნობს ბელიაევის მყინვარის „ცხელ-ცხელ

ამბებს“ და ივანე დოროფეევის მიერ დასახულ პროგრამას შემდგომი მუშაობისათვის.

ტოპოგრაფიული რაზმი მთელი შემადგენლობით (სტახის გარდა) წასულა ბელიაევის მყინვარის სათავეებში, ფოტოთეოდოლიტურ აგეგმვაზე. სტახის დატოვება ბანაკში აიხსნება შემდეგი გარემოებით: ერთ-ერთი მწვერვალიდან ტოპოგრაფებმა შენიშნეს ჯერ უცნობი და ადამიანის თვალით დაუნახავი, რამდენიმე ტოტით შედგენილი მოზრდილი მყინვარი, რომელსაც პირველალმომჩენთა უფლების თანახმად, ლიპსკის მყინვარი[1] უწოდეს. შესაძლებელია, რომ ეს მყინვარი თავისი სათავეებით ემეზობლება მდინარე მუქსუს აუზის ერთ-ერთ მყინვარს — ფორთამბეკს.

ღარმოს სისტემიდან ფორთამბეკის მყინვარისაკენ გადასასვლელი უღელტეხილის პოვნას ჩვენი ექსპედიციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რადგანაც სხვაგან ვერსად ვერ მოხერხდა პეტრე დიდის ქედის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს შორის ტოპოგრაფიული კავშირის დამყარება. ამიტომაც აუცილებელია ლიპსკის მყინვარის გამოკვლევა მთელ სიგრძეზე — ბელიაევის მყინვართან შეერთების ადგილიდან ლიპსკის მყინვარის აუზის შემომფარგველი ქედების თხემებამდე. ამ ამოცანის განხორციელება გვევალება განეცკის და ამ სტრიქონების ავტორს.

თოკის დახმარებით დავძლიეთ 30-მეტრიანი ნაპრალი და ავედით ტოპოგრაფების ბანაკში. აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით მოჩანს ზვიადად ამართული მწვერვალი, რომელსაც გერმანელმა გეოდეზისტებმა 1928 წელს ტაჯიკური სახელი „ქუჰ-ი-სანთალაქ“ უწოდეს (რუკაში შეტანით), და რომლის აბსოლუტური სიმაღლე (7495 მეტრი) მათვე განსაზღვრეს აღმოსავლეთიდან, ფედჩენკოს მყინვარული აუზიდან. მის სამხრეთით ყურადღებას იპყრობს ორიგინალური მწვერვალი. რომელსაც რბილი სავარძლის ფორმა აქვს. მას ბელიაევმა 1916 წელს „პეტრე დიდის ტახტი“ უწოდა.

ცა მოიღრუბლა. ქრის ცივი ქარი. სტახი და მე ნაშუადღევის 3 საათზე მძიმე ზურგჩანთებით „დასაპალნებულნი“ გავდივართ ლიპსკის მყინვარისაკენ. თან მიგვაქვს ორი დღის სურსათი.

დოროფეევის განკარგულების თანახმად, ხვალ საღამოსათვის უნდა დაუბრუნდეთ. გრძელი თოვლყინულიანი ფერდობით ავდივართ

---

[1] ი. ლიპსკი — ცნობილი პოტანიკოსი, შუა აზიისა და კავკასიის ფლორის მკვლევარ-მეცნიერულობისადმი მიძღვნილი კაპიტალური თხზულებების ავტორი.

სერის ზურგზე, ზღვის დონიდან 4400 მეტრის სიმაღლეზე. აღგილი თოვლითაა გადათეთრებული. სპეტაკი ზეწარი ალაგ-ალაგ გამუქებულია ანკარა წყლის პირმოყინული გუბეებით.

წინ უკვე მოჩანს ახლად მონათლული ლიპსკის მყინვარი, მისი შემადგენელი სამივე ტოტით. ჩრდილო და სამხრეთის განაპირა ტოტების სათავეები მიუვალია, საზვავე ზღუდეებით არის შემოღობილი. სამაგიეროდ, შუა ტოტის სათავეში მოჩანს ფართო, დადაბლებული თოვლიანი უნაგირა. მასზე ასვლა ფირნის ველიდან საკმაოდ ადვილია.

ეს უნაგირა არის ჩვენი დაზვერვის საგანი. გადასაცქერის თუ არა ეს „უღელტეხილი" ფორთამბეკის მყინვარს? უნაგირას მდებარეობა, მისი ქედის მიმართულება პეტრე დიდის მთავარი ქედის მიმართ უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს ამ საკითხს, მაგრამ მაინც ვიღებთ უნაგირაზე ასვლის გადაწყვეტილებას.

სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ლიპსკის მყინვარის შუა ტოტს კაცი ქვემოდან ვერ დასძლევს; იგი უზარმაზარი პირქუში ყინვარდნილია; მისი ავლა ორი დღის მუშაობას მოითხოვს, ჩვენ კი მთელი მარშრუტისათვის (უკან დაბრუნების ჩათვლით) ერთნახევარი დღის ვადა გვაქვს მოცემული.

დიდხანს ვბჭობდით და ვყოყმანობდით, სანამ შემდგომი მსვლელობის მარშრუტს შევარჩევდით. ბოლოს დავასკვენით: საჭიროა ლიპსკის მყინვარის მარჯვენა (სამხრეთის) ტოტის გადაკვეთა, ასვლა სამხრულის და შუა ტოტების გამყოფ ქედზე და ამ უკანასკნელის თხემიდან შუა ტოტზე ჩასვლის ცდა. ეჭვს მხოლოდ სამხრული ტოტის გადაკვეთის შესაძლებლობა იწვევდა. ეს ყველაფერი არც თუ ისე იოლი იყო, მაგრამ გვაიმედებდა ის გარემოება, რომ გასასვლელი მანძილი მყინვარზე ისეთი გრძელი არ უნდა ყოფილიყო.

დავიწყეთ ჩასვლა მყინვარის მარჯვენა კიდისაკენ. თოვლიანი მინდორი დამრეცად ეშვება. აუცილებელია თოკით დაცვა, ასეთ თოვლნარში ნაპრალები იცის. სანამ ჩვენ თოკით გადაბმის საკითხს ვიხილავდით, სტახი იღლიებამდე ჩაჯდა უხილავ ნაპრალში და ჩავარდებოდა, ხელებით რომ არ დაბჯენოდა მის კიდეებს. სასწრაფოდ გაწვდილმა წერაყინმა იგი უფსკრულისაგან იხსნა. რა თქმა უნდა, მაშინვე თოკი ამოვიღეთ, გავშალეთ, გადავებით ერთიმეორეს და შემდეგი მსვლელობისას ყოველი ნაბიჯის ადგილს წერაყინის წვეტით ვამოწმებდით.

მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ოცი ნაბიჯიც არ გვქონდა გაელილი, რომ ჩემი ჯერიც დადგა, მაგრამ თოკმა მიხსნა ჩავარდნისაგან.

დაიწყო ლიპსკის მყინვარის სამხრული ტოტის გადაკვეთა. მყინვარი თითქოს ერთი მთლიანი სიღრუვისაგან შედგება. იგი წარმოადგენს თოვლის თხელი ხიდების თითქმის უწყვეტ მწკრივს, რომლის ქვეშ ღრმა ნაპრალებია. ცხადია, აქ თოკით დაცვისა და წერაყინით თოვლის სინჯვის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება. ორივე ერთდროულად სვლას ვერ ვახერხებთ, სახიფათოა! ფართო ნაპრალებზე გადავდივართ მათში ჩავარდნილი, გახიდული სერაკის ნამსხვრევებით. ხანდახან თოვლ-ყინულის ჭრაც გვიხდება.

წრიაპებს არ ვიკეთებთ, ნაპრალში ჩავარდნისას მათ შეუძლიათ მთამსვლელის ფეხების დაზიანება.

გვხვდება თავისებური თოვლის ხიდი — დაფერდებული. თვალდათვალ ვამოწმებთ, გაგვიძლებს თუ არა იგი. რამდენადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით ორ ნაპრალს შორის — გრძელსა და ვიწრო „ნახევარკუნძულზე" და ახლოვდება ღამე, — ამიტომაც ვამბობთ: „სხვა გზა არ არის, ხიდმა უნდა გაგვიძლოს" და ვბედავთ იერიშის მიტანას.

წერაყინმომარჯვებული მივადექი ეჭვების აღმძვრელ ხიდს. ვჭრი საფეხურებს მის დაქანებულ ზედაპირზე და თან ვითვლი: ერთი, ორი, სამი... ჩემი ვარაუდით, მე უკვე მისული ვარ ხიდის უსუსტეს ნაწილამდე. უკან ვიხედები და ვხედავ: დაძაბულ სტახს თოვლში ღრმად ჩასული წერაყინზე თოკი შემოუხვევია, თვალს არ მაშორებს და მზადაა შემაკავოს, თუკი ხიდი ჩაინგრევა.

მარჯვენა ფეხს მესამე საფეხურზე ვადგამ და ვიწყებ მეოთხის ჭრას. მუშაობის დროს ვგრძნობ, რომ საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს, მარჯვენა ფეხი საეჭვოდ ეფლობა რბილ თოვლში. ფრთხილად გადამაქვს მარცხენა ფეხი მეოთხე საფეხურში და ვიხედები უკან, მარჯვენა ფეხისკენ. სიმძიმე გადამაქვს მარცხენა ფეხზე და ვიწყებ მარჯვენის ნელ-ნელა ამოძრობას. განთავისუფლებულ საფეხურში ჩნდება შავი სიღრუვე.

განეცკი ღელავს და მაჩქარებს, მაგრამ უკვე სამშვიდობოს ვარ.

საღამოს 6 საათზე მივადექით მყინვარის მარცხენა ნაპირს. თოვლით დაფარული მყინვარის ზედაპირი კლდებისაგან გამოყოფილი დიდი კიდური („რანდკლუფტის" ტიპის) ნაპრალით და მაღლიდან ჩამოცვენილი ლოდებითაა მოფენილი. ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ ამ ადგილას ხშირად სცოდნია ქვათა ცვენა. ამიტომაც კარავი ქვებიანი ადგილიდან მოშორებით უნდა დავდგათ.

ამოვირჩიეთ „მოედანი", დავდგით კარავი და თოკის დახმარებით ჩავუშვი სტახი ნაპრალში, საიდანაც ლანქერის ჩხრიალი ისმოდა.

— ღმერთო დიდებულო! — შემომესმა ქვევიდან სტალ-ს მიყრუებული ხმა, — კარავი თოვლის ხიდზე გაგვიმართავს.

მაგრამ სხვა არჩევანი არ არის, ამ მიდამოებში აქაა ერთადერთი მოვაკებული ადგილი. მყინვარის დანარჩენი ზედაპირი წვეტიანი სერაკებით არის აჯაგრული. ხიდი, რომელზეც ჩვენი კარავი დგას, საკმაოდ სქელია და თეორიულად უნდა გაუძლოს ორი მწოლიარე ადამიანის სიმძიმეს, მაგრამ ეს მოსაზრება ჩვენ შიშის ეპვებს არ გვიფანტავს. ოცდაათმეტრიან სიღრმეში ჩავარდნა, მოკლედ რომ ვთქვათ, ხელს არ გვაძლევს. ხიდის ჩაშლის ალბათობაზე მსჯელობაში ვიძინებთ...

მთელი ღამის განმავლობაში ქვევიდან ისმის გრიალ-ხრიალი, ოხვრისებური ხმაური, ჩამომწყდარი ყინულის ლოლუების მინისებური წკრიალი, — ეს ბგერები ღამით რამდენიმეჯერ გვაღვიძებს და თვალწინ წარმოგვიდგენს ჩვენს უსუსურობას.

მეორე დღეს დილით, პრიმუსის ალზე გამდნარი ყინულისაგან დამზადებული ჩაის დალევის შემდეგ, ვიწყებთ ლოდნარით ქედზე ასვლას, — „ნაბიჯი წინ, ორი უკან". ქვები ტოკავენ და მიგორავენ. გავდივართ კლდოვან თხემზე. მისი დაკბილული ხერხემალი ლიპსკის მყინვარის შუა და სამხრეთის ტოტების გამყოფი ქედისაკენ მიემართება. მივფოფხავთ და ვცდილობთ ავიცდინოთ დაგორებული ქვები. გავდივართ მყინვართგამყოფ თხემზე.

ეს თხემი დასაწყისში საკმაოდ დაბალია, ამიტომაც ორ საათს არ გაუვლია, ჩვენ რომ მასზე მოვექეცით. ალტიმეტრი 4500 მეტრს უჩვენებს.

სანუგეშო აქ ვერაფერი ვნახეთ. თხემიდან შუა მყინვარზე ჩასვლა საესებით შეუძლებელია. უზარმაზარი თოვლის ლავგარდანი, ე. ი. ქარბუქის მიერ მიყრილი და მიწებებული თოვლის გამოშვერილი კარნიზი 3 — 4 მეტრის მანძილზე იყო გადაწეული ჩრდილოეთისაკენ და მუქარით გადაჰყურებდა ციცაბო ფერდობს.

ჩვენ თვალწინ ლავგარდანის ნაწილი ჩაინგრა და გამაყრუებელი გრიალით ჩაინთქა უფსკრულში. ეს იყო ჩვენი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ჩვენს მიერ ლავგარდანის გადალახვის ცდას შეეძლო ზვავი გამოეწვია, ხოლო საზვავე ფერდობთან თამაში სახიფათოა.

მივყვებით ლიპსკის შუა და მარჯვენა ტოტების გამყოფ ქედს დასავლეთისაკენ, იქნებ იქ მაინც ვიპოვოთ სანუკვარ მყინვარზე ჩასასვლელი. თხემზე ამართული „ჟანდარმები" (წვეტიანი და კოშკისებური კლდეები) ართულებენ მსვლელობას. თოვლის ვეებერთელა კარნიზები მიჰკვრიან „ჟანდარმებს" ჩრდილოეთის მხრიდან. ისინი საში-

შად ხდიან ამ უბნებში თხემ-თხემ გავლას და ამიტომ ჩვენ გადავდივართ ქედის სამხრულ ფერდობზე. მიეფოფხავთ ვიწრო შიბებზე, ბუხრულებში, კედლებზე, ეკვეთთ თოვლიანსა და მშრალ ღარებს.

ავდივართ ქედის პირველ მნიშვნელოვან მწვერვალზე — 4650 მეტრი ზღვის დონიდან. ბუსოლზე ავთვალეთ აზიმუტები კალინინის, მოლოტოვის, ღარმოს, კორჟენევსკაიას პიკებისაკენ; დოროფეევის ბანაკის თავზე ამართული მთისაკენ; განდოს მყინვართან მდებარე შაქრისთავისებური მწვერვალისაკენ; კალინინის პიკის მხრისაკენ; ბელიაევისა და ლიპსკის მყინვართა შესართავისაკენ; ვლადიმერ ეორობიოვისა და ანტონ ცაგის მიერ დაპყრობილი მწვერვალისაკენ; განდოს ულელტეხილის ბორცვისა და იმ მწვერვალისაკენ, რომლისკენაც ჩვენ ამჟამად მივიწევთ.

გადავდივართ ქედის მესამე მწვერვალზე (4850 მ) და აქედანაც აზიმუტებს ვზომავთ. დაკვირვების წერტები ძირითადად იგივეა; ემატება ლიპსკის მარცხენა და შუა ტოტების შესართავი და ლაქებიანი მწვერვალი ჩვენი ახლანდელი სერის დასაწყისში[1].

იქ, სადაც ამჟამად ვიმყოფებით, ჩვენამდე ალბათ ქორი ან არწივი თუ მჯდარა. კარგი დარი საშუალებას გვაძლევს ვიხილოთ ამ მწვერვალიდან გადაშლილი განსაცვიფრებელი პანორამა. მხოლოდ მაღალ მთებში გაჯილდოებს ბუნება თავისი გრანდიოზულობისა და მიუკარებელი სილამაზის ასეთი ღრმა შთაბეჭდილებით.

განსაკუთრებით ეფექტურია კალინინის, კორჟენევსკაიას და ქუჰ-ი-სანთალაკის პიკები. ქვემოთ მოჩანს ზოგან ალმასებად დამსხვრეული, ზოგან მორენების შავი ზოლებით აჭრელებული და ზოგანაც თეთრი გამზირის მსგავსი მყინვარები — ბელიაევის, ეავილოვის, ლიპსკისა... არც ერთ აქაურ მწვერვალს ამჟამად (1932 წელს) არ მოუხრია ქედი ადამიანის წინაშე.

აქ, ამ მწვერვალზე ირკვევა ორი გარემოება:

1. ჩვენ ამ მხრიდან ლიპსკის მყინვარის შუა ტოტზე ვერ ჩავალთ და, მაშასადამე, მიზნად დასახულ უნაგირასაც ვერ მივაღწევთ.

2. ხსენებული უნაგირა გადადის არა ფორთამბეკის, არამედ განდოს მყინვარზე, ეს დაადგინა სტახ განეკიმ, რომელიც შარშან ნიკოლოზ კრილენკოსთან ერთად იყო განდოს მყინვარზე, და რომელმაც

---

1 აღებული აზიმუტების სიებს, რომლებიც ჩაწერილია პატარა ბლოკნოტებში და შემდეგ გადაეთერებული, ძირითადად დღიურში, ამ უკანასკნელს სამი გვერდი უკავია.

იცნო განდო-ღარმოს ყინულგამყოფზე ამართული „იალბუზიკოების ქედი". მაშასადამე, უნაგირა მდებარეობს არა პეტრე დიდის ქედის მთავარ ხეზემზე, არამედ მის სამხრეთ შტოქედზე.

ამრიგად, დავალება შესრულებულია და შეგვიძლია დავბრუნდეთ ტოპოგრაფიულ ბანაკში. ვიწყებთ მწვერვალიდან ჩამოსვლას. ხელებით ჩამოკიდებულნი, ფეხებით საყრდენებს ვეძებთ კლდეზე და ნელ-ნელა ვეშვებით დაბლა. დიდი მოფიქრებაა საჭირო, ამგვარ ქაოსში გზის გასაგნებად. კლდის ნამსხვრევები ხრიალ-ხრიალით მიგორავენ, ვეშველით ერთმანეთს ფეხის სწორად დაბიჯებაში.

ნაშუადღევის სამ საათზე ჩავედით ჩვენს კარავთან, აეალაგეთ ბარგი და გავწიეთ დოროფეევის ბანაკისაკენ.

პეტრე დიდისა და აკადემიის ქედების მაღალი კედლებიდან ხშირად ისმის ზვავების გრიალი და ბელიაევის მყინვარზე თოვლის კორიანტელი დგება.

17 სექტემბერი

საღამოა. ახლახან ჰავოდარაზე დავბრუნდით შჩერბაკოვი, დოროფეევი, განეცკი, პოლიაკოვი და მე, ორ მზიდავთან ერთად.

ჰავოდარაზე დაგვხვდნენ: კრილენკო, ბარხაში, ვორობიოვი, ცაგი, რომლებიც ვანჩდარიდან დაბრუნებულან, ლეონიდ პოკროვსკი და ტაგეევა მექარავნეებთან ერთად.

კრილენკოს გეგმებში ცვლილებები ხდება. ვანჩდარას მყინვარზე მოგზაურობამ დაამსხვრია მისი ჰიპოთეზები პულკოვოს უღელტეხილის მდებარეობის, ღარმოს პიკის სამხრეთი მისადგომის შესახებ. პისლეგინის უცოდინარობას აყოლილი კრილენკო დარვაზის ქედზე უფრო დასავლეთით და უფრო მაღალი უნაგირათი გადავიდა, ვიდრე პულკოვოს უღელტეხილია (ახალ უნაგირას „მეორე პულკოვოს უღელტეხილი" უწოდა) და მოხვდა ვანჩის ხეობის ისეთ ნაწილში, რომელიც შორსაა ღარმოს მთელი კვანძისაგან. ახლა კრილენკოს გადაუწყვეტია წასვლა მდ. ვანჩის სათავეში, იქიდან ყაშალ-აიაქის უღელტეხილით ფედჩენკოს მყინვარზე გადასვლა და შემდეგ საბანაკო მყინვარით ღარმოს სამხრეთ სერზე ასვლის ცდა.

დღეს წითელარმიელმა ნაზაროვმა თავილდარიდან ამოიტანა ჩვენი ექსპედიციის ფოსტა. მასში აღმოჩნდა დედაჩემისაგან გამოგზავნილი ორი წერილი. ერთ მათგანში მაცნობს შოთა მიქელაძის დაღუპვას მყინვარწვერზე (გამოუგზავნია ამონაჭერი ქართული გაზეთიდან). ვო-

რობიოვს ცნობია შოთა და დევი მიქელაძეები და გულწრფელად გამოთქვამს მწუხარებას.

18 სექტემბერი

დილა პამირულია (კაშკაშებს ყველაფერი).

ერთ-ერთ ჩვენს მექარავნეს ეპილეფსია ჰქონია. იგი კოცონთან იჯდა და ცალ ხელში ჩაით სავსე ფიალა ეჭირა. უცებ შემოგვესმა არაადამიანური ღმუილი და დავინახეთ საბრალო, ზურგზე გადავარდნილი. პირიდან დუჟი სდიოდა; ცალი ხელი კი კოცონზე დავარდნოდა.

კრილენკო, ბარხაში, ვორობიოვი, ცაგი, განეცკი ლოიქთან და ნაბისთან ერთად 10 საათზე გავიდნენ პულკოვოს უღელტეხილისაკენ, ამ უკანასკნელიდან ისინი ჩავლენ ვანჯის ხეობის სოფელ ფოიმაზარში. იქიდან ჯგუფი, გეოგრაფიული საზოგადოების მყინვარის ავლით და ყაშალ-აიაქის უღელტეხილის გადალახვით, გადავა ფედჩენკოს მყინვარზე; შემდეგ საბანაკო მყინვარზე ავლენ და შეეცდებიან ღარმოს პიკის გზის პოვნას.

19 სექტემბერი

დეკეულის ყაურმის მავნე შედეგები თანდათან ვრცელდება ექსპედიციის წევრთა შორის. დღეს ამ ორომტრიალში მეც ჩავეხ. ერთადერთი წამალი მის წინააღმდეგ ბრინჯის ნახარშის წვენია.

დოროფეევი და პოკროვსკი ფოტოთეოდოლიტით მიდიან სამუშაოდ ჰავოდარის მახლობელ სანახებში. შჩერბაკოვი და ტაგეევა გეოლოგიურ-გეოქიმიური კვლევისათვის წავიდნენ პაამდარას ხეობაში. მე თითქმის მთელი დღე ხორცს ვხარშავდი. ტოპოგრაფები ნაშუადღევის 4 საათზე ჩამოხრიალდნენ ღორღნალებით ბანაკში.

ჰავოდარას თავზე დროგამოშვებით გაისმის საშინელი გრიალი: ხდება ქვათა ცვენა, რასაც თან სდევს მტვრის ღრუბლები.

შჩერბაკოვმა და ტაგეევამ ვერ მოახერხეს მდ. პაამდარაზე გადასვლა და ამიტომ დანიშნულ დროზე გაცილებით ადრე დაბრუნდნენ ბანაკში.

ექსპედიციის დამხმარე პერსონალს ნაქურდალი საგნები აღმოვუჩინეთ: ჩემი კოვზი და საპონი, პისლეგინის ფეხსაცმელი, მარკოვისაგან მოპარული შაქარი, კარვის რკინის პალო და სხვ.

ნასადილევს ერთობით მიზანში სროლით. თოფით სროლაში

შჩერბაკოვი იმარჯვებს, ნაგანით კი დოროფეევი. ტყვიებით ვტეხთ კვარტიან ბოთლს, ვცდილობთ მოვახვედროთ ქაღალდის წრის ცენტრს.

მეექვსე მინაწერი

1. ორი ანტიკლინური ნაოჭი ღარმოს რეგიონში. ღერძების მიმართულება NW — SO.
2. მე და განეცკიმ ვნახეთ ბალახი 4500 მეტრის სიმაღლეზე — ლიპსკის მყინვარის შუა და მარჯვენა ტოტების გამყოფი კლდოვანი ხერის სამხრულ ფერდობზე.
3. ზაზუნის სოროები 4100 მეტრის სიმაღლეზეა — ვავილოვისა და ბელიაევის მყინვართა ხერთვისს ზევით, დოროფეევის ნაბანაკართან ლიპსკის მყინვარის შესართავში.
4. ქიიკის კვალი ვავილოვის მყინვარის სათავეში, 4700 მეტრის სიმაღლეზე.
5. შჩერბაკოვის მოგონება 1928 წლის პამირის ექსპედიციის ერთ-ერთ ეპიზოდზე:

„ექსპედიციის ერთ-ერთი გერმანელი მონაწილე პამირზე წამოსული იყო თავისი საცოლის სურვილით (გმირობის ჩასადენად), აქ მას ცხენმა წიხლით ჩაუმტვრია ყველა კბილი და სასწრაფოდ სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება. ექიმი ქალაქ ფერღანაში იყო, რომელიც „ცხრა მთას იქით“ მდებარეობს, რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე. საჭირო იყო მისი მოყვანა პამირზე. ამისათვის იქირავეს ადგილობრივი შიკრიკი. ამისთანა შიკრიკები აქ ყოველ დიდ სოფელშია გამოყოფილი. ტაჯიკმა ფოსტალიონმა წერილი ქუდში გაირჭო, როგორც ნიშანი თავისი სასწრაფო დავალებისა და გაექანა უახლოესი „საფოსტო სოფლისაკენ“. იქ იგი საჩქაროდ მოძებნიდა თავის კოლეგას წერილის გადასაცემად, ის მეორე. კი თავის უბანს გაირბენდა და გადასცემდა მესამეს და ამგვარი წესით რამდენიმე დღეში წერილმა (ექიმის გამოსაძახებელმა) მიაღწია ფერღანამდე, საიდანაც მკურნალი ცხენით გამოეშურა დაზარალებული გერმანელისაკენ, ხელოვნური ყბების ჩასადგმელად“.

6. ჯიქის (ირბისის) სიახლოვის გავლენა ექსპედიციის წევრებზე (იხ. ზემოთ სადირბაის შესახებ). ივანე დოროფეევს მორენაზე დაგორებული ლოდი მხეცად ეჩვენა და თოფი მოიმარჯვა, ხოლო ტაგეევამ ჯიქის ყვირილიც გაიგონა.

დილა პამირულია. ღრუბლის ნასახსაც ვერ იპოვი ცაზე.

ჯერ კიდევ კარავში ვიწექით, ათასნაირი ფიქრი რომ მომაწვა. ვფიქრობდი მთამსვლელობის ძირითად ამოცანებზე და მთების მეცნიერულ კვლევაში ალპინისტური ტექნიკის გამოყენებაზე. პამირის ექსპედიციაში მონაწილეობამ ძირფესვიანად გარდამიქმნა წარმოდგენა მთამსვლელობაზე.

შოთა მიქელაძე არსებითად სპორტსმენი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუმცა მეცნიერულ მიზნებსაც ისახავდა. იგი დაღუპა სპორტული მიზნებისაკენ გადაჭარბებულმა მიდრეკილებამ, — ვერ გამოზომა თავისი თანამგზავრისა (ინჟინერ მახარაძის) და საკუთარი შესაძლებლობები.

სრულიად აღარ მიზიდავს უმიზნო სპორტული ასვლები მწვერვალებზე. ასვლას უნდა ჰქონდეს სამი მიზნიდან ერთ-ერთი: სამხედრო, სამეურნეო ან წმინდა მეცნიერული.

მაგონდებიან ჩემი თბილისელი ნაცნობ-მეგობრები: სელმა ბილხენი (ტურიზმის მუშაკი, გერმანელისა და ნორვეგიელის შთამომავალი), მურაჩოვი (მოლდაველი ფოტოგრაფი, თბილისის მიდამოებში ჩვენი ექსკურსიების უცვლელი მონაწილე), სტრელეცკი (ჰიდროლოგი), დევი მიქელაძე (გეოლოგი, მთამსვლელი გიორგი ნიკოლაძის ჯგუფიდან). როდის შევხვდები მათ ისევ?

მომენატრა თბილისის სანახებში, თრიალეთის მთებში „ხეტიალი" მხიარულ მურაჩოვთან, სერიოზულ ექიმ მონსესთან და პტეს-ის აქტივის სხვა მონაწილეებთან ერთად, ბეთანია, ზედაზენი, ქსილისის მთა, კავთურას ხეობა და სხვ. მომენატრნენ ჩემი ყაზბეგელი მთიელები—იაგორა კაზალიკაშვილი, ნიკო ქირიკაშვილი, ყურში ჩამესმის მათი მეტყველების მოხევური კილო. მაგონდება ყაზბეგის ტურისტული ბაზის თავისებურად მჩქეფარე ცხოვრება. მომენატრნენ ჩვენები — დედა და და (მამა შარშან დავკარგე).

...ვიწყებთ მზადებას გასასვლელად. ცა ღრუბლება. ტაჯიკებს საჩუქრები მივუძღვენი ერთს სათხილამურო თბილი ხალათი, მეორეს კი „გოლფის" ტიპის მოკლე შარვალი, რითაც ალბათ მათი გულები მოვინადირე.

ბანაკიდან გამოვედით გვიან და ღამის სათევად გავჩერდით ვანჩდარის ხეობის შესართავთან, ამავე მდინარის მარცხენა სანაპირო-

ქვიშიან მოედანზე. აქ სწრაფად აღიმართა სამი კარავი: ორი შუსტერისა და მესამე უფრო მოზრდილი.

ჩვენი ახლანდელი მარშრუტი მიმართულია დარვაზის ქედის თხემისაკენ. მე უნდა ვუჩვენო დოროფეევსა და შჩერბაკოვს ი. ბელიაევის მიერ 1916 წელს გავლილ-მონათლული პულკოვოს უღელტეხილი და ჩემს მიერ აღმოჩენილი ვაშოს (ვანჩდარასა და შოკალსკის მყინვართა შემაერთებელი) უღელტეხილი. ამან საბოლოოდ უნდა გაფანტოს ის ბურუსი, რომელიც გამოიწვია პისლეგინის შეცდომამ.

სხვათა შორის, ჰავოდარადან გამოსვლის წინ, ლეონიდე პოკროვსკიმ და მე მტკიცედ გადავწყვიტეთ თავი დაგვენებებინა თამბაქოს წევისათვის.

ვაჩანდარის შესართავის ბანაკში მისვლის შემდეგ, როგორც კი კარვები მოვაწესრიგეთ, ორივეს ოხვრა-კვნესა აგვიტყდა თამბაქოსე ფიქრით.

— ახლა კარგია გაბოლება! — იძახის პოკროვსკი.

— ბარემაც კარგია, მაგრამ სად არის გასაბოლებელი, — შევეპასუხე.

პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩავყავი და შევყვირე:

— წეკო!

ლეონიდე სიამოვნებით იღიმება:

— ორი „ციგარკა“ გამოვა?

— არა, მაგრამ „სოროკს“ დაგიტოვებ (იგულისხმება გახეთის ქაღალდში გახვეული წეკოს, ანუ მახორკის ორმოცი პროცენტი).

უკვე ბინდდებოდა. ჯიბიდან ამოვიღე ყველა ნამცეცი, ფრთხილად გავახვიე ქაღალდის ნახევში, მოვუკიდე და...

„წეკოს“ საზიზღარმა გემომ გადამაგდებინა „ციგარკა“, რომელზეც ამდენ იმედს ვამყარებდი, „წეკოდ“ თურმე პურის ნამცეცები მომჩვენებოდა.

კლდოვანი სერებიდან შემოგვცქერიან ქიაკები, რომელთა სილუეტები მკვეთრად გამოიყოფა ცის ფონზე.

ხორცითა და კაკაოთი ვახშმობის შემდეგ თავი მოვიყარეთ დიდ კარავში და ვუსმენდით ივანე დოროფეევისა და ლეონიდ პოკროვსკის თხრობას ფიანჯის (ამუ-დარიის ზემო დინების) ხეობაში მოგზაურობის შესახებ: თავპირსამტვრევი ოვრინგები გაუყვება ფიანჯის ორივე ნაპირს. წყალგაღმა ავღანეთის ტერიტორიაა, გამოღმა ჩვენი. ერთგან მოხეტიალე მუსიკოსი დერვიში შეხვდათ, ნამდვილი ინდოელი მომღერალივით რომ აქანებდა თავს სიმღერის დროს. ფიანჯის ხეობიდან

9 უღელტეხილით შეიძლება ცხენით გადასვლა ჩითრალში (ბრიტანეთის ინდოეთში)[1].

მე და პოკროვსკი, მზიდავები მირზა და მაქსუთი წყვილ-წყვილად მოვეწყვეთ შუსტერის კარვებში. დიდ თეთრ კარავში მოთავსდნენ ტაგეევა, შჩერბაკოვი და დოროფეევი.

21 სექტემბერი

თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ლეონიდე პოკროვსკი ძილში ლაპარაკობდა:

— არიკი მოვიდა...

— ტაჯიკები ფოტოთეოდოლიტის ფირფიტებს ჩხრეკენ...

— მე სურათზე მთლიანად გამოვალ? — და სხვ.

დილის წინ მაგრად ჩამეძინა. რომ გამოვიღვიძე, პოკროვსკი კარავში აღარ იყო. ყველანი ავდექით, ლეონიდე კი არ ჩანდა. ბოლოს მოვიდა, ჰავოდარაში წასულიყო და წამოეღო თამბაქოს სოლიდური მარაგი.

ასე დაბოლოვდა ჩვენი კეთილშობილური წამოწყება.

დილით არაფერი გვიჭამია. სასწრაფოდ ავიშალეთ და გავემართეთ მყინვარისაკენ. ამინდი კვლავ მშვენიერია. მყინვარის ბოლოსთან რომ მივედით, მზემ თავისი ცხოველმყოფელი სხივები მოგვაშუქა.

იქ, სადაც მდინარე ხელახლა ჩნდება ზედაპირზე, ვისაუზმეთ ძროხის ხორცითა და გალეტებით. მივყევით ჯერ მდინარის მარჯვენა ნაპირს (წყალღმა), შემდეგ ავედით შუა მორენაზე. ცა მოიღრუბლა და აცივდა.

ხშირი სვენებ-სვენებით ავიარეთ მყინვარის ღორღიანი ნაწილი. გადავედით თუ არა სუფთა ყინულზე, გაავდარდა — დაიწყო ნისლიანობა, ყინვა და, რაც მთავარია, თოვა.

ბანაკად დავდექით 4200 მეტრის სიმაღლეზე — ვანჩდარას მყინვარის მარჯვენა ყინვარდნილზე — ნაპრალებს შორის. თოვა დიდხანს გაგრძელდა. წამდაუწუმ საჭირო ხდებოდა კარვის სახურავიდან თოვლის გადაბერტყვა.

22 სექტემბერი

დილას მშვენიერი ამინდი დაგვხვდა, მაგრამ სანამ საუზმეს (ყაყაოს სმას) შევუდგებოდით, მახლობელ ფერდობებზე გველეშაპივით

---

1. ამჟამად პაკისტანშია.

ვაწვნენ ტყვიისფერი ნისლის ნაფლეთები. ნისლმა ხელი შეუშალა დოროფეევს ტოპოგრაფიულ გადაღებაში.

ვანჩდარას მყინვარის მარცხენა, დიდი შენაკადის მხრიდან ისმის ყვირილი. — ეს ალბათ არიკ პოლიაკოვი მოდის ძზიდავებთან ერთად. გავდივარ მყინვარზე და ოთხჯერ ვისვრი კარაბინიდან. არიკის ყვირილი ახლოვდება. ვბრუნდები ბანაკში და ვნაყრდები ხორცით.

პოლიაკოვის შესახვედრად მიდის პოკროვსკი, რომელიც მთელი ხმით იწყებს სიმღერასა და ყვირილს არიკის გასამხნევებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ არიკი და ორი ფაშიმღარელი ეზიდავიც გამოჩნდა. მათ ამოგვიტანეს ტვირთი — კარავი, მსხლისა და თევზის კონსერვები, ხორცი, პური და ა. შ.

ნახევარი საათის შემდეგ ყველა დავიტვირთეთ და გავყევით ყინულს, რომლის ზედაპირი ფიფქი თოვლითაა დაფარული.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ჩემთვის უკვე ცნობილი უღელტეხილები — პულკოვო და ვაშო, რომელთაგან პირველი უკავშირდება ვანჯის ხეობას, მეორე კი შოკალსკის მყინვარს.

ამინდმა გაუარესება დაიწყო, მაგრამ გაავდრებამდე ვერ მივიდა. დაიწყო ნაპრალები. თოკით არ ვებმევით ერთმანეთს. დოროფეევი თოვლის სინჯვით წინ მიგვიძღვის. დარვაზის პიკი ნისლში ეხვევა.

საღამოს 6 საათზე მივატანეთ იმ ადგილს, სადაც მე და პისლეგინს ღამისსათევი ბანაკი გვქონდა გამართული. თოვლიანი ბაქანი დიორიტის დიაკლაზებიანი კლდის ძირშია, რომელსაც დასცქერის ვაშოს უღელტეხილი. მალე თოვლზე ოთხი კარავი წამოიქიმა და აშიშინდა პრიმუსიც.

ჩვენი შემდგომი დღეების სამუშაო გეგმა ასეთია, ხვალ: ასვლა ვაშოს უღელტეხილზე, ჩამოსვლა ისევ ამ ბანაკში და შემდეგ პულკოვოს უღელტეხილით გადასვლა ობ-ი-მაზარის ხეობაში. ზეგ: ობ-ი-მაზარითა და ვანჯის მთავარი ხეობით ფო-ი-მაზარში (ვანჯის აუზის უმაღლეს სოფელში). მაზეგ: აქბაი-სათირლის უღელტეხილით მდინარე ბოხუდის ხეობაში და ამ უკანასკნელით — ფაშიმღარის ბაზაში.

23 სექტემბერი

გუშინ საღამოს, როდესაც დღიური უკვე შევსებული მქონდა, გამოირკვა, რომ ჩემთვის აუცილებელია პოლიაკოვთან ერთად დაუყოვნებელი წასვლა ფაშიმღარში, — იქიდან 27 სექტემბერს ოშისაკენ, თენგგიზ-ბაის უღელტეხილზე გადასვლით გადის ქარავანი ექსპე-

დიციის მონაწილეებით, — რამდენადაც ჩემთვის ოშზე გავლა აუცილებელია, მე ახლავე უნდა ჩავიდე ჰავოდარაში.

დღის 10 საათზე არიკი და მე გამოვემშვიდობეთ ბანაკში დარჩენილ ამხანაგებს. ივანე დოროფეევმა დაიტოვა ჩემი წიგნი — რუალ ამუნდსენის „პოლუსების დაპყრობა“ და დამპირდა თბილისში გამოგზავნას, მის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებთან ერთად.

გუშინდელი ნაკვალევით დავეშვით მიხვეულ-მოხვეული გზით. მან უხიფათოდ გამოგვატარა დანაპრალებული ფირნის მინდორი. ღრუბლები, დღეს დილაადრიან ლამაზ სანახაობას რომ წარმოადგენდნენ, ახლა მრისხანედ შეიკვრნენ, წამოუშვეს თოვლი, გაამეფეს ყინვა.

გუშინდელ ნაბანაკართან (4100 მეტრზე) სასაუზმოდ შევჩერდით, გუბეზე გადაფარებული ყინული წერაყინით ჩავტეხეთ და წყლით გავავსეთ ფინჯანი. სანამ შტოშის ექსტრატს ამოვიღებდით ჩანთიდან და ფინჯანში ჩავაწვეთებდით, წყალი ამ უკანასკნელში ყინულის ფენით დაიფარა.

ამინდი წამდაუწუმ იცვლება. შემოდგომამ მყარად მოიკიდა ფეხი. ბალახი გაყვითლებულია. მივდივართ მყინვარის მარცხენა ნაპირით, უკვე ვანჩდარას ხეობის გამოსასვლელში ვართ. ერთი წუთით გამოაჭყიტა მზემ. ვიწყებთ გადასვლას ღარმოს ოღრო-ჩოღრო მყინვარზე, — ალბათ უკანასკნელად ჩემს სიცოცხლეში.

ნაშუადღევის 5 საათზე მივაღწიეთ ჰავოდარას. აქ დაგვხვდნენ უზბეკი მუშები: იბრაჰიმი, სადირბაი და სხვანი ექვსი ცხენით. სულ მთელ ბარგი-ბარხანას ფაშიმღარში ჩავიტანთ.

ჩანართი

ბელიაევის, ვავილოვისა და ლიპსკის მყინვართა აღწერილობა, ღარმოს მყინვარი, დაწყებული ჰავოდარადან, სადაც მას განედური მიმართულება აქვს, თანდათანობით იხრება ჩრდილოეთისაკენ და ბოლოს NO 25° მიმართულებას ღებულობს. 3800 მ სიმაღლეზე და დაახლოებით 20 კილომეტრის დაშორებით მყინვარის ქვემო ბოლოდან მყინვარი ორდება: ჩრდილოეთიდან მოცოცავს ბელიაევის მყინვარი, რომელიც ღარმოს მთავარ ტოტად უნდა ჩაითვალოს, ხოლო აღმოსავლეთიდან — ღარმოს პიკის ძირიდან მოემართება ვავილოვის მყინვარი.

ბ ე ლ ი ა ე ვ ი ს მ ყ ი ნ ვ ა რ ი ორმყინვარასთანვე[1] ლამაზ ყინვარდნილს აჩენს, რომელიც ზღუდავს ხეობის ვიწრო გამოსასვლელს. აქედან დაწყებული, მთელ სიგრძეზე იგი წარმოადგენს ეფექტურ, მოელვარე ყინვარდნილს და ეშვება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მყინვარის ღერძულ ნაწილს მოუყვებიან შუა მორენები, რომლებიც საზრდოს ღებულობენ მყინვარის სხვადასხვა შენაკადებს (გვერდით მყინვარებს) შორის გამოშვერილი, გამოფიტული კლდეებიდან. შუა მორენები კიდევ უფრო ამშვენებენ ბელიაევის მყინვარს.

ბელიაევის მყინვარის მთავარი ტოტი იბადება ღრმა და საკმაოდ ვრცელ ცირკში. ამ უკანასკნელის კედლების ქვედა ნაწილი (შეფარდებით 500—800 მეტრ სიმაღლემდე) შეეული კლდეებია: მათ ზევით, მორღვეული ყინულებით დაგვირგვინებული და შეთეთრებული დიადი მწვერვალები დგანან. მათ შორის მეფობენ ევგენია კორჟენევსკაიას (6900 მ) და მიხეილ კალინინის (7 100 მ) პიკები, ხოლო მეფეთ-მეფეა ქუჰ-ი-სანთალაქი (7495 მ)[2]. კედლები სავსებით მიუვალი ჩანს.

ბელიაევის მყინვარის კვება უმთავრესად ზვავებისა და ყინულნგრევების ხარჯზე ხდება, რაც მას სანახევროდ თურქესტანული ტიპის მყინვარად ხდის. ფირნის ველები ამ ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობით აქ სრულიად არ მოიპოვება, — არის ცოტაოდენი ციცაბოდ დაქანებული ფირნის საფარი. მთავარ საზრდოს იძლევიან ზემოხსენებული კლდოვანი კედლების თავზე გადმოკიდებული, კიდემოროღვეული ყინულები სისტემატური ნგრევით, რაც ბექა-ქუხილით წამდაუწუმ აყრუებს ცირკსა და მის მიდამოებს.

ორმყინვარადან სულ 1 კილომეტრის მანძილზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეზე ბელიაევის მყინვარს დასავლეთიდან შეერთვის ლ ი პ ს კ ი ს მყინვარი, რომელიც თავისი ორი (შუა და მარჯვენა) ტოტებით განდოს მყინვარის სათავეებს ებჯინება. რაც შეეხება ლიპსკის მყინვარის მარცხენა, ანუ ჩრდილოეთის ტოტს, იგი, ბელიაევის მყინვარის მსგავსად, პეტრე დიდის ქედის მიუვალი სამხრეთის ფერდობის ძირში იწყება, ხოლო მისი უკიდურესი მარცხენა შტო საზრდოობს უშუალოდ ევგენია კორჟენევსკაიას პიკის დაკიდებული ფირნებით.

ლიპსკის მყინვარი, ბელიაევის მყინვარის მსგავსად, მეტად დანაპრალებულია. აქ ამ დანაპრალებას სხვაგვარი ხასიათი აქვს, — მყინ-

---

1 ბელიაევისა და ვავილოვის მყინვართა შესართავი.

2 1933 წელს მას ეწოდა სტალინის პიკი, ამჟამად ეწოდება კომუნიზმის პიკი.

ვარი არ აჩენს კიბის მსგავს ყინვარდნილს, არამედ უწესოდაა დაპობილი. ლიპსკის მყინვარის საზრდოობა მკვეთრად განსხვავდება ბელიაევისაგან იმით, რომ პირველი მათგანის აუზი მდიდარია დაკიდული და მწოლიარე ფირნის მინდვრებით.

მიუხედავად ამისა, ყინულის ნგრევა აქაც სისტემატურად ხდება და საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ლიპსკის მყინვარის კვებაში.

1932 წლის 14 სექტემბერს სტახ განეცკისა და ჩემს მიერ დადგინდა, რომ ლიპსკის მყინვარის შუა ტოტი თავისი სათავით ებჯინება ფართო, საკმაოდ დაბალ უნაგირას, რომელიც აქედან (აღმოსავლეთიდან) ძნელი მისადგომია და გადადის განდოს მყინვარზე.

ვ ა ვ ი ლ ო ვ ი ს მ ყ ი ნ ვ ა რ ი, ანუ ღარმოს მარცხენა ტოტი (ერთ-ერთი ორ მდგენელთაგან) ორმყინვარასაკენ აღმოსავლეთიდან მოცოცავს, იგი სათავით ღარმოს პიკის უზარმაზარი ციცაბო ზღუდის ძირს ებჯინება. ამ მყინვარის საერთო სიგრძე ღარმოს პიკის ძირიდან მყინვარ ღარმომდე უდრის დაახლოებით 8 — 9 კილომეტრს.

ვავილოვის მყინვარი მარჯვნიდან იერთებს ხუთ ვიწრო და მოკლე შენაკადს, ხოლო მარცხნიდან სამ თითქმის ისეთსავე მყინვარს, მთავარი მყინვარი განირჩევა სუსტი ქანობით და შედარებით ბრტყელი ზედაპირით.

მყინვარი მოეზიდება გვერდითს მორენებს, რომლებიც ნაწილობრივ უკვე გათიშულია მოძრავი ყინულისაგან. მარჯვენა მორენის შედგენილობაში, დიმიტრი შჩერბაკოვის დასკვნით, სჭარბობენ მწვანე გრანიტები და კრისტალური ფიქლები, მარცხენაში კი კონტაქტური მარმარილო.

ვავილოვის მყინვარის საზრდოობის ხასიათი ლიპსკის მყინვარისას უფრო მიემსგავსება, ვიდრე ბელიაევისას. ღარმოს პიკის ყინულოვანი ჯავშანი ერთგვარი მასაზრდოებელია დასახელებული მყინვარისა. ამას მოწმობს ღარმოს პიკის კედლის ძირში დაგროვილი ნაზვავები და გამუდმებული გრიალი.

ვავილოვის მყინვარის მთავარი დინების სათავე მოზღუდულია ღარმოს პიკის და მისი დასავლური სერის მიუვალი კედლით. აქ უნდა არსებობდეს უღელტეხილი იმ ჩაღრმავებაში, რომელიც ღარმოს პიკის ჩრდილო ზღუდის ძირში მდებარეობს და უნდა გადადიოდეს საბანაკო მყინვარზე. უღელტეხილზე ასასვლელი ფირნიანი ფერდობი საგრძნობ სიძნელეს უნდა ქმნიდეს ადამიანისათვის, მაგრამ შორიდან იგი სავსებით ხელმისაწვდომი ჩანს.

ვავილოვის მყინვარის სათავეში — ღარმოს პიკის მასივზე შიშვ-

ლდება ინტრუზიული (გრანიტული) მასივი. როგორც პროფესორი დიმიტრი შჩერბაკოვი ფიქრობს, აქ ოროგენული მოძრაობა მიმართული იყო WNW-დან OSO-საკენ.

პამირიდან ჩამოსვლა

24 სექტემბერი

დილა პამირულია.

ივანე დოროფეევი დღეს ალბათ თავისი ფოტოთეოდოლიტით ბოლოს მოუღებს შოკალსკისა და ვანჩდარის მყინვართა თეთრ ლაქას.

ჩვენ (არიკი და მე) გამოვდივართ კარავიდან და ვხედავთ, რომ უზბეკი მექარავნეები უკვე ემზადებიან ჰავოდარადან ასაბარგებლად, მოურეკიათ ცხენები, მოუხსნიათ დიდი კარავი.

ამრიგად, დღეს ვემშვიდობები ღარმოს დიდებულ მთათა კრებულს. მისი ტოპოგრაფია ახლა ჩემთვის უკვე სავსებით ნათელია, ვინაიდან მოვახერხე შესვლა მის ყველა მივარდნილ კუთხეში. ღარმო, როგორც კვანძი, როგორც ხლართი აღარ არსებობს. ყველაფერი გაირკვა, — მწვერვალებმა თავისი ადგილები დაიკავეს განსაზღვრულ ქედებზე; მყინვარებმა მოიხსნეს ზღაპრული ნიღაბი. არავითარი დახშული ფირნიანი გალია, რა თქმა უნდა, აქ არ არსებობს — თითოეულ წერტილში მოიპოვება თოელ-ყინულის ჩამოსადენი გზა.

„უზარმაზარი ფირნის ველები", რომლების შესახებაც ლაპარაკობდნენ მთამსვლელები, არ არის. გარკვეულია ევგენია კორჟენევსკაიას პიკის გამწვავებული საკითხი. დადგენილია ღარმოს პიკზე ასვლის სიძნელე დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან. შესწავლილია ღარმოს მთავარი მყინვარისა და მისი შენაკადების (შოკალსკის, ვავილოვის, ვანჩდარას, ლიპსკის) დამოკიდებულება მეზობელ აუზებთან.

ჩემი აზრით, ღარმოს რეგიონის დამატებითი გაშუქებისათვის საჭიროა სამი სვლაგეზის გაგნება და მეცნიერული აღწერა:
1. შოკალსკის მყინვარის ცირკიდან ამ მყინვარის აღმოსავლეთის ენით ასვლა მეცნიერებათა აკადემიის ქედის უღელტეხილზე (რომელიც მე და პისლეგინმა დავინახეთ 1932 წ. 4 სექტემბერს), — მისი სიმაღლეა 5600 მეტრი, — და ჩასვლა საბანაკო მყინვარით ფედჩენკოზე. 2. ლიპსკის მყინვარის შუა ტოტიდან გადასვლა, სტახ განეცკისა და ჩემს მიერ აღმოჩენილ უნაგირაზე, განდოს აუზში და იქიდან, პეტრე დიდის ქედის გადალახვით, ფორთამბეკის მყინვარზე. 3. მუშკეტოვის მყინვარის ამოვლა სათავემდე, ასვლა კორჟენევსკაიას პიკის აღმოსავლეთ სერზე და აქედან ღარმოს აუზის დაზვერვა...

11 საათზე გავედით ჰავოდარადან, სადაც დავტოვე გამოსამშვიდობებელი ნიშნები ი. ბელიაევის ასტროპუნქტთან (სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან), — ქვებისაგან ავაშენე პატარა კოშკურა, შიგ ჩავატანე ხარის ენის კონსერვის კოლოფი ქართულ-რუსულად დაწერილი ბარათით.

გარდა ამისა, ჰავოდარას ლამიან ზედაპირზე ქვებით შევადგინე წარწერა: „ТКЭ (Таджикская комплексная экспедиция) 1932".



უკანასკნელად თვალი გადავავლე სტუმართმოყვარე ჰავოდარას, მის მოუსვენარ ჩანჩქერს, არჩის მახინჯი ღეროებით აჭრელებულ ქვაყრილებს, შვეულად აზიდულ კლდეებს და წამოვედით. ვინ იცის, მოვხვდები თუ არა კიდევ ოდესმე აქ.

ღარმოს მყინვარზე ჩვენმა ქარავნებმა ჰავოდარასაკენ მომავალი, მოზრდილი ბილიკი გატკეპნეს და მე უკვე მიკვირს ჩვენს მიერ განვლილი გზის სიმძიმე, როდესაც ფაშიმღარიდან აქამდე ორნახევარი დღე დაგვჭირდა.

ალბათ სწორედ ასე, წინასწარი დაგეგმარებისა და სამუშაოების გარეშეა გაკვალული ყველა ბილიკი.

კიდევ 2 — 3 აკრობატული ნომერი მდინარის მოსიპულ ნაპირებზე და მოვაღწიეთ საუცხოო ადგილს (სადაც ეს სტრიქონები იწერება) — ოქროსმაძიებელთა მიტოვებულ ქოხს ტყეში. ასეთი ტყე შუა აზიაში იშვიათია, სადაც ფოთლის თავისებური სურნელებაა.

ს ა მ ა ხ ს ო ვ რ ო დ: პაამდარას მყინვარის სათავეები უნდა ებჯინებოდეს დარვაზის ქედს კი არა, არამედ მის ტოტს — პაამდარასა და ბოხუდის წყალგამყოფს. პაამდარას დასავლეთით, ღარმოს ხეობის მარცხენა მხარეზე კიდევ 6 — 7 მცირე მყინვარი დავთვალე, საკმაოდ მძლავრი ბოლომორენებით. ამ მორენებთან ხეობათა ტალვეგები უეცრად ქვემოთკენ ტყდებიან.

ოქროსმაძიებელთა ქოხის წინ გადაფენილ ბრეზენტზე ვწევარ და დღიურს ვავსებ. არუნალი ტყის „ფანჯრებში" ოქროსფრად იხედება უკვე ჩასული მზის სხივებით მოვარაყებული, მედიდური ღარმოს პიკი.

აქვე, ახლოს კოცონი ანთია და ჩუხჩუხებს ჩაიდანი. არიკი, იბრაჰიმი, სადირბაი და სხვები ბრეზენტებზე წამოგორებულან. ჩიტები ჭიკჭიკებენ, — ეს თბილი ხეობის პირველი საღამოა. მე ხომ 26 დღეა 3300 მეტრზე დაბლა არ ჩამოვსულვარ. ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივ პირობებში, უფრო დაბალ ადგილებში საცხოვრებლად სპეციალური „უკუღმა აკლიმატიზაცია" დამჭირდება.

საერთოდ, პამირის ექსპედიციით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბევრი ვნახე და გავიგონე, — მაგრამ მაინც ერთი სურვილი მაქვს — შინ, თბილისში დაბრუნებისა.

რა კარგი იქნება, თუ კი თბილისიდან მოეწყობა ექსპედიცია პამირზე. ეს დაეხმარება ჩვენს ეროვნულ გეოგრაფიულ საზოგადოებას და ხელს შეუწყობს მშრომელთა მასების კულტურული დონის ამაღლებას. თუ ამ ექსპედიციაში წარმოებიდან რამდენიმე მუშაც მიიღებს მონაწილეობას, ეს ხომ დიდ მიღწევად ჩაითვლება საბჭოთა საქართველოსათვის.[1]

25 სექტემბერი

დილა პამირული.

ტყეს ჩხავილით დასტრიალებს რომელიღაც შავი ფრინველი (არა ყორანი). ჩვენი უზბეკები უკვე წამომდგარან და ქოქჩის სვამენ.

დაახლოებით 10 საათზე გამოვეშურეთ. ისევ ფრაებში ტოპვა და რიყეებზე ბორძიკი. 12—13 საათზე მოვაღწიეთ ძირითად ბაზას — საღრანის მარცხენა ნაპირზე, თხილნარში.

აქ დაგვხვდნენ მამაჯანი და მექარავნეები. ყვითელ სამოსელში გამოწყობილი ფალავნისმსგავსი ჩვენი ყაშღარელი, ცხვრის გაპოშიგვნას და დუმის აჭრას ამთავრებდა. საგიტოვმა (დოროფეევის ხელქვეითმა) წეკო შემომთავაზა. მე ხომ უკვე მთელი კვირაა არ მომიწევია. ამ სტრიქონების წერასთან ერთად ხარბად ვეწევი საცელდახელოდ დახვეულ „ციგარკას".

ალპინისტური მუშაობა დამთავრდა, — წინ მელის გრძელი და მოსაწყენი გზა მთიანი ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის ბილიკებით, ხეობებში და უღელტეხილებზე.

---

1 ახლა, 1963 წელს, როდესაც ვეცინხლობ და ვამუშავებ ჩემს პამირულ დღიურს, ბევრი რამ გულუბრყვილოდ მეჩვენება. ეს არც უნდა გვაკვირვებდეს, რამდენადაც მაშინ ავტორი ოცი წლისა იყო.

26 სექტემბერი

დილა ისევ პამირული.

ნასევარი დღე რეცხვა-შრობას მოვუნდი.

შუადღისას ბანაკში ცხენები შემოაჯირითეს ტატიანა ბაროვსკაიამ, ვასო რუბინსკიმ, იური არაპოვმა, ნინა მოსკვინამ და აბობაქრიმ, რომელთაც მდინარე ბოხუდის ხეობაში ჩაუტარებიათ მუშაობა.

ბოროვსკაია რჩევას მაძლევს: ჩემს მომავალ წიგნში გულახდილად და აშკარად აღვწერო ექსპედიციის დროს დაშვებული შეცდომები.

27 სექტემბერი

დილა კრიალაა. ცაზე ღრუბლის მიბნედილი ნაგლეჯებია.

დილიდანვე ვიწყებთ მზადებას გასამგზავრებლად. ფაშიმღარიდან მორეკეს ქარავნისა და ჩვენი საჯდომი ცხენები. ჩემს „ბასმაჩს“ ზურგი ისევ გადაყვლეფია; როგორც მითხრეს, ეს ტატიანას დამსახურებაა, რომელიც „უპრაგონოდ“ აჭენებს ცხენებს აღმა-დაღმა. ცხენმა მაშინვე მიცნო. მე ხომ უკვე თვეზე მეტია არ მინახავს იგი.

14 საათზე მივატოვეთ ძირითადი ბანაკი. გასვლისას ერთიმეორეს შეედავნენ მზარეული მამაჯანი და ქარავანბაში. დავა იმით დამთავრდა, რომ მამაჯანმა გვარიანად მიტყიპა ქარავანბაში.

ვუახლოვდებით სოფელ არზინგს. ჩვენს თვალწინ, მწვანე მინდორზე შეყრილიყო მთელი ზოოპარკი: ცხენები, ძროხები, თხები, ცხვრები, ძაღლები, მტრედები, კაჭკაჭები, მთის ჭილყვავები ანუ ჭკეები და სხვ. კაჭკაჭები აქ სულაც არ ერიდებიან ადამიანს და მისგან 3 — 4 ნაბიჯის მანძილზე არხეინად სხედან.

არზინგის სახლებიდან შემოგვჩერებიან ცნობისმოყვარე სახეები. ჩვენი მიახლოებისას ტაჯიკი ქალები სწრაფად იმალებიან, მაგრამ შემდეგ ინტერესით გვიჭვრეტენ.

ვხედავთ კალოს. ორი დიდებული ბუღა ეწევა თავისებურ მოწნულ კევრს; ხარებს მიერეკება შარვლიანი ქალი ზედ გადაცმული კაბით; იგი ჩვენგან სახეს მალავს. მთელ სოფელში პურის ლეწვაა გახურებული.

ვაქილთან (თემსაბჭოს თავმჯდომარესთან) ვჩერდებით ცხვრების საყიდლად (მომარაგებული გვაქვს ხორცის სახელმწიფო დამზადების ფურცლები). ვაქილი დაბალ-დაბალი და ცხვირპაჭუა კაცია; იგი გვიმასპინძლდება ტკბილი ვაშლით და ლავაშით. სახლის კარიდან მიცი-

ნიან ქალები, — ერთი მათგანი მართლაც ლამაზია: საკმაოდ მაღალი, სრული და ეშხიანი, დაახლოებით 25 — 26 წლისა.

ღამის გასათევად ვჩერდებით არზინგის ქვემო (დასავლურ) ბოლოზე, — სწორედ იქ, სადაც უკანასკნელი ბანაკი გვქონდა აქეთობისას. რუბინსკიმ მექარავნეებს პირობა ჩამოართვა, რომ ხვალ სოფელ ლიანგარს მივაღწევთ.

ღრუბლები აღმოსავლეთის ტატნობზე იფანტებიან და ჩამავალი მზის შუქზე მოვარაყებულ სალამს გვიძღვნის თოვლიანი გოლიათი —

ნახ. 16 ავგენიან კორკენევსკიანს ქიკი

ღარმოს პიკი. აქედან მოჩანს მისი უმაღლესი მწვერვალი და ჩრდილო უღელტეხილი.

ვასია რუბინსკის სიტყვებით,ხინგოუს ხეობაში და თვით არზინგშიც მძვინვარებს ტროპიკული მალარია, ამიტომაც ყველა ქინაქინას ვსვამთ.

რა კარგია მცირერიცხოვანი კომპანია. ჩვენს ჯგუფში ახლა სამი კაცია: რუბინსკი, ნინა მოსკვინა და მე ორი ყოჩაღი უზბეკის — მამაჯანისა და სადირბაის თანხლებით.

ვიძინებთ კარვებში: ჩემი და ვასიას კარვის წინ მთელი ღამე წვეს ყირგიზული ძაღლი „ღარმო“ და ხანდახან იღრინება.

მეორე ძაღლი — „ქუჩუქი“ მამაჯანის კარავს დარაჯობს.

28 სექტემბერი

დილით ადრე შევუდექით ცხენების დასაპალნება-მორთვას და დავიძარით. გზა გადიოდა ტაჯიკური სოფლის მიხვეულ-მოხვეულ

ორღობეებში. ბარხაშის ცხენი ჭიხვინით მისდევდა ქარავანს. ერთგან წინა ფეხები ჩაუვარდა ბანის იქით და იძულებული გახდა დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლიდან გადმომხტარიყო, რითაც დააფრთხო სახლის კართან შეგროვილი ქალები, ქარავნის გავლას რომ უმზერდნენ.

ეს მოხდა სოფელ როვაში, საიდანაც უკვე მოჩანს ხინგოუს მიპირდაპირე (მარცხენა) ნაპირზე მდებარე სოფ. სანგვორი.

სანგვორთან დავინახეთ სამი კაცი, რომლებიც მენზულით აგეგმვას აწარმოებდნენ. გამოირკვა, რომ ეს არის დოროფეევის რაზმის ერთ-ერთი ჯგუფი.

ყიშლაღ რეხტთან შემოგვხვდა მეორე, ფოტოთეოდოლიტით აღჭურვილი ჯგუფი.

რეხტში ცოტა ხანს შევჩერდით, სანამ ქარავანი დაგვეწეოდა.

შებინდებისას გავჩერდით ნაყანევზე, ლოჯირქის ყიშლაღის დასაწყისში. გავმართეთ თუ არა კარვები, კიდეკაც დაბნელდა.

დღეს დილიდან საღამომდე ვაშლით ვიგემრიელებდით პირს. ვაშლი, აქ 4 — 5 ჯიშისაა. ზოგან ვაშლის მოწყვეტა მპირდაპირ ცხენის უნაგირიდან შეიძლება.

გავჩერდით ლოჯირქის აღმოსავლეთით.

20 ხექტემბერი

დილის 9 ს. 30 წუთზე მივატოვეთ ლოჯირქის აღმოსავლურ კიდეზე გადაშლილი მინდორი.

სოფელ ყალა-ი-ლოჯირქში დავეწიეთ გეომორფოლოგ კონსტანტინე მარკოვს, რომელიც ჯურაბაისთან და „კოხტაისთან“ ერთად ხინგოუს ხეობის დაღმა მიემგზავრებოდა. იგი ორჯერ თუ სამჯერ პეტრე დიდის ქედზე მარადიული თოვლის საზღვრამდე ასულა მისი სიმაღლის გასაზომად.

მარკოვს მუშაობაში ყველაფერი ავიწყდება, გარდა ახალშერთული ცოლისა, რომელსაც ყოველდღე წერს თავგადასავლების დეტალურ წერილს.

ყალა-ი-ლოჯირქშივე შევიარეთ „სოიუზზოლოტო“-ს (თუ „ცვეტმეტზოლოტოს“) მაღაზიაში. იქ სიმპათიურმა რუსმა ნოქარმა სახელგაწიფო ფასად მოგვყიდა ხორბალი (ცხენებისათვის, ქერის ნაცვლად) და უფასოდ მიფეშქაშა სამი შეკვრა წეკო, ანუ გლარჯა. აქ კოლმეურნეობის „სეკრეტარს“ (მე და ვორობიოვს რომ შეგვხვდა ფაშიმღარისაკენ მიმავალს) ერთი საათი ვევაჭრე ჯურაბებზე (ტაჯიკურ წინ-

დებზე), მაგრამ რეალური შედეგის გარეშე, — მე ფულზე „ქესატად“ ვიყავი, ტაჯიკს კი მოგების გარეშე არ სურდა წინდების დათმობა.

სწრაფად მივაღწიეთ ლიანგარსაც. სადირბაიმ აქ ძშვენიერი ვაშლები ჩამოგვიბერტყა ხიდან. ხის პატრონმა ჯერ ბასმაჩები გვიწოდა, მაგრამ როდესაც ოთხი მანეთი მიიღო, ხმა გაკმინდა.

შევუდექით გრძელ აღმართს გარდანი-ქავთარის, ანუ მტრედის ყელის უღელტეხილისაკენ. ქარავანი, ჩვეულებისამებრ, აშუხრუჭებს ჩვენს მოძრაობას.

გადავლახეთ რა აღმოსავლეთისაკენ ბალახოვანი სერი, ღამის გასათევად შევჩერდით დაახლოებით 2800 მეტრის სიმაღლეზე — იმ ადგილის მახლობლად, სადაც დევსიარიდან აქეთ მგზავრობისას გვქონდა ბანაკი.

მოვაგროვეთ იქვე უხვად გაფანტული ნაკელი, ანუ წივა ცეცხლის გასაჩაღებლად. ჩვენი კომპანიის ტერმინოლოგიით ამ ნივთიერებას „გამეტას“ ვეძახდით.

1 ოქტომბერი

დილით მამაჯანი კაკაოთი გაგვიმასპინძლდა.

ამინდი უხეიროა, — მზე ოდნავ ბეუტავს, ვითარცა ჭრაქი მიწურ სახლში. 10 საათისათვის ავიკრიფენით და ცხენდაცხენ შევუდექით აღმართს.

სანამ უკანასკნელ დიდ აღმართს მივადგებოდით, მწვანე მინდორზე დავეწიეთ მოხუც ტაჯიკს, რომელიც დაკეცილ ლოგინთან იჯდა დაღონებული. გამოველაპარაკეთ მას და გავიგეთ სამწუხარო ისტორია: თურმე ყარათეგინში (ვანჩის ხეობის ქვემო ნაწილში) ტროპიკული მალარიით გარდაცვლია ოთხი ვაჟიშვილი და ბარში ცხოვრება გადაუწყვეტია. საჭმელი გვთხოვა (ძლიერ შიოდა). რითაც შეგვეძლო გავუმასპინძლდით.

დაიწყო საუღელტეხილო აღმართი. ცხენი ნაბიჯებს ზოგავს და საბერველივით ქშინავს. თანდათან ცივდება ჰაერი, უბერავს ქარი და ხოშკაკალას გვაყრის. ასე ავედით გარდანი-ქავთარის უღელტეხილზე (3785 მეტრი) და ფეხდაფეხ დავეშვით, მიხვეულ-მოხვეული ციცაბო ბილიკით.

ამწვანებულ მინდორზე ცხენები საძოვრად გავუშვით და ქარავნის მოლოდინში ვიყავით. ვასია რუბინსკიმ კრილენკოს გერმანული მაუზერით (თოფის სახელია) ესროლა გაფრენილ ძერას, და, ძლივს ეღირსა: ბუმბული გააყრევინა.

ქარავანმა დაიგვიანა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ფერდობზე. სადირმა გვაცნობა, რომ ხოფის (ერთ-ერთი ყაშღარელი მექარავნის. რომელიც საუცხოოდ მღერის) რომელიღაც საპალნიანი ცხენი გარდანი-ქავთარის ჩრდილო ფერდობის თოვლნარზე გადაჩეხილიყო. დაღუპულს კუდი მოაჭრეს ნივთიერ საბუთად, მისი ტვირთი სამარაგო ცხენებს აჰკიდეს და წამოვიდნენ.

გზაში შემოგვხვდა ივანე დოროფეევის ერთ-ერთი ფოტოთეოდოლიტური ჯგუფი (ხელმძღვანელი ნიზოვცევი).

იერიშის ქვეშ ვიარეთ საღამომდე სიციევსა და ქარში.

ზაბუნები აღარ ჩანან, — რუბინსკი ამტკიცებს, რომ მათ უკვე დაუძინიათ საზამთროდ. გავიარეთ მცირე თუფჩაყი და ბინდბუნდში ჩამოვედით აქ — ყარაშურას ხეობაში, სადაც მდინარის მარცხენა სანაპიროზე სახელდახელოდ დავიბანაკეთ.

წვიმს, საკმაოდ ძლიერი ქარი უბერავს.

1 ოქტომბერი

დღეს დილით ყარაშურა გამოტოპეს და ჩვენს ბანაკზე ამოიარეს ტაჯიკებმა, რომლებსაც სურდათ ჯურაბების მოყიდვა, მაგრამ ისეთი ფასები „დაგვირტყეს" (წყვილში 20 — 30 მანეთი), რომ ვაჭრობა უშედეგოდ დამთავრდა.

ამინდი გუშინდელთან შედარებით კარგია, მზემ გამოაჭყიტა. მთებზე თოვლი დევს. მზესთან ერთად მოვიდა სითბოც.

ცოტა ხნის შემდეგ ამოიარა ტაჯიკების მეორე ჯგუფმა. ერთ-ერთი მათგანისაგან 15 მანეთად ვიყიდე წყვილი ჯურაბი.

გარდანი-ქავთარის ჩრდილო ფერდობზე ტოპოგრაფების რაზმს ჩამოშორდა ვეებერთელა ყირგიზული ქოფაკი, ჩვენ შემრგვიერთდა და სულ ჩვენთანაა. (ორში ერთია: ამ ძაღლს ან ჩვენი შემადგენლობა და მომარაგება უფრო მოსწონს, ვიდრე ტოპოგრაფებისა, ან კიდევ აწყობს ჩვენი მსვლელობის მიმართულება).

ბანაკიდან გვიან გავედით. ფონით გავტოპეთ მდინარე და პატარა აღმართით ავედით თუფჩაყზე. წინანდელი ერიამულისა და მოძრაობის ნაცვლად აქ ახლა გვხვდება უსიცოცხლო, მწუხარე პეიზაჟი. ყირგიზები წასულან; წასულა ყარაშურას საბჭოთა მეურნეობის ცხვარი; სღურები ზამთრის ძილს მისცემიან; ბალახი გაყვითლებულა.

აქა-იქ ჩამომსხდარან არწივები, სვავები და ყორნები. მთელ ჯაილაუზე ორი ცხენი და სამი ძროხა შევნიშნეთ, ადამიანი კი არც ერთი. ამინდი საკმაოდ ცუდია, — ცივა.

ქარავანს წინ ვუშვებთ, ჩვენ კი კუდში მივდევთ. რეკავენ ცხენების კისერზე ჩამოკიდებული ზარები, საღამო ხანს მივატანეთ იმ ჩინებულ ჯაილაუს, სადაც აქეთობისას მე, ბარხაშს, ვორობიოვსა და ცაგს ასე უხვად გაგვიმასპინძლდნენ ყირგიზები.

ღრუბლებიდან იცქირება ნაცნობი ბუმბერაზი — სევერცოვის პიკი.

მზის ჩასვლისას დავიბანაკეთ ვაკის შუაგულზე. აღმოსავლეთით მოჩანს უკაცურად ღარჩენილი ქიბითქები (ქოხები), — რა ნაღვლიანია დაცარიელებული ჯაილაუ შემოდგომის პირზე!

2 ოქტომბერი

დილა პამირულია. მაგრამ ტემპერატურა არქტიკული. ვასია დილაადრიანვე წავიდა იხვებზე სანადიროდ. გაისმა სროლის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ რუბინსკიმ მოიტანა მოკლული მწვანეფრთიანი მომცრო იხვი. სევერცოვის პიკი ელვარებს ულრუბლო ლაჟვარდის ფონზე.

აქედან 3—4 საათი ვიარეთ თავქვეზე (ახალი მიმართულებით და არა იმ გზით, რომლითაც მე. ბარხაშის ჯგუფის შემადგენლობაში ამოვიარე აქეთობისას). ჩავედით მუქსუს ხეობის რომელიღაც ყიშლაღში. აქ დიდხანს ვთათბირობდით ყირგიზებთან იმის თაობაზე, თუ რომელი გზით გვევლო. მათ გვაცნობეს, რომ მუქსუს ქვემო დინებაზე, სანამ იგი შეუერთდებოდეს ყიზილსუს, ამჟამად სავსებით შესაძლებელია ფონით გადასვლაო.

ქარავანი დროებით ყიშლაღის ახლოს დავტოვეთ, ხოლო ვასო, მე და ნინა წავედით დევსიარში, სადაც ყირგიზ სანგი-თემირს ჩაბარებული ჰქონდა ტომრებით ჩვენი ქერი და კონსერვები.

მასპინძლის ცოლმა — ლამაზმა ახალგაზრდა ყირგიზმა ქალმა და ყოჩაღმა ბიჭუნამ (მასპინძლის ძმამ) მიგვიწვიეს მიწურში. აქ პირველად შევხვდი მოშინაურებულ კაკბებს, რომლებიც ოთახსა და ეზოში დარბიან (კინაღამ თოფი ვესროლე ერთს — გარეული მეგონა). გვიმზადებენ ჩაის. მდინარე შაგეზის სახელი ყირგიზულად გამოითქმის ასე: „შაღაზი".

ქერისა და კონსერვების შენახვისათვის გასამრჯელოდ ოცი მანეთი შევთავაზეთ, მაგრამ იცოტავეს. დათანხმდნენ ამ საფასურის მიღებაზე, როდესაც დავუმატეთ ჩაი, შაქარი და ზეთი.

ჩაის შემდეგ ისევ ცხენებზე შევსხედით და დავბრუნდით ჩვენს ქარავანთან ყიშლაღ მინბულაღში. გვაფიქრებს მუქსუში გასვლის ხვალინდელი პერსპექტივა. დევსიარში გეოლოგ ნიკიტინის ერთ-ერთი

რაზმის წევრებმა გვაცნობეს, რომ ერთი კვირის წინათ ფონზე გასვლისას დაიღუპა ორი ყირგიზი.

3 ოქტომბერი (ჩაწერილია სოფელ დუვანაში)

დღევანდელი დღე ჩვენს მოგზაურობაში იმით აღინიშნება, რომ მდ. მუქსუ გავტოპეთ. 1929 წელს ამ მდინარეში — ზემოთ, ალთინ-მაზართან, დაიღუპა პამირის ექსპედიციის მონაწილე — როგოვი, ხოლო რამდენიმე დღის წინათ, როგორც ითქვა, აქ დაღუპულან ადგილობრივი ყირგიზები.

ვიარეთ მარცხენა ნაპირის ბილიკით ყიშლაღ თარიღუალამდე, საიდანაც ჩავედით რიყეზე და ფონის მაჩვენებელი ყირგიზის წინამძღოლობით მივადექით მუქსუს, რომელიც აქ რიყეზე ოთხ მოზრდილ ტოტად იყოფა. არც ერთი ექსპედიცია ჩვენამდე მუქსუს ქვემო დინებაში არ გასულა.

პირველი სამი ტოტი ადვილი გადასალახავი გამოდგა, წყალი ცხენებს მუცლამდეც ვერ სწვდებოდა. მეოთხე, მთავარ ტოტში ჯერ ჩვენი ყოლაუზი და მამაჯანი გავიდნენ თავისი ყოჩაღი ულაყებით, შემდეგ კი ისევ უკან დაბრუნდნენ და ყველანი შევუდექით ფონს, ცხენები მუცლამდე წყალში იყვნენ, მაგრამ მაინც მშვიდობიანად გავედით. მხოლოდ ცხენები დაგვისველდა.

მალე ჩვენი ქარავანი მდინარის მარცხენა ნაპირს მოადგა. მეგზური ყირგიზის, მამაჯანის და ყაშღარელი „ფალავანის“ დახმარებით მთელი ქარავანი უვნებლად გამოვიდა მდინარეზე ისე, რომ თითქმის არც ერთ საპალნეს წყალი არ მიჰკარებია.

სოფელ ლიახაშს მარცხნიდან შორს გავუარეთ, გადმოვედით „ბეწვის ხიდზე“ და დავიბანაკეთ სოფელ დუვანასთან.

4 ოქტომბერი

დილა ისევ მშვენიერია.

გამოვიარეთ ჩვენთვის ცნობილი სოფელი აჩიყ-ალმა, სადაც ზოვიმარაგეთ მეავე ვაშლი. გზაში გვხვდებიან ცხენებსა და აქლემებზე შემსხდარი ყირგიზები მთელი ოჯახებით, რომლებიც ქელეხზე მიიჩქარიან.

აბულ-აჯანი (ჩვენი ქარავანბაში) წაბორძიკებული ცხენიდან „გადაფრინდა“. ცხენი ფერდობზე ჩაკოტრიალდა, მაგრამ უვნებლად. უვნებლად გადარჩა თვით ქარავანბაშიც.

— როგორ მოახერხე ეგრე მარჯვედ გადმოხტომა? — შეეკითხე ქარავანბაშს.

— მთელი სიცოცხლე ამ საქმეს მოვანდომე და ამის მეტი არაფერი ვიცი, — მიპასუხა აბულ-აჯანმა და კელავ იმავე ცხენის კურტანზე გადაპირქვავებული ზედადგრის ფეხებს შორის ჩაჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაგორდა მეორე ცხენიც. მან მეტ მანძილზე იგორა და როდესაც ავაყენეთ, პირიდან სისხლი სდიოდა.

სიბნელეში მოვედით ყირგიზულ იურთებთან, სოფელ ქიჩიქ-ყარამუქის შემოგარენში.

5 ოქტომბერი

დილა პამირულია. რომ გამოვიღვიძეთ ჩვენი საჯდომი ცხენები სადღაც გამქრალიყვნენ. დიდხანს ვეძებდით უშედეგოდ. ბოლოს, როგორც იქნა, ახალგაზრდა ყაშღარელმა შორს მდებარე ყიშლაღიდან მორეკა ხუთივე ცხენი. ამ შემთხვევის გამო დავაგვიანეთ გასვლა.

ნაცნობი გზით მივედით მიტოვებულ ყიშლაღში (ქოქსუს დასავლეთით) და დავბანაკდით ქიბითქებთან. ერთ-ერთ მათგანში შესულებმა დავინახეთ, რომ აქ მთელი ლაბირინთია აშენებული. ანალოგიური სოფელი მიწის ქვეშ სომხეთშიც მინახავს, სოფელ კალინინოს (ტროიცკოეს) მიდამოებში.

აქედან უკვე მოჩანს ლენინის, ძერჟინსკისა და სვერდლოვის პიკები ტრანსალაის ქედზე, დღეს დაღლილობა ვიგრძენი; კიდევ კარგი, რომ 3 — 4 დღის შემდეგ ოშს მივაღწევთ.

6 ოქტომბერი

საამური დილაა.

მამაჯანმა ყირგიზების დახმარებით აითვისა ახალი კერძის დამზადება, — გამოგვიცხო საუცხოო კატლამა. ბანაკიდან გვიან დავიძარით.

ნაშუადღევის 3 საათზე მივატანეთ დარაუთ-ყურღანს, სადაც დაგვხვდნენ პამირის ექსპედიციის ჯგუფები, — ერთი მხრივ, სეიდამათი და სოლდატოვი, მეორე მხრივ კი ანტონ ცაგი, საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონები კრივში გეტიე, ხარლამპიევი (შვილით) და კრავცოვი.

მცირეოდენი შესვენებისა და საუბრის შემდეგ ჩვენი ქარავანი ისევ დაიძრა მდინარე დარაუთის ხეობით — თენგიზბაის უღელტეხი-

ლისაკენ. ეს არის მეტად ვიწრო, ალაგ-ალაგ დიადი კლდეკარი, რომ-ლის ციცაბო გვერდებზე ბევრგან იზრდება არჩა.

დავბანაკდით მინდორში (ჩვენთან ერთად სოლდატოვისა და ცა-გის ჯგუფებიც). დიდ კარავში ერთად ვიწექით ვასია, მე, კრავცოვი და ანტონი.

7 ოქტომბერი

ცაგი და მე დილით სხვებზე ადრე გავედით ბანაკიდან. ყინვიან ამინდში 1 — 2 კილომეტრი გავიარეთ ხეობით და მშვენიერი საძო-ვარი ვიპოვეთ ცხენებისათვის, ჩვენ კი მზის გულზე დავსხედით და ორ საათს მაჩვებივით ვთბებოდით, სანამ ჩვენი ქარავანი დაგვეწეოდა.

აქედან ერთი საათი ვიარეთ საუღელტეხილო აღმართის დასა-წყისამდე, საიდანაც 2 საათში მივაღწიეთ თენგიზბაის უღელტეხილს.

უღელტეხილიდან და მის აღმოსავლეთით მდებარე ბალახოვანი მწვერვალიდან, რომელზეც მე და ანტონი ცხენებით ავედით, კარგად მოჩანს ტრანსალაის ქედი, ლენინის, ძერჟინსკის, სვერდლოვისა და სხვა მწვერვალები. უღელტეხილის აბსოლუტური სიმაღლე არ მა-ხსოვს (მოყვანილი აქვს სვენ ჰედინს თავის წიგნში „აზიის გულში“).

უღელტეხილიდან სადავით ჩამოვატარეთ ცხენები დაღმართში, ვისაუზმეთ, შევსხედით უნაგირებზე და გავიარეთ მოზრდილი მანძი-ლი ფართო, ბალახოვანი ხეობით, რის შემდეგაც დაიწყო გრანიტის მომაბეზრებელი ქვაყრილებიანი დაღმართი და არჩის მეჩხერი ტყე.

ამ დაღმართით 3 —4 საათში ჩავედით დიად კლდეკარში (ისფა-ირამის ხეობაში), რომელიც ინტრუზიულ ბათოლითშია ჩაჭრილი და საერთო იერით ჩვენს დარიალს მიემსგავსება. კლდეკარის გასასვ-ლელში შემოგვხვდნენ აქლემები, დატვირთულნი ტელეგრაფის ბო-ძებით.

ანტონ ცაგი გაკვირვებულია ისფაირამის ხეობის ბილიკის მსგავ-სებით მის მიერ ავსტრიის ალპებში ნახულ გზებთან.

ვასოს განზრახული ჰქონდა დღესვე მისულიყო ლიანგარამდე (ვინ მოთვლის, რამდენი ლიანგარია პამირ-ალაის ხეობებში!), მაგრამ მიუხედავად სიბნელეში სვლისა, ვერ მივაღწიეთ იქამდე. მექარავნე-ებმა საბოტაჟი მოგვიწყეს. „ფალავანმა“ მიგვატოვა (მისი თქმით, სამუდამოდ).

დავბანაკდით უადგილო ადგილას, მდინარე ისფაირამის მარცხენა ნაპირზე. სხვათა შორის, ის საცხენე გზა, რომელმაც გააოცა ცაგი

ავსტრიის ალპების გზებთან მსგავსებით, კლდეზე გაკეთებული წარწერის თანახმად. 1916 წელს გაუყვანიათ... ავსტრიელ ტყვეებს.

დღეს ტაჯიკებისაგან შეეიძინე მათი წინდების (ჯურაბების) მეორე წყვილი — ვუფეშქაშებ რომელიმე თბილისელ მთამსვლელს.

9 ოქტომბერი

დილა ღრუბლიანია. დავიძარით უჭმელად. მალე გზაში შემოგვხვდნენ ყირგიზები აზავრებითა და აქლემებით. რამდენიმე ხნის შემდეგ დავინახეთ ცხვრის ფარა, რომელსაც პატარა ლამაზი ბიჭუნა აძოვებდა.

გავჩერდით ყიშლაღ ლიანგარში, სადაც უკვე სიმინღ-ს ნათესებია.

ისფაირამის ხეობის ორივე გვერდი დაგვირგვინებულია ლამაზი და ციცაბო კლდოვანი მწვეროვალებით, რომლებიც მთამსვლელთა განსხლერული კატეგორიისათვის შესანიშნავ სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენს.

დღეს მთელი დღე გაჩერებული ვართ ლიანგარში. საუზმეზე (მაჰაჯანის ხინკალზე) გვეწვიენ გეტიე, ხარლამპიევი, უფროსი და კრავცოვი. ანტონმა მომპარსა გაბანჯვლული წვერ-ულვაში. გავრეცხეთ სამოსელი. ერთი სიტყვით — ვნებივრობთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სხვათა შორის, ანტონმა მიამბო, რომ ის და ვორობიოვი ფოიმაზარში ყოფნისას მიხვდნენ ბარხაშის შეცდომას პულკოვოს უღელტეხილის მდებარეობის თაობაზე, — მათი „უღელტეხილი" სრულიად უვარგისი გამომდგარა და მთელი დღე-ღამე წაუგიათ სვლაში.

10 ოქტომბერი

დილა პამირული სტილისაა.

დილით ამოიარეს ყირგიზებმა, რომლებსაც გაუცილებიათ კრილენკო. გამოვართვეთ ჩვენი ექსპედიციის ცხენი და ორი უნაგირი.

დავიძარით საკმაოდ ადრე. გზაში დაგვეწია ვასო ნედოკლადოვი ვორობიოვის ცხენით და თავისი ბარგი-ბარხანით.

კლდეკარი ჯერ ისევ ვიწროა, მდინარე სწრაფი. გვხვდება მრავალი ხიდი. შემდეგ ხეობა ფართოვდება და ვაღწევთ ყიშლაღ „ყარაულს" (30 კილომეტრი ლიანგარიდან). ვჩერდებით ყიშლაღში.

10 ოქტომბერი

მშვენიერი დილაა. ავდექით ჩვეულებისამებრ. ამ ყიშლაღს თურმე „მაიდანი“ ეწოდება. ჯერ კიდევ ყირგიზებს შორის ვიმყოფებით.

მთები ზურგს უკან რჩება. მიუხედავად ამისა, დილაადრიან აქ უკვე ცივა და ხელფეხი გვეყინება, — უკვე შემოდგომაა. ფოთლების უმეტესობა გაყვითლებულია. დღესვე ვიგემებთ ყურძენს, ატამს, მსხალს, ნესვს და ა. შ.

ნედოკლადოვი და სოლდატოვი გვიამბობენ თავგადასავლებს, მათ უცდიათ ევგენია კორჟენევსკაიას პიკზე ასვლა, მაგრამ მხოლოდ 5800 მეტრ სიმაღლისათვის მიუღწევიათ.

ბელიაევისა და ბესედინის სტატიებში, რომლებიც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მოამბეშია დაბეჭდილი (ტ. 55, 1919 — 1923 წწ.), გამოთქმულია მოსაზრება, რომ თითქოს ღარმოს მყინვარის რაიონში მდებარე „პეტრე დიდის ტახტის“ მთა იგივე მუსჯილლაა, რომელიც ალთინ-მაზარის მიდამოებიდან მოჩანს.

20 კილომეტრი უჩ-ყურღანამდეს სწრაფად გავიარეთ. აქ დაგვხვდა წითელი არმიის ამჟამად დროებით ცარიელი ბანაკი, ბაზარი, სასადილო, აუარებელი ხილი (ყურძენი, ნესვი, საზამთრო), მღვრიე არხები და... სიცხე.

გავიარეთ ყიშლაღი ყიზილ-ყია და გავჩერდით ყიშლაღ ქარავანში.

საღამოს რუბინსკიმ წაგვიკითხა ბარხაშის წერილი, რომელზეც ხელს აწერდა ნიკოლოზ ვასილის ძეც.

11 ოქტომბერი

დილა თითქმის პამირულია.

ნედოკლადოვი, ცაგი და მე ადრე დავიძარით ბანაკიდან და სწრაფი ტემპით ვიმგზავრეთ რუსსკოე სელომდე, სადაც გემრიელად დავნაყრდით. აქედან წავედით ჩაიხანაში, სადაც ჩაისთან ერთად შეეექეცით ნესვს, ხოლო ჩვენი ცხენები მიაძღნენ იონჯას.

კინოში გადიოდა სურათი „ზოროს ვაჟი“ დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით. ზარების წკარუნით გაიარა ჩვენმა ქარავანმა. ჩვენც მალე დავეწიეთ.

მთვარიან ღამეში მივაღწიეთ არავანს (არ აურიოთ ქარავანში). აქ ორი უზბეკი გრძელი საყვირებით, დოლის ბრახუნის აკომპონიმენტის თანხლებით გაჰყვიროდნენ.

ჩაიხანაში ვახშმობის შემდეგ დავიძინეთ.

12 ოქტომბერი

მამლების ყივილმა და ცხენების თივის ხრაშუნმა გამოგვაღვიძა. ისმოდა' აგრეთვე მწყემსის ბუკის ხმა. აქედან ოშამდე 25 — 28 კილომეტრილა დაგვრჩენია.

13 საათზე ცაგი, ნედოკლადოვი და მე მივედით ოშში.

13 ოქტომბერი

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა...
აქ წყდება ჩემი პამირული დღიური.

გრძელი გზა მშობლიური კერისაკენ

სანამ მშობლიური თბილისისაკენ გამოვეშურებოდი. თვეზე მეტ ხანს მომიხდა ოშში ყოფნა — ყერდენკოების მამულში, — უნდა დამეცადა დიმიტრი შჩერბაკოვისათვის.

მართა დიმიტრის ასული პამირიდან დაბრუნებულ მკვლევარებს მასპინძლობდა, რომელთა შორის იყო ტაჯიკეთის კომპლექსური ექსპედიციის უფროსი ნ. პ. გორბუნოვი, კლიმატოლოგი ვ. ი. პოპოვი, გეობოტანიკოსი ა. ი. პოიარკოვა, ზოოლოგი მ. პ. როზანოვი და სხვ.

გვიანი შემოდგომა იდგა, დიმიტრი ივანეს ძე ოშში რომ ჩამოვიდა და საექსპედიციო ანგარიშები გამისწორა.

ექსპედიციისაგან საჩუქრად მივიღე სასაპალნედ განკუთვნილი მოზრდილი ყუთი, რომელშიც ჩავალაგე ნაჩუქარივე საძილე ტომარა, არხარის წყვილი რქა, ქსოვილის ნაჭერი, ტაჯიკებისაგან ნაყიდი 2 წყვილი ჯურაბი, დეფიციტური კონსერვები და სხვ.

ნოემბრის ბოლო იყო, ოში რომ დავტოვე და სამშობლოსაკენ გამოვემგზავრე. უნდა წამოვსულიყავი შემდეგი მარშრუტით: ოში — ანდიჟანი — კრასნოვოდსკი — ბაქო (გემით) — თბილისი. ანდიჟანში მატარებლის და კრასნოვოდსკში გემის ბილეთების შოვნის პრობლემა მადარდებდა.

ჩემ იღბლად, ოშიდან იმ დროს მიემგზავრებოდა ექსპედიციის უფროსი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი მდივანი და სამხედრო-რეოლუციური საბჭოს წევრი ნიკოლოზ პეტრეს ძე გორბუნოვი, რომლის დახმარებით ბილეთების შოვნის საკითხი გადაწყდა.

ახლა საჭირო იყო ჩემი სასაპალნე ყუთის ბაგაჟში ჩაბარება. ბაგაჟს არ ღებულობდნენ, — ამბობდნენ მზიდავი არ არისო. მე თვითონ მომიხდა საკმაოდ მძიმე ყუთის მიტანა საბარგო რონოდასთან და მაღლა ადგმა. ის იყო მოვრჩი ამ საქმეს, ჩემი მატარებელიც დაიძრა და სირბილით მივედი სამგზავრო რონოდასთან.

პამირიდან ჩემი დაბრუნება საკმაოდ დაწერილებით მაქვს აღწე-

ოლი ჩემს წიგნში „ათი წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ“. სამმა კაცმა ვიმგზავრეთ ერთად ანდიჟანიდან მერვამდე: მე, სოჭელმა ხანშიშესულმა მანდილოსანმა და ავღანეთის მოქალაქემ, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მშენებლობაზე მუშაობის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. ქ. მაზარ-ი-შერიფის მახლობელ სოფელში.

ავღანელს აბრეშუმის თეთრი ჩალმა ეხურა, მაჯაზე ოქროს საათი ეკეთა, ფეხზე კალოშები ეცვა. მაგრამ უფრთხილდებოდა და მეტწილად ფეხშიშველი დადიოდა. გზაში არაფერს ჭამდა, სანამ არ შევთავაზე ძროხის ხორცის კონსერვი. ჯერ უარს ამბობდა იმის შიშით, რომ ხორცი შეიძლება ღორისა ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ქილაზე გამოსახული რქოსანი დავანახვე, მადლობა გადამიხადა, ავიდა ზევით და იქ შეექცა.

ამსაბადში უნდა გადავმსხდარიყავით მეორე (კრასნოვოდსკში მიმავალ) მატარებელზე. დიდხანს ვიდექი რიგში ჩემი და სოჭელი მანდილოსნის ბილეთების დასაკომპოსტირებლად (იგი ბარგს დარაჯობდა).

როგორც იქნა, ვიშოვეთ ადგილები კრასნოვოდსკისკენ მიმავალ მატარებელში. იქ დაღამებისას ჩავედით. გავიგეთ, რომ გემი „კოლონტაი“ მეორე დილას გადიოდა ბაქოსაკენ. ღამე კრასნოვოდსკში უნდა გაგვეტარებინა — ქალაქში, რომელიც წყალს რკინიგზით, ცისტერნებით ღებულობდა (როგორც გვითხრეს, წყლის დაგვიანების შემთხვევაში ამ ქალაქის მცხოვრებნი სელტერის წყალზე ან ლიმონათზე აპზადებენ საჭმელსო). ჩვენს წინაშე წამოიჭრა ღამის გასათევის პრობლემა. სასტუმროში მოწყობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, — გაჭედილი იყო ხალხით. გარდა ამისა, კრასნოვოდსკში იყო ე. წ. „გალიები“ — ფიცრებისაგან შეკოწიწებული უჯრები, რომელთა სიგანე და სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატებოდა, ხოლო სიღრმე 2 მეტრს. გალიებიდან, ანუ უჯრედებიდან ისმოდა საუბარი რუსულ, თურქულ, ტაჯიკურ, ოსურ, ლეკურ, სომხურ ენებზე. ჩვენთვის არც აქ იყო ადგილი.

იმედგაცრუებულნი გამოვბრუნდით უკან. არ ვიცოდით, სად წავსულიყავით. აქ ჩვენ შემოგვიერთდა ბავშვიანი სომეხი ქალი. ვიდექით წვიმის ქვეშ, ქუჩაში დაყრილი ხრეშის გროვაზე. ამ დროს ქუჩაში ვიღაცამ გაიარა, ისიც სომეხი აღმოჩნდა. გაიგონა ბავშვისა და დედის სომხური ლაპარაკი, შეჩერდა და ორივე თავის სახლში მიიპატიჟა.

წასვლის წინ უცნობმა გვითხრა, რომ არსებობს კრასნოეოდსკში ღამისთევის კიდევ ერთი ვარიანტი — საჩაიე. იქ ზოგიერთი ჩამოსული ატუმარი მაგიდაზე ათევს ღამესო.

მივაგენით საჩაიეს. აქაც მარცხი! საჩაიე გატენილი იყო ხალხით — ისინი ჩაით იჭყიპებოდნენ იმ იმედით, რომ საჩაიეს დაკეტვის შემდეგ მაგიდაზე დაწოლილიყვნენ. შვიდი ჩოხოსანი ლეკი ჩვენსავით დაეძებდა ღამის სათევს. ერთ-ერთმა მათგანმა აღმოაჩინა საჩაიეს ბნელი დერეფანი, სადაც იატაკზე დაჯდომა შეიძლებოდა.

მოვეწყვეთ. სოკელი მანდილოსანი და ლეკები თავ-თავის ბარგზე დასხდნენ კედლის გასწვრივ, მე კი დავწექი ძველ აბრაზე. რომელიც იქვე აღმოვაჩინე და ძილისათვის მოვემზადე.

მაგრამ იმ ღამეს ძილი არ გვეწერა. საჩაიედან გადი-შემოდიოდნენ კლიენტები. ყველას ჩვენ გვერდით უნდა ჩაეარა. ზოგიერთი მთვრალი იყო და ფეხებს ძლივს მიათრევდა.

გათენდა თუ არა, ნავსადგურში გავედით გემის ბილეთების საშო�elad. დიდი გაჭირვებით ვიშოვეთ გადამყიდველებისაგან. კაიუტაში მოწყობაზე ოცნება ამაო იყო, მოვეწყეთ გემბანზე.

„კოლონტაი“ მიაპობდა აღელვებულ კასპიის ზღვას. ზღვის მთელი ზედაპირი გადაშავებული იყო იხვებით, ზღვაზე ფრთონა დაიწყო და იხვებიც ირწეოდნენ პატარ-პატარა ტალღებზე. „კოლონტაის“ მიახლოებისას იხვები ღრუბელივით აიშლებოდნენ ხოლმე ჰაერში. როგორც ჩანს, ნორდი კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილში აღელვებდა წყალს და ღელვა გადაეცემოდა შუა ნაწილს. ზღვაში მოჩანდა ნავები მათში მსხდომი მონადირეებითა და სეტერებით.

ფრთონა, როგორც ცნობილია, ცუდ გავლენას ახდენს ადამიანზე. „კოლონტაის“ მგზავრებს უკვე შეპაროდათ „ზღვის სენი“. მე ჯერ-ჯერობით ყოჩაღად ვიყავი. მაგრამ პერსპექტივაში ალბათ მეც იგივე მელოდა.

ერთ მეზღვაურს ვთხოვე ერჩია ჩემთვის ზღვის ავადმყოფობის აცდენის საშუალება. მან გადახედა გემბანზე დაფენილ ჩემს საძილე ტომარს და მიპასუხა:

— ჩაძვერით შიგ და ბაქომდე არ გამოძვრეთ.

ერჩევა ბრძნული გამოდგა.

განთიადზე ელექტროშუქის დიდი კუნძული—ბაქო, მოგვეევლინა. პამირის ექსპედიცია დამთავრდა. მე უკვე თითქმის სამშობლოში ვიყავი.

პამირის ექსპედიციის შედეგები

ტაჯიკეთის 1932 წლის კომპლექსური ექსპედიცია გრანდიოზული იყო თავისი მასშტაბებით: მასში მონაწილეობდა სამასამდე მეცნიერ-მკვლევარი, მათ შორის ა. ფერსმანი, დ. ნალივკინი, ე. პავლოვსკი, ნ. ვავილოვი, ნ. კორჟენევსკი, ვ. პოპოვი, დ. შჩერბაკოვი, ს. კლუბნიკოვი, ვ. რენგარტენი, კ. მარკოვი, ო. აგახანიანცი და მრავალი სხვა.

ექსპედიციის ჯგუფების მიერ განვლილი მარშრუტების ჯამური სიგრძე 2.5-ჯერ აღემატებოდა დედამიწის ეკვატორის სიგრძეს. მუშაობის პრაქტიკული შედეგები უწინარეს ყოვლისა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა აღმოჩენაში მდგომარეობდა.

პამირის კომპლექსური კვლევა შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1933 წელს ევგენი აბალაკოვის მიერ დაპყრობილ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი — „ქუჰ-ი-სანთალაქი" (კომუნიზმის პიკი).

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე დარვაზის რაზმის (კრილენკოს ჯგუფის) მუშაობის შედეგებზე, კერძოდ ახალი მყინვარებისა და უღელტეხილების აღმოჩენაზე. ივანე დოროფეევმა აღმოაჩინა ლიპსკის მყინვარად მონათლული ბელიაევის მყინვარის შენაკადი. ლიპსკის მყინვარი გამოიკვლიეს ს. განეცკიმ და ლ. მარუაშვილმა, რის დროსაც ნაპოვნი იქნა უღელტეხილი ლიპსკის მყინვარიდან განდოს მყინვარზე. ლ. მარუაშვილის და ალ. პისლეგინის ჯგუფი ეწვია ი. ბელიაევის მიერ აღმოჩენილ პულკოვოს უღელტეხილს და ავიდა უსახელო უნაგირაზე, სადაც დაადგინა ვანჩდარისა და შოკალსკის მყინვართა ურთიერთმეზობლობა. ვავილოვის მყინვარიდან საბანაკო მყინვარზე გადასასვლელი აღმოაჩინეს ნ. კრილენკომ და ლ. ბარხაშმა.

ივანე დოროფეევმა თავისი ტოპოგრაფიული აგეგმვით შეავსო „ღარმოს კვანძის თეთრი ლაქა". ხოლო დიმიტრი შჩერბაკოვმა რამდენიმე გეოლოგიური ჭრილით გააშუქა დარვაზის ტერიტორიის აღნაგობა.

პირადად ამ სტრიქონების ავტორისათვის პამირზე მოგზაურობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ამ მოგზაურობამ განსაზღვრა მისი ცხოვრების გზის არჩევანი — თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიულ ფაკულტეტზე შესვლა. 1932 წლის ბოლოს თუ 1933 წლის დასაწყისში პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის წინადადებით უნივერსიტეტში მოხსენება გავაკეთე პამირის ექსპედიციის

შესახებ, ხოლო ანიკო ღვინიაშვილის ხელშეწყობით სახელგაბ-ს, საბავშო განყოფილებამ 1934 წელს გამოაქვეყნა პატარა წიგნი „დასავლეთ პამირის მთებში“.

პამირისა და კავკასიონის ურთიერთშედარება[1]

ცნობილი მთამსვლელი გოტფრიდ მერცბახერი თავის კაპიტალურ წყვილტომიან თხზულებაში „Aus den Hochregionen des Kaukasus“ პარალელს ავლებს ალპებსა და კავკასიონს შორის. ვინაიდან ჯერ არავის გაუვლია ამგვარი პარალელი კავკასიონსა და პამირს შორის, ამიტომ ჩვენ შევეცდებით შეძლებისამებრ გამოეხატოთ ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ამ ორ მთიანეთს შორის შეიმჩნევა.

დუგლას ფრეშფილდი, გადასცქერის რა ცენტრალური კავკასიონის პანორამას იალბუზის აღმოსავლური მწვერვალიდან, აღიარებს, რომ მას ალპებში ასეთი დიადი სანახაობა არასოდეს უნახავს. „კავკასიონის მწვერვალები სჭარბობენ ალპებისას სიმახვილით, ფერდობები — სიციცაბოვით, ხეობები — სიღრმით“.

შესადარებელი მხარეების ოროგრაფიული აღნაგობა, სახელდობრ მათი ქედებისა და ხეობების გეგმაში განლაგება, დიდად განსხვავებულია: კავკასიონის სისტემაში გაბატონებულია ტექტონიკური ღერძის მიმართულება, რომელიც უახლოვდება სწორხაზობრივს და განედურს. მის პარალელურად გაწოლილია მთავარი გვერდითი ქედები და ქვაბულ-ხეობები. პამირზე არ არსებობს მთების ისეთი უწყვეტი ღობე, როგორც კავკასიონის მთავარი ქედია. აქაური ოროგრაფიული ღერძი მეცნიერებათა აკადემიის ქედია, რომელიც მერიდიონალურად არის მიმართული და დაახლოებით მართობულია დანარჩენი უმნიშვნელოვანესი ქედების მიმართ.

განსხვავება მდგომარეობს კავკასიისა და შუა აზიის მთების სიმაღლის უთანაბრობაში. პამირის უმაღლესი მწვერვალი თითქმის ორი კილომეტრით მაღალია კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე. იალბუზზე მაღალი მწვერვალები პამირის ქედებზე ასობითაა, — რომელიმე მაღალი სამზერი წერტილიდან ძნელია მათი დათვლა.

შედარებითი სიმაღლეების, კერძოდ დასახლებულ პუნქტებსა და უახლოეს მწვერვალებს შორის არსებული ჰიფსომეტრიული კონ-

1. დაწერილია 1932 წელს იმავე რვეულში, სადაც დღიურია მოთავსებული.

ტრასტების მიხედვით კავკასიონს უახლოვდება დასავლეთი პამირი, რომელიც ღრმადაა დანაწევრებული ამუ-დარიის სისტემის მდინარეთა მიერ. რაც შეეხება აღმოსავლეთ პამირს, აქ სიმაღლეთა სხვაობა ნაკლებია იმის გამო, რომ მდინარეთა ხეობების და ტბიანი ქვაბულების ფსკერი ძლიერ მაღლაა აზევებული.

მყინვართა სიდიდის მხრივ პამირი ბევრად აღემატება კავკასიონს. კავკასიონის უდიდეს, ბეზინგის მყინვარზე ბევრად დიდი განზომილების გლეტჩერები პამირზე მრავალი ათეულია. მარტოოდენ ფედჩენკოს მყინვარში ოთხზე მეტი ბეზინგი გამოიჭრება.

მარადიული თოვლის საზღვარი პამირზე უფრო მაღლაა, ვიდრე კავკასიონზე. ამის მიზეზია პამირის შედარებით სამხრეთული (საშუალოდ 4 — 5°-ით) მდებარეობა და ატმოსფერული ნალექიანობის სიმცირე. თვით დაღესტანში, თუშეთში მცირე კავკასიონის აზერბაიჯანულ ნაწილშიც კი ეს საზღვარი 4000 მეტრზე დაბლაა, ხოლო პამირზე უფრო მაღლა.

სხვა ბუნებრივი სარტყელებიც პამირის მთებზე გაცილებით უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე კავკასიონზე. ხე-მცენარეულობა პამირზე 3500 მეტრ სიმაღლემდე ადის, ხოლო ჩვენში იგი ვერსად აღწევს 2500 მეტრ სიმაღლეს. რაც შეეხება ბალახეულ მცენარეულობას, ის პამირზე 4000 მეტრზე მაღლაც კი შეიძლება შეგვხვდეს, ხოლო კავკასიონზე არა უმაღლეს 3100 — 3200 მეტრისა. მაღლაა პამირის ხეობებში კულტურულ მცენარეთა ჰიფსომეტრიული ზღვრებიც, — ვაზი ადის 2000 მეტრამდე (საქართველოში არა უმაღლეს 1350 მეტრისა), ვაშლი 2600 მეტრამდე. ბუნებრივი პირობების სხვაობა პამირ-კავკასიონს შორის განაპირობებს მოსახლეობის განლაგების განსხვავებასაც, — ტაჯიკების სოფლები 2700 — 2800 მეტრ სიმაღლემდე ადის, ხოლო კავკასიის სოფლები, რომლებიც ახლობელ წარსულში 2400 მ სიმაღლეს აღწევდა, ამჟამად 2200 მეტრზე მაღლა თითქმის არსად ადის.

რამდენიმე სიტყვა პამირის და კავკასიონის ბუნების გარდაქმნისა და შესწავლის შესახებ.

ისტორიული წარსულის განმავლობაში ადამიანის ზეგავლენა ბუნებაზე კავკასიის მთებში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პამირზე. ეს გამოწვეული იყო მოსახლეობის მეტი სიმჭიდროვით ჩვენს მხარეში.

1932 წლისათვის კავკასიაში უკვე აღარ არსებობდა გამოუკვლეველი კუთხეები (თუ არ ჩავთვლით მიწისქვეშეთს — კარსტულ მღვიმეთა სამყაროს). სულ სხვა მდგომარეობა იყო პამირზე. — საკმარისი

იყო გადაგეხვიათ გზიდან (თუნდაც ტრანსპამირული მაგისტრალიდან) მარჯვნივ ან მარცხნივ, რომ მოხვედრილიყავით სრულიად შეუსწავლელ და აღუწერელ ადგილებში, აღმოგეჩინათ ახალი მყინვარი, ტბა, ხეობა, მდინარე, უღელტეხილი...

მშვენივრად იყო იმ დროს შენახული პამირის ცხოველთა სამყარო. არხარების დიდი ჯოგები (რამდენიმე ათეული და მეტი ცხოველი) დადიოდნენ აღმოსავლეთ პამირის ვაკეზე. ტაჯიკეთის კომპლექსური ექსპედიციის ის რაზმები, რომლებიც პამირის ამ ნაწილში მუშაობდნენ, ავტომობილებით ნადირობდნენ მთის ცხვართა ამ წარმომადგენლებზე, ამიტომაც ჟერდენკოების ეზო ქალაქ ოშში სავსე იყო „ქვეყნიერების ბანიდან" ჩამოტანილი, არხარის უზარმაზარი რქებით.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ დასავლეთ პამირზე მთის თხები — ქიიკები, რაშიც ჩვენ საკუთარი თვალით დავრწმუნდით ღარმოს, ვანჩდარისა და დარვაზის სხვა მყინვარებზე ყოფნისას. საკმარისი იყო დილაადრიან მიპარულიყავით ქიიკებთან საძოვრებზე, რომ ნანადირევით დაბრუნდებოდით ბანაკში. ასევე ბლომად იყო შემონახული ზაზუნები (სღურები) და ნაირ-ნაირი ფრინველი, მათ შორის მტაცებლებიც.

Л. Н. МАРУАШВИЛИ

ПУТЕШЕСТВИЕ НА «КРЫШУ МИРА»
(ПАМИРО-АЛАЙ 1932)

Автор доктор географических наук, профессор Леван Иосифович Маруашвили двадцатилетним юношей принимал участие в Таджикской комплексной экспедиции (сокращенно ТКЭ) 1932 г., был одним из членов ее Дарвазского отряда (руководители Н. В. Крыленко и Л. Л. Бархаш).

Пробыв в Средней Азии свыше 4 месяцев, автор зафиксировал свои впечатления (о Памире, в первую очередь) в дневнике, который он вел ежедневно и который в литературно обработанном виде составил основу настоящей книги.

Таджикская комплексная экспедиция 1932 г. была организована Академией наук СССР в целях выявления и изучения естественных ресурсов Таджикской ССР (в частности, Горно-Бадахшанской автономной области). Экспедиция была грандиозной по своим масштабам: в ней участвовали около 300 научных работников; были также альпинисты и технический персонал. Возглавлял экспедицию непременный секретарь Академии наук, член Реввоенсовета Николай Петрович Горбунов.

Дарвазский отряд ТКЭ ставил своей главной задачей расшифровку «Узла Гармо»—белого пятна, оставшегося на карте Памира после советско-германской экспедиции 1928 года и последующих топографических работ И. Г. Дорофеева. Топографическая группа Дорофеева принимала участие и в экспедиции 1932 года, и в более поздних экспедициях и завершила съемку Памира, начатую Финстервальдером. Кроме этой группы, в Дарвазском отряде принимали участие: геолог, профессор (позже академик) Дмитрий Иванович Щербаков, географ (впоследствии академик) Константин Константинович Марков и др. В составе альпинистской группы, сформированной из активистов ОПТЭ[1], вместе с Николаем Васильевичем Крыленко и Львом Львовичем Бархашем, были В. Воробьев, А. Цаг, Л. Маруашвили, а также альпинисты С. Ганецкий, А. Поляков, В. Недокладов, Б. Фрид, входившие в другие группы того же отряда.

Экспедиция выступила из Оша и следовала по направлению «Большого Памирского тракта», идущего в Хорог. В районе Талдыкского перевала, где Дарвазский отряд случайно спасся от двух нежелательных столкновений, свернули на запад, по Алайской долине. Через Дараут-Курган и Ачик-Альму прибыли в село Девспар на реке Муксу. Отсюда перевалили через хребет Петра Великого (перевалом Гардани-Кантар) в долину реки Хингоу и направились вверх к ее истокам («Узлу Гармо»). Основной лагерь экспеди-

---

[1] ОПТЭ — Общество пролетарского туризма и экскурсий. Председателем был Н. В. Крыленко.

ции был разбит выше последнего населенного пункта долины р. Хингоу-Пешамгара, на высоте около 2800 метров н. у. м.

Опираясь на этот базовый лагерь, группы Дарвазского отряда и примкнувшая к ним топографическая группа И. Г. Дорофеева в течение 2 месяцев исследовали бассейн реки Гармо между хребтами Петра Великого, Дарвазским и Академии наук.

Автор книги Л. Н. Маруашвили исследовал и описал следующие основные маршруты в районе «Узла Гармо».

1. Лагерь Аводара на высоте 3200 м — конец ледника Ванчдара — вверх по этому леднику до высоты 5000 м. Посещение Пулковского перевала на Дарвазском хребте и нового, неизвестного перевала через безымянный отрог того же хребта, ведущего в верховьях ледника Шокальского. Возвращение в Аводарский лагерь.

2. Лагерь Аводара — вверх по леднику Гармо до развилка (слияния ледников Вавилова и Беляева). Подъем по устьевому ледопаду Беляевского ледника. Исследование новооткрытого полиснитетического ледника, названного И. Г. Дорофеевым Ледником Липского. Открытие перевала из верховьев среднего рукава ледн. Липского (через хребет Эльбрусят) на ледник Гандо.

3. Описание ледника Гармо и его ветвей — ледников Вавилова, Шокольского, Ванчдара, Беляева, Липского.

Экспедиция 1932 года в главных чертах разрешила проблему «Узла Гармо» и загадку высочайшей вершины Советского Союза. В этом основная заслуга принадлежала геологу Москвину, топографу Дорофееву и альпинистам во главе с Н. В. Крыленко. В 1933 г. был организован штурм высшей точки СССР, получившей тогда название пика Сталина. Восхождением руководил Н. Н. Горбунов. Вершины достиг Евгений Аболаков.

Непосредственными спутниками автора в путешествии по бассейну ледника Гармо были профессор Д. Щербаков, А. Пислегин, С. Ганецкий, И. Дорофеев, Л. Покровский, таджики Лоик, Наби и Набот, узбек Садыр-бай.

Непосредственная роль автора в изучении Памира выражается:

1. В возобновлении маршрута к Пулковскому перевалу, который не посещался после 1916 г. (после экспедиции астронома Беляева).
2. В установлении перевальных седловин «Вашо» (с ледника Ванчдара на ледник Шокальского) и «Лига» (с ледн. Липского на ледн. Гандо).
3. В описании ледниковой системы Гармо.
4. В наблюдениях за высотными пределами распространения растений (кустарника арчи, трав) и животных (сурков) на склонах хребтов Петра Великого, Академии наук и Дарвазского.

Обо всем этом можно прочесть в предлагаемой на грузинском языке книге.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი	3
წიაღსელა პამირის გეოგრაფიასა და ისტორიაში	7
ყაზბეგიდან ოშამდე	39
ალაის ქედის ხეობებში	47
თავიდან აცდენილი ტრაგედია	60
ალაის ველის იალაღზე	65
ჩვენ გადავდივართ პეტრე დიდის ქედზე	80
ღარმოს კვანძის მისადგომებზე (სინგოლის ხეობაში)	87
უნაყოფო დაზვერვა ვანჩდარის მყინვარიდან	100
ფორთამბეკი თუ განდო?	118
პამირიდან ჩამოსვლა	139
გრძელი ვზა მშობლიური კერისაკენ	155
პამირის ექსპედიციის შედეგები	158
პამირისა და კავკასიონის ურთიერთშედარება	159
Резюме	162

რედაქტორი მ. ერისთავი
მხატვარი ვ. ხიდაშელი
მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ე. ყვანია
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 4551

გადაეცა წარმოებას 29.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.03.88
საბეჭდი ქაღალდი № 2 60×84 1/16 გარნიტური ვენა ბეჭდვის ხერხი
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,3. პირ. საღ. გატ. 9,65. სააღრ.-
საგამომც. თაბახი 8,84. უე 01947. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1144.

ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მედქალაქი,
II სასწ. კორ., საქ. სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.